ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის, მიღწეული შედეგების და შეფასების ინდიკატორების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, ბიუჯეტის სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი) პროგრამების/ ქვეპროგრამების მიხედვით მიღებული და გადარიცხული გრანტების (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები) შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების

შეფასების ნაწილში ქალის და მამაკაცის თანასწორობის ინდიკატორები).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2025 წლის გეგმა		საკასო შესრულება	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
შემოსავლები	**2,000,987.8**	**0.0**	**2,144,124.3**	**0.0**
გადასახადები	987,349.2	0.0	1,036,595.6	0.0
გრანტები	649,244.6	0.0	635,718.2	0.0
სხვა შემოსავლები	364,394.0	0.0	471,810.5	0.0
ხარჯები	**1,817,205.0**	**0.0**	**1,690,122.8**	**0.0**
შრომის ანაზღაურება	130,391.3	0.0	114,642.3	0.0
საქონელი და მომსახურება	294,879.8	0.0	260,327.3	0.0
პროცენტი	14,971.4	0.0	10,832.1	0.0
სუბსიდიები	833,875.7	0.0	819,997.7	0.0
გრანტები	1,856.4	0.0	1,467.9	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	183,718.5	0.0	180,921.4	0.0
სხვა ხარჯები	357,512.0	0.0	301,934.0	0.0
საოპერაციო სალდო	**183,782.8**	**0.0**	**454,001.5**	**0.0**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**415,764.1**	**8,957.2**	**251,103.5**	**6,383.1**
ზრდა	500,764.1	8,957.2	383,628.4	6,383.1
კლება	85,000.0	0.0	132,524.9	0.0
მთლიანი სალდო	**-231,981.3**	**-8,957.2**	**202,898.0**	**-6,383.1**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-267,820.6**	**-8,957.2**	**168,230.8**	**-6,383.1**
ზრდა	0.0	0.0	168,230.8	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	168,230.8	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0

დასახელება	2025 წლის გეგმა		საკასო შესრულება	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
კლება	**267,820.6**	**8,957.2**	**0.0**	**6,383.1**
ვალუტა და დეპოზიტები	267,820.6	8,957.2	0.0	6,383.1
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	**-35,839.3**	**0.0**	**-34,667.2**	**0.0**
ზრდა	0.0	0.0	2.1	0.0
საგარეო	0.0	0.0	2.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.2	0.0
კლება	**35,839.3**	**0.0**	**34,669.3**	**0.0**
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	35,839.3	0.0	34,669.3	0.0
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 268,742.5 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)


დასახელება	2025 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	**2,085,987.8**	**2,276,651.3**	**109.1%**
შემოსავლები	2,000,987.8	2,144,124.3	107.2%
არაფინანსური აქტივების კლება	85,000.0	132,524.9	155.9%
ვალდებულებების ზრდა	0.0	2.1	
გადასახდელები	**2,353,808.4**	**2,108,420.5**	**89.6%**
ხარჯები	1,817,205.0	1,690,122.8	93.0%

დასახელება	2025 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება %-ში
არაფინანსური აქტივების ზრდა	500,764.1	383,628.4	76.6%
ვალდებულებების კლება	35,839.3	34,669.3	96.7%
ნაშთის ცვლილება	**-267,820.6**	**168,230.8**	

2025 წელს **ნაშთის ცვლილების** (ნაშთის გამოყენება) სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 267,820.6 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 168,230.8 ათასი ლარი.

2026 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 436 973,3 ათასი ლარი.


ათასი ლარი




ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის შემოსულობების შესრულების შესახებ


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 2 085,987.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 276,651.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 109.1%.

ათასი ლარი






სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგი სახითაა:



<u>I შემოსავლები</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 2 000,987.8 ათასი ლარი, ფაქტიურად 2 144,124.3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 107.2% და მთლიანი - შემოსულობების 94.2% შეადგინა.




<u>I გადასახადების სახით</u> ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1 036,595.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (987,349.2 ათასი ლარი) 105%-ი და წინა წლის ანალოგიურ

მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 981,760.3 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 54,835.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად ქონების გადასახადზე მოდის[1], მათ შორის:


ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 370,225.2 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) – 284,887.3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია – 65,302.1 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 20,035.7 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი – 323,249.3 ათასი ლარი) შედარებით 46,975.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) (2024 წლის ფაქტი - 255,411.6 ათასი ლარი) და ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადზე (გარდა მიწისა) (2024 წლის ფაქტი - 48,478.4 ათასი ლარი) მოდის)[2].

ათასი ლარი




[1] გაიზარდა საწარმოთა და ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადით დასაბეგრი ბაზა.
[2] იხილეთ შენიშვნა 1

ათასი ლარი




დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 666,370.5 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი - 658,511.1 ათასი ლარი) შედარებით 7,859.4 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

ათასი ლარი



ათასი ლარი



II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 635,718.2 ათასი ლარი, კერძოდ: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 333.4 ათასი ლარი (მათ შორის საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ), ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 635,384.6 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 1,802.5 ათასი ლარი (მათ შორის გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის - 483.2 ათასი ლარი, ხოლო პერსონალური ასისტენსის მომსახურებით უზრუნველყოფისათვის - 1,319.3 ათასი ლარი[3]), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 580,000.0 ათასი ლარი (თბილისის მასშტაბით არსებული ქუჩების/გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, საქალაქო და რაიონების კეთილმოწყობის ღონისძიებების


[3] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის N1/ნ ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მუნიციპალიტეტს დაემატა ახალი დელეგირებული უფლებამოსილება პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა.

სამუშაოები, რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, ხიდების და გვირაბების, წყალსადენის, სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; M3 კატეგორიის ავტობუსების (200 ერთეული 18 მეტრიანი) შესაძენად ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულების ნაწილის დაფარვა; სხვადასხვა ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის და სარწყავი სისტემების მოწყობის სამუშაოები; საბავშვო ბაგა-ბაღების, სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გრძელდება ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში კოსტავას N37ა-ში მდებარე თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში პროექტირება/მშენებლობის სამუშაოები; ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 53,582.2 ათასი ლარი[4] (მათ შორის თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების და სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირების მიზნით, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 38,872.8 ათასი ლარი; თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელების (GrCF2 W2 - Tbilisi Bus extension – ID; 51207 - Rehabilitation Of Bus Depot No 1 - Re-Advertisement 2) ფარგლებში, სასესხო შეთანხმების საფუძველზე, პირველი ავტობაზის რეაბილიტაციისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის დასაფინანსებლად; თბილისის მეტროს მოდერნიზაციის (სესხის N L0889A) პროექტის ფარგლებში, მეტროს მოძრავი შემადგენლობის შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადის დასაფინანსებლად; პროექტის - „მდგრადი ურბანული მობილობა (KfW)“ განხორციელების პროცესში გაფორმებული სასესხო და საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, უცხოური საწარმოს ფილიალის „გოპა ინფრას ფილიალი საქართველოში“ მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების დამატებული ღირებულების გადასახადის ასანაზღაურებლად; „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელების პროცესში, პროექტების (N6024-GEO, N4134-GEO)

[4] საქართველოს მთავრობის 2025 წლის 9 ივლისის 1098 განკარგულების საფუძველზე მიმდინარე წლის ივლისიდან მუნიციპალიტეტს დაემატა ახალი დელეგირებული უფლებამოსილება საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების (მშენებლობის/რეაბილიტაციის/აღჭურვის) განხორციელება.

ფარგლებში კონსულტანტთა შრომის ანაზღაურების შესაბამისი ადგილობრივი გადასახადების დასაფინანსებლად (მათ შორის საპენსიო შენატანი), სასესხო პროექტების (N6024-GEO, 4134-GEO) ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, გაწეული საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურებისათვის, მეტროს სადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და დეტალური დიზაინის მომზადების პროექტის, საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების მოწოდება და ინსტალაციის მომსახურებისათვის დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად; "თბილისის მყარი ნარჩენების" პროექტთან დაკავშირებით, გადამტვირთი სადგურის რეაბილიტაციის (მეორე კომპონენტი) მიზნით, შპს „გუმბათი ჰოლდინგი"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში და დიდი ლილოს ნაგავსაყრელზე არსებული ნაჟური წყლების (ლიჩეტი) დამუშავების სისტემის განახლებისთვის (მესამე კომპონენტი), შპს "კოლუმნა ჯეორჯია"-სთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის და „თბილისის მუნიციპალური სერვისების“ პროექტთან დაკავშირებით, სპეცტექნიკის შეძენის მიზნით, კომპანია „ჯი-თი გრუპთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (52577/G-01 LOT 2) ფარგლებში გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად).

ათასი ლარი




	2021 წლის ფაქტი	2022 წლის ფაქტი	2023 წლის ფაქტი	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი
საერთაშორისო გრანტები	199.7	378.4	471.2	437.4	333.5
მიზნობრივი, კაპიტალური სპეციალური და სხვა კაპიტალური გრანტები	200,931.9	294,828.0	442,660.0	518,056.0	635,384.6
გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან და ა(ა)იპ(ებ)-დან		1,017.6	75.6		

III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 364,394.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ - 471,810.5 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 129.5%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი – 380,296.0 ათასი ლარი) შედარებით 91,514.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე, სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებზე[5]. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 25,247.7 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი - 25,040.3 ათასი ლარი) შედარებით 207.4 ათასი ლარით მეტია[6].

ათასი ლარი



[5] 1. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით თანხის გადახდისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 აგვისტოს N308 ბრძანებით დამტკიცებულ დანართი 3-ში დაემატა სახაზინო კოდი - შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის (3297).

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014წ. N17-46 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების (მათ შორის ახალი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვისა და გადახდის წესში, კერძოდ: მშენებლობის ნებართვის მიღების პროცესში (ნებართვის აღებამდე) ქ. თბილისში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელს გადაიხდიან განაშენიანების ინტენსივობის (კ-2) კოეფიციენტის შესაბამისად) და შპს თბილსერვის ჯგუფის მიერ დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ნაწილში ადმინისტრირების წესების გაუმჯობესება;

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილება და ადმინისტრირების წესების გაუმჯობესება.

[6] 2025 წელს ნაშთის სახით ბიუჯეტის ანგარიშებზე საშუალოდ თვეში იყო 347,470.1 ათასი ლარი (მათ შორის კომერციული ბანკის ანგარიშებზე - 331,692.3 ათასი ლარი), ხოლო 2024 წელს - 280,746.6 ათასი ლარი (მათ შორის კომერციული ბანკის ანგარიშებზე - 267,307.7 ათასი ლარი).

რენტის სახით მობილიზებულია 9,760.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,800.0 ათასი ლარი) 143.5%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი - 7,999.2 ათასი ლარი) შედარებით 1,760.8 ათასი ლარით მეტია. მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 4,977.4 ათასი ლარი[7], ხოლო მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 4,782.6 ათასი ლარი[8] (2024 წლის ფაქტი - 3,560.1 ათასი ლარი).

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 195,331.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (168,996.4 ათასი ლარი) 115.6%-ია. მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 31,542.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (23,791.4 ათასი ლარი) 132.6%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი - 30,194.7 ათასი ლარი) შედარებით 1,348.1 ათასი ლარით მეტია[9]. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 26,813.4 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 4,729.5 ათასი ლარი.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან მიღებულია 1.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (5.0 ათასი ლარი) 31.4%-ია.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 49,343.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (50,000.0 ათასი ლარი) 98.7%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი - 52,770.2 ათასი ლარი) შედარებით 3,427.2 ათასი ლარით ნაკლებია[10]. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან

---


[7] გაიზარდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის ობიექტების მოცულობა და გაცემული ლიცენზიები.

[8] ქალაქის მასშტაბით ელექტრომობილების დასამუხტი ჭკვიანი აპარატების განთავსების მიზნით, 2025 წლის თებერვალში დამატებით ორ კომპანიასთან გაფორმდა 3 ხელშეკრულება (თითოეული ხელშეკრულება 66 უძრავი ქონების ერთეულზე) სულ 198 უძრავი ქონების განკარგვაზე, სარგებლობის უფლებით იჯარის სახით, აუქციონის (ლოტი 30671, ლოტი 30669, ლოტი 30670) წესით.

[9] გაიზარდა მშენებლობის ნებართვებიდან მიღებული შემოსავლები (2024 წლის ფაქტი - 24,570.0 ათასი ლარი), რაც გამოწვეულია გაცემული მშენებლობის ნებართვების (III და IV კლასის ობიექტების) რაოდენობის ზრდით.

[10] სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემცირება ძირითადად გამოწვეულია სამორინეს მაგიდების, სათამაშო აპარატების და წამახალისებელი გათამაშების შემცირებული რაოდენობიდან (მათ შორის 2024 წელთან შედარებით სამორინეს მაგიდიდან მიღებული შემოსავლები შემცირებულია 2.2%-ით (2025 წელს მიღებულია 20,960.0 ათასი ლარი, ხოლო 2024 წელი - 21,440.0 ათასი ლარი), სათამაშო აპარატებიდან მიღებული შემოსავლები შემცირებულია 11.2%-ით (2025 წელს მიღებულია 21,752.0 ათასი ლარი, ხოლო 2024 წელს - 24,504.0 ათასი ლარი), ხოლო წამახალისებელი გათამაშებიდან მისაღები შემოსავლები შემცირებულია 18%-ით (2025 წელს მიღებულია 3,246.4 ათასი ლარი, ხოლო 2024 წელს - 3,961.1 ათასი ლარი)). ამასთან, გაზრდილია სათანადო ნებართვის საფუძველზე სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან მისაღები შემოსავლები 13.7%-ით (2024 წელს - 2,109.9 ათასი ლარი);

ბიუჯეტში მიღებულია 21,752.0 ათასი ლარი (44%), წამახალისებელი გათამაშებიდან - 3,246.4 ათასი ლარი (7%), სათანადო ნებართვების (სამორინე, სათამაშო აპარატები, ტოტალიზატორი) საფუძველზე სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან - 2,400.0 ათასი ლარი (5%), ლატარიის მოწყობაზე - 0.1 ათასი ლარი (0.0002%), ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან - 21,944.5 ათასი ლარი (44%).



დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 113,445.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (95,000.0 ათასი ლარი) 119.4%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (99,220.7 ათასი ლარი) შედარებით 14,225.0 ათასი ლარით მეტია[11].

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 803.6 ათასი ლარი.

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლიდან მიღებულია 194.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (200.0 ათასი ლარი) 97.2%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1,545.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,950.0 ათასი ლარი) 79.3%-ია. მათ შორის:


[11] იხილეთ შენიშვნა 5 [2].

შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,507.1 ათასი ლარი, შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 38.4 ათასი ლარი.


სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 142,447.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (115,000.0 ათასი ლარი) 123.9%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (125,556.9 ათასი ლარი) შედარებით 16,890.8 ათასი ლარით მეტია[12]. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 69,287.5 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 17,527.1 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 10,823.0 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 2,135.7 ათასი ლარი, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 4,153.2 ათასი ლარი, მოქალაქეთა საბინაო უფლებების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის დარგში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო - 158.6 ათასი ლარი, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - 3,153.2 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LINE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის - 305,7 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 19,542.3 ათასი ლარი, საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 93.9 ათასი ლარი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 753.0 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 2,095.7 ათასი ლარი, თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო - 58.3 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 12,360.5 ათასი ლარი.

[12] იხილეთ შენიშვნა 5[3].

ათასი ლარი



ათასი ლარი




ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან

საანგარიშო პერიოდში მიღებულია 97,476.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (52,848.6 ათასი ლარი) 184.4%-ია. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 274.6 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1,247.4 ათასი ლარი,

სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 171.3 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 290.6 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 5,717.9 ათასი ლარი, შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 421.4 ათასი ლარი, შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 88,967.7 ათასი ლარი[13], სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 227.4 ათასი ლარი[14].


<u>არაფინანსური აქტივების კლებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 132,524.9 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 53,172.0 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 49,799.4 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 3,315.8 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 56.8 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 129.0 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 79,223.9 ათასი ლარი.



[13] კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით თანხის გადახდისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 აგვისტოს N308 ბრძანებით დამტკიცებულ დანართი 3-ში დაემატა სახაზინო კოდი - შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის (3297).

[14] მათ შორის 158.2 ათასი ლარი არის სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების (300779921) კოდზე შემოსული (მობრუნებული) თანხები, რითაც უნდა აღდგენილიყო რესურსები შესაბამის პროგრამულ კოდებზე (ხარჯების შემცირება), რაც სახელმწიფო ხაზინის მიერ 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განხორციელებულა.

ათასი ლარი





ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 2.1 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო კრედიტორები - სხვა კრედიტორული დავალიანებები და საგარეო კრედიტორები - აქციები და სხვა კაპიტალი სახაზინო კოდებზე ჩარიცხული თანხა, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ


2025 წელს **გადასახდელების** შესრულების 90%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2024 წელთან - 1 923,712.3 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 184,708.3 ათასი ლარით მეტი.

ათასი ლარი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021-2025 წლების ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება
2,500,000.0
2,000,000.0
1,500,000.0
1,000,000.0
500,000.0
0.0
1,222,772.4
1,463,004.5
1,722,247.9
1,923,712.3
2,108,420.5
2021 წლის ფაქტი
2022 წლის ფაქტი
2023 წლის ფაქტი
2024 წლის ფაქტი
2025 წლის ფაქტი


ბიუჯეტის გადასახდელების პროცენტული შესრულების დინამიკა 2021-2025 წწ
97%
96%
95%
94%
93%
92%
91%
90%
89%
88%
87%
86%
96%
93%
94%
93%
90%
2021 წლის ფაქტი
2022 წლის ფაქტი
2023 წლის ფაქტი
2024 წლის ფაქტი
2025 წლის ფაქტი

ათასი ლარი



ათასი ლარი



2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები


გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2 353,808.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 108,420.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 817,205.0 ათასი ლარი, გაწეულმა

საკასო ხარჯმა - 1 690,122.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 80.2%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 500,764.1 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 383,628.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 77%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 18.2%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 35,839.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 34,669.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1.6%-ია.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 130,391.3 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 114,642.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87.9%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 6.8%-ია.

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 294,879.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 260,327.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 88.3%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 15.4%-ია.

„პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 14,971.4

ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 10,832.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 72.4%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.6%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართული იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 833,875.7 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 820,000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.3%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 48.5%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 223,550.8 ათასი ლარი;
- ხელოვნების სკოლების სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელშეწყობა, სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების დაფინანსება და სხვა ღონისძიებები - 3,688.1 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 124,382.4 ათასი ლარი;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 389,270.5 ათასი ლარი;
- საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი/დემონტაჟი/შეძენა - 3,381.7 ათასი ლარი;
- გამწვანებული ტერიტორიების (პარკები, სკვერები) მოვლა პატრონობის ღონისძიებები - 45,000.0 ათასი ლარი;
- კულტურის სფეროს განვითარების, სპორტული ღონისძიებების (მათ შორის სპორტული ცენტრების ხელშეწყობა), სპორტი უფროსი თაობისთვის და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (მათ შორის თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა) – 18,777.8 ათასი ლარი.

„გრანტების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,856.4 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,467.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 79.1%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს.

„გრანტების” მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა საერთაშორისო

ორგანიზაციებში საწევროს ხარჯები, სახელმწიფო ბიუჯეტის და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ების ხელშეწყობის ხარჯები სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად;

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 183,718.5 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 180,921.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 98.5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 10.7%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- კომუნალური სუბსიდირება - 10,327.2 ათასი ლარი;
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში - 48,446.2 ათასი ლარი;
- დაავადებათა სკრინინგი (ძუძუს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტალური კიბოს სკრინიგი, პროსტატის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა) – 3,536.1 ათასი ლარი;
- სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება - 1,986.7 ათასი ლარი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია - 12,258.0 ათასი ლარი;
- ტრანსპლანტაცია (ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) HLA ტიპირების კომპონენტის ფარგლებში მოსამზადებელი კვლევები, ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია) – 11,306.5 ათასი ლარი;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 5,386.4 ათასი ლარი;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 7,547.6 ათასი ლარი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება - 919,7 ათასი ლარი;
- რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 201.6 ათასი ლარი;
- თბილისის 10 რაიონში მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება - 25,996.2 ათასი ლარი;
- თბილისის 10 რაიონში დანგრეული საცხოვრებელი სახლების


მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები - 14,060.9 ათასი ლარი;

- სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში - 2,408.2 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება - 8,806.7 ათასი ლარი;
- პერსონალური ასისტენსის მომსახურებით უზრუნველყოფა (დელეგირებული უფლებამოსილება) – 1,298.6 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 14,520.7 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება - 5,366.4 ათასი ლარი.


„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 357,512.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 301,934.0 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 84.5%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 17.9%-ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - რეკონსტრუქციის და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლების სამუშაოები - 44,480.5 ათასი ლარი.
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მშენებლობა - აღდგენის ღონისძიებები (მათ შორის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება) – 175,641.9 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები - 56,529.2 ათასი ლარი;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების ღონისძიებები - 3,546.6 ათასი ლარი.



ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 146,797.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (179,481.6 ათასი ლარი) 82%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 7.1%-ს შეადგენს. მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 104,370.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (122,010.3 ათასი ლარი) 86%-ია;

✓ ფინანსური და ფისკალური საქმიანობისთვის გეგმა განსაზღვრულია 240.8 ათასი ლარით. ამ მუხლში გათვალისწინებულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯები;

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10,832.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (14,971.4 ათასი ლარი) 72%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 31,594.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (42,259.0 ათასი ლარი) 75%-ია.

◙ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 3,267.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,543.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 47%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს. მათ შორის ამ მუხლში გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილებების და აღსრულების ფონდის ხარჯები.

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 763,065.9 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 735,487.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 35.5%. მათ შორის:

✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 733,972.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (760,747.2 ათასი ლარი) 96%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1,515.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,318.7 ათასი ლარი) 65%-

ს შეადგენს.

◙ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 288,876.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 266,277.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 12.8%. მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურების დაფინანსებამ შეადგინა 135,407.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (142,848.0 ათასი ლარი) 95%-ია;

✓ ჩამდინარე წყლების მართვის დაფინანსებამ შეადგინა 4,856.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,982.2 ათასი ლარი) 97%-ია;

✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 126,012.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (141,045.9 ათასი ლარი) 89%-ს შეადგენს.

◙ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 415,952.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 327,171.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 79%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 15.8%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 108,029.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (176,086.4 ათასი ლარი) 61%-ს შეადგენს;

✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 34,592.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (43,282.3 ათასი ლარი) 80%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 49,128.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (50,549.8 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს;

✓ გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალური მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 11,403.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (13,467.3 ათასი ლარი) 85%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 124,017.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (132,567.0 ათასი ლარი) 94%-ს შეადგენს.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 44,890.4 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 44,158.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების

ზრდის საკასო შესრულების – 2.1%. მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 4,352.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4,948.6 ათასი ლარი) 88%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 39,805.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (39,941.8 ათასი ლარი) 99.7%-ს შეადგენს.

◙ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 120,576.6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 101,140.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 4.9%. მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 31,979.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (42,873.7 ათასი ლარი) 75%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 62,813.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (69,210.6 ათასი ლარი) 91%-ს შეადგენს;

✓ ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 3,430.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,419.1 ათასი ლარი) 63%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2,917.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,073.1 ათასი ლარი) 95%-ს შეადგენს.

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 350,073.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 307,157.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 14.8%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 242,836.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (259,801.4 ათასი ლარი) 93%-ს შეადგენს;

✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 24,251.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (48,161.8 ათასი ლარი) 50%-ს შეადგენს;

✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 2,017.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,077.4 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 37.0

ათასი ლარი, რაც გეგმის (42.2 ათასი ლარი) 88%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 38,015.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (39,990.6 ათასი ლარი) 95%-ს შეადგენს.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 151,784.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 144,017.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 6.9%. მათ შორის:


✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 6,804.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,958.3 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს;

✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1,182.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,264.9 ათასი ლარი) 94%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 56,457.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (56,756.3 ათასი ლარი) 99%;

✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 17,961.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (23,389.2 ათასი ლარი) 77%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 61,610.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (63,416.0 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს.




სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 9,573.4 ათასი ლარიდან გადარიცხულია 8,935.8 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 4,459.3 ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 75.4 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების ასანაზღაურებლად - 195.1 ათასი ლარი, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის სასაჩუქრე კალათების შეძენა - 63.2 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ღონისძიებების განსახორციელებლად ორგანიზაციების ხელშეწყობა - 164.3 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ძლიერი ქარი, ბუნებრივი აირის აფეთქება და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო, დაზარალებული მოსახლეობის ქირის, სასტუმროს და სხვა ხარჯები - 1,982.6 ათასი ლარი, 2025 წლის 30 აპრილს, სადგურის მოედნის მიმდებარედ, ე.წ „ბორჯომის ვაგზლის“ ტერიტორიაზე, სავაჭრო ფართზე მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულ პირთათვის ფინანსური დახმარება - 1,893.0 ათასი ლარი და 2025 წლის 14 ივლისს, თევდორე მღვდლის N10-ში მდებარე ავარიული კორპუსის ჩამონგრევის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული

მოქალაქეების ოჯახებისათვის და დაზარალებული მოქალაქისათვის ფინანსური დახმარება - 102.9 ათასი ლარი).

(ათასი ლარი)



ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2025 წელს გამოყოფილი და გადარიცხული თანხები

(ლარი)

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული თანხები)
კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12)				**180,000.00**	**179,916.35**
1	***1-290***	***02.05.2025***	*2025 წლის 30 აპრილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონში, რკინიგზის ცენტრალური სადგურის ტერიტორიაზე (ბორჯომის ვაგზალი) გაჩენილი ძლიერი ხანძრის შედეგად, დაზიანებულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი სადემონტაჟო და დასუფთავების სამუშაოებისათვის*	180,000.00	179,916.35

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხვები)
კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15)				**121,785.12**	**121,785.12**
2	*1-517*	*04.08.2025*	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონში, ფანასკერტელის ქუჩა N14-ში მდებარე ჯვართამაღლების სატაძრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული „წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის განათლების კერა“-ს შენობაში გათბობა-გაგრილების სისტემის მოსაწყობად*	121,785.12	121,785.12
სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09)				**7,295,237.52**	**6,657,719.91**
3	*1-1*	*13.01.2025*	*მოქალაქე შორენა ჭელიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	20,000.00	20,000.00
4	*1-3*	*14.01.2025*	*გუგა ზაკალაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	5,000.00	5,000.00
5	*1-4*	*14.01.2025*	*გურამ კუციავასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,125.00	1,125.00
6	*1-5*	*14.01.2025*	*ლიზა ნათელაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	6,000.00	6,000.00
7	*1-6*	*14.01.2025*	*დანიელ მეიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	6,000.00	5,950.00
8	*1-7*	*14.01.2025*	*გიორგი სართანიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	6,000.00	0.00
9	*1-8*	*14.01.2025*	*ირაკლი გორგომისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	20,000.00	19,999.98
10	*1-10*	*15.01.2025*	*მოქალაქე ლანა ღოღობერიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	10,000.00	10,000.00
11	*1-11*	*15.01.2025*	*მოქალაქე ნინო განძელაძისთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	5,950.48	0.00
12	*1-12*	*15.01.2025*	*მოქალაქე ლალი ნიკოლეიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	10,000.00	10,000.00
13	*1-13*	*15.01.2025*	*მოქალაქე მალვინა მოდებაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	4,000.00	4,000.00
14	*1-14*	*15.01.2025*	*მოქალაქე კლარა ზაქარაიასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	20,000.00	19,572.54
15	*1-15*	*15.01.2025*	*მოქალაქე გაბრიელ ბოლოთაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	50,000.00	49,999.99
16	*1-17*	*17.01.2025*	*მოქალაქე დიმიტრი შევარდნაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	28,000.00	28,000.00
17	*1-18*	*17.01.2025*	*მოქალაქე დიმიტრი გაბუნიასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	25,000.00	24,649.13
18	*1-19*	*20.01.2025*	*ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიღებული ტრამვის შემდგომი სამედიცინო მომსახურებისათვის, მოქალაქე ეკატერინე ბარბაქაძის ფინანსური დახმარების მიზნით*	21,768.32	21,768.32
19	*1-20*	*20.01.2025*	*მოქალაქე თამარ მელიქიასათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად*	3,262.00	3,262.00
20	*1-21*	*20.01.2025*	*მოქალაქე გიორგი ყაველაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	3,500.00	3,468.95
21	*1-22*	*20.01.2025*	*მოქალაქე რევაზ კარამანოვისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	2,430.00	2,430.00
22	*1-23*	*20.01.2025*	*მოქალაქე მილანა ოგანეზოვისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	6,500.00	6,500.00
23	*1-24*	*20.01.2025*	*მოქალაქე ბესარიონ ჯანხოთელისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად,*	9,000.00	8,813.94
24	*1-25*	*20.01.2025*	*მოქალაქე გიორგი კობახიძისათვის სამედიცინო*	827.00	820.00

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხვები)
			მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად		
25	*1-26*	*20.01.2025*	*მოქალაქე იოანე გვარლიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,500.00	1,500.00
26	*1-27*	*20.01.2025*	*მოქალაქე იამზე გაბეშიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	25,000.00	25,000.00
27	*1-28*	*22.01.2025*	*ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაცვლილი მოქალაქე ვლადიმერ გორგაძის ოჯახისათვის, ფინანსური დახმარების მიზნით,*	20,000.00	20,000.00
28	*1-29*	*22.01.2025*	*მოქალაქე კარლი ჯაფარიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	3,400.00	3,400.00
29	*1-30*	*22.01.2025*	*მოქალაქე კობა კიკაბიძისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად*	9,000.00	0.00
30	*1-31*	*22.01.2025*	*მოქალაქე ვალერი მეტრეველისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად,*	1,500.00	1,500.00
31	*1-32*	*22.01.2025*	*მოქალაქე თამაზ მაღლაკელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	6,600.00	6,600.00
32	*1-33*	*22.01.2025*	*მოქალაქე დავით ბიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	5,580.00	5,580.00
33	*1-34*	*24.01.2025*	*მოქალაქე ნინო ჯინჭარაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,500.00	0.00
34	*1-35*	*24.01.2025*	*მოქალაქე მზია ქობულაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	3,000.00	3,000.00
35	*1-36*	*24.01.2025*	*მოქალაქე დავით ფრანგიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	13,000.00	13,000.00
36	*1-37*	*24.01.2025*	*მოქალაქე ნაზი ჭინჭარაულისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	8,400.00	8,400.00
37	*1-38*	*24.01.2025*	*მოქალაქე მაია მაისურაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	20,000.00	0.00
38	*1-39*	*24.01.2025*	*მოქალაქე ლალი საბანაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,200.00	1,200.00
39	*1-40*	*27.01.2025*	*მოქალაქე დავით პაპიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	10,000.00	10,000.00
40	*1-44*	*29.01.2025*	*მოქალაქე ნათელა მახარაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	20,000.00	20,000.00
41	*1-45*	*29.01.2025*	*მოქალაქე დიანა დანელიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,197.17	1,197.16
42	*1-46*	*29.01.2025*	*მოქალაქე მარინა ჭელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	8,360.00	8,360.00
43	*1-48*	*30.01.2025*	*მოქალაქე ლუკა გიგაურისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	2,600.00	2,600.00
44	*1-49*	*30.01.2025*	*მოქალაქე ანა გოქაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	5,000.00	5,000.00
45	*1-51*	*31.01.2025*	*მოქალაქე კესანე დიდებაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	9,662.00	9,662.00
46	*1-52*	*31.01.2025*	*მოქალაქე თამაზი ახობაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	4,368.83	1,004.84
47	*1-53*	*31.01.2025*	*მოქალაქე გრიგოლ კობახიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	18,000.00	18,000.00
48	*1-54*	*31.01.2025*	*ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რევაზ ლაღიძის სახელობის N4 ხელოვნების სკოლის დირექტორის ინგა გოჭორიშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	2,000.00	2,000.00
49	*1-57*	*03.02.2025*	*მოქალაქე ნინო დათიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,360.00	1,360.00

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული)
50	*1-59*	*04.02.2025*	*მოქალაქე ბექა გოგუაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,200.00	1,200.00
51	*1-60*	*04.02.2025*	*მოქალაქე ჯიმი ქვარცხავასთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	11,000.00	8,703.97
52	*1-61*	*04.02.2025*	*მოქალაქე მიხეილ გიორგაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად,*	15,000.00	14,872.53
53	*1-62*	*04.02.2025*	*მოქალაქე დავით გიორგაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	20,000.00	19,972.53
54	*1-63*	*05.02.2025*	*მოქალაქე გიორგი ბერიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	4,500.00	4,462.26
55	*1-64*	*05.02.2025*	*მოქალაქე მირანდა ძაძუასთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	3,000.00	3,000.00
56	*1-67*	*05.02.2025*	*მოქალაქე ეკა ბარამიძისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად*	4,500.00	4,500.00
57	*1-68*	*05.02.2025*	*მოქალაქე მარიამ მოწაფიასთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	7,300.00	7,300.00
58	*1-69*	*06.02.2025*	*მოქალაქე ზურაბ ბახტაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,150.00	1,150.00
59	*1-70*	*06.02.2025*	*მოქალაქე გიორგი ჭეიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	2,300.00	0.00
60	*1-72*	*07.02.2025*	*მოქალაქე გიორგი გილიგაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	8,000.00	8,000.00
61	*1-73*	*10.02.2025*	*მოქალაქე ლია გურგენიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	8,000.00	8,000.00
62	*1-74*	*10.02.2025*	*მოქალაქე ფატმან გაფრინდაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურ*	1,720.00	1,720.00
63	*1-75*	*10.02.2025*	*მოქალაქე თამარ დეკანოიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	3,500.00	1,551.26
64	*1-76*	*10.02.2025*	*მოქალაქე ვაჟა კორკოტაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	6,000.00	4,020.00
65	*1-77*	*10.02.2025*	*მოქალაქე ნოდარ მაისურაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	2,000.00	2,000.00
66	*1-78*	*10.02.2025*	*მოქალაქე ილია ჩხაიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	4,000.00	4,000.00
67	*1-79*	*10.02.2025*	*მოქალაქე ნინო ღლონტისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	5,672.40	5,672.40
68	*1-80*	*11.02.2025*	*მოქალაქე ტარიელ ვერულაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	6,400.00	6,400.00
69	*1-81*	*12.02.2025*	*მოქალაქე ირაკლი კობახიძისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად*	10,600.00	10,600.00
70	*1-83*	*12.02.2025*	*მოქალაქე თინათინ ბერიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	5,500.00	5,500.00
71	*1-85*	*12.02.2025*	*მოქალაქე კახი თორაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,120.00	1,000.00
72	*1-86*	*12.02.2025*	*მოქალაქე გვანცა მარტოლეკისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	30,130.00	30,129.98
73	*1-87*	*13.02.2025*	*მოქალაქე გიორგი მეტრეველისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად,*	1,705.00	1,705.00
74	*1-88*	*13.02.2025*	*მოქალაქე პაატა ნიკოლეიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	10,500.00	10,500.00
75	*1-89*	*13.02.2025*	*მოქალაქე დაჩი მოვლილიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	2,500.00	2,490.00
76	*1-92*	*13.02.2025*	*მოქალაქე მარიამ გენდიანიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	2,200.00	2,130.00

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხვები)
77	*1-93*	*13.02.2025*	*მოქალაქე შოთა გენაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	3,000.00	3,000.00
78	*1-94*	*17.02.2025*	*მოქალაქე თევდორე მძევაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	2,300.00	2,300.00
79	*1-95*	*17.02.2025*	*მოქალაქე მარიამ კოპაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	20,000.00	19,450.51
80	*1-96*	*17.02.2025*	*მოქალაქე თემურ მაისურაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	30,000.00	29,999.99
81	*1-97*	*18.02.2025*	*მოქალაქე ზურაბ ჩეკურაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	20,000.00	19,999.98
82	*1-98*	*18.02.2025*	*მოქალაქე თამარ რეხვიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,000.00	1,000.00
83	*1-99*	*18.02.2025*	*მოქალაქე ნიკოლოზ ვაშაკიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	18,000.00	18,000.00
84	*1-100*	*19.02.2025*	*ცნობილი ქართველი რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის, კოტე მარჯანიშვილის თეატრის პრემიის ლაურეატის, მედეია კუჭუხიძის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	2,255.00	2,255.00
85	*1-101*	*19.02.2025*	*მოქალაქე ავთანდილ ხვთისიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	6,000.00	6,000.00
საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის 2019 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული სასესხო შეთანხმების (80 მლნ ევრო) საფუძველზე, თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელების (GrCF2 W2 - Tbilisi Bus extension – ID; 51207 - Rehabilitation Of Bus Depot No 1 - Re-Advertisement 2) ფარგლებში, 2025 წლის 24 მარტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და კონსორციუმთან - შპს გრავიტა და შპს თბილი სახლი გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, პირველი ავტობაზის რეაბილიტაციისათვის გადახდილია დამატებული ღირებულების გადასახადი - 2,428.7 ათასი ლარი, ხოლო საავტობუსო ინფრასტრუქტურის განახლებისა და რეაბილიტაციის მიზნით, 2023 წლის 30 ივნისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „Construction Service“-თან გაფორმებული ხელშეკრულების

ფარგლებში, მუნიციპალური ავტობუსების (18 მეტრიანი) პარკისთვის, ახალი ავტობაზის საპროექტო-სამშენებლო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება და სამშენებლო სამუშაოები დაფინანსებულია 15,797.6 ათასი ლარის ოდენობით;

გარდა ამისა, სააგენტოს საკუთარი სახსრების სპეციალურ ანგარიშზე (7499) სულ შემოსული 30,228.3 ათასი ლარიდან (სამართალდარღვევების შემთხვევებში, გადაყვანას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანის მომსახურებიდან (2,648.6 ათასი ლარი, თითოეულზე 150 ლარი - 17657 ავტომანქანის მომსახურება), ზონალური პარკირების მომსახურებიდან (19,250.4 ათასი ლარი) და დაჩქარებული მომსახურებიდან (8,329.4 ათასი ლარი) გაწეულია 19,550.6 ათასი ლარი, სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, მათ შორის:

სამართალდარღვევების შემთხვევებში, გადაყვანას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან გაწეულია - 1,706.5 ათასი ლარი (მათ შორის სამართალდარღვევების შემთხვევებში, გადაყვანას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანის მომსახურების (11 თვე) საფასური - 968.0 ათასი ლარი (4 მანქანა, თითოეულზე თვეში 22.0 ათასი ლარი) და ევაკუატორით მომსახურეობის (თითოეულ გადაყვანილ მანქანაზე 43.50 ლარი, გადაყვანილი იქნა 16978 სატრანსპორტო საშუალება[17]) ასანაზღაურებლად - 738.5 ათასი ლარი;

დედაქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზებული სისტემის მოვლა - შენახვა და ექსპლუატაციის სამუშაოები - 1,828.7 ათასი ლარი; ვიდეოთვალთვალის კამერების, ჰაუსინგის (ვიდეო კამერის გარე გამოყენების კორპუსი) და ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების

[17] გადაყვანილი მანქანების რაოდენობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია 23 დეკემბრის ჩათვლით.

მოძრაობის ანალიზის და ვიზუალიზაციის ვებ-გვერდის მომსახურებისა და ქსელის კომუტატორის (ჰაბის) შესყიდვა - 2,947.6 ათასი ლარი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში სამართალდარღვევებისას ელექტრონული საჯარიმო ქვითრების აღსრულების მიზნების უზრუნველსაყოფად, ჰიბრიდული საფოსტო მომსახურების პროგრამული უზრუნველყოფა - 1,120.7 ათასი ლარი; ვიდეოსათვალთვალო კამერების (სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ზოგადი ხედვის) მოვლა-პატრონობის მომსახურება - 123.3 ათასი ლარი; ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემა "Protocols"-ის ჯარიმების სერვისის გარე მომხმარებლების ტექნიკური მომსახურება - 380.2 ათასი ლარი; შესრულდა სერვერების მიწოდებისა და მონტაჟის სამუშაოები - 95.4 ათასი ლარი; ვიდეოსამეთვალყურეო კამერებისა და გარე გამოყენების უწყვეტი კვების სისტემების მოვლა-შენახვისა და ექსპლუატაციის მომსახურება - 19.5 ათასი ლარი; გლდანის რაიონში, ომარ ხიზანიშვილისა და ილია ვეკუას ქუჩების კვეთაზე (საკადასტრო კოდი: 01.11.10.003.010) განხორციელდა არსებული ტერიტორიის ინფრასტრუქტურული სამუშაოების საინჟინრო და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 29.9 ათასი ლარი; შუქნიშნების ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოწყობის სამუშაოები - 2,379.4 ათასი ლარი; ამასთან, თბილისის გზებზე ორკომპონენტიანი ცივი და თერმოპლასტით საგზაო მონიშვნების სამუშაოების შესასრულებლად, ხელშეკრულების 7.4 პუნქტის შესაბამისად, საავანსო გარანტიის საფუძველზე გაიცა წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) 501.5 ათასი ლარის ოდენობით.

დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში, გზებზე, ქუჩებზე, მოედნებზე და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოძკინტები, ზღუდარები, ბარიერები, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წინასწარი მაჩვენებლები და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი, მოვლა - შენახვა და საექსპლუატაციო სამუშაოები - 1,934.5 ათასი ლარი; დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე მოედნებზე და

ტროტუარებზე დამონტაჟდა 991 ცალი პოლიესტერის მდგრადი წახნაგოვანი ბოძკინტი ღირებულებით - 292.5 ათასი ლარი; ქალაქ თბილისის ქუჩებზე და მაგისტრალებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, მიმდინარეობს მცირე ინფრასტრუქტურული პროექტირება - მშენებლობა - რეაბილიტაცია - რეკონსტრუქციის სამუშაოები, (პანდუსები, ტროტუარები, უსაფრთხოებისა და მიმმართველი კუნძულები, ასფალტ-ბეტონის საფარი და ა.შ.), შესრულებული სამუშაოს საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს - 3,932.9 ათასი ლარს (მათ შორის წინა წლების შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველსაყოფად დაკავებული თანხის გაცემა - 24.8 ათასი ლარი); სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირების ხელოვნური უსწორმასწორობების (ბარიერების) შეძენა და მონტაჟი, საერთო მოცულობით 2801 გრძივი მეტრი, ღირებულებით - 322.8 ათასი ლარი; განხორციელდა 2023 წლის 14 დეკემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №01.02.01.02/28 ხელშეკრულების საფუძველზე გელოვანის გამზირზე მდებარე სპეციალური დაცული სადგომის მოწყობისათვის შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველსაყოფად დაკავებული თანხის (შესრულებული სამუშაოების ღირებულების 2.5%) - 32.4 ათასი ლარის გაცემა;

თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, 50 ადგილზე მოეწყო ლითონის კონსტრუქციები ველოსიპედების პარკირებისათვის, საერთო ღირებულებით - 35.3 ათასი ლარი;

ავტობუსის გაჩერებებზე განხორციელდა 3 მეტრიანი და 4.5 მეტრიანი მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა, რომლის დაფინანსებამ შეადგინა 979.0 ათასი ლარი (მათ შორის 400.0 ათასი ლარი - ავანსის სახით), მიმდინარე პერიოდში მოეწყო 32 მოსაცდელი;

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლების, მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურება, რომელიც მოიცავდა ტოპოგრაფიული გეგმის შემუშავებას ბაბუციძის და ოცხელების ქუჩების, დემეტრე თავდადებულის ქუჩის, თენგიზ შეშელიძის ქუჩის, აბულაძის ქუჩის, ქერჩის ქუჩის, რაჭის ქუჩის, ერეკლე მეორის ქუჩის; აწყურის ქუჩის (shp

ფორმატით მონიშნულ მონაკვეთზე), ალექსიძის ქუჩაზე, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე და სხვა ლოკაციებზე მოცულობითი საპროექტო სამუშაოების შედგენის, ტოპოგრაფიული გეგმის მომზადებისა და მოდელირების მომსახურებას შემდეგი მოცულობით - 1 613 841,87 კვ.მ (მათ შორის მოცულობითი საპროექტო სამუშაოები — 737 922 კვ.მ, ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა — 875 888,87 კვ.მ, მოდელირება — 31კვ.მ) – 908.1 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 4599 საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომისა და ფერის 3533 ცალი ბოწკინტი (მათ შორის 772 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი), 5676.75 გრძ.მ სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები, 106 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე (მათ შორის არსებულ დგარზე 32 სარკე), 1006 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი, შეიცვალა შუქნიშნის 172 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 81 ობიექტზე, დამონტაჟდა 30 ქვეითთა შუქნიშანი და 341 გრძ.მ საკაბელო არხის მოწყობა, განხორციელდა 289 შუქნიშნის დგარის მონტაჟი, 3 კარადის და 25 კვების ბლოკის მონტაჟი საგზაო კონტროლერისათვის, ხოლო შუქნიშნის 12 ობიექტის ელექტროსადენების, დგარების, კონსოლების, გამოსაძახებელი ღილაკების და ხმოვანი სიგნალების შემოწმება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამონტაჟდება 3000 ცალი საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 3500 ცალი ბოწკინტი (მათ შორის 500 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი), 1000 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი, 40 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, აღმოფხრილი იქნება შუქნიშნის ობიექტებზე წარმოქმნილი სხვადასხვა ნაკლოვანებები.

მიღწეული მაჩვენებელი - დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 12 349.53 საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომისა და ფერის 8939 ცალი ბოწკინტი (მათ შორის 991 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი), 4450 გრძ.მ სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები, 79 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, შეიცვალა შუქნიშნის 128 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები

აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 220 ობიექტზე, დამონტაჟდა 35 ქვეითთა შუქნიშანი და 484 გრძ.მ საკაბელო არხის მოწყობა, განხორციელდა 98 შუქნიშნის დგარის მონტაჟი, 2 კარადის და 4 კვების ბლოკის მონტაჟი საგზაო კონტროლერისათვის, ხოლო შუქნიშნის 11 ობიექტის ელექტროსადენების, დგარების, კონსოლების, გამოსაძახებელი ღილაკების, ხმოვანი სიგნალების, საგზაო კონტროლების და ავტონომიური კვების ბლოკების შემოწმება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 80472.6 კვ.მ ჰორიზონტალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 22191.96 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 4749.25 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი, 39757.33 კვ.მ გზის მოსანიშნი ზედაპირის გაშრობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 39388,36 კვ.მ ჰორიზონტალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 2359,43 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 77,5 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი, 5254,3 კვ.მ გზის მოსანიშნი ზედაპირის გაშრობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საჭიროა შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების შეძენა-მონტაჟი (მათ შორის 2024 წელს განხორციელდა შუქნიშნის 52 ძველი ობიექტების განახლება და ახალი ობიექტის მოწყობა (სატრანსპორტო დეტექტორები, ვიდეოკამერები, საგზაო კონტროლერები და უსაფრთხოების კუნძულები).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების 17 ობიექტის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - სხვადასხვა ლოკაციაზე განხორციელდა 20 ცალი შუქნიშნის ობიექტის მოწყობა (სატრანსპორტო დეტექტორები, ვიდეოკამერები, საგზაო კონტროლერები და უსაფრთხოების კუნძულები).

4.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება ვიდეოთვალთვალის კამერების, ჰაუსინგის (ვიდეო კამერის გარე გამოყენების კორპუსი),

მოწყობილობების მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი

5.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე ხორციელდება ავტობუსის გაჩერებებზე ახალი მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა (მათ შორის 2022 წელს მოეწყო 148 ერთეული მგზავრთა მოსაცდელი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ავტობუსის გაჩერებებზე ახალი 10 ერთეული მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - ავტობუსის გაჩერებებზე განხორციელდა 3 მეტრიანი და 4.5 მეტრიანი 32 ერთეული მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

6.საბაზისო მაჩვენებელი - სამართალდარღვევების შემთხვევებში, ხორციელდება გადაყვანას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სააგენტოს სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანა (მათ შორის 2024 წელს ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანილი იქნა 17843 ერთეული ავტომანქანა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამართალდარღვევის შემთხვევაში, საშუალოდ წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე 20000 ავტომანქანის გადაყვანა.

მიღწეული მაჩვენებელი - სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანილი იქნა 16978 ერთეული ავტომანქანა (მონაცემები წარმოდგენილია 23 დეკემბრის ჩათვლით).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემცირდა სამართალდარღვევათა რიცხვი, შესაბამისად შემცირდა საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანილ ავტომანქანების რაოდენობა.

7.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება თბილისში, ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 10 ცალი მოსაცდელის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა სხვადასხვა ლოკაციაზე 32 ერთეული 3 მეტრიანი და 4.5 მეტრიანი მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

8.საბაზისო მაჩვენებელი - საჭიროა სპეციალური დაცული სადგომისა და სპეციალური დაცული სადგომის №1-ის (ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი №15) სარდაფის მოწყობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სპეციალური დაცული სადგომისა და სპეციალური დაცული სადგომის №1-ის (ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი №15) სარდაფის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა საპროექტო სამუშაოები

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საპროექტო სამუშაოების ვადების გახანგრძლივების გამო სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება 2026 წელს სააგენტოს საკუთარი სახსრებით.

9.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა და ქუჩის დიზაინის სტანდარტის შემუშავება; პროგრამული უზრუნველყოფა, სატრანსპორტო კვლევა სატრანსპორტო მოდელისა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება, გზაჯვარედინების პროექტირება, ITC-სისტემის განვითარებისათვის საკონსულტაციო მომსახურება; ველობილიკისა და ავტობუსის განცალკავებული ზოლის პროექტირება, გაჩერებების დიზაინის შექმნა, კერძო ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაცია და პროექტირება (მათ შორის 2024 წელს მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის ფარგლებში, შემუშავდა ტოპოგრაფიული ნახაზი 621707.61 კვ.მ არეალისთვის, ქუჩის დიზაინის საპროექტო და ტოპოგრაფიული გეგმა - 120024 კვ.მ და 20 გზაჯვარედინის (კვანძი) გზაგამტარის მოდელირება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება საკონსულტაციო - საპროექტო მომსახურება ტრანზიტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის განცალკავებული ზოლების, დერეფნების დაგეგმარება პროექტირება. სატრანსპორტო მოდელისა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების მონაცემების შესავსებად სატრანსპორტო კვლევა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის ფარგლებში, შემუშავდა ტოპოგრაფიული გეგმა 875 888,87 კვ.მ არეალისთვის, მოცულობითი

საპროექტო სამუშაოები - 737 922 კვ.მ და მოდელირება - 31 კვ.მ.

10.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მიმდინარეობდა 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსებისთვის ახალი ავტობაზის (სამგორის რაიონში მდებარე 76137 კვ.მ. (ს/კ N01.19.39.035.003) მიწის ნაკვეთი) სამშენებლო სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსებისთვის ახალი ავტობაზის მშენებლობის დასრულება

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარეობდა ახალი ავტობაზის სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მასშტაბიდან გამომდინარე დასრულდება და ექსპლუატაციაში გაეშვება 2026 წელს.

11.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) და "მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის სესხის და გრანტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას

დაგეგმილი მაჩვენებელი - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების/მომსახურების მიხედვით გადასახდელი დღგ

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა ნაწილობრივ

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაგვიანდა დეტალური დიზაინის შემუშავება "მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი კომპონენტებისთვის, რამაც გამოიწვია შეფერხება სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებასა და დონორი ორგანიზაციის მიერ დადასტურების პროცესში, საბოლოოდ, კონტრაქტები, რომლებიც უნდა გაფორმებულიყო ან დასრულებულიყო 2025 წელს გადავიდა 2026 წელს.

01 02 02 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2025 წლის გეგმა - 9,000.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,475.3 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 94.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების/მომსახურების მიხედვით გადასახდელი დღგ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილია თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების (AIIB) (111 ერთეული ვაგონის შეძენა) პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის მეტროს (მოძრავი შემადგენლობის განახლება) მოდერნიზაციის სესხის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას

დაგეგმილი მაჩვენებელი - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების/მომსახურების მიხედვით გადასახდელი დღგ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

01 02 03 მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2025 წლის გეგმა - განსაზღვრულია 300.0 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი).

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების/მომსახურების მიხედვით გადასახდელი დღგ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მეტროს სადგურების რეკონსტრუქციისათვის სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში ხარჯები არ გაწეულა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობდა, შპს „თბილისის სატრანსპორტო

კომპანიასა“ და შპს „ბადა ქონსთრაქშენს“ შორის, წინა საანგარიშო პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მ/ს ვარკეთილის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები. პროექტის განხორციელების პროცესში გამოვლენილი რიგი ფაქტორების არსებობამ, გამოიწვია დამატებით ჩასატარებელი სამუშაოების აუცილებლობა და შესაბამისად 2025 წლის 17 ნოემბერს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „ბადა ქონსთრაქშენს“ შორის გაფორმებულ იქნა 1,299.8 ათასი ლარის ღირებულების ხელშეკრულება, მეტროსადგურ „ვარკეთილის“ დახრილი საესკალატორო გვირაბის კაპიტალური რემონტის სამუშაოების შესყიდვაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მეტროს სადგურების რეკონსტრუქციისათვის სესხის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას

დაგეგმილი მაჩვენებელი - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების/მომსახურების მიხედვით გადასახდელი დღგ

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა, თუმცა გაიმართა სამუშაო შეხვედრები კონსორციუმთან, რომლის ფარგლებში განხორციელდა მეტროს სადგურების ადგილზე დათვალიერება, არსებული მდგომარეობის შეფასება და კონცეპტუალური დიზაინის მომზადებისთვის საჭირო მონაცემების შეგროვება.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - 2025 წლის 1-5 დეკემბერს თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში გაიმართა სამუშაო შეხვედრები კონსორციუმთან, რომლის ფარგლებში განხორციელდა მეტროს სადგურების ადგილზე დათვალიერება, არსებული მდგომარეობის შეფასება და კონცეპტუალური დიზაინის მომზადებისთვის საჭირო მონაცემების შეგროვება, ხოლო აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში ფინანსური რესურსის ფაქტობრივი ათვისება არ განხორციელებულა, რამაც გამოიწვია აუთვისებლობა.

01 02 04 თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2025 წლის გეგმა - 145,412.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 141,519.5 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 97.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განახლებული საავტობუსო ინფრასტრუქტურა, მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფარულია 160 ერთეული 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად, 2023 წლის 15 ივნისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების (ღირებულებით 89 343 372.80 ევრო) ფარგლებში დარჩენილი ვალდებულების ნაწილი - 111,311.0 ათასი ლარი და 2024 წლის 16 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით 40 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენაზე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვა - 30,208.5 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - შეძენილია 160 ერთეული ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსი, დაფარულია დამატებით 40 ერთეული ავტობუსის შეძენაზე ხელშეკრულების პირობებით საავანსო ვალდებულება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საავტობუსო პარკის განახლება რეაბილიტაციის ფარგლებში 200 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენაზე ხელშეკრულებით დარჩენილი ვალდებულების დაფარვა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

01 02 05 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2025 წლის გეგმა - 396,190.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 389,270.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით, ელექტრომოძრავი შემადგენლობის (მეტრო) და საბაგირო გზებით გაწეული მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირების შედეგად გადაყვანილი მგზავრები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსები და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით) მგზავრთა გადამყვანი კომპანიები სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 149,887.2 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის სახსრებით - 389,270.5 ათასი ლარით,[18] მათ შორის:

სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მოძრაობის განრიგის მიხედვით „ახმეტელი-ვარკეთილის“ და „საბურთალოს ხაზზე“ გრაფიკით უნდა გასულიყო 389805 მატარებელი, გავიდა 389103 მატარებელი, მოიხსნა 702 მატარებელი (მათ შორის დეპოს მიზეზით - 535 მატარებელი, სალიანდაგო და გვირაბნაგებობათა სამსახურის მიერ - 2 მატარებელი, ენერგო მომარაგების სამსახურის მიერ - 7 მატარებელი, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახურის მიზეზით - 6 და სხვადასხვა მიზეზით - 152 მატარებელი), სულ 48 მოძრავი შემადგენლობა, საერთო გარბენმა შეადგინა 22 662 518.05 კმ (ანაზღაურებული 1კმ - 4.06 ლარი), M3 კატეგორიის ავტობუსებით (1059 ავტობუსი (ხაზზე გასული ავტობუსების საშუალო დღიური რაოდენობა 692 ავტობუსი, ხოლო სამუშაო დღეებში (სასწავლო

18 წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში. შესაბამისად, დაფინანსების ნაწილში შესულია 2024 წლის დეკემბრის მონაცემები

პერიოდში) ოპერირებს 750 ერთეული ავტობუსი, რეისები ხორციელდება - 112 სამარშრუტო ხაზზე)), დამატებით შესრულდა 12 კომერციული დაკვეთა (გარბენი - 435.94 კმ), საქალაქო მარშრუტებზე შესრულებულ იქნა 3 900 203 სამარშრუტო რეისი და ფაქტიურმა გარბენმა შეადგინა 56 309 772.08 კმ (ანაზღაურებული 1კმ - 3.30 ლარი) და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი - ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი - კუს ტბა და რიყე-ნარიყალა, ჯამურად 12 557 სთ (ანაზღაურებული 1სთ - 139.13 ლარი) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით, მგზავრთა გადამყვანი შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია დაფინანსებულია - 384,279.1 ათასი ლარით ბიუჯეტის სახსრებით (მათ შორის საოპერაციო ხარჯების დეფიციტის უზრუნველსაყოფად - 40,000.0 ათასი ლარი), ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 11,300.0 ათასი ლარით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში თბილისის სატრანსპორტო კომპანიის საავტობუსო პარკი დამატებით შეივსო 40 ერთეული - 18 მეტრიანი MAN „Lion's City" 18C მარკის CNG - ის ძრავზე მომუშავე ახალი M3 კატეგორიის ავტობუსით. სულ 200 ერთეული 18 მეტრიანი MAN "Lion's City" ტიპის M3 ავტობუსიდან ხაზზე გავიდა 125 ერთეული ავტობუსი, მათ შორის N305 მარშრუტზე M3 კატეგორიის მოქმედი ავტობუსები ჩანაცვლდა 18 მეტრიანი ახალი ავტობუსებით (19 ერთეული), რომლებიც 27 სექტემბერს გავიდნენ ხაზზე. ამასთან, N305 მარშრუტის სავალი მონაკვეთი გაგრძელდა ბარათაშვილის ქუჩიდან საბურთალოს გავლით თსუ-ის მაღლივ კორპუსამდე, ხოლო N306 მარშრუტზე მოქმედი ავტობუსები ჩანაცვლდა შესახსრებული ტიპის (18 მეტრი სიგრძის) ავტობუსებით (20 ერთეული), რომლებიც პირველი ნოემბრიდან გავიდნენ ხაზზე. ამასთან, N306 მარშრუტის სავალი გზის ერთი მონაკვეთი ბარათაშვილის ქუჩიდან გაგრძელდა ქეთევან დედოფლის გამზირის, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის და ემირ ბურჯანაძის ქუჩის მიმართულებით, ხოლო მეორე ნაწილი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩიდან გაგრძელდა დიდ დიღომში დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმართულებით დიდი დიღმის მეოთხე კვარტლამდე; N305, N306 მარშრუტების ხაზზე 18 მეტრიანი ავტობუსების გაშვების შედეგად, გამონთავისუფლებული სატრანსპორტო საშუალებებით მიღებული რესურსის

ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 1. M3 კატეგორიის N295 მარშრუტი, სადაც მოძრაობდა ,,isuzu"-ს მარკის ავტობუსები, ჩანაცვლდა დიდი ტევადობის ავტობუსებით; 2. მოძრაობის ინტერვალის შემცირების მიზნით, მოძრავი შემადგენლობის რაოდენობები დაემატა M3 კატეგორიის N329, 331, 359, 366, 391 მარშრუტებს; 3. რაოდენობრივი კორექტირებები შევიდა M3 კატეგორიის N 311, 320, 323, 351, 379, 386, 387, 388, 394 მარშრუტებში; 4. მ/ს „ვარკეთილის“ რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, დროებითი ღონისძიების სახით მოძრაობს M3 კატეგორიის N 174 მარშრუტი, რომელიც მგზავრებს ემსახურება 6:00-7:00 და 23:00 - 00:45 საათებში, მარშრუტზე ჩართულია 4 ერთეული ავტობუსი. მოქმედი 112 მარშრუტიდან ინტეგრირებულ სატრანსპორტო სისტემაში ჩართულია 109 მარშრუტი (დროებითი №174-ის ჩათვლით), სადაც სამუშაო დღეებში (სასწავლო პერიოდში) ოპერირებს 739 ერთეული ავტობუსი; სამ მარშრუტზე (№101, №102, №107) ცვლილებები არ განხორციელებულა და მათზე კვლავ ჩართულია 11 ერთეული ავტობუსი;

M2 კატეგორიის ავტობუსებით (სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელი იურიდიული პირები დაფინანსებულია (მათ შორის სასესხო ვალდებულებების დასაფარად დამატებითი საფასურის ანაზღაურება) ბიუჯეტის სახსრებით - 4,991.4 ათასი ლარით, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 138,587.2 ათასი ლარით, მათ შორის: შპს კაპიტალ გრუპი - 24,691.3 ათასი ლარი (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 22,658.1 ათასი ლარი), შპს თბილ ლაინი – 64,105.0 ათასი ლარი (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 63,377.4 ათასი ლარი), შპს თბილ ქარი - 22,531.0 ათასი ლარი (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 20,679.2 ათასი ლარი) და შპს ფაბლიქ ქარი – 32,251.3 ათასი ლარით (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 31,872.5 ათასი ლარი). ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია M2 კატეგორიის 1000 ავტობუსი (სამუშაო დღეებში (სასწავლო პერიოდში) მომუშავე საშუალოდ - 748 ერთეული), რეისები ხორციელდება 163 სამარშრუტო ხაზზე, ფაქტიური გარბენი - 49 389 842.01 კმ. ასევე, ანაზღაურებულია ხელშეკრულების მიხედვით

დახარჯული საწვავის თანხა - 22,565.7 ათასი ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში M2 კატეგორიის მარშრუტებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: 1. გაიხსნა სამი ახალი მარშრუტი - №№500, 544, 559; 2. № 567 მარშრუტი ღვინიაშვილის ქუჩიდან გაგრძელდა მთის ძირის ქუჩის მიმართულებით; 3. №481 მარშრუტი დიდების ქუჩიდან გაგრძელდა სამპანტინის ქუჩის მიმართულებით; 4. №508 მარშრუტი ავშნის III შესახვევიდან გაგრძელდა ფირცხალავას ქუჩის მიმართულებით; 5. №461, 467, 499 მარშრუტებს, მუხიანის აგარაკებში ჩატარებული რეაბილიტაციიდან გამომდინარე შეეცვალათ მოძრაობის მიმართულებები; 6. №407 მარშრუტს ინტერვალის შემცირების მიზნით დაემატა მოძრავი შემადგენლობა.

მიმდინარე პერიოდში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 172 091 617 მგზავრი (მათ შორის 2024 წლის დეკემბრის - 3 706 135 მგზავრი), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 150 120 289 მგზავრი (მათ შორის 2024 წლის დეკემბრის - 3 478 862 მგზავრი), საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები (124 338 მგზავრი), ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა (206 118 მგზავრი) და რიყე-ნარიყალა (1 999 300 მგზავრი) გადაყვანილია 2 329 756 მგზავრი (მათ შორის 2024 წლის დეკემბრის - 49 459 მგზავრი), ხოლო M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 70 580 633 მგზავრი (მათ შორის 2024 წლის დეკემბრის - 1 541 408 მგზავრი). სულ საქალაქო ტრანსპორტით გადაყვანილია - 395 122 295 მგზავრი (მათ შორის 2024 წლის დეკემბრის - 8 775 864 მგზავრი);

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სააგენტოს საკუთარი სახსრების ანგარიშზე, მგზავრობის მომსახურებიდან სულ შემოსულია 141,454.7 ათასი ლარი, მათ შორის: მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსები და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) მგზავრობის მომსახურებიდან მიღებულია 121,270.2 ათასი ლარი (მათ შორის მეტროდან - 50,181.6 ათასი ლარი, M3 კატეგორიის ავტობუსებიდან - 50,809.4 ათასი ლარი, M2 კატეგორიის ავტობუსებიდან - 20,279.2 ათასი ლარი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები,

ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) – 5,237.7 ათასი ლარი), ხოლო აბონიმენტების ღირებულებიდან - 14,946.8 ათასი ლარი (მათ შორის აბონიმენტი (1 დღე - 96102 ცალი) – 288.3 ათასი ლარი, აბონიმენტი (1 კვირა - 7885 ცალი) – 157.7 ათასი ლარი, აბონიმენტი (1 თვე - 171953 ცალი) – 6,878.1 ათასი ლარი, აბონიმენტი (3 თვე - 6555 ცალი) – 655.5 ათასი ლარი, აბონიმენტი (6 თვე - 15753 ცალი) – 2,363.0 ათასი ლარი, აბონიმენტი (1 წელი - 181416 ცალი) – 4,604.3 ათასი ლარი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში სრულადაა ჩართული M2 კატეგორიის (1000 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 752 ერთეული) რეისები ხორციელდება 160 ხაზზე) და M3 კატეგორიის (935 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 722 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 111 ხაზზე) ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში სრულადაა ჩართული M2 კატეგორიის (1000 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 752 ერთეული) რეისები ხორციელდება 160 ხაზზე) და M3 კატეგორიის (1059 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 722 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 111 ხაზზე) ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა).

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში სრულადაა ჩართული M2 კატეგორიის (1000 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 748 ერთეული) რეისები ხორციელდება 163 ხაზზე) და M3 კატეგორიის (1059 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 692 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 118 ხაზზე) ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში


ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 169 354 511 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 150 432 097 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები (139396 მგზავრი), ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა (221501 მგზავრი) და რიყე-ნარიყალა (1991727 მგზავრი) გადაყვანილია 2 352 624 მგზავრი, ხოლო M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 77 465 840 მგზავრი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - სულ საქალაქო ტრანსპორტით გადაყვანილია - 395 122 295 მგზავრი, მათ შორის: M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 172 091 617 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 150 120 289 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები (124 338 მგზავრი), ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა (206 118 მგზავრი) და რიყე-ნარიყალა (1 999 300 მგზავრი) გადაყვანილია 2 329 756 მგზავრი, ხოლო M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 70 580 633 მგზავრი.


- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება**

ათასი ლარი




ათასი ლარი

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლების პრიორიტეტის პროგრამების 2023-2025წწ შესრულების დინამიკა



	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	კეთილმოწყობის ღონისძიებები	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები	სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა	ღონისძიების უზრუნველყოფა	ავარიული სახლების ჩანაცვლება
2023 წლის ფაქტი	38,908.5	88,821.0	39,734.3	8,106.0	57,839.6	7,362.1	3,514.8	20,239.4	4,178.9
2024 წლის ფაქტი	37,248.8	113,691.2	33,719.2	7,260.0	57,032.8	8,044.8	4,074.5	20,227.3	5,349.1
2025 წლის ფაქტი	49,128.5	111,847.1	34,592.5	8,108.2	34,514.2	11,403.4	4,856.9	20,563.5	8,877.8



02 01 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირება, მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია დაფინანსებულია 34,592.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 43,282.3 ათასი ლარის 79.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 40,782.3 ათასი ლარი დაფინანსდა - 34,592.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 34,494.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 84.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის (მათ შორის ხიდები, საყრდები კედლები) ობიექტების მშენებლობა, აღდგენა-რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და

მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულებულია შემდეგი სამუშაოები:

თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები: საბურთალოს რაიონი: ვლადიმერ და არჩილ ასათიანების ქუჩის მონაკვეთზე (თამარაშვილის ქუჩის მიერთებასთან) რკ/ ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა; ვერეს ხეობაში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის მიმდებარედ (ს.კ. 01.10.16.004/287) მდ. ვერეს ნაპირსამაგრი (ჩამოშლილი მონაკვეთის) რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ვაკის რაიონი: კორძაიას ქუჩის N12-14-თან გზის დამჭერი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ვაგან მამასახლისოვის ქუჩა N9-ის მიმდებარედ ფერდის დამჭერი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; უნივერსიტეტის ქუჩისა და პ.ქავთარაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის (გვირაბული მეთოდით) პროექტით გათვალისწინებული გვირაბის პანდუსი N1-ის რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა; მ.შავიშვილის ქუჩის მონაკვეთზე რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა; წყნეთის გზატკეცილი ს/კ. 01.14.09.003.027-ის მიმდებარედ საავტომობილო გზის გასწვრივ ფერდის გამაგრების სამუშაოები; სამგორის რაიონი: კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ, ფიროსმანის ქუჩა N2- თან გრუნტის დამჭერი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა და სამუშაოები; ემილ ბურჯანაძის ქ.N60-დან ქუთათელის ქუჩის ასახვევამდე გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები; გლდანის რაიონი: გლდანის რაიონის მე-6 მ/რ და ხიზანიშვილის ქუჩა N108-ის მიმდებარედ არსებული გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; დიდუბის რაიონი: მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე რესტორან ""გაგრა""-ს მიმდებარედ დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის პროექტირება/მშენებლობის სამუშაოები.

თბილისის ხიდების და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაცია: ვაკის რაიონში: ნუცუბიძის I მ/რ კორპ. N213/ / 1/, კორპ. N213/ 2 და ნუცუბიძის I მ/რ. კორპ. N3-ის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოები; ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე არსებულ ხიდზე და მიმდებარედ (ს.კ. 01.14.14.005.183) მოაჯირების რეაბილიტაცია; უნივერსიტეტის ქუჩისა და პ. ქავთარაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის (გვირაბული მეთოდი) მოწყობის

სამუშაოები; საბურთალოს რაიონი: თამარ მეფის სახელობის გზაგამტარზე (პანდუსზე) დაზიანებული ლითონის მოაჯირების სარეაბილიტაციო სამუშაოები; გმირთა მოედანზე, ზვიად გამსახურიდიას სანაპიროდან მედეა (მზია) ჯუღელის კვეთა, სანაპიროდან ასასვლელი პანდუსი (ლაგუნას მხარე) და ასევე, დიღმისკენ გადასასვლელი პანდუსის (ლაგუნას მხარე) მოაჯირების სარეაბილიტაციო სამუშაოები; თბილისის ზოოლოგიური პარკის მიმდებრედ არსებულ გზაგამტარზე დაზიანებული მოაჯირების სარეაბილიტაციო სამუშაოები; მ. გელოვანის და პ. სარაჯიშვილის პანდუსის სადეფორმაციო ნაკერების სარეაბილიტაციო სამუშაოები; გლდანი რაიონი: წყაროს ქუჩაზე არსებულ ხიდზე (თბილისის შემოსავლელი გზის მიმდებარედ) დაზიანებული მოაჯირების რეაბილიტაცია; შუშის ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებულ ხიდზე დაზიანებული პარაპეტის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მთაწმინდის რაიონი: ალექსანდრე პუშკინის ქუჩაზე არსებულ გზაგამტარზე დაზიანებული მოაჯირების რეაბილიტაცია; კრწანისის რაიონი: მდ. მტკვარზე ორთაჭალჰესის ხიდი-აკვედუკის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოების პროექტირება-მშენებლობა; ჩუღურეთის რაიონი: წმინდა ვახტანგ მესამის ქუჩაზე მდებარე ხიდი-გზაგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ისნის რაიონი: კახეთის გზატკეცილი, ე.წ. მეტრომშენის დასახლების მიმდებარედ არსებული ხიდის (თბილისის შემოსასვლელის მიმართულება) დაზიანებული სადეფორმაციო ნაკერის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სამგორის რაიონი: კახეთის გზატკეცილზე, ისთ-ფოინთის მიმდებარედ ე.წ. „დამპალოს“ არსებული ხიდის (თბილისის შემოსასვლელის მიმართულება) დაზიანებული სადეფორმაციო ნაკერების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

თბილისის, მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები: სამგორის რაიონში: საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N55-ში სანიაღვრე/ სადრენაჟე ქსელის მოწყობის სამუშაოები; ველისთავის ქუჩაზე, სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; მ.გახოკიძის ქუჩაზე დრენაჟის მოწყობის სამუშაოები პკ 6+40-დან სესილია თაყაიშვილის ქუჩის მიმართულებით; გლდანის რაიონი: მუხიანი 2-ის დასახლებაში, ალავერდის ქუჩაზე, წყალარინების ქსელის მოწყობის

(მოსახლეობის დაერთებების გათვალილსწინებით) სამუშაოები; საბურთალოს რაიონი: დ.სარაჯიშვილის და მიმდებარე ქუჩებზე წყალარინების ქსელის მოწყობის, სამუშაოები (კერძოდ: დაერთების წერტილიდან არს.კან.ჭიდან, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა, დავით სარაჯიშვილის ქუჩა საპ.კან.ჭა N40-ის ჩათვლით და ზაქარია სარაჯიშვილის ქუჩაზე) მოსახლეობის დაერთებების გათვალისწინებით; ზაქარია სარაჯიშვილის ქუჩაზე წყალარნების ქსელის მოწყობის სამუშაოები (N 92 საპ. კან. ჭიდან N 90 საპ. კან. ჭის ჩათვლით, მოსახლეობის დაერთებების გათვალისწინებით); კრწანისის რაიონი: სვანების დასახლებაში (კერძოდ: ილორის ქუჩა, გაგრის ქუჩა, აფხაზეთის III ჩიხი და აფხაზეთის ქუჩაზე პროექტით დარჩენილი მონაკვეთი, მოსახლეობის დაერთებების გათვალისწინებით) წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები; ორთაჭალის ქ. N59-ში სადრენაჟე ქსელის მოწყობისთვს სამუშაოები; ნაძალადევის რაიონი: ნაძალადევის რაიონში, ახალდაბის ქუჩა N52-ის მიმდებარედ დაზიანებული სანიაღვრე კოლექტრორის აღდგენის პროექტირება-მშენებლობა;

მიმდინარეობს და გრძელდება სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: მეტეხის საავტომობილო გვირაბების კომპლექსის ფრაგმენტული შეკეთების მიზნით, გრუნტის წყლების ჩამოდინების აღმოსაფხვრელად, ჰიდროიზოლაციის აღდგენის სამშენებლო სამუშაოები; საბურთალოს რაიონში ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N22-ის მიმდებარედ დაზიანებული პანდუსის და სანიაღვრე სისტემის აღდგენის საპროექტო მომსახურება და სამუშაოები; ქ.თბილისში, აღმაშენებლის ხეივნიდან დიდი დიღმის დამაკავშირებელ გზაგამტარზე დაზიანებული ლითონის მოაჯირების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 98.5 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 ხიდს (მათ შორის ერთი კაპიტალურად შეკეთდა), დასრულდა ერთი ახალი ხიდის მშენებლობა, განხორციელდა 9 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 6 ხიდს (მათ შორის ერთი

საფეხმავლო ხიდი), მოეწყობა 1 ახალი საავტომობილო გზა (გვირაბული მეთოდით), მოხდება 5-მდე საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 ხიდს (მათ შორის ერთი საფეხმავლო ხიდი), მოეწყო 1 ახალი საავტომობილო გზა (გვირაბული მეთოდით), განხორციელდა 11 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე გაკეთდა დაგეგმილზე მეტი საყრდენი კედლები.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია ჩაუტარდა 27 ობიექტს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩაუტარდება 6-მდე ობიექტს.

მიღწეული მაჩვენებელი - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია ჩაუტარდა 14 ობიექტს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გადაუდებელი საჭიროებიდან გამომდინარე, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩატარდა დაგეგმილზე მეტ ობიექტზე.

02 01 02 სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - გეგმა განსაზღვრულია 2,500.0 ათასი ლარი

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ახლად აშენებული საინჟინრო ინფრასტრუქტურის

ობიექტი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოში ხარჯები არ გაწეულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - სადგურის მოედნისა და დადიანის ქუჩის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის პროექტირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი ვერ შესრულდა.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: სატრანსპორტო ხიდის მოწყობის ზონაში სავარაუდოდ განთავსებულია მეტროპოლიტენის სადგური და ძირითადი გვირაბი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაციის გარეშე პროექტირების სამუშაოები ვერ განხორციელდება (რაც აგრეთვე მოიცავს დახურულ ზონებში საკვლევაძიებო, ტოპო გადაღების და საინჟინრო გეოლოგიური კვლევითი და ბურღვითი სამუშაოების ჩატარებასაც). საპროექტო ორგანიზაციამ უკვე მიმართა შესაბამის სამსახურებს საიდუმლო მასალებზე წვდომის მიზნით, რაზედაც ამ დრომდე ნებართვა არ გაცემულა.

02 02 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 14,770.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,108.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,838.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 54.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, ავარიულ შენობებში მცხოვრებ მოქალაქეთა საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში, ავარიული

საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: **ვაკის რაიონი:** კ. კეკელიძის ქუჩა N18-ში და ა. წერეთლის ქუჩა N128-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ი. ჭავჭავაძის გამზირი N19, N75, N56-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ი. აბაშიძის ქ. N35-ში და ი მოსაშვილის ქ. N3-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ი.აბაშიძის ქ. N44-ში და ილია ჭავჭავაძის გამზ. N37ბ-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ზ. ფალიაშვილის 39 -ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; **საბურთალოს რაიონი:** შალვა ნუცუბიძის ქ.N40-ში მდებარე ავარიული შენობის და ასევე, N34-ში მდებარე N1 კორპუსის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ნუცუბიძის I მრ. რაიონი. კორპუსი N-14 ის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ჟიული შარტავას ქ.N38-ში და დ. სარაჯიშვილის ქ.N23-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ალ. ყაზბეგის გამზ. N1-ში და N14-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები, პეკინის გამზ. N36 და N29-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ბულაჩაურის ქ.N7-ში და გივი კარტოზიას ქ.N12-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; დიდი დიღომი III მიკრო რაიონი N27-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; დ.აღმაშენებლის ხეივანი გზის მე-15 კმ-ზე მიწის ნაკვეთის (ს.კ. 01.72.14.066.083) - ის მიმდებარედ არსებული ხიდის ქვეშ შემორჩენილი დაზიანებული ხარაჩოების დემონტაჟი;.შარტავას_ქ_N14-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ა. მიცკევიჩის ქ.N12-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვაჟა-ფშაველას მე-5კვ. კორპ 1 გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების ბურძგლას ქ.N76-78-80 -ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ალ. ყაზბეგის გამზირი N32-ში მდებარე შენობა

ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; **სამგორის რაიონი:** ვაზისუბნის დასახლება I მიკრო რაიონი, N12-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი III მასივი I კვ. N1-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; შუამთის ქ.N30; მოსკოვის გამზ. N1 და მოსკოვის გამზ. N 3 -ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; მოსკოვის გამზ. N44 ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვიქტორ დოლიძის ქ.N5-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქ. კორპ. N28 -ის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილი, 3ა მ-რ,კორპუსი 331 -ის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის დასახლება, IV მიკრო-რაიონი, II რიგი, კორპუსი N9-ის და ვარკეთილის ზემო პლატო, N4-ში მდებარე შენობა ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის დასახლება, IV მიკრო-რაიონი, II რიგი, კორპუსი 6 ის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; **ისნის რაიონი:** წმინდა ქეთევან დედოფლის გამზ. N67ა-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; **გლდანის რაიონი:** მუხიანი, მე-4ბ მ-რ. კორპ. N21, მუხიანის 3მ-რ, კორ. 17 და მუხიანის I მრ. კორპ. N18-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; გლდანი, „ა“ მრ. N59-ში და ლიბანის ქ.N25-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; **დიდუბის რაიონი:** აკაკი წერეთლის გამზირი N73ბ-ში და თევდორე მღვდლის ქუჩა N10 მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; აკაკი წერეთლის გამზირი N8-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; აკაკი წერეთლის გამზირი N97-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; აკაკი წერეთლის გამზირი N59-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; აკაკი წერეთლის გამზირი N73ა, N110, N128 და N130-ში

მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; თევდორე მღვდლის N5ბ-ში და აბასთუმნის ქ.N1-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები და ცისკარიშვილის ქ. N2ა მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები. **ნაძალადევის რაიონი:** ცოტნე დადიანის ქ. N2-ში და მდებარე შენობა ნაგებობის დემონტაჟი. ზღვისუბნის დასახლება, III მრ. II კვ. N33-ში მდებარე ავარიული შენობა ნაგებობის და ზღვისუბნის დას. მე-4 მრ. კორპ. N8-ის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ა.ღოღობერიძის ქუჩა N6-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ც. დადიანის ქუჩა N142 ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; **ჩუღურეთის რაიონი:** აჭარის ქ. N10-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; თამარ მეფის გამზ.N9-ში -ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; მარჯანიშვილის ქ. N4-ში მდებარე შენობა ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; **კრწანისის რაიონი:** ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. N6-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; **მთაწმინდის რაიონი:** ბარნოვის ქუჩა N71-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები;

მიმდინარეობს და გრძელდება სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ალ. ყაზბეგის N32ა -ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ა.მიცკევიჩის ქ. N12 ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვაჟა-ფშაველას მე-5კვ. კორპ 1-7 სადარბაზოს გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვარკეთილის დასახლება, IV მიკრო-რაიონი, II რიგი, კორპუსი 6-ის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ვაჟა-ფშაველას გამზ. N2 ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქ. კორპ. N28-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები;ვარკეთილი, 3ა მ-რ,კორპუსი 331-ში მდებარე

ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ე.თაყაიშვილის ქ.N6 ავარიული შენობა-ნაგებობის გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები; ბურძგლას ქ. N76-78-80-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 6.4 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 33 შენობა-ნაგებობას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდება 37-მდე შენობა-ნაგებობას.

მიღწეული მაჩვენებელი - გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 33 შენობა-ნაგებობას.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - კონტრაქტები, რომლებიც 2025 წელს უნდა დასრულებულიყო, რიგი მიზეზების (სატენდერო პროცედურების გაჭიანურება გასაჩივრების გამო და სხვა ობიექტური მიზეზი) გამო ვერ დასრულდა ვადებით განსაზღვრულ დროში და მოხდა 2025 წლის ბოლოს მათი გამრავალწლიანება. შესაბამისად, ანაზღაურდა 2025 წლის პროცენტული წილი. აღნიშნულმა გამოიწვია აუთვისებლობა.

02 03 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 11,403.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 13,467.3 ათასი ლარის 84.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 3,449.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,080.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,005.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 60.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით ხარისხიანი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, სრულყოფილი სამშენებლო პროექტებითა და საექსპერტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საპროექტო და საექსპერტო დოკუმენტაცია მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის: სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმდა საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულება და მომზადდა: ვაკის რაიონში, ი.უჩანეიშვილის ქუჩისა და წყნეთის გზატკეცილს შორის არსებული ფერდის საექსპერტო მომსახურება; მთაწმინდის რაიონში, გომის ქუჩაზე, ბეთლემის ტაძრის მიმდებარედ (ს/კ 01.18.069.022) კიბის და ფერდის მდგომარეობის შესახებ დასკვნა და რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; ვაკის რაიონში, ი.ჭავჭავაძის გამზ.N82-ში მდებარე "წმინდა გიორგის სახელობის საერთაშორისო სკოლის" მიმდებარედ (ს/კ 01.14.10.001.073) არსებული ფერდის მდგომარეობის შესახებ დასკვნა და რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; საბურთალოს რაიონში (ს/კ 01.72.14.152.777), მუხათგვერდის მთის ფერდზე დაფიქსირებული მეწყრული პროცესების შესახებ დასკვნა და რეკომენდაციები; ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის მდგომარეობის შსახებ დასკვნა და რეკომენდაციები; თევდორე მღვდლის N5ბ-ში (ს/კ 01.16.01.021.001) მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დასკვნა და რეკომენდაციები; მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რესტორან გაგრის მიმდებარედ დაზიანებული მდინარის ნაპირსამაგრი კედლის არსებული მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების შესახებ დასკვნა და რეკომენდაციები; გმირთა მოედანზე არსებული ესტაკადების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა-გამოცდის მომსახურება.

ასევე, განხორციელდა გლდანის რაიონში, ლიბანის ქუჩის მიმდებარედ, კორპუსი #6 და #119-ე საჯარო სკოლასთან არსებულ მეწყრულ სხეულზე სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებისათვის (შემდგომში "პრევენცია, სტიქია") საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენა; ვაკის რაიონში, მ. შავიშვილის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; საავტომობილო გზებზე და ხელოვნურ ნაგებობებზე სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებისათვის (შემდგომში "პრევენცია, სტიქია") საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენა; ვაკის რაიონში, გ. წერეთლის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, ვაგან მამასახლისოვის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაციიის სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ვარკეთილის III მასივის VII კვარტ. კორპ N12-ში მდებარე ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კონცეპტუალური დიზაინ-პროექტისა და დეტალური საპროექტო-საინჟინრო მომსახურება; საბურთალოს რაიონში, (თეთრი დუქნის ქუჩაზე) მდინარე დიღმურაზე მდებარე საავტომობილო სახიდე გადასასვლელის დემონტაჟის და ახალი გადასასვლელი ხიდის მშენებლობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, დიღმის ქედის #27-ის მიმდებარე ტერიტორიაზე (ე.წ. „ქოშიგორა“-ს დასახლება) მეწყრული პროცესის სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებისათვის (შემდგომში "პრევენცია, სტიქია") საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების შედგენა; ვაკის რაიონში, შ. ნუცუბიძის I მ/რ კორპ. #5 და კორპ. #6-ს ერმილე ბედიას ქუჩასთან დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა;

თბილისში კატასტროფული მოვლენების თავიდან აცილების მიზნით,

კომპლექსური გეოლოგიური გარემოს სტიქიურ ზონებში, დეტალური გეოლოგიური სიტუაციის სრული შეფასებისა და ბუნებრივი საფრთხის მონიტორინგის სისტემის მუდმივი ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტების მომზადების ფარგლებში მიღებულია შუალედური შესრულება და ჩაბარებულია „არსებული მონიტორინგის დანადგარების შეფასება, ფუნქციონალური ტესტირება და ხარისხის შეფასება, ანგარიში: სისტემის მდგომარეობის აღწერა, დეფექტების შემთხვევაში სარეაბილიტაციო საჭირო ღონისძიებების განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში არსებული სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებების განსაზღვრა. სარეაბილიტაციო/გაუმჯობესების სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა და ზოგადი განლაგება. არსებული კლდეებისგან დამცავი სტრუქტურების შეფასება მოხმარების ვარგისობისა და მონიტორინგის სისტემის თავსებადობის დოკუმენტაცია“. რის შემდეგაც მოხდა ძირითადი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა რელიეფის დეტალური რუკებით და საშიშროების შეფასებით (მათ შორის გეოლოგიური ფერდობების მოდელები ბუნებრივ საფრთხეებზე ფოკუსირებით, პროცესის რუქების, კოსმოსური სექციების და საშიშროებების რუქების შექმნა დაზარალებული ტერიტორიებისთვის. მასშტაბეზი. რუკების შედგენა: მთელი მეწყრული არხი და მისი შემოგარენი უნდა იყოს გამოსახული დაახლოებით 1:500 დან 1:5000-მდე მასშტაბებით.

მიმდინარეობს: საბურთალოს რაიონში, სააკაძის მოედანი #1-ის მიმდებარედ არსებული ფერდის პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; თამარ მეფის ხიდის პანდუსის მიმდებარედ არსებული ფერდის პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით საგზაო ინფრასტრუქტურის სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუსაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. სანიაღვრე, სადრენაჟე და საკანალიზიო ქსელის მოწყობისა და

აღდგენა/რეაბილიტაციის სამუსაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; რკ/ბეტონის და გაბიონის ტიპის საყრდენი კედლების, ასევე ნაპირდაცვის ნაგებობების სამშენებლო/ სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა; ვაკის რაიონში, ი. უჩანეიშვილის ქუჩა #47-ის მიმდებარედ არსებული საყრდენი კედლის დემონტაჟისა და ახალი საყრდენი კედლის მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რესტორან "გაგრა"-დან შ.შალიკაშვილის ხიდამდე მონაკვეთზე მდ.მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მომზადებული იქნა სამშენებლო სამუშაოების 16 საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაცია (მათ შორის: 7 საპროექტო და 9 საექსპერტო).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საჭირო საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაციით.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა სამშენებლო სამუშაოების 18 საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაცია (მათ შორის: 10 საპროექტო და 8 საექსპერტო).

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - პროექტირების სატენდერო პროცედურები მოიცავს პარალელურად სხვადასხვა უწყებებთან კომუნიკაციას. აგრეთვე, საექსპერტო მომსახურება და ხარვეზების აღმოფხვრა იწვევს დროში გაჭიანურებას, რამაც გამოიწვია აუთვისებლობა.

02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2025 წლის გეგმა - 10,017.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,322.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე შესრულებული საზედამხედველო სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი, ლაბორატორიული კვლევების დროულად მომზადება, სპეციალური ლაბორატორიული მანქანა–დანადგარების შეძენის შედეგად გაუმჯობესებული და თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების (მათ შორის 38 ერთეული მსუბუქი ავტომობილის, საგამოცდო ლაბორატორიისთვის ასფატის ნარევებისა და ნიმუშების დიდი ზომის საშრობი ღუმელის, კომპიუტერების, პრინტერების, სკანერების, ლეპტოპის შეძენა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 7.5 ათასი ლარი, ტრანსპორტის ექსპლუატაციის, სათადარიგო ნაწილების შეძენის და გადასახადების გადასახდელად). მიმდინარე პერიოდში ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ანგარიში: ზედამხედველობა განხორციელდა 1730 ობიექტზე. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 628, გამგეობების ობიექტები – 1102;

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 436, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 475 კერნი, სისქეების რაოდენობა - 6174 ცალი, ტკეპნის კოეფიციენტი - 10560 დარტყმა, ბეტონის კვლევა - 864;

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები გამგეობების 242 ობიექტზე. აქედან: მერიის და გამგეობების ობიექტები – 228, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი - 4, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო

ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ობიექტი - 10;

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 493 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 232, გამგეობების ობიექტები – 229, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი – 29, ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ობიექტი - 2, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ობიექტი - 1;

ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების მიერ მომზადებულია 627 დასკვნა ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი - 207 დასკვნა, გამგეობების ობიექტები - 409 დასკვნა, საკრებულოს ობიექტი - 4 დასკვნა, ხოლო ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი – 7 დასკვნა;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 2142 ობიექტზე, აქედან: სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმებული ობიექტები – 1536, ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 588 და აღდგენა-გამაგრების ობიექტები - 18;

საბავშვო ბ/ბაღის მართვის სააგენტოს და კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტების მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია ტექ.ზედამხედველობის სამუშაოები (მიმდინარე და დასრულებული) 58 ობიექტზე (მათ შორის მიმდინარე 22 ობიექტი), აქედან: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ობიექტები – (მიმდინარე - 12, დასრულებული - 10), კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტები - (მიმდინარე - 5, დასრულებული - 2), გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ობიექტები - (მიმდინარე - 2, დასრულებული - 1),

გამგეობების დასრულებული სამუშაოები (სკოლები) – 21 ობოექტზე, „ცენტრ პოინტის“ ობიექტები – (მიმდინარე - 1, დასრულებული - 1), ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი – (მიმდინარე - 2), შპს თბილსერვის ჯგუფის ობიექტი - (დასრულებული - 1).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - შესრულებული საზედამხედველო სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი -100%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული დაგეგმილი მაჩვენებელი.

2. საბაზისო მაჩვენებელი - ლაბორატორიული კვლევის პერიოდია 5 დღე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე მანქანა–დანადგარებით, რომლებიც პერიოდულად საჭიროებს განახლებას,

დაგეგმილი მაჩვენებელი - განახლებული მანქანა-დანადგარები, ავტომანქანები

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 50,549.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 49,128.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 6,844.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მომსახურეობა- ექსპლოატაციას უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს. საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია 165 555 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 147

825 სანათი, მხატვრული მინათება – 17 730 სანათი[19]. ასევე, ახორციელებდა საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოებს, მათ შორის მოეწყო 3 934 ახალი სანათი, დამონტაჟდა 1 379 ცალი განათების ბოძი და მოეწყო 69 ცალი დეკორატიული ტიპის სანათი ბოძი (ბაბლთაუერი).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ექსპლოატაცია გაეწია 157 015 სანათს (მათ შორის: გარე განათება – 139 091 სანათი, მხატვრული მინათება – 17 924 სანათი), მოეწყო 4243 ახალი სანათი, დამონტაჟდა 1 020 განათების ბოძი და მოეწყო 98 ცალი დეკორატიული ტიპის სანათი ბოძი (ბაბლთაუერი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ექსპლუატაცია გაეწევა თბილისის მასშტაბით არსებულ გარე განათების ქსელს და ასევე, საჭიროებისამებრ მოწყობილი იქნება ახალი გარე განათების ქსელები და ახალი სანათები.

მიღწეული მაჩვენებელი - ექსპლოატაცია გაეწია 165 555 სანათს (მათ შორის: გარე განათება – 147 825 სანათი, მხატვრული მინათება – 17 730 სანათი), მოეწყო 3 934 ახალი სანათი, დამონტაჟდა 1 379 განათების ბოძი და მოეწყო 69 ცალი დეკორატიული ტიპის სანათი ბოძი (ბაბლთაუერი).

02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 4,982.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,856.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.5%.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების გამართული ფუნქციონირება, ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შპს "თბილსერვის ჯგუფის" მიერ განხორციელდა შემდეგი სახის სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკური სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად, შიგ გავლით, სპეც. ტექნიკის

[19] 2024 წლის ანალოგიურ მონაცემთან (17924) შედარებით შემცირებულია, ვინაიდან განხორციელდა 194 მხატვრული მინათების სანათის დემონტაჟი.

გამოყენებით - CCTV ვიდეო კამერით, ეგრეთ წოდებული ვიდეოთვალით) –3359 მეტრი; სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმამიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და საკონტროლო ჭების გაწმენდა - 42 223 ცალი; კიუვეტების გაწმენდა (ხელით და მექანიზმის გამოყენებით) – 47 475 გრძივი მეტრი; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც. ტექნიკის გამოყენებით – 147 255 მეტრი; დაზიანებული ცხაურების, ყრუ ხუფების შეცვლა – 204 ცალი; გვერდმიმღების ხუფების შეცვლა - 24 ცალი; რ/ბ ფილა (ორმაგი არმირებით, ოთხკუთხა თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) – 52 ცალი; ახალი ჭის მოწყობა თუჯის ჩარჩო-ხუფით, ჩარჩო-ცხაურით, გვერდმიმღებით - 20 ცალი; ჭის ჩარჩო-ხუფი ან ცხაური - 28; სანიაღვრე ჭების მოყვანა ნიშნულზე - 132 ცალი; ანაკრები რ/ბ რგოლები დ=1000მმ.დ=1500მმ - 11 მეტრი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა..

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის გამართულად ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 07 ღონისძიებების უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2025 წლის გეგმა - 22,569.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 20,563.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობა, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლების ხელშეწყობა-პოპულარიზაცია; სხვადასხვა ჩატარებული ღონისძიებების სრული ტექნიკური გამართულობა; სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული ობიექტების (ძეგლები, მემორიალები, საფლავები) მოვლა-პატრონობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: შობა-ახალი წლის დღესასწაულების, საქართველოს

დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის აღსანიშნავი ღონისძიებების და „თბილისობა“ - 2025“-ის ფარგლებში გაწეული მომსახურებები; საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი-დემონტაჟი, ექსპლუატაცია და აღდგენის სამუშაოები; სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სახელმწიფო დროშების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დროშების და დაბრენდილი დროშების შესყიდვა; სახელმწიფო დროშების განთავსება, შეცვლა და ჩამოხსნა; საკონცერტო და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით, გახმოვანების პროფესიონალური და საკონცერტო აპარატურით, საჭირო ინვენტარით (მათ შორის მონიტორები, გენერატორი, გამათბობლები), სხვადასხვა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრიმიოროებით, კოშკებით, ბეგ-რაუნდის კონსტრუქციებით, სხვადასხვა კონსტრუქციების შეძენა/დამზადება/აღდგენა, სპეცეფექტებითა და მხატვრული ფოიერვერკით, სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი დეკორაციებით მომსახურება; სხვადასხვა კონსტრუქციების შესყიდვა, დამზადება-აღდგენა, ბანერების, სტიკერების, სადღესასწაულო, სარიტუალო ყვავილებისა და თაიგულებით მომსახურება; დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად კარვების მოწყობა-ალაგება, შეძენა და რეცხვის მომსახურება, შემზღუდავი ჯებირების მოწყობა-ალაგება, ბიოტუალეტებით მომსახურება, მარტივი ტიპის ჯებირების შეძენა და სხვა.

ასევე, განხორციელდა 9 მარტის ბაღში, მხატვრების სკვერში მდებარე მონუმენტური (ქანდაკების) „უცნობი მხატვრის“ იმავე სკვერის ტერიტორიაზე, ადგილმონაცვლეობისა და მისი პირვანდელი სახით აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები; სხვადასხვა მისამართზე მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი-განთავსების სამუშაოები, მათ შორის: პოეტის და საზოგადო მოღვაწის რეზო ამაშუკელის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; არქიტექტორის, ძველი თბილისის რეკონსტრუქცია - რეგენერაციის პროექტის ავტორის, პროფესორის, თბილისის საპატიო მოქალაქის გიგა (გიორგი) ბათიაშვილის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; მწერლის გურამ რჩეულიშვილის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; თეთრიწყაროს შესახ. N11, შენობის

ფასადზე დამონტაჟებული ღირსი ბერი გაბრიელ აღმსარებლისა და სალოსის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; ლევან კბილაშვილის ქ.N6 შენობის ფასადზე დამონტაჟებული მომღერალი შემსრულებელი და ეთნომუსიკოსის ლევან კბილაშვილის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; როდენის ქუჩა N4-ის შენობის ფასადძე აფხაზეთის გმირის, მორაგბეს და ქართული რაგბის დიდი გულშემატკივრის მიხეილ ქორიძის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; ილია ჭავჭავაძის გამზირი N27 შენობის ფასადზე დამონტაჟებული, ქართული ცეკვის დიდოსტატის და რესპუბლიკის სახალხო არტისტის ომარ მხეიძის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; სიმონ ჯანაშიას ქ.N7/ აკაკი შანიძის ქ.N6-ში მდებარე შენობის ფასადზე დამონტაჟებული, რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფ. ლევან (რეზო) მირცხულავას მემორიალური დაფის დამზადება-განთავსების სამუშაოები; საქართველოს სახალხო არტისტის ქეთევან კიკნაძის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; აკადემიკოს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ არჩილ ბეთანელის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; ანზორ ერქომაიშვილის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; ქართველი პოეტის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მარიამ აბრამიშვილის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; ალექსანდრე პუშკინის ქ. N 13-ის შენობის ფასადზე სომეხი მხატვრისა და მოქანდაკის ერვანდ ქოჩარის, მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; ღამბაშიძის ქ. N 3-ის შენობის მთავარი ფასადზე დამონტაჟებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწის, „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ერთერთი ლიდერის კონსტანტინე ანდრონიკაშვილის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; საოპერო მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ მედეა ამირანაშვილის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; საქართველოს დამსახურებული არტისტის, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტის მერაბ დონაძის, მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება; საქართველოს დამსახურებული მხატვრისა და უმაღლესი კატეგორიის ოპერატორის მიხეილ მედნიკოვის მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება;

ბავშვთა ქალაქ ''მზიურში'' მდებარე არქიტექტურულ - სკულპტურული კომპოზიციების ,,მზიურის კარიბჭე'' და ,,არლეკინი'', საკონცერტო დარბაზის (ფილარმონია) მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ქანდაკების ,,მუზა'' და მისი კვარცხლბეკის თბილისის საკრებულოს მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სკულპტურული კომპოზიციის ,,ფასკუნჯები'', ნიკოლოზ ბარათაშვილის არქიტექტურულ - მხატვრული კომპოზიციის (ქანდაკება) და კვარცხლბეკის, გიგა ლორთქიფანიძის სახელობის სკვერში (ივანე ჯავახიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე გიგა ლორთქიფანიძის არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის (ბიუსტი) და კვარცხლბეკის გაწმენდის, ხოლო მთაწმინდის პანთეონში აკაკი ხორავას, ვახტანგ ჭაბუკიანის, ვერიკო ანჯაფარიძის, უშანგი ჩხეიძის, სერგი ზაქარიაძის, იაკობ ნიკოლაძის, ჯანსუღ ჩარკვიანის და გალაქტიონ ტაბიძის არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციების (ბიუსტი) და მათი კვარცხლბეკის გაწმენდის, კოტე მარჯანიშვილის ბიუსტისა და კვარცხლბეკის გაწმენდის, ჩამოვარდნილი ფილის მიმაგრების, იოსებ გრიშაშვილის ბიუსტის კვარცხლბეკზე დაკარგული ასოების აღდგენის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებს არანაკლებ 15000 ადამიანი ესწრება, არანაკლებ 500 ცნობილი და დამწყები ხელოვანი იღებს მონაწილეობას, ხდება არანაკლებ 100 მცირე მეწარმის და სტარტაპერის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში, ღონისძიებებზე დამსწრე საზოგადოების რაოდენობის ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრე - 50 000 ადამიანი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო როგორც მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით, ასევე შემოსული პროექტების დიდი რაოდენობით.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სამსახურის მიერ ხდება არანაკლებ 150 სხვადასხვა ტიპის ღონისძიების და აქტივობის სრული ან ნაწილობრივი

ტექნიკური აღჭურვა (2024 წლის ფაქტი - 200 ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული 280 ღონისძიება ტექნიკურად სრულად გამართული იყო და შენარჩუნდა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო როგორც მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით, ასევე შემოსული პროექტების დიდი რაოდენობით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სამსახურის მიერ ხდება არანაკლებ 1 ახალი ძეგლის, 5 მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება, არანაკლებ 6 არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის ან/და კვარცხლბეკის გაწმენდითი სამუშაოები, აღდგენა-რესტავრაცია (2024 წლის ფაქტი - 8 მემორიალური დაფა, 2 ახალი ძეგლი (ბიუსტი), 2 ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები, 4 ძეგლის/კვარცხლბეკის გაწმენდითი სამუშაოები).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლები, მემორიალების დამზადება-განთავსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დამზადდა და განთავსდა 17 მემორიალური დაფა, განხორციელდა 3 ძეგლის აღდგენა/სარესტავრაციო სამუშაოები, 14 ძეგლის/კვარცხლბეკის გაწმენდითი სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალი ძეგლების და მონუმენტების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია მერიის მიერ გამოცხადებული ძეგლების საუკეთესო ესკიზების შესარჩევ კონკურსებზე, ხოლო მემორიალური დაფების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია შემოსული განაცხადებების რაოდენობაზე.

02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 111,847.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 116,912.9 ათასი ლარის 95.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების

საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 13,379.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,484.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 8,933.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 78.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობის, კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების შედეგად განახლებული, რეაბილიტირებული და მოვლილი ინფრასტრუქტურის ობიექტები და ქალაქის გალამაზებული იერსახე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურება; დედაქალაქის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები; ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟი): აბრები - 5 229 ცალი, დგარიანი მანიშნებელი - 50 ცალი, მანათობელი დგარიანი აბრები - 10 ცალი; დედაქალაქის მასშტაბით განხორციელდა კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები, მათ შორის: მოეწყო ბორდიურები - 340.9 გრძ/მ; ქვაფენილი/ფილა - 683.67 მ2; ლითონის მოაჯირები - 252.1 მ; პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 5216.16 კგ; ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით 7003.874 კგ; ლითონის ფურცლის მონტაჟი - 93029.34 კგ; საკაბელო კომინიკაციის მოწყობა - 6 350.82 მ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანა; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა და გამაგრება (მოეწყო 148314.12 კვ.მ ქვათაცვენის ბადეები); ქუჩის დასახელებებისა

და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი (აბრები - 5350 ც, დგარიანი მანიშნებელი - 60 ც, მანათობელი აბრები - 25 ც, ბიოგრაფიული დაფა - 20 ც); კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების მიზნით მოეწყო: 7379.89 კვ.მ ფილა/ქვაფენილი, ლითონის მოაჯირი - 16.15 მ, ლითონის ფურცლები - 108218.26 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება-მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 11017.33 კგ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 28780 კგ, ბორდიურები - 66.59 გრძ.მ, საკაბელო კომუნიკაცია - 24034.82 მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი: გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა 30000 კვ.მ-მდე ფილა/ქვაფენილი და 800 გრძ.მ-მდე ლითონის მოაჯირი, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა-გამაგრება (მოეწყობა 50300 კვ.მ დამცავი ბადეები) და ზედმეტი გრუნტისა და ნატანის გასუფთავება-გატანა და შედეგად ქვათაცვენისა და მეწყერული უბნების მდგომარეობის გაუმჯობესება-გასუფთავება, ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანა; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა და გამაგრება (მოეწყო 5241.55 კვ.მ ქვათაცვენის ბადეები); ქუჩის დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი (აბრები - 5 229 ც, დგარიანი მანიშნებელი - 50 ც, მანათობელი აბრები - 10 ც, ბიოგრაფიული დაფა - 2 ც); კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების მიზნით მოეწყო: 6085.97 კვ.მ ფილა/ქვაფენილი, ლითონის მოაჯირი - 323.5 მ, ლითონის ფურცლები - 112 462.32 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება-მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 18 135.19 კგ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 5 556.16 კგ, ბორდიურები - 1 105.36 გრძ.მ, საკაბელო კომუნიკაცია - 6 350.82 მ.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ

განსხვავებებზე - ბადეების მოწყობა ძირითადად განხორციელდა ანკერული მოწყობის მეთოდით, რაც კვადრატულობის თვალსაზრისით უფრო ნაკლები მოცულობის გახდა საჭირო, ხოლო ლითონის დეკორატიულ მოაჯირებს სამსახური ძირითადად იყენებს საზოგადოებრივი დანიშნულების ადგილებში, როგორიცაა საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების მიმდებარედ, რისი მონტაჟიც ხორციელდება სატრანსპორტო სამსახურის დაკვეთით.

02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური ინსპექცია

2025 წლის გეგმა - 400.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 338.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დემონტირებული და შემცირებული უკანონო მშენებლობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: შენობა-ნაგებობების მონოლითური გადახურვის დემონტაჟი - 399.62 კვ.მ, რკინა-ბეტონის საძირკვლის დემონტაჟი 402.61 კვ.მ, შენობა-ნაგებობების გადახურვის კონსტრუქციის დემონტაჟი - 1607 კვ.მ, მონოლითური ფილის დემონტაჟი - 1431.2 კვ.მ, შენობა-ნაგებობების რკინა-ბეტონის კედლების დემონტაჟი - 1224.6 კვ.მ, სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლის დემონტაჟი - 2931.2 კვ.მ, უსახური ჯიხურების, ნაგებობების, მარტივი ტიპის კონსტრუქციების დემონტაჟი - 5038.2 კვ.მ, მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების ღობეების დემონტაჟი - 2449 გრძ.მ, მიწის სამუშაოების ტექნიკით წარმოება 2002.8 კუბ.მ, დემონტაჟის შემდეგ წარმოდგენილი ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე - 1317კუბ.მ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება საშუალოდ 4200 კვ.მ. (2024 წლის ფაქტი - 6173.35 კვ.მ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება/შემცირება

მიღწეული მაჩვენებელი - სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდა 12631.8 კვ.მ.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა სამუშაოს მოცულობების გაზრდის აუცილებლობა, გაზრდოლი გეგმის შესაბამისად.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლის დემონტაჟი ხორციელდება საშუალოდ 4200 გრძ.მ. (2024 წლის ფაქტი - 1495.26 გრძ.მ.)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება/შემცირება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) და საკომუნიკაციო ქსელის დაშლა 2449 გრძ.მ.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა სამუშაოს მოცულობების გაზრდის აუცილებლობა, გაზრდოლი გეგმის შესაბამისად.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა საშუალოდ 1450კუბ.მ (2024 წლის ფაქტი - 1110 კუბ.მ.).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება/შემცირება

მიღწეული მაჩვენებელი - გატანილი და განთავსებული იქნა დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები 3319.8 კუბ.მ.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა სამუშაოს მოცულობების გაზრდის აუცილებლობა, გაზრდოლი გეგმის შესაბამისად, რამაც გამოიწვია წარმოქმნილი ნარჩენების ზარდა.

02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 8,696.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,515.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,979.7 ათასი ლარი), რაც

გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის, სხვლა-ფორმირების და დამუშავება-გატანის მომსახურება (დამუშავდა 2136 ხე-მცენარე); გამწვანებულ და დასასვენებელ ტერიტორიებზე სარწყავი სისტემებისა და სასმელი სოკოების მომსახურება; კანალიზაციის სისტემების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (17 ობიექტზე გაიწმინდა, 12 ობიექტზე შეკეთდა); საკანალიზაციო ქსელის სამუშაოები (1 მისამართი); სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშაოები (1 ობიექტი); სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (28 მისამართი); ახალი სპორტული მოედანის მოწყობის სამუშაოები (2 მისამართი); 2 ობიექტზე შესრულდა მრავალსართულიანი (4 სართულზე მეტი) საცხოვრებელი სახლის სადარბაზოების ავარიული აივნების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები; შესყიდულია (77 ცალი) საპარკე სკამი; საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები (5 ობიექტი); სკვერების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (88 მისამართი); სკვერების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები (მოეწყო 9 დიდი და 5 მცირე სკვერი); გლდანის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე პატარა ტბის მიმდებარედ არსებული წყალარინების ქსელის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელთან დაერთების სამუშაოები (553 გრძ.მ); ერთ მისამართზე განახლდა სათამაშო ატრაქციონი; მოეწყო 134 გრძ.მ უსაფრთხოების მოაჯირი (2 ობიექტი); ეკლესიის ფინანსური დახმარება (12 ეკლესია); დაფინანსდა 3 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები და სხვა. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები.

დაფარულია შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის 2.5%.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 8 დიდი და 4 მინი სკვერი, შეკეთდა 83 სკვერი და ერთ სკვერში განახლდა ატრაქციონი; დამონტაჟდა 35 საპარკე სკამი, 6 ფანჩატური და 8 ობიექტზე მოეწყო სპორტული ტრენაჟორი; სპორტული მოედანი მოეწყო 9 მისამართზე და შეკეთდა 20 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 8 დიდი და 5 მცირე სკვერი; 2 ახალი სპორტული მოედანი; დამონტაჟდება 100 საპარკე სკამი და 6 ფანჩატური. მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 82 არსებულ სკვერს და 35 -მდე სპორტულ მოედანს.

მიღწეული მაჩვენებელი - შეკეთდა 88 სკვერი, მოეწყო 9 დიდი და 5 მცირე სკვერი; ერთ მისამართზე განახლდა ატრაქციონი; დამონტაჟდა 77 ახალი საპარკე სკამი და 6 ფანჩატური; სპორტული მოედანი მოეწყო 2 მისამართზე და შეკეთდა 28 მისამართზე.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს 6 მისამართზე განხორციელდა კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები, მოეწყო 2491.3 გრძ.მ ახალი ქსელი; 8 ობიექტზე შეკეთდა 441 გრძ.მ არსებული საკანალიზაციო ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 2492 გრძ.მ ახალი და შეკეთდება 1360 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - 2 მისამართზე განხორციელდა კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები, მოეწყო 1880 გრძ.მ ახალი ქსელი; 16 ობიექტზე გაიწმინდა 12 ობიექტზე შეკეთდა 487.3 გრძ.მ არსებული საკანალიზაციო ქსელი; ერთ ობიექტზე მოეწყო 180 გ/მ სანიაღვრე კოლექტორი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს 6 მისამართზე მოეწყო საყრდენი კედელი კიბით (209.32 კუბ.მ), 2 ობიექტზე კიბე-ბილიკი (36.2 კუბ.მ), ხოლო შშმ პირებისთვის 4 მისამართზე მოეწყო ახალი ელექტრო პანდუსი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1108 კუბ.მ. საყრდენი კედელი და ბეტონის კიბე-ბილიკი.

მიღწეული მაჩვენებელი - 5 მისამართზე მოეწყო საყრდენი კედელი 358 კუბ.მ.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 4 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 15 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 3 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მოსახლეობის მხრიდან შემცირდა მომართვიანობა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 248845.3 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 1913 ხის გადაბელვა და სხვლა ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 20-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა, 248 845,3 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 2500-მდე ხის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 16 ძირი ხე-მცენარე, განხორციელდა 248 845,3 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, ასევე, 2136 ძირი ხის გადაბელვა და სხვლა ფორმირება.

02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 10,539.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,402.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 3,408.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და

მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების სხვლა-ფორმირების (4061 ძირი), მოჭრის (733 ძირი), კუნძების ამოძირკვის (63 ძირი), დაჭრა-დამუშავება-გატანის (1851 ძირი) სამუშაოები; დეკორატიული ხეების/ბუჩქების ნერგების დარგვა (191 ნერგი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობის სამუშაოები; სკვერებში არსებული შადრევნებისა და წყლის დეკორატიული ნიჟარების მოვლა-პატრონობის (მათ შორის კომუნალური) ხარჯები; გამაფრთხილებელი ნიშნების ბეჭდვითი მომსახურების (600 ცალი) ხარჯები; რაიონის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები (63 მისამართი); მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (1 მისამართი); სადრენაჟე ქსელის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (2 მისამართი); გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (11 მისამართი); დაფინანსდა 5 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები; წყალარინების ქსელის, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები (7 მისამართი); არსებული სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (29 მისამართი); სკვერის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები (6 მისამართი); შესყიდულია (280 ცალი) საპარკე სკამი; კიბეების მოწყობი სამუშაოები (10 მისამართი); ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (6 მისამართი); შშმ პირების გადასაადგილებლად საჭირო ელექტრო პანდუსები (6 ცალი), 12 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა (ესკიზებით) და საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები; გადახდილია, ერისთავის ქუჩის N28-30-ში მდებარე 4 სართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენაზე ექსპერტიზის დასკვნის შედგენის მომსახურების ხარჯი

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 2 ახალი სკვერი, არსებულ 72 სკვერს ჩაუტარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშოები ჩაუტარდა 10 სპორტულ მოედანს, მოეწყო კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონები (10 მისამართი), დამონტაჟებულია გარე გამოყენების ფიტნესის

ტრენაჟორები (7 კომპლექტი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 2 ახალი სკვერი, რეაბილიტირებული იქნება 1 სკვერი, მოეწყობა 15 ობიექტზე სპორტული მოედანი, 8 ობიექტზე - სპორტული ტრენაჟორი; 16 ობიექტზე საბავშვო ატრაქციონი.

მიღწეული მაჩვენებელი - სკვერის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები შესრულდა 6 ობიექტზე, არსებულ 29 სკვერს ჩაუტარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (6 მისამართი).

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს საკანალიზაციო, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 7 მისამართზე - 897 გრძ.მ. განხორციელდა შადრევნების მოვლა-პატრონობა (3 შადრევანი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 100 გ/მ სანიაღვრე ქსელი მოწყობა, განხორციელდება შადრევნების მოვლა-პატრონობა (7 შადრევანი).

მიღწეული მაჩვენებელი - საკანალიზაციო, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 7 მისამართზე - 1114.4 გრძ.მ. განხორციელდა შადრევნების მოვლა-პატრონობა (4 შადრევანი).

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 13 მისამართზე 1336.17 კუბ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 12 ობიექტზე 1586.25 კუბ.მ. ახლის მოწყობა, ხოლო ერთ მისამართზე საყრდენი კედლის 12.85 კვ.მ გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 11 მისამართზე 1360.6 კუბ.მ.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 4 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 5 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

5. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაირგო 130 ერთეული სხვადასხვა სახეობის

ბუჩქი და ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 34.65 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 3649 ძირი, გადაბელვა- 321 ძირი, მოჭრის - 689 ძირი, კუნძების ამოძირკვა- 15 ძირი, დაჭრა-დამუშავება-გატანა-288 ძირი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 200 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხის ნერგების შესყიდვა, 34.65 ჰექტარ ფართობზე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობა, 5000 ძირი ხის სხვლა-ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 191 ერთეული სხვადასხვა სახეობის ბუჩქი და ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 35.5 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 4061 ძირი, მოჭრის - 733 ძირი, კუნძების ამოძირკვა- 63 ძირი, დაჭრა-დამუშავება-გატანა-206 ძირი).

02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 9,464.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 100%-ით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,776.9 ათასი ლარი).

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების, კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის მომსახურება, წყლის სოკოების კომუნალური ხარჯები, არსებული სპორტული მოედნის შეკეთების სამუშაოები (22 მისამართი), ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), მოეწყო ახალი სკვერი (2 მისამართი); არსებული სკვერის აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (180

მისამართი), ახალი ლითონის დეკორატიული მოაჯირებისა და ბოძკინტების მოწყობის სამუშაოები, დაზიანებული შენობა ნაგებობების, აივნების, პარაპეტების დემონტაჟის/მონტაჟის, დროებითი გამაგრების, სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანის სამუშაოები (38 მისამართი), სამტრედიის ქუჩა N2ა-ში აფეთქების შედეგად დაზიანებული მრავალსართულიანი კორპუსის გამაგრების სამუშაოები, რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე ხანძრის შედეგად დაზიანებული კონსტრუქციების დემონტაჟი/ დასუფთავების ხარჯი, სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები (15 მისამართი), დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს. ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის ელექტროენერგიის და დროშის შესყიდვის ხარჯი, დაფინანსდა 1 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები, 8 ეკლესიის ფინანსური დახმარება და სხვა. გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, ექსპერტიზა/შემოწმების ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 179.9 ათასი ლარი, 2025 წლის 30 აპრილს, დიდუბის რაიონში, რკინიგზის ცენტრალური სადგურის ტერიტორიაზე (ბორჯომის ვაგზალი) გაჩენილი ძლიერი ხანძრის შედეგად, დაზიანებულ ტერიტორიაზე ჩასატარებელი სადემონტაჟო და დასუფთავების სამუშაოებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო სკვერები 86 მისამართზე, ხოლო ჩატარდა არსებული 79 სკვერის აღდგენა/შეკეთება; შეკეთდა არსებული 19 სპორტული მოედანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 17 სკვერი, 6 სპორტული მოედანი. მოეწყობა 1 ახალი სკვერი და 1 ახალი სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 22 მისამართზე არსებული სპორტული მოედნების შეკეტება, ახალი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები 1 მისამართი, მოეწყო ახალი სკვერი 2 მისამართზე, არსებული სკვერის აღდგენა-შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 180 მისამართზე.

2. საბაზისო მაჩვენებელი: 2024 წელს მოეწყო და შეკეთდა 10 მისამართზე 1099.70 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1879 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და შეკეთდა 10 მისამართზე 1608 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიის 53 ჰა გათიბვა (მწვანე საფარის მოვლა), 2000 ც. ხის ნერგის დარგვა, 2190 ხის ჭრა- ფორმირება 92024 წელს 59 ჰა ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 2400 ცალი ხე მცენარისა და ბუჩქის დარგვა, 2150 ხის სხვლა-ფორმირება..

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია გამწვანებული ტერიტორიის 53 ჰა გათიბვა (მწვანე საფარის მოვლა), 2000 ც. ხის ნერგის დარგვა, 2190 ხის ჭრა- ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 55 ჰა ტერიტორიის გათიბვა (მწვანე საფარის მოვლა), 2400 ცალი ხე მცენარისა და ბუჩქის დარგვა, 3650 ხის სხვლა-ფორმირება.

02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 6,775.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,700.9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 3,900.3 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები (64 მისამართი), საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები (34 მისამართი), დასასვენებელი პავილიონის (ფანჩატური) მოწყობის სამუშაოები (12 ერთეული), გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა, დამუშავება-გატანის სამუშაოები (941 ძირი ხე) და გამწვანებული ტერიტორიების

მოვლა-პატრონობა), სკვერებისა (47 მისამართი) და სპორტული მოედნების (15 მისამართი) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, ნ. ხუდადოვის №173, კორპუსი №4-ის მიმდებარედ (ს/კ N01.16.09.001.304) ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები, 12 მისამართზე არსებული დაზიანებული ფიტნეს-ტრენაჟორების დემონტაჟი და ახალი ტრენაჟორების შეძენა/მონტაჟის ხარჯები, 9 მისამართზე კიბე და ბილიკის მოწყობის სამუშაოები, ნინოშვილის ქ. N48/50-ში მდებარე შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები, 9 ძმის ქუჩა N11-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ძლიერი ხანძრის შედეგად დაზიანებული სახურავის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, მოაჯირების კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები (23 მისამართი), მარუაშვილის ქ.№50-ის (ნაკვეთი 13/003, ს/კ 01.16.02.013.004) ქუჩის მიმდებარედ არსებული სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის მოწყობის სამუშაოები, 100 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების (ბოწკინტები) შეძენა-მონტაჟის სამუშაოები, რაიონის ტერიტორიაზე გოცირიძის ქN33-ში, დ.აღმაშენებლის გამზირი N23-ში და კიევის ქ. N3-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოებში 683 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის შეკეთებითი სამუშაოები, მახათის აღმართის II შესახვევის 160 გრძ.მ სანიაღვრე ქსელის მოწყობის და ასხის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხის ცხაურების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, სანაგვე ურნების (10 ცალი) და საპარკე სკამების (35 ერთეული) შეძენა/მონტაჟი, გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხვიანება (3 ოჯახი), 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების, ესკიზური ნახაზების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები. ამასთან, გადახდილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების თანახმად, შპს „კონტრაქტორის“ სასარგებლოდ დაკისრებული - 32.8 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 2 ახალი სპორტული მოედანი და განხორციელდა 37 სკვერისა და 31 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1 ახალი სკვერი, 1 ახალი სპორტული მოედანი და 2 მისამართზე სპორტული ტრენაჟორი, განხორციელდება 52 სკვერის და 21

სტადიონის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 1 ახალი სკვერი, 1 ახალი სპორტული მოედანი, განხორციელდა 12 მისამართზე არსებულ ფიტნეს-ტრენაჟორების კაპიტალური რეაბილიტაცია (ჩანაცვლება). ასევე, 47 არსებული სკვერისა და 15 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მოსახლეობის გაზრდილი მომართვიანობიდან გამომდინარე პრიორიტეტად ჩაითვალა არსებული ფიტნეს ტრენაჟორების აღდგენა რეაბილიტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 27 მისამართზე ახალი საყრდენი კედელი 4716 კუბ.მ, მოეწყო სანიაღვრე ქსელი (250 გრძ.მ) და წყალსადენის ქსელი (110 გრძ.მ), განხორციელდა კანალიზაციის ქსელის (360 გრძ.მ) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 3651 კუბ.მ ახალი საყრდენი კედელი და 200 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი, შეკეთდება 118 გრძ.მ. წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 34 მისამართზე ახალი საყრდენი კედელი 3970 კუბ.მ, მოეწყო სანიაღვრე ქსელი (160 გრძ.მ) და განხორციელდა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის (683 გრძ.მ) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მომართვიანობის საფუძველზე და ადგილებზე ფაქტიური ვითარების გათვალისწინებით მოხდა შესაკეთებელი წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების მოცულობების გაზრდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა) უწევს 25000 კვ.მ გამწვანებულ ტერიტორიას, 2024 წელს დარგულია 50 ძირი ხე და განხორციელდა 1443 ძირი ხის გასხვლა - ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 50-მდე ძირის ხის დარგვა და 2000 ძირი ხის გასხვლა - ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 941 ძირი ხის მოჭრა/გასხვლა - ფორმირება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამგეობა ჩართული იყო რაიონის ტერიტორიაზე თბილისის მერიის მიერ ინიცირებულ მწვანე ნარგაობათა დარგვის ღონისძიებაში. შესაბამისად, დამატებით აღარ განხორციელდა ხეებისა და ბუჩქების დარგვა.

02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 9,958.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,956.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,938.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები (4949 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია (9 მისამართი) და არსებული სკვერების კაპიტალური შეკეთება (19 მისამართი), ხოლო მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთება (100 მისამართი), სპორტული მოედნის მოწყობა-რეაბილიტაცია (5 მისამართი), ხოლო მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთება (20 მისამართი), საპარკე სკამების შეძენა/მონტაჟი (233 ცალი), ნუცუბიძის N221-ს მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის და წყნეთში, საირმეს ქუჩა, N30,34-ის მიმდებარედ გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები (2 მისამართი - 636 კუბ.მ), ახალი ლიტონის ღობეების მოწყობის/სამონტაჟო სამუშაოები (22 მისამართი 625 გრძ.მ), კიბეების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები (5 მისამართი - 1022 კვ.მ), ნუცუბიძის მე-3 მ/რ, 1-ელი კვარტალი, კორპუსი N13-ის მიმდებარედ შშმ პირისათვის განკუთვნილი ინკლუზიური და ღია ადაპტირებული ლიფტის მოწყობა,

გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხვიანება (5 ოჯახი) და 15 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია ესკიზური ნახაზების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 1 ახალი სკვერი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 არსებულ სპორტულ მოედანს და 10 არსებულ სკვერს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - აღდგენა/რეაბილიტაცია ჩუტარდება 5 არსებულ სპორტულ მოედანს და 28 არსებულ სკვერს, ხოლო სკვერების და სპორტული მოედნების მიმდინარე/ფრაგმენტული შეკეთება განხორციელდება 120 მისამართზე.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 745 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 3 მისამართზე მოეწყო 550 კუბ.მ საყრდენი კედელი, 8 მისამართზე მოეწყო 1371 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 4 მისამართზე (1121.9 კვ.მ) განხორციელდა ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 22 მისამართზე 625 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 2 მისამართზე - 636 კუბ.მ საყრდენი კედელი, 5 მისამართზე (1022 კვ.მ) განხორციელდება ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 886218 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩაუტარდა 5050 ძირ ხეს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 4949-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 733362 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 14,141.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 13,999.9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 10,079.3 ათასი ლარი), რაც

გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვისა (4867 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), სკვერებში წყლისა და ელექტროენერგიის ხარჯები, მძიმე ტექნიკით გზის გაწმენდის სამუშაოები, არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაციის (12 მისამართი) და ფრაგმენტული (59 მისამართი) შეკეთების სამუშაოები, ახალი სკვერების მოწყობა (7 მისამართი), სპორტული მოედნების (22 მისამართი) მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, დეკორატიული ღობეების მოწყობის (22 მისამართი - 1467 გრძ.მ) და კოსტავას ქუჩა N70-ის მიმდებარედ ველოსიპედების სადგომების მოწყობა, სოფელ დიღომში თამარ მეფის მე-7 ჩიხის მიმდებარედ, ნაპირსამაგრი სამუშაოები, ფერდის დამჭერი კედლის (2 მისამართი) და კედლების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები (4 მისამართი), კიბის მოწყობის სამუშაოები (2 მისამართი), საპარკე სკამების (150 ცალი) და საპარკე ურნების (139 ცალი) შეძენა/მონტაჟი, 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის, ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები და დაფარულია 2024 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტიის მიზნით დაკავებული 2.5% - 4.0 ათასი ლარი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 121.8 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში, ფანასკერტელის ქუჩა N14-ში მდებარე ჯვართამაღლების სატაძრო კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული „წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის განათლების კერა“-ს შენობაში გათბობა-გაგრილების სისტემის მოსაწყობად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 4 ახალი სკვერი, განხორციელდა 4

მისამართზე სკვერისა და 7 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, 86 სკვერში და 10 სპორტულ მოედანზე დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 3 ახალი სკვერი და 1 ახალი სპორტული მოედანი, განხორციელდება 7 მისამართზე სკვერისა და 10 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, 130 სკვერში და 10 სპორტულ მოედანში მოხდება დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 7 ახალი სკვერი და 1 ახალი სპორტული მოედანი, განხორციელდა 12 მისამართზე სკვერისა და 21 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, ხოლო 59 სკვერში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა (ფრაგმენტული შეკეთება).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სკვერებში და სპორტულ მოედნებზე დაზიანებული ინვენტარის აღდგენის სამუშაოებზე მისამართების რაოდენობის ცვლილება გამოწვეულია, წლის განმავლობაში ერთი და იგივე მისამართებზე წარმოქმნილი ახალ-ახალი პრობლემების აღმოსაფხვრელად და აღდგენა რეაბილიტაციაზე (მეტი მომართვიანობა) გაწეული სამუშაოებიდან გამომდინარე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 4 მისამართზე 266 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 4 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 64 კვ.მ, მოეწყო 515 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 6 მისამართზე 1231 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 1 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 200 კვ.მ, მოეწყობა 1640 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 6 მისამართზე 654.73 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 2 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 232.28 კვ.მ, მოეწყო 22 მისამართზე 1427 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოწვეულია, იმით, რომ გასაკეთებელი ობიექტების მთლიანი ფართობების ნაცვლად, გაკეთდა მხოლოდ რკინა-ბეტონის სამუშაოები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 5067 ძირის სხვლა ფორმირება და 400000 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწყვა, გაფოცხვა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 4166-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 400000 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწყვა, გაფოცხვა).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 4867 ძირის სხვლა ფორმირება და 400000 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწყვა, გაფოცხვა).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სხვლა-ფორმირების სამუშაოების განხორციელებაზე სხვაობა გამოიწვია მეტმა მომართვიანობამ.

02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 10,299.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 9,964.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,335.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 96.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ავარიული ხეების გადაბელვა-გასხვლა და მოჭრა (2767 ძირი ავარიული ხე) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), მისამართი), საყრდენი კედლის მიმდინარე შეკეთება (1 მისამართი -280 კუბ.მ), სპორტული მოედნების (17 მისამართი) და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (58 მისამართი), დაზიანებული

შენობა-ნაგებობის კონსტუქციების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების (197 მისამართი). მათ შორის: არსებულ სკვერებში, სპორტულ და საბავშვო გასართობ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (35 მისამართი), მიხეილ აბრამიშვილის ქუჩა N37-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრება, სანიაღვრე ქსელების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები (1 მისამართი-250 გრძ.მ), დმანისის ქუჩა N14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ავარიული ნაწილის დემონტაჟი, ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის აღდგენა (1 მისამართი), ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები (6 მისამართი), სარწყავი სისტემის ცენტრალურ სისტემაზე დაერთების მომსახურების ხარჯები (3 მისამართი) გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხვიანება (8 ოჯახი) და 15 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის და ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 35 ახალი სკვერი და 16 ახალი სპორტული მოედანი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 25 სკვერს, მოეწყო 4 ერთეული ფანჩატური.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 39 სკვერი; მოეწყობა 7 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოწყობა-რეაბილიტაცია ჩაუტარდა 58 სკვერს და მოეწყო 17 ახალი სპორტული მოედანი, მოეწყო 6 ერთეული ფაჩატური.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არსებული განსხვავება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ და სამუშაოთა მოცულობის ზრდამ.

2.საბაზისო მაჩვენებელი – 2024 წელს რეაბილიტირებული იქნა 2 ერთეული (122 კუბ.მ) საყრდენი კედელი და ერთ მისამართზე 186 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 8 ერთეული (559 კუბ.მ) საყრდენი კედელი, მოეწყობა 2 ერთეული კიბე-პანდუსი, მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 100 გრძ/მ სანიაღვრე ქსელი, 250 გრძ.მ წყალსადენ-

კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული (შეკეთებული) იქნა 1 ერთეული (280 კუბ.მ) საყრდენი კედელი და ერთ მისამართზე 250 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებაზე ცვლილება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ, ხოლო კიბე-პანდუსის მოწყობაზე სხვაობა გამოიწვია მომართვიანობის არ არსებობამ.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 2489-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 125000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 4331 ძირის სხვლა-ფორმირება და 125000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 2767 ძირის სხვლა-ფორმირება და 125000კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სხვლა-ფორმირების სამუშაოებზე დაფიქსირდა ნაკლები მომართვიანობა.

02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 15,429.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 14,988.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 10,423.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების მოჭრა და ფორმირება;

გარდამავალი ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარეობს სკვერების (20 მისამართი) და სპორტული მოედნების (12 მისამართი) მოწყობის სამუშაოები; ხარჯი გაიწია სკვერების მოვლა-პატრონობაზე; დაფარულია სკვერში არსებული სათვალთვალო კამერების მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება; საკანალიზაციო ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯები (9 მისამართი); სანიაღვრე ქსელის მოწყობის ხარჯი (3 მისამართი); საყრდენი კედლის მოწყობის (უძოს ქუჩა 24-26-ის მიმდებარედ) სამუშაოები; ლილოს დასახლება 1 მ/რაიონი კორპუსი N12, სადარბაზო N6-ში მოეწყო ლიფტი, დაფინანსდა 3 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები; 20 ეკლესიის ფინანსური დახმარება და სხვა. ასევე, გაწეულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების და წინა წლებში შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის 2.5%. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 56.7 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 23 სკვერი და გრძელდება 4 სკვერის მოწყობის სამუშაოები, მოეწყო 15 სპორტული მოედანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 10 ახალი სკვერი და 12 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 20 სკვერი და 12 სპორტული მოედანი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო სანიაღვრე ქსელი 4 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 11 მისამართზე და წყალსადენის ქსელების 1 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდება 9 მისამართზე.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო სანიაღვრე ქსელი 3 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 9 მისამართზე.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 7 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით 8 სოციალურად დაუცველი ოჯახის

გაზიფიცირება

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 3 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 619055 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა და 3126 ძირი ხის სხვლა ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 505000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა და 3500 ძირი ხის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 744488 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 1680 ძირი ხის სხვლა ფორმირება, 842 მოიჭრა, 152 გადაიბელა და 497 ავარიულად წაქცეული ხე იქნა გატანილი.

02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 10,196.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,497.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,003.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 93.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები, მათ შორის: მიტოვებული სამშენებლო ნარჩენების სანქციონირებელ ნაგავსაყრელზე გადაყრა, გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების სხვლა-ფორმირება, მოჭრა-დამუშავება, გატანა (2183 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), ავარიული სახლების წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების სამუშაოები (33 მისამართი), საყრდენი კედლის მოწყობა (5 მისამართი -289 კუბ.მ), მორწყვისა და ნიჟარებიდან სასმელი წყლის ხარჯები, სკვერის (7 მისამართი) და სპორტული

მოედნის (1 მისამართი) მოწყობა, სკვერების და სტადიონების რეაბულიტაცია (5 მისამართი), სკვერების ფრაგმენტული შეკეთება (104 მისამართი), ზემო ფონიჭალაში კორპუსებს შორის არსებული მთავარი გზის დახურული სანიაღვრე ქსელის, რუსთაველის გზატკეცილი N6,10,12-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის და კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები (4 მისამართი -2070 გრძ.მ), დროებითი ღობეების მოწყობა/დემონტაჟი, შადრევნების და ელექტრობოლარდების ელექტროენერგიის ხარჯები, ხანძრის შედეგად დაზიანებულ ნ. (კარლო) ჩხეიძის ქ.N17-ში განთავსებული მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში აღდგენითი სამუშაოები (მათ შორის: შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, ამორტიზირებული ლიფტის დემონტაჟის და ახალი ლიფტის მოწყობის სამუშაოები), სკვერებში სარწყავი სისტემის მოსაწყობად წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის ქსელზე მიერთების სამუშაოები (9 მისამართი), გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხვიანება (1 ოჯახი) და 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და დაფარულია 2024 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტიის მიზნით დაკავებული 2.5% - 47.2 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 20 მისამართზე სკვერების მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთება და 4 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2 სკვერის რეაბილიტაცია და 10 მისამართზე არსებული სკვერებისა და სპორტული მოედნების ფრაგმენტული შეკეთება.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 7 ახალი სკვერი და 1 ახალი სპორტული მოედანი, 5 მისამართზე განხორციელდა არსებული სკვერებისა და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, ხოლო 104 მისამართზე - სკვერების ფრაგმენტული შეკეთება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ

განსხვავებებზე - განსხვავება გამოწვეულია მოსახლეობიდან შემოსული განცხადებებით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 425 გრძ/მ სანიაღვრე და 38 გრძ.მ წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია, ხოლო 388 კუბ.მ. საყრდენი კედლის მოწყობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1300 გრძ/მ სანიაღვრე და 5700 გრძ/მ საკანალიზაციო ქსელი, საყრდენი კედელის მოწყობა - რეაბილიტაცია განხორციელდება 280 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 2070 გრძ/მ სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, ხოლო 5 მისამართზე 289 კუბ.მ. საყრდენი კედლის მოწყობა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოიწვია მოცულობითი სამუშაოების და საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 1777-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 50000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2685-მდე ძირის სხვლა ფორმირება, მოჭრა-დამუშავება, გატანა და 58000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 2183 ძირის სხვლა ფორმირება, მოჭრა-დამუშავება, გატანა და 58000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სხვლა-ფორმირებისა და მოჭრის სამუშაოებზე დაფიქსირდა ნაკლები მომართვიანობა.

02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 7,633.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,534.3 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,040.0 ათასი ლარი), რაც

გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ტაბახმელაში, თრიალეთის ქუჩა N2-ში დასრულდა 2023 წელს დაწყებული სპორტული კომპლექსის მოწყობის სამუშაოები; სპორტული მოედნების (16 მისამართი) შეკეთების სამუშაოები; თრიალეთის ქუჩა N2-ში 2 პადელის (სპორტული მოედნის) მოწყობის სამუშაოები; სკვერების (55 მისამართი) შეკეთების სამუშაოები; გიორგი ლეონიძის ქუჩა N11ა-ში მდებარე სკვერის (ე.წ. „სტელას ბაღი“) რეაბილიტაციის სამუშაოები; გამწვანებული ტერიტორიების მოვლის და ხეების სხვლა-ფორმირება; გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები (5 მისამართი); შადრევან-აუზების და სასმელი წყლის ნიჟარების ექსპლუატაცია და მოვლა-პატრონობაზე; წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების მოწყობის, აღდგენა-შეკეთება-რეაბილიტაციის და საკანალიზაციო მილების გაწმენდის სამუშაოები (20 მისამართი); საბაღე სკამების რესტავრირება/აღდგენის სამუშაოები (98 ერთეული); 13 ეკლესიას ნაწილობრივ დაუფინანსდა სამშენებლო სამუშაოები; დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, შენობების გამაგრების, ავარიული ელემენტების შეკეთების, ტერიტორიის შემოღობვის, სამშენებლო ნაგვისა და გრუნტის გატანის (58 მისამართი) სამუშაოები; ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელის მოწყობის სამუშაოები; გადახდილი იქნა ტაბახმელაში, თრიალეთის ქუჩა N2 სპორტული კომპლექსის გაზმომარაგების გამრიცხველიანების საფასური და სხვა. ასევე, გაწეულია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების, დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს რეაბილიტირებული იქნა ერთი სკვერი, 27 სკვერში ჩატარდა ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები, გაგრძელდა დიდი სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 3 სკვერი, დასრულდება 1 სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოები, რეაბილიტირებული იქნება 1 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნა ერთი სკვერი, დასრულდა 1 სპორტული კომპლექსის მშენებლობის სამუშაოები; რეაბილიტირებული იქნა 1 სპორტული მოედანი; სპორტული მოედნის შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 16 მისამართზე და სკვერების შეკეთების სამუშაოები 55 მისამართზე.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შეკეთდა 2048.8 გრძ.მ წყალ-კანალიზაციის ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეკეთდება 987 გრძ.მ. წყალკანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - შეკეთდა 1083.7 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო და შეკეთდა 305.1 კუბ.მ კედელი და 1880 კვ.მ. კედელი და კიბე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 171 კუბ.მ საყრდენი კედელი

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და შეკეთდა 429.73 კუბ.მ კედელი.

4. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა), 2024 წელს განხორციელდა 2600-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა და 150 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2600-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა და 150 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

2025 წლის გეგმა - 73,585.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 34,514.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 22,993.0 ათასი ლარი, ხოლო

სხვა კაპიტალური გრანტები 610.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 46.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა, უძრავი ქონების ღირებულების ზრდა, პროექტირების მიმართულება, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“(ADB) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში გადახდილი დღგ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 446.2 ათასი ლარი). გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე:

ფონდზე რიცხული ობიექტების დაცვით უზრუნველყოფის ხარჯები, ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) და მასთან დაკავშირებული თანმდევი ხარჯები (სულ გამოყვანილია სიით 294 ოჯახი, მათ შორის: გუდიაშვილის მოედანზე არსებული სახლებიდან - 20 ოჯახი, ერეკლე მეორის მოედნის N6-7-დან - 8 ოჯახი, წინამძღვრიშვილის ქუჩა N1-დან - 73 ოჯახი, ჯავახიშვილის ქუჩა N14-დან - 3 ოჯახი, დადიანის ქუჩა N16- დან - 10 ოჯახი, თაბუკაშვილის ქუჩა N46-დან - 21 ოჯახი, ლაღიძის ქუჩა N2-დან - 52 ოჯახი, ფიროსმანის N29 – 47 ოჯახი, სულხან - საბას ქუჩა N5 – 50 ოჯახი, სხვადასხვა ობიექტებიდან - 10 ოჯახი), ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის ნივთების გადაზიდვა დაცულ საწყობში (სულ განხორციელდა 840 რეისი) სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში თანმდევი ხარჯები.

ცხრილში წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) მიზნით, ბინებიდან გამოყვანილი ოჯახების რაოდენობა

N	მისამართი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	აბესაძის ქუჩა	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
2	აბო თბილელის ქუჩა	11	11	11	11	11	11	11	11	11	11	11	11

3	ბოტანიკური	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
4	გოგირდის შესახვევი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
5	ერეკლე მეორეს მოედანი	8	8	8	8	8	8	7	7	7	8	8	8
6	დადიანის ქუჩა N16	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10
7	კოტე მესხის შეს. N3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
8	ორბელიანის ქუჩა	0	0										
9	საიათნოვას ქუჩა	1	1	1	1	1	1	1					
10	სამღებროს ქუჩა	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
11	წინამძღვრიშვილის ქუჩა	73	73	73	73	73	73	72	71	72	72	72	72
12	ჯავახიშვილის ქუჩა	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
13	თაბუკაშვილის ქუჩა N46	21	21	21	21	21	21	21	21	21	21	21	21
14	ლაღიძის ქუჩა N2	52	52	52	52	52	52	51	51	52	52	52	52
15	ნ. ფიროსმანის ქუჩა N29	38	38	46	46	46	46	45	46	46	46	46	47
16	სულხან - საბას ქუჩა N5									6	25	40	50
	ჯამი	**235**	**235**	**243**	**243**	**243**	**243**	**239**	**238**	**246**	**266**	**281**	**292**

კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში განხორციელებულია შემდეგი სამუშაოები, მათ შორის:

საპროექტო სამუშაოები განხორციელდა რუსთაველის და კოსტავას გამზირზე მდებარე სახლების (30 ერთეული) მხატვრული მინათების პროექტირების სამუშაოები, კოსტავას N37ა-ში მდებარე თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის შენობა-ნაგებობის ფასადის და ღირებული ელემენტების მხატვრული მინათების პროექტირების სამუშაოები; პ. ინგოროყვას ქ. N16, N18 და N20 -ში; დ. ჭონქაძის ქ.N12-ში; ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ.N21 (ქორწინების სასახლე); დავით აღმაშენებლის გამზირი N103 (არტოს ბაღი); მ. კოსტავას ქუჩა N6, N8, N10, N12 მდებარე შენობა-ნაგებობების ფასადებისა და ნაწილობრივ დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები; სიონის ტაძრის სახურავის ბურულის ცვლილებისა და სიონის ტაძრის დასავლეთით მდგარი სამრეკლოს სახურავის ბურულის აღდგენის საპროექტო სამუშაოები და სხვა ობიექტები;

მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში დაიწყო სულხან-საბა-ინგოროყვას ქუჩების საკომუნიკაციო და სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, კოსტავას N37ა-ში მდებარე თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, გრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები: წინამძღვრიშვილის N1-ზე (დასრულების ეტაპი), ნარიყალას ციხის, ნიკო ფიროსმანის N29, კადეტთა კორპუსი თაბუკაშვილის N46 და სხვა სარეაბილიტაციო ობიექტებზე, ხოლო დასრულდა მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის რეაბილიტაციის ბოლო ეტაპის სამუშაოები;

გარდა ამისა, საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის, 2019 წლის 9 დეკემბერს №6024-GEO და 2021 წლის 10 დეკემბერს №4134-GEO გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების თანახმად, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში სულ გაწეულია 1,111.8 ათასი ლარი (მათ შორის სხვა კაპიტალური გრანტები - 603.1 ათასი ლარი, 6024-GEO ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურებისათვის (მათ შორის აუდიტორული მომსახურება - 14.6 ათასი ლარი, საკონსულტაციო მომსახურება (ლონდონის პარკის სუპერბლოკების დეტალური დიზაინის პროექტი და სატრანსპორტო სისტემის მონაცემების განახლება) – 206.3 ათასი ლარი, დიღმის ჭალების აღდგენა/განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება - 36.6 ათასი ლარი, მეტროს სადგურების (ახმეტელი) ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება - 45.7 ათასი ლარი) გადახდილი დღგ - 303.2 ათასი ლარი და 4134-GEO ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურებისათვის (მათ შორის საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების (შუქნიშნები) შეძენა/ინსტალაცია - 205.9 ათასი ლარი, აუდიტორული მომსახურება - 3.2 ათასი ლარი) გადახდილი დღგ - 209.1 ათასი ლარი, ხოლო 447.4 ათასი ლარი (მათ შორის სხვა კაპიტალური გრანტები - 90.7 ათასი ლარი) - პროექტების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში ინდივიდუალურ კონსულტანტებზე გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო 107 საცხოვრებელი სახლი (მათ შორის 97 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თანმდევი ქუჩების, რეკრეაციული ზონების და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით (2024 წლის ფაქტი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 23 საცხოვრებელ სახლს (მათ შორის 18 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, ერთ არასაცხოვრებელი ფართს).

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 53 საცხოვრებელ სახლს (მ.შ. 40 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი), 3 არასაცხოვრებელ ფართს.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 საცხოვრებელ სახლს (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) და ერთ არასაცხოვრებელ ფართს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შეუსრულებლობა გამოწვეულია ერთის მხრივ არ შემდგარი ტენდერებით, ხოლო მეორეს მხრივ დაგეგმილ სამუშაოებზე, კერძოდ, სახლებზე გაიზარდა შესრულების ვადები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სარეაბილიტაციო არეალში საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს 6000-6500 ლარი, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1კვ.მ ღირებულება 7500-8000 ლარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ხელშეკრულებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას, შესაბამისად ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით მოხდება დღგ-ს გადახდა (მათ შორის 2024 წელს გადახდილია საკონსულტაციო, აუდიტორული, საპროექტო/სტრატეგიული დოკუმენტაციის შემუშავების, საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების (შუქნიშნები) შეძენა და ინსტალაციის, მეტროს სადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და დეტალური დიზაინის მომზადების პროექტის მომსახურებისათვის გადასახდელი დღგ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით გადახდილი დღგ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა საკონსულტაციო, აუდიტორული, საპროექტო/სტრატეგიული დოკუმენტაციის შემუშავების, საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების (შუქნიშნები) შეძენა და ინსტალაციის, მეტროს სადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და დეტალური დიზაინის მომზადების პროექტის მომსახურებისათვის გადასახდელი დღგ-ს ფარგლებში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება სასესხო ხელშეკრულების (N6024-GEO) ფარგლებში გამოწვეული იყო მეტროს ტექნიკურ ეკონომიკური კვლევის მიმდინარე პროექტის დაბალი ტემპით, რაც გამოწვეულია კონტრაქტორის მხრიდან ანგარიშების დაგვიანებით მოწოდებასთან. აღნიშნული პროექტი მიმდინარეა (მოხდა ვადის გახანგძლივება) და სავარაუდო დასრულების თარიღია 2026 წლის მეორე კვარტალი, ხოლო სასესხო ხელშეკრულების (N4134-GEO) ფარგლებში დაგეგმილი იყო არსებული მეტროსადგურების რეკონსტრუქციის სამშენებლო სამუშაოების დაწყება, რომელიც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნული ტექნიკურ ეკონომიკური კვლევის დასრულებაზე.

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამა „ახალი ტფილისის“ფარგლებში მიმდინარეობს 52 საცხოვრებელი სახლის (მათ შორის 40 მემკვიდრეობის ძეგლი) და არასაცხოვრებელი 2 ობიექტის პროექტირების სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საცხოვრებელი სახლების (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები), სადარბაზოების, მუზეუმების რეაბილიტაციის მიზნით შემუშავებული პროექტები.

მიღწეული მაჩვენებელი - გრძელდება მრავალწლიან ობიექტებზე საპროექტო სამუშაოები, მათ შორის მიმდინარეობს 3 საცხოვრებელი სახლის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) და არასაცხოვრებელი 3 ობიექტის პროექტირების სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ

განსხვავებებზე - გაიზარდა სარეაბილიტაციო არეალი, რამაც გამოიწვია საპროექტო მომსახურების შესყიდვა 42 ობიექტზე. კერძოდ, სულხან-საბა-ინგოროყვას, რუსთაველის და კოსტავას ქუჩებზე.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აღნიშნული გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: შეწყდა ჭადრაკის სასახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სულხან-საბა ინგოროყვას მიმართებით არ შედგა ტენდერები. ასევე, რეაბილიტაციის დროს წარმოშობილი სხვადასხვა მიზეზის (მოცულობების გაზრდა, ვადის გაზრდა და სხვა) გამო კადეტთა კორპუსი თაბუკაშვილის N46-ზე, ნარიყალას ციხეზე, ნიკო ფიროსმანის N29-ზე აუთვისებელი თანხები ნაწილობრივ გადავიდა 2026 წლის ბიუჯეტში გარდამავალი ნაშთის ასახვის დროს.

02 12 ავარიული სახლების ჩანაცვლება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი, სამგორის რაიონის გამგეობა; საბურთალოს რაიონის გამგეობა; სსიპ ქონების მართვის სააგენტო

2025 წლის გეგმა - 30,550.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,877.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 6,597.3 ათასი ლარი), რაც გეგმის 29.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ძველი შენობების ახლით ჩანაცვლება (რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები), ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ბინის მფლობელების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

თბილისის განვითარების ფონდის მიერ ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გაწეულია 6,604.8 ათასი ლარი. დასრულდა სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12, მდებარე 1295 კვ.მ

მიწის ნაკვეთზე (ს/ნ01.19.20.024.030) არსებული 4 სართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები (პროექტის ღირებულება - 6,771.8 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი - 971.7 ათასი ლარი), ხოლო სამშენებლო და პროექტის ზედამხედველობის სამუშაოები მიმდინარეობს - 5 ობიექტზე, რომელიც ხორციელდება კერძო სექტორის ჩართულობით და მხარდაჭერით: კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე 1091 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ01.19.20.017.008) არსებული 4 სართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები (პროექტის ღირებულება - 7,764.8 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი - 1,535.7 ათასი ლარი); დავით გამრეკელის ქუჩა შესახვევი I, N6 მდებარე 1100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ01.10.14.031.021) არსებული 4 სართულიანი ავარიული საცხოვრებელი კორპუსის ნაცვლად ახალი 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები (პროექტის ღირებულება - 6,470.6 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი - 1,456.6 ათასი ლარი); ვარკეთილის დასახლება მე-3 მასივი, მე-4 კვარტალი, კორპუსი N6-ში (ს/კ: 01.19.20.023.007) მდებარე 4 სართულიანი ავარიული სახლის დემონტაჟის, მის ადგილას ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობასა და სხვადასხვა სახის დამხმარე ხასიათის სამშენებლო სამუშაოები) სამუშაოები (პროექტის ღირებულება 9,180.4 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი 4,052.0 ათასი ლარი); ვარკეთილის დასახლებაში მე-3 მასივი, მე-10 კვარტალი, კორპუს N9-ში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.19.20.028.013) მდებარე ავარიული სახლის დემონტაჟის, მის ადგილას ახალი და მდგრადი შენობა-ნაგებობის განთავსების სამშენებლო სამუშაოები (ღირებულება 10,557.0 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი 5,436.2 ათასი ლარი); შუამთის ქუჩა N40ა-ში მდებარე 1524 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: N01.19.20.022.025) 11 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოების, მიწის ნაკვეთზე არსებული ნარგავების მოჭრის, გადარგვისა და საკომპენსაციო

რგვის განხორციელების, მიწაზე არსებული წყალარინების ქსელის გადატანის სამშენებლო სამუშაოები (ღირებულება 12,411.5 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი 4,239.2 ათასი ლარი). გარდა ამისა, გაწეულია ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ერთ მოქალაქეზე ყოველთვიური (625 ლარი თვეში) ფულადი კომპენსაცია - 7.5 ათასი ლარი.

ამასთან, მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები 17 ობიექტზე: ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი III, სახლი მილიციის N1; ჭიჭინაძის ქუჩა N14; ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი III, კორპუსი „გ“; მეტეხის ქუჩა N14; ვარკეთილი-3, მიკრო/რაიონი III, კორპუსი N304ა; დიღმის მასივი, I კვარტალი, კორპუსი 14ა, გრ. რობაქიძის გამზ N7-ის მიმდებარედ; ნაგომარის ქუჩა N47; მოსკოვის გამზირი, კომპლექსი 1, კორპუსი N4; მუხრანის ქუჩა N 9ბ; ვარკეთილი, მასივი III, კვარტალი I, კორპუსი 2; ჩარგლის ქუჩა N50-ა; ელდარის ქუჩა N8ა; ბოგდან ხმელნიცკის I შესახვევი N6; ხომლელის ქუჩა, კორპუსი 4ა; დმანისის ქუჩა N17-ში; შუამთის ქ.N48; არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩის II შესახვევი N9, რომელთა დასრულების შემდეგ დაიწყება აღნიშნული ობიექტების სარეაბილიტაციო - სამშენებლო სამუშაოები, ხოლო საპროექტო ორგანიზაციის მიერ გაწეული საავტორო ზედამხედველობა მშენებლობის მიმდინარეობის პროცესში გრძელდება 7 ობიექტზე: დავით გამრეკელის ქუჩა შესახვევი I, N6; ვარკეთილის დასახლება მე-3 მასივი, მე-4 კვარტალი; კალოუბნის ქუჩა N18; ვარკეთილის დასახლება მე-3 მასივი, მე-10 კვარტალი; ფერისცვალების ქ.N6,8,10;

ბინის ქირის კომპენსაციის გაცემა სამგორის რაიონში - 1,402.8 ათასი ლარი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილების დანართის, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაწეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, ავარიული სახლის ადგილას ახალი შენობა-ნაგებობის აშენების, ექსპლუატაციაში მიღების და შესაბამისი ფართის გადაცემამდე, დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის

მიზნით, ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან (1 ოჯახი, ხოლო მიმდინარე წლის მაისის თვიდან შეწყდა III მასივი VII კვარტალი კორპუსი 12-დან (24 ოჯახი) ბინის ქირა მათი ახალაშენებულ კორპუსში შესახლების გამო), X კვარტალის IX კორპუსიდან (44 ოჯახი), კალოუბნის 18 კორპუსიდან (27 ოჯახი) და III მასივი IV კვარტალი 6 კორპუსიდან (35 ოჯახი) გამოყვანილი სულ 107 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველყოფის ხარჯები;

ბინის ქირის კომპენსაციის გაცემა საბურთალოს რაიონში - 870.3 ათასი ლარი, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის მიზნით, დავით გამრეკელის შესახვევი N6 კორპუსიდან გამოყვანილ 17 მოქალაქეზე და ვაშლიჯვარი, არზაყან ემხვარის ქ. N2, შესახვევი N9-ში მდებარე კორპუსიდან გამოყვანილ 53 მოქალაქეზე გაიცა ბინის ქირის კომპენსაცია 846.3 ათასი ლარი, ხოლო ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია გაიცა 4 მოქალაქეზე - 24.0 ათასი ლარი;

ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტი - გეგმა განსაზღვრულია 2,200.0 ათასი ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ რემონტის ხარჯების ოდენობა დამოკიდებულია ამ მიზნით მუნიციპალიტეტის შესაბამისი გამგეობების წერილობითი მომართვისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე, რასაც მიმდინარე პერიოდში ადგილი არ ქონია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ქალაქის მასშტაბით საჭიროა ძველი საცხოვრებელი კორპუსების ახლით ჩანაცვლება, თანმდევი ქუჩებით, რეკრეაციული ზონებით და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება ერთი ობიექტის მშენებლობის სამუშაოები, გრძელდება 4 კორპუსის და დაიწყება 2 კორპუსის მშენებლობა, ხოლო პროექტირების სამუშაოები დაიწყება 10 ობიექტზე და გრძელდება 13 ობიექტზე.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა ერთი და მიმდინარეობს 5 ჩასანაცვლებელი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის სამუშაოები, პროექტირების სამუშაოები მიმდინარეობს - 17 ობიექტზე, ხოლო პროექტის ზედამხედველობის სამუშაოები

გრძელდება 7 ობიექტზე.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეულია ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაგეგმილ სამუშაოებზე შესრულების ვადების გაზრდით, საპროექტო მომსახურებების დაუსრულებლობით, მაცხოვრებელთა მოლაპარაკების პროცესის გაჭიანურებით და კერძო სექტორის ინტერესის ნაკლებობით. ამასთან, შუამთის ქუჩა N38ა-ში და ჩარგალის N50ა-ში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე არ შედგა ტენდერები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, სამგორის რაიონში ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან, X კვარტალის IX კორპუსიდან, კალოუბნის 18 კორპუსიდან და III მასივი IV კვარტალი N6 კორპუსიდან გამოყვანილი სულ 131 ოჯახი, ხოლო საბურთალოს რაიონში დავით გამრეკელის შესახვევი N6 კორპუსიდან და ვაშლიჯვარი, არზაყან ემხვარის ქ. N2, შესახვევი N9-ში მდებარე კორპუსიდან გამოყვანილი სულ 74 ოჯახი უზრუნველყოფილია ბინის ქირით/ფულადი კომპენსაციით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში გამოყვანილი ბინის მფლობელების უზრუნველყოფა ბინის ქირით.

მიღწეული მაჩვენებელი - ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან, X კვარტალის IX კორპუსიდან, კალოუბნის 18 კორპუსიდან და III მასივი IV კვარტალი N6 კორპუსიდან გამოყვანილი სულ 131 ოჯახი, ხოლო საბურთალოს რაიონში დავით გამრეკელის შესახვევი N6 კორპუსიდან და ვაშლიჯვარი, არზაყან ემხვარის ქ. N2, შესახვევი N9-ში მდებარე კორპუსიდან გამოყვანილი სულ 74 ოჯახი უზრუნველყოფილია ბინის ქირით/ფულადი კომპენსაციით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადაცემული უძრავი ქონების რემონტის (1 კვ.მ-ზე - 286 ლარი) ხარჯები აუნაზღაურდა 7 ოჯახს (დაახლოებით 475 კვ.მ).


დაგეგმილი მაჩვენებელი - ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადაცემული უძრავი ქონების რემონტის (1 კვ.მ-ზე - 286 ლარი) ხარჯების ანაზღაურება (დაახლოებით 6294 კვ/მ ბინის ფართის რემონტი) შესაბამისი

გამგეობის წერილობითი მომართვისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე.


მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა ძირითადათ გამოწვეულია ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის ნაწილში შუამთის ქუჩა N38ა-ში და ჩარგალის N50ა-ში არ შემდგარი ტენდერებით. ასევე, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა მოლაპარაკების პროცესის გაჭიანურებით, საპროექტო მომსახურებების დაუსრულებლობით, მშენებლობის პროცესის დაგეგმილ სამუშაოებზე შესრულების ვადების გაზრდით და კერძო სექტორის ინტერესის ნაკლებობით. ასევე, გადასაცემი უძრავი ქონების რემონტის ნაწილში, რომელიც ანაზღაურდება შესაბამისი გამგეობის წერილობითი მომართვისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე. შესაბამისად, 2025 წელს არ დაფიქსირდა მომართვიანობა.


- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება**



ათასი ლარი



	დასუფთავების ღონისძიებები	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია	გამწვანების ღონისძიებები
2023 წლის ფაქტი	140,067.4	12,030.9	0.0	97,941.3
2024 წლის ფაქტი	176,842.2	12,401.4	5,433.1	94,674.0
2025 წლის ფაქტი	135,407.8	15,060.8	34,822.1	91,190.3



03 01 გამწვანების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 96,994.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 91,190.3 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 27,880.3 ათასი ლარი), რაც გეგმის 94%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობისათვის ჯანსაღი და ხელსაყრელი საცხოვრებელი/ დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოსაჭრელად მოინიშნა და მოიჭრა 26 570 ხმელი და ხმობადი ხე. ამოღებულ იქნა 8 კუნძი. ჭრები განხორციელდა თბილისის ცენტრალურ უბნებში, წყნეთის გზატკეცილზე, ვალიკო ჯუღელის გზატკეცილზე, იუნკერთა ქუჩაზე (კოჯორი); წავკისის მიმდებარედ (ნახანძრალი ტერიტორია), წყნეთის ტყეპარკში, თბილისის ზღვის მიმდებარედ;

თბილისის მასშტაბით გამწვანების თარგებში შეტანილია 30 116 კუბ.მ. ნოყიერი მიწა; მოჭრილი და გატანილ იქნა 7 822 კუბ.მ. სტრუქტურადარღვეული მიწის საფარი, ასფალტის საფარი და ინერტული მასა; მოიჭრა და ერთ ნიშნულზე მოსწორდა 37 620 კვ.მ. ფართობი; სხვადასხვა მისამართებზე დაიგო 33 261 კვ.მ. რულონური გაზონი; ჰიდროთესვის პრინციპით გამწვანების თარგებში დაითესა 157 713 კვ.მ. ბალახი; დაირგო 300 960 ცალი სეზონური ყვავილი; რატევანის ქუჩის მიმდებარედ, ტყის გაშენების პროექტის ფარგლებში, 10.88 ჰა ფართობზე დაირგო 10 170 სხვა და სხვა სახეობის ნერგი;

განხორციელდა წინა წლებში დარგული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ჯამების მოწყობა): ლისის ტბის მიმდებარე ფართობზე (16 ჰა, 16 776 ნერგი); ხუდადოვის ტყის ტერიტორიაზე (15 ჰა, 14 426 ნერგი) და ზარაშვილის მიმდებარედ არსებულ ფართობზე (18 ჰა, 13 579 ნერგი). სულ მოვლა-პატრონობა ჩაუტარდა 44 781 ნერგს; მიმდინარე პერიოდში შესყიდულ იქნა (განთავსდა სანერგეში) 93 452 მცენარე (მათ შორის: 12 122 ხე და 81 330 დეკორატიული ბუჩქი);

სარწყავი სისტემა მოეწყო 18 ობიექტზე, მათ შორის: კოსტავას ქ. N63-ის მიმდებარედ; გმირთა მოედანზე არსებული გამწვანებული თარგები; ბოგ უოლშის ქ. N25; ლაგუნა ვერეს მიმდებარედ არსებული თარგები; გახოკიძის ქუჩაზე არსებული თარგები; თამარაშვილის ქუჩის შუა გამყოფი ზოლი; ზღვის უბნის დასახლება (ე.წ თემქის ხევის პარკი); დემეტრე თავდადებულის ქუჩა N26 მიმდებარედ; ვარკეთილის IV მიკრო (სკ 01.19.39.001.085); გახოკიძის ქუჩისა და კახეთის გზატკეცილის კვეთზე არსებული თარგები; ხუდადოვის ტყის ტერიტორია; ვარკეთილის მეურნეობა (სკ 81.08.28.978); მზიურის პარკში (სკ 01.14.1.005.170); ლევან ალექსიძის N7 ის მიმდებარედ; ვაზისუბნის დასახლება მე-8 კორპუსის მიმდებარედ; რატევანის ქუჩის მიმდებარედ ტყის გაშენების პროექტის ფარგლებში (სკ 01.12.1.10.001.231); უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (სკ 01.14.04.028.060; სკ 01.14.04.030.043); ალექსიძის ქუჩის N1-3 მიმდებარედ;

503 ერთეული დეკორატიული ნაგვის ურნა განთავსდა შემდეგ ლოკაციებზე: ევროპის ქუჩა (პოლიციის მიმდებარედ) (01.19.30.001.182) - 3 ერთეული;

ვაზისუბნის დასახლება N3 მიმდებარედ (01.17.10.002.368) - 2 ერთეული; მოსკოვის გამზირი N36 კორპუსის მიმდებარედ (01.19.34.003.007) - 2 ერთეული; ქ.თბილისის ცირკის მიმდებარედ (01.15.03.001.018) - 12 ერთეული; ბუკიას ბაღი (01.10.17.004.138) - 19 ერთეული; წერეთლის გამზირი N115, პოლიციის მიმდებარედ (01.13.06.001.002) - 3 ერთეული; გლდანის მე-8 მ/რ 29 კორპუსის მიმდებარედ (01.11.10.001.002) - 1 ერთეული; ორბელიანის სახელობის სკვერი (01.15.04.022.009) - 12 ერთეული; ევროპის ქუჩა (პოლიციის მიმდებარედ) (01.19.30.001.182) - 2 ერთეული; ლადო გუდიაშვილის N7 მიმდებარედ (01.15.04.023.007) - 3 ერთეული; ალექსანდრე გრიბოედოვის ქ. N22 (01.15.05.007.010) - 5 ერთეული; წყნეთის გზატკეცილი (01.14.06.007.052) - 4 ერთეული; გლდანის პატარა ტბა (ს.კ: 01.11.10.001.430) - 43 ერთეული; გლდანის მე-8 მ/რ 28 კორპ. მიმდებარე სკვერი (ს.კ: 01.11.10.001.004) - 7 ერთეული; ორთაჭალა, ლეღვთახევი - 6 ერთეული; ნოე რამიშვილის ქ. N23 სამგორის პარკი (01.17.10.010.020) - 2 ერთეული; გლდანის ა მ/რ 66 კორპუსის მიმდებარე სკვერი (01.11.12.017.177) - 11 ერთეული; გლდანის ა მ/რ 53 კორპუსის მიმდებარე სკვერი (01.11.12.017.088) - 4 ერთეული; გლდანის ა მ/რ ახმეტელის თეატრის მიმდებარე სკვერი (ს.კ: 01.11.12.018.195; 01.11.12.018.113) - 19 ერთეული; შალვა აფხაიძის 1 შესახვევი კორპუსი N4 მიმდებარე სკვერი (ს.კ: 72.12.07.017) - 5 ერთეული; ჭავჭავაძის 1 ჩიხი, მზიურის მიმდებარედ (ს.კ: 01.14.14.005.301) - 6 ერთეული; ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N49 მიმდებარე სკვერი (01.14.03.040.504) - 9 ერთეული; სანზონა, კორპუსი N26 მიმდებარე პარკი (01.12.07.010.107) - 34 ერთეული; მუხიანი IV-ბ მიკრო/რაიონი N21 კორპუსის მიმდებარედ (01.11.13.009.099) - 2 ერთეული; შავი ზღვის ქუჩა მიმდებარედ არსებული სკვერი (01.17.13.022.010) - 10 ერთეული; ვაზისუბნის დასახლება N8 კორპუსის მიმდებარე სკვერი (01.17.10.002.349) - 22 ერთეული; ნ.ყიფშიძე N14-16 მიდებარეად არსებული ჟიული შარტავას სახელობის სკვერი (01.14.14.003.142) – 30 ერთეული; ნანტის სკვერი (01.14.03.040.504) - 3 ერთეული; ნ.ყიფშიძე N7 კორპუსის მიმდებარეად არსებული სკვერი (01.14.14.003.092) – 5 ერთეული; ვაჟა-ფშაველას გამზ. 1 კვარტ. N23 კორპუსის მიუმდებარედ (01.14.03.008.001) - 2 ერთეული; ვაჟა-ფშაველას

შუაგამყოფი ზოლი (01.14.04.016.003; 01.14.04.016.002; 01.14.04.015.007) - 70 ერთეული; გახოკიძის ქუჩაზე არსებული სკვერი (01.14.04.016.003; 01.14.04.016.002; 01.14.04.015.007) – 21 ერთეული; ვაზისუბანი მე-8 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერი (01.17.10.002.263) - 8 ერთეული; აეროპორტის დასახლება (01.19.25.009.082; 01.19.25.009.029; 01.19.25.009.083) - 31 ერთეული; კრწანისის ქ. N5 მიმდებარედ სკვერი (01.18.06.017.055) - 5 ერთეული; აღმაშენებლის გამზირი 153 (24 სკოლის მიმდებარედ ს/კ 01.13.08.003.060) - 5 ერთეული; ბარათაშვილის ქუჩა (01.08.03.017.042) - 5 ერთეული; ზმკ, ოცხელების ქუჩა (01.19.33.003.007; 01.19.33.003.118; 01.19.33.003.155) – 36 ერთეული; ვერის პარკის ქვედა შესასვლელი (01.15.03.010.226) - 2 ერთეული; ვარკეთილის მე3 მ/რ (01.19.39.010.027) - 13 ერთეული; ვარკეთილი მე-3 მ/რ სუხიშვილის ქუჩაზე არსებული სკვერი (01.19.39.026.017) – 19 ერთეული;

50 ერთეული „თბილისი“-ს წარწერის მქონე თუჯის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ ლოკაციებზე: ევროპის ქუჩაზე პოლიციის მიმდებარედ (01.19.30.001.182) - 3 ერთეული; ლადო გუდიაშვილის N7 მიმდებარედ (01.15.04.023.007) - 7 ერთეული; ალექსანდრე გრიბოედოვის ქ. N22 (01.15.05.007.010) - 10 ერთეული; ორთაჭალა, ლელვთახევი - 3 ერთეული; ვაზისუბნის დასახლება (01.17.06.005.009) - 15 ერთეული; ვერის პარკის ქვედა შესასვლელი (01.15.03.010.026) - 4 ერთეული; აღმაშენებლის გამზირი N153 (01.13.08.003.060) - 8 ერთეული;

49 ერთეული ლითონის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ ლოკაციებზე: ვაზისუბნის დასახლება N3 მიმდებარედ (01.17.10.002.368) - 4 ერთეული; წყნეთის გზატკეცილი (01.14.06.007.052) - 4 ერთეული; სანზონა, კორპუსი N26 მიმდებარე პარკი (01.12.07.010.107) - 10 ერთეული; გლდანის პატარა ტბა (ს.კ: 01.11.10.001.430) - 9 ერთეული; ორთაჭალა, ლელვთახევი - 3 ერთეული; აეროპორტის დასახლება (01.19.25.009.082; 01.19.25.009.029) - 10 ერთეული; ვაზისუბნის დასახლება N7 კორპ. მიმდებარედ (01.17.10.002.263) – 2 ერთეული; ზმკ, ოცხელების ქუჩა (01.19.33.003.007; 01.19.33.003.118; 01.19.33.003.155) – 7 ერთეული;

190 ერთეული (რკალისებრი სახელურით საპარკე სკამები) განთავსდა შემდეგ ლოკაციებზე: ოქროყანა - 3 ერთეული; მოსკოვის გამზირის N36 კორპუსის

მიმდებარედ (01.19.34.003.007) - 4 ერთეული; ქ.თბილისის ცირკის მიმდებარედ (01.15.03.001.018) - 12 ერთეული; საწზონა კორპუსი N26-ის მიმდებარედ (ს/კ 01.12.07.010.107) - 39 ერთეული; ვაზისუბნის დასახლება N8 კორპუსის მიმდებარედ (ს/კ 01.17.10.002.349) - 28 ერთეული; ლიბანის ქუჩა N6-9 მიმდებარედ არსებული პარკი (ს/კ 01.11.03.007.149) - 3 ერთეული; მიხეილ ასათიანის N9, ტრეფიკინგის დახმარების სააგენტო (ს/კ 01.10.15.006.075) - 6 ერთეული; ქ.თბილისი, აეროპორტის დასახლება, კორპუსი N1-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.25.009.083; 01.19.25.009.082; 01.19.25.009.029) - 43 ერთეული; ვაზისუბნის დასახლება N7 კორპუსის მიმდებარედ (ს/კ 01.17.10.002.263) - 4 ერთეული; ვარკეთილი - 3, II მ/რ კორპუსი N31-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.39.032.051; 01.19.39.032.052; 01.19.39.022.056; 01.19.39.022.015; 01.19.39.019.072; 01.19.39.022.049) - 27 ერთეული; კრწანისი, ნიუ ჰოსპიტალის მიმდებარედ (ს/კ 01.18.06.017.055) - 8 ერთეული; ქინძმარაული კორპუსი N30 (ს/კ 01.19.33.003.007; 01.19.33.003.118) - 13 ერთეული;

230 ერთეული ხის დასაჯდომით ლითონის საპარკე სკამი დამონტაჟდა შემდეგ ლოკაციებზე: 9 აპრილის პარკი ნაკვეთი 07/024, ქვედა ტერასა (ს/კ 01.15.04.007.024) - 50 ერთეული; წყნეთის გზატკეცილი (ს/კ 01.14.06.007.052) - 2 ერთეული; ალ.ყაზბეგის N49-ის მიმდებარედ, ნანტის სკვერი (ს/კ 01.14.03.040.504) - 8 ერთეული; გლდანის „ა“ მიკრო რაიონი, კორპუსი N66-ის მიმდებარედ (ს/კ 01.11.12.017.177) - 13 ერთეული; ვასაძის ქუჩა, ნაკვეთი N17/011-ის მიმდებარედ (ს/კ 01.11.12.017.088) - 6 ერთეული; ახმეტელის თეატრის მიმდებარედ არსებული სკვერი (ს/კ 01.11.12.018.195) - 13 ერთეული; გლდანის მე-8 მ/რ, კორპუსი 28 (ს/კ 01.11.10.001.004) - 11 ერთეული; სოფელი გლდანი, პატარა ტბა (ს/კ 01.11.10.001.430) - 65 ერთეული; ი.ჭავჭავაძის გამზირი N23 მიმდებარე სკვერი (ს/კ 01.14.14.012.077) - 4 ერთეული; დოდო აბაშიძის ბიუსტთან არსებული სკვერი (ს/კ 01.15.02.005.032) - 5 ერთეული; სამშობლოსთვის თავდადებულ გმირთა მემორიალთან არსებული სკვერი (ს/კ 01.15.03.005.024) - 1 ერთეული; ალ.ყაზბეგის N49-ის მიმდებარედ ნანტის სკვერი (ს/კ 01.14.03.040.504) - 4 ერთეული; ყიფშიძის ქ. N14-16 მიმდებარედ (ს/კ 01.14.14.003.142) - 35 ერთეული; ყიფშიძის ქუჩაზე ნაკვეთი N3/92 (ს/კ

01.14.14.003.092) - 5 ერთეული; ვაზისუბნის დასახლება N7 კორპუსის მიმდებარედ (ს/კ 01.17.10.002.263) - 3 ერთეული; ვარკეთილი - 3, II მ/რ კორპუსი N31-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.39.032.051; 01.19.39.032.052; 01.19.39.022.056; 01.19.39.022.015; 01.19.39.019.072; 01.19.39.022.049;) - 4 ერთეული; ქინძმარაული კორპუსი N30 (ს/კ 01.19.33.003.007; 01.19.33.003.118) - 1 ერთეული;

26 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა დამონტაჟდა შემდეგ მისამართებზე: ვაზისუბნის დასახლება N7 კორპუსის მიმდებარედ (01.17.10.002.349) - 4 ერთეული; ნანტის სკვერი (ს.კ. 01.14.03.040.504) - 5 ერთეული; ჟიული შარტავას სახელობის სკვერი (ს.კ. 01.14.14.003.142) - 6 ერთეული; გლდანი ა მ/რ კორპუსი N66 მიმდებარე სკვერი (ს/კ: 01.11.12.017.177) - 3 ერთეული; გლდანის პატარა ტბა (ს.კ: 01.11.10.001.430) - 4 ერთეული; სან-ზონა, კორპუსი N26 (ს.კ. 01.12.07.010.107) მიმდებარედ - 4 ერთეული;

54 ერთეული საბავშვო ატრაქციონი დამონტაჟდა შემდეგ მისამართებზე: სანზონა, კორპუსი N26 მიმდებარედ (ს.კ 01.12.07.010.107) - 9 ერთეული; ალ.ყაზბეგის N49-ის მიმდებარედ, ნანტის სკვერი (ს.კ 01.14.03.040.504) - 5 ერთეული; გლდანი, პატარა ტბა (ს.კ 01.11.10.001.430) - 6 ერთეული; ყიფშიძის ქ. N14-16 მიმდებარედ (ს/კ 01.14.14.003.142) - 7 ერთეული; აეროპორტის დასახლება, კორპუსი N1-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.25.009.083; 01.19.25.009.082; 01.19.25.009.029) - 10 ერთეული; ვაზისუბნის დასახლება, N7 კორპუსის მიმდებარედ (ს/კ 01.17.10.002.263) - 2 ერთეული; ვარკეთილის მეურნეობა (ს/კ 81.08.28.978) - 2 ერთეული; ვაზისუბნის დასახლება, N8 კორპუსის მიმდებარედ (ს/კ 01.17.10.002.349) - 5 ერთეული; გლდანის „ა“ მიკრო რაიონი, კორპუსი 66-ის მიმდებარედ (ს/კ 01.11.12.017.177) - 3 ერთეული; ვასაძის ქუჩა, ნაკვეთი N17/011-ის მიმდებარედ (ს/კ 01.11.12.017.088) - 2 ერთეული; გლდანის მე-8 მ/რ, კორპუსი 28 (ს/კ 01.11.10.001.004) - 3 ერთეული;

გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში დასრულდა: გლდანის პატარა ტბის ტერიტორიის რეაბილიტაცია; ნაძალადევის რაიონში, სანზონის დასახლება #26-27 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერის რეაბილიტაცია; ვაკის რაიონში, ნანტის სკვერის რეაბილიტაცია; გლდანის

რაიონში, მე-8 მ/რ 28 კორპუსის მიმდებარედ სკვერის მოწყობა; გლდანის რაიონში, ვასაძის ქუჩაზე 3 სკვერის რეაბილიტაცია; ვაკის რაიონი, ყიფშიძის ქუჩა ნაკვეთი N3/92 არსებული სკვერის რეაბილიტაცია; ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N8 მიმდებარეად არსებული სკვერის რეაბილიტაცია; ვაკის რაიონი, წყნეთის გზატკეცილი, მოსასვენებელი სივრცის მოწყობა; ყიფშიძის ქუჩაზე ჟიული შარტავას სახელობის სკვერის რეაბილიტაცია; აეროპორტის დასახლებაში, შალვა ჭანკოტაძის და ჯიმშერ მაისურაძის ქუჩების მიმდებარედ სკვერის მოწყობა; ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N7 მიმდებარეად არსებული სკვერის რეაბილიტაცია; მიმდინარეობს: გახოკიძის ქუჩაზე არსებული სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია; ვარკეთილის მეურნეობაში, მეგობრობისა და მშვიდობის ქუჩების მიმდებარე ტერიტორიაზე პარკის მოწყობა; სამგორის რაიონში, პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩა N25, N25ა, N29, N30, N32 კორპუსების მიმდებარედ პარკის მოწობა; დიდ დიღომში, მე-3 მ/რ, #30 კორპუსის მიმდებედ სკვერის მოწყობა; დემეტრე თავდადებულის გამზირზე შუა გამყოფი ზოლის მოწყობა-რეაბილიტაცია;

ასევე, დაფინანსდა შპს ეკოსერვის ჯგუფი - 45,000.0 ათასი ლარის ოდენობით და განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის:

კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებულ რეკრეაციულ ზონებში - თბილისის პარკებში (ვაკის პარკი, პარკი მზიური, რიყის პარკი, ვეტერანთა კულტურის და დასვენების პარკი, ვარკეთილის ხევის პარკი, თბილისის დენდროლოგიური პარკი, დიღმის ტყე-პარკი, ზღვისუბნის პარკი, რიგის ბაღი, ვასო გოძიაშვილის სახელობის ბაღი, ვერის ბაღი, 9 აპრილის ბაღი, დედაენის ბაღი, 9 მარტის ბაღი, პირველი რესპუბლიკის ბაღი, აკაკი წერეთლის სახელობის ბაღი, დამპალოს ხევის ბაღი, ჯოვანი სკუდიერის სკვერი, სკვერი გლდანის „ა“ მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-3 მიკრორაიონში N85-88 კორპუსების მიმდებარედ, სკვერი გლდანის მე-3 მიკრორაიონში N9 კორპუსის მიმდებარედ, სკვერი გლდანის მე-5 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-6 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-7 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-8 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-8 მიკრორაიონში (ს/კ 01.11.10.001.337), სკვერი დიდი დიღმის

მე-3 მიკრორაიონში, სკვერი ვარკეთილის I მ/რ-ნში, სკვერი ვარკეთილის IIIა მიკრორაიონში, სკვერი ნოე რამიშვილის ქუჩა N38-ის მიმდებარედ (ე.წ ერეკლე მეორის სკვერი), ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული თარგი, ევროპის მოედანზე - ღვინისა და მეტეხის აღმართებზე არსებული სკვერები და "ყვავილების საათი", გამწვანებული თარგი ევროპის მოედნის მიმდებარედ, გამწვანებული თარგი დინამო არენასთან, გამწვანებული თარგი ცაბაძის ქუჩაზე, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის IX განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებული თარგები, ვაკე-საბურთალოს რაიონის სამმართველოს პოლიციის I განყოფილება ,,მზიური"-ს მიმდებარე გამწვანებული თარგები, ვარკეთილის დასახლების III მიკრორაიონის პოლიციის VIII განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია, კუნძულ ტექსელის სახელობის ბაღი, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის ბაღი, ქართველ შინდლერთა სახელობის ბაღი (ქმსბ), გამწვანებული თარგები ბორის პაიჭაძის ქუჩაზე („დინამო“-ს საწვრთნელი ბაზის მიმდებარედ), ილიკო სუხიშვილის სახელობის სკვერი (ვარკეთილი 3) და გამწვანებული თარგები ქმსბ-მდე; გლდანის პატარა ტბის პარკი, სკვერი გლდანის მე-4 მიკრო რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი, სკვერი გახოკიძის ქუჩის მიმდებარედ და პარკი აბაშიშვილის ქუჩის N3 მიმდებარედ (სამხედრო ქალაქი)) და ურბანულ ზონებში განხორციელდა არსებული გამწვანებული ტერიტორიების (თარგები, სკვერი) აგრო-ტექნიკური ღონისძიებები: ნიადაგის მომზადება (ორმოების ამოღება) მცენარეთა დარგვისათვის, მცენარეების დარგვა, ხე-მცენარეების გამაგრება (ჭიგოებით), მცენარეების ჯამების მოწყობა/გაფხვიერება, ბალახის გათიბვა, გაზონის მორწყვა, ახალგაზრდა ხე-მცენარეების/ბუჩქების მორწყვა, დაზიანებული სარწყავი სისტემის აღდგენა, გამწვანებულ თარგებში სარწყავი სისტემის გამართვა (მფრქვევანების დამატება), მინერალური სასუქის შეტანა, ტერიტორიის ამონაყრისგან გაწმენდა, ხე-მცენარეების და ბუჩქების დეკორატიული სხვლა-ფორმირება, ჰიდროთესვისთვის ნიადაგის მომზადება და დათესვა, თარგების მომზადება მულჩირებისთვის და მულჩის შეტანა, ნარჩენების შეგროვება და გატანა;

განხორციელდა ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში დარგული ხე-მცენარეების აგროტექნიკური სამუშაოების ინსპექტირება და აღწერა-ინვენტარიზაცია;

თბილისის სხვადასხვა მისამართებზე/ლოკაციებზე განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: გათიბვა, დაფოცხვა, დასუფთავება, შეგროვებული ნარჩენების გატანა, მცენარეებისა და გაზონების მორწყვა, ჯამების მოწყობა-შემობარვა-გაფხვიერება, ხეების სხვლა-ფორმირება, ბუჩქების გაკრეჭა და ფორმირება, მცენარეების გამაგრება, ზეხმელი და დაზიანებული მცენარეების ამოღება, მცენარეების დასარგავად ორმოების გამზადება, ნერგების დარგვა, სარეველა ბალახის გამარგვლა, მიწის კულტივაცია, ბალახის დასათესად ნიადაგის მომზადება და დათესვა, ბალახის სკარიფიკაცია, ნიადაგის მომზადება მულჩის დასაყრელად, მულჩის გაშლა, მოწოდებული მიწის ნაზავის გაშლა-მოსწორება, სარწყავი სიტემის შეკეთება და სასუქის შეტანა;

ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა მისამართებზე განხორციელდა 3 218 ერთეული ხის მოჭრა, 6 649 ერთეული ხის სხვლა-ფორმირება, 167 ერთეული ავარიული ხის დამუშავება, 52 ერთეული ხის კუნძების ამოღება;

განხორციელდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებული 72 ერთეული შადრევნისა და 264 ერთეული სოკოს ფორმის სასმელ წყაროს პერიოდული მორეცხვა-დასუფთავების სამუშაოები. სასმელი წყლის სოკოს ფორმის 127 წყაროზე, ექსპლუატაციის პირობებში მწყობრიდან გამოსული და ყინვის შედეგად (4 ერთეული) დაზიანებული ეკონომიური მოხმარების ონკანები ჩანაცვლდა ახლით. ქ.თბილისის ტერიტორიაზე ახლად მოწყობილი სასმელი წყლის წყაროებზე დამონტაჟდა 44 ერთეული ეკონომიური მოხმარების ონკანი. 9 შადრევანზე (ფინანსთა სამინისტროს წინ; რიყის პარკში; რუსთაველის მეტროს წინ; გოძიაშვილის პარკში; მზიურის პარკში ბეგის მონუმენტი; ყაზბეგის გამზირზე N29 მიმდებარედ; ქვემო ფონიჭალა რუსთავის გზატკეცილი; კანცელარიის წინ; წერეთლის პარკში;) განხორციელდა წყლის შემკრები აუზების შეღებვა. ჩანაცვლდა ექსპლუატაციის პერიოდში მწყობრიდან გამოსული შადრევნის 20

ერთეული 1,1 კვტ-მდე სიმძლავრის წყალში ჩასაძირი ძრავი ტუმბო აგრეგატით და 2 ერთეული 2,2 კვტ სიმძლავრის სტაციონალური ტუმბო აგრეგატი. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ერთ ერთეულ 22 კვტ-იან და ერთ ერთეულ 18.5 კვტ-იან ტუმბო-აგრეგატს. ახლად მოწყობილ პარკებსა და სკვერებში მოირეცხა საფეხმავლო ბილიკები და მოედნები, მათ შორის: გლდანის პატარა ტბაზე (ხუთჯერ), სანზონის რაიონში კორპუს №26-ის მიმდებარედ, ვაზისუბნის დასახლებაში კორპუს №8-ის მიმდებარედ (ერთჯერ), ისნის რაიონში ერეკლე მეორის პარკში (ორჯერ), ვახტანგ გორგასლის ქუჩის შუაგამყოფ ზოლზე (ერთჯერ), ზღვისუბნის პარკში, „თემქის ხევი“ (ერთჯერ), ვაზისუბნის დასახლების კორპუს №8-ის მიმდებარე სკვერში (ერთჯერ) და წყნეთის გზატკეცილზე, ნაკვეთი 07/052-ის მიმდებარედ ტერიტორია (ერთჯერ); ვერის პარკის ტერიტორია (ერთჯერ), ყაზბეგის 49-ის მიმდებარედ სკვერი „ნანტის სკვერი“ (ერთჯერ), ყიფშიძის ქუჩა N7გ-ს მიმდებარედ (ორჯერ), გლდანის რაიონი, მე-8 მ/რ-ნი, კორპუსი N28-ის მიმდებარედ (ერთჯერ), ვაზისუბნის N7 კორპუსის მიმდებარედ (ერთჯერ);

ქალაქ თბილისის პარკებსა და ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ თარგებში, სხვადასხვა მისამართებზე არსებულ სარწყავ სისტემებზე გაიმართა (შეკეთდა) 3 185 ერთეული დაზიანებული კვანძი და 1 573.9 გრძივი მეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილი ჩანაცვლდა ახლით; განხორციელდა შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს სარგებლობაში არსებული 20 სანიტარული ობიექტის (მათ შორის: ქ.თბილისის ტერიტორიაზე არსებული 17 ერთეული რეტერატის (უფასო საზოგადოებრივი ტუალეტის) და 3 საოფისე ფართის) მოვლა-პატრონობის ღონისძიებები: ობიექტების დასუფთავება; სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა; დერატიზაციის, დეზინსექციის და დეზინფექციის ღონისძიებების ორგანიზება; სანიტარული ობიექტების ტექნიკური მომსახურება (სანტექნიკური კვანძების და სხვა დაზიანებების მიმდინარე შეკეთება);

მწვანე ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ ანასხლავი ტოტის გადამუშავების შედეგად წარმოებული იქნა 18.7 კუბ.მ მზა მულჩი, რომელიც შეტანილი იქნა ქალაქ თბილისში - მზიურის პარკის ტერიტორიაზე, ირაკლი

ციციშვილის სახელობის სკვერში და ვასო გოძიაშვილის სახელობის სკვერში. ასევე, წარმოებულ იქნა 1 936.88 კუბ.მ წითელი მულჩი (2025 წლის დასაწყისისთვის საწყისი ნაშთი იყო 17.93 კუბ.მ), საიდანაც 1 934.79 კუბ.მ შეტანილი იქნა ქ.თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციაზე (ნაშთად დარჩენილია 20.02 კუბ.მ წითელი მულჩი);

სამღერეთის ქუჩა N3-ში მდებარე სანერგეში ჩატარდა სანერგეში არსებული მცენარეების მორწყვა 82 ჯერადობით; სათბურში არსებული მცენარეების მორწყვა 80 ჯერადობით; გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან შემოსულ წერილებში აღნიშნული მცენარეების მორწყვა 82 ჯერადობით; სათბურის ტერიტორიის დასუფთავება 12 ჯერადობით; გრუნტში არსებული მცენარეების მორწყვა 31 ჯერადობით; სანერგის ტერიტორიის დასუფთავება 9 ჯერადობით; სანერგეში არსებული მცენარეების სხვლა-ფორმირება 7 ჯერადობით; სანერგეში არსებულ მცენარეებში სასუქის შეტანა 4 ჯერადობით; სათბურში არსებული მცენარეების გამარგვლა 9 ჯერადობით და სანერგეში არსებული მცენარეების გამარგვლა 2 ჯერადობით;

თბილისის ზღვის სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ არსებულ სანერგეში ჩატარდა: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან შემოსულ წერილებში აღნიშნული მცენარეების მორწყვა 80 ჯერადობით; გრუნტში არსებული მცენარეების მორწყვა 29 ჯერადობით; სანერგის ტერიტორიის დასუფთავება 9 ჯერადობით; თხრილების აღდგენა-განახლება 21 ჯერადობით; ცარიელი კონტეინერების ამოღება თხრილებიდან და დასაწყობება 7 ჯერადობით; სანერგეში არსებულ მცენარეებში სასუქის შეტანა 9 ჯერადობით; სანერგეში არსებული მცენარეების სხვლა-ფორმირება 6 ჯერადობით; სანერგეში არსებული მცენარეების გამარგვლა 9 ჯერადობით; გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან შემოსულ წერილებში აღნიშნული მცენარეების ჩალაგება თხრილებში, მიწის მიყრა და მიტკეპნა 22 ჯერადობით;

მიმდინარე პერიოდში ქალაქ თბილისის სხვადასხვა ლოკაციებზე ხორციელდებოდა შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ მოვლა-პატრონობაში არსებული რეკრეაციული ზონების, სკვერების და პარკების მწვანე ნარგავების წამლობა

სხვადასხვა ჯერადობით; განხორციელდა ფესვთა სისტემის დამუშავება: კახეთის გზატკეცილი გზის გამყოფი თარგები (დამხმარე ზოლი); „ადამიანი და მზის“ მონუმენტის მიმდებარედ ფერდები და სკვერში ნეკერჩხლები; ქეთევან დედოფლის გამზირი - ნეკერჩხლები, ჭადრები; ნ.ჟორდანიას სანაპირო წრიული თარგის ნეკერჩხლები; ნ.ჟორდანიას სანაპირო შუა ზოლი; ნ.გაფრინდაშვილის ქ. შუა ზოლი 2-ჯერ; ა.ბაქრაძის ქ. განაპირა ფერდი; ვ.ბაგრატიონის ხიდის მიმდებარედ შუა ზოლი; გ.გულუას ქ.ტყემლები, ნეკერჩხლები; ა.ბაქრძის ქ. შუა ზოლი - ნეკერჩხლები; მტკვრის მარჯვენა სანაპირო ჭადრები; მარშალ იოზეფ პილსუდსკის გამზ. შუა ზოლი ნეკერჩხლები; ვ.გორგასლის ქ. შუა ზოლი ახალი ჭადრები; დავით აღმაშენებლის ხეივანი დროშის თარგი ნეკერჩხლები; მარცხენა სანაპირო ახალი ჭადრები; ევროპის ქ. ჭადრები; ვ.კუპრაძის ქ. განაპირა ზოლის ჭადრები; დ.ალექსიძის ქ. შუა ზოლის ჭადრები; მახათის მთის ახალი გზა განაპირა ჭადრები; ვ.კუპრაძის ქ. განაპირა ზოლის ახალი ნარგავები; ს.თაყაიშვილის ქ. შუა ზოლის ჭადრები; დ.ალექსიძის ქ. წრიული თარგი ნეკერჩხლები და განაპირა ზოლის ჭადრები; გმირთა მოედანი ნეკერჩხლები; ჯ.ბუშის ქუჩა ნეკერჩხლები; მ/ს ისნის მიმდებარე სკვერი; მ/ს მარჯანიშვილის მიმდებარედ წრიული თარგი ნეკერჩხლები; ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის მიმდებარე თარგები აკაციები; მარშალ გელოვანის გამზირისა და მაჭავარიანის ქ-ის დამაკავშირებელი ახალი გზა ნეკერჩხლები; ჰესის მიმდებარე თარგი (სოკარის ბ/გ) ნეკერჩხლები; 26 მაისის მოედანი (ამბრის ხეები); ვ.დოლიძის მიმდებარე გამწვანება ნეკერჩხლები, ჭადრები, ამბრის ხეები; თამარაშვილის გამზ. შუა ზოლი ამბრის ხეები, ჭადრები; დუმბაძის გამზირის წრიული თარგი ნეკერჩხლები, ცხენის წაბლები; ორხევი. ახვლედიანის ქ. 2 შესახვევი N4; მთავრობის სახლის (პ.ინგოროყვას ქ. 7) მიმდებარედ გამწვანება 2- ჯერ; ჭ.ამირეჯიბის გზატკეცილი; ჯ. ბუშის ქუჩა და ევროპის ქუჩა. ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 24.9 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შეძენილი და დარგულია 59967 მცენარე (მათ

შორის: ბუჩქოვანი მცენარე - 54026, მაღალტანოვანი და დაბალტანოვანი ხე - 5941).

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეძენილი და დარგული იქნება: 6 160 დიდტანოვანი ხე, 2 464 მცირე ზომის ხე (1.5მ), 37 730 დეკორატიული ბუჩქი, 2 310 ბალახოვანი მცემარე და 2 310 მცირე ზომის (პ9) დეკორატიული ბუჩქი.

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილი და დარგულია 6 160 დიდტანოვანი ხე, 2 464 მცირე ზომის ხე (1.5მ), 37 730 დეკორატიული ბუჩქი, 2 310 ბალახოვანი მცემარე და 2 310 მცირე ზომის (პ9) დეკორატიული ბუჩქი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მწვანე სივრცეებში განთავსდა 726 ერთეული სკამი და 500 ერთეული ურნა, 127 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 105 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მწვანე სივრცეებში განთავსდება დაახლოებით 517 ერთეული სკამი და 503 ერთეული ურნა; 53 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 27 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

მიღწეული მაჩვენებელი - მწვანე სივრცეებში განთავსდა 519 ერთეული სკამი და 503 ერთეული დეკორატიული ნაგვის ურნა; მოეწყო: 54 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 26 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ფერდობებზე ტყის გაშენება განხორციელდა 15 ჰა ფართობზე და დაირგო დაახლოებით 14 426 სხვადასხვა სახეობის ხის ნერგი და წლის განმავლობაში განხორციელდა ამ ნერგების მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა და წამლობა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ტყის გაშენება განხორციელდება 10.8 ჰა ფართობზე, დაირგვება დაახლოებით 10 170 მცირე ზომის (0.8 მ) ხის ნერგი და წლის განმავლობაში განხორციელდება ამ ნერგების მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა და წამლობა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 43, სკვერი - 140, შადრევნები - 75, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 250, შუა გამყოფი ზოლები, ფერდობები, კუნძულები და თარგები - 170, ხელოვნური მდინარე და ტბა - 11,

სანერგე - 2.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი **-** ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 43, სკვერი - 140, შადრევნები - 72, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 264, გამწვანებული ტერიტორიები (შუა გამყოფი ზოლები, ფერდობები, კუნძულები და თარგები) - 170, ხელოვნური მდინარე და ტბა -11. სანერგე - 2.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დასრულდა 9 პარკის, 2 შუა გამყოფი ზოლის და 21 სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გრძელდება 3 პარკისა და 1 შუა გამყოფი ზოლის მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გრძელდება 3 პარკისა და 1 შუა გამყოფი ზოლის მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები; განხორციელდება 1 ახალი პარკის მოწყობის სამუშაოები და 11 სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია;

მიღწეული მაჩვენებელი **-** გრძელდება 3 პარკისა და 1 შუა გამყოფი ზოლის მოწყობა - რეაბილიტაციის სამუშაოები (სრულდება 2026 წელს); განხორციელდა ერთი ახალი პარკის მოწყობის სამუშაოები და 11 სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია;

03 02 დასუფთავების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 142,848.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 135,407.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 8,850.6 ათასი ლარი, სხვა კაპიტალური გრანტები - 2,174.8 ათასი ლარი), რაც გეგმის 94.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო პოლიგონის პრობლემური საკითხების მოწესრიგება, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის (EBRD) სესხის ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი, განახლებული და მოდერნიზებული ავტოპარკი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები, დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები და სხვა;

მიმდინარე პერიოდში განხორციელდა ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები - 14 466 088 კვ.მ[20], შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები - 7 046 770 კვ.მ, სკვერების ტერიტორიის დასუფთავება - 4 091 970 კვ.მ[21], ხევებისა და ფერდობების დასუფთავება - 2 173 990 კვ.მ, მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავების სამუშაოები - 13 630 კვ.მ. საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა 555404 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ქალაქის ქუჩებზე დაიყარა 4 770 ტონა ტექნიკური მარილი და 127 კუბ.მ ქვიშა;

გარდა ამისა, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის (EBRD) სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილია დღგ - 65.4 ათასი ლარი, ერთი ერთეული სპეცტექნიკის შეძენის მიზნით, კომპანია „ჯი-თი ჯგუპთან“ გაფორმებული ხელშეკრულების (52577/G-01 LOT 2) ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯების შესაბამისად (დასრულდა სესხის პირველი კომპონენტის - სპექტქნიკის შეძენა) განხორციელება, ხოლო სესხის მეორე კომპონენტი - „მარშრუტების ოპტიმიზაციის პროგრამა“ აღარ განხორციელდება, ვინაიდან ამ ეტაპზე შპს თბილსერვის ჯგუფის მიერ ხორციელდება ERP პროგრამის შესყიდვა, რომელიც მოიცავს მარშუტების უზრუნველყოფის პროგრამასაც და მოცემულით შესრულდება თბილისის მუნიციპალური სერვისების პროექტის მეორე კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებული ვალდებულება;

[20] 6 თვის მონაცემთან შედარებით 7,252 კვ.მ-ით არის შემცირებული, ვინაიდან დაზუსტდა დუბლირებული ქუჩების დასახელებების (მისამართების) ჩასწორების გათვალისწინებით

[21] 9 თვის მონაცემთან შედარებით 44,803 კვ.მ-ით არის შემცირებული, ვინაიდან დაზუსტდა ზოგიერთ სკვერებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით.

თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილია დღგ - 2,168.0 ათასი ლარი, არსებული გადამტვირთავი სადგურის მოდერნიზირებისა (აქტიურად ხორციელდებოდა, როგორც მდ. მტკვრის ნაპირსამაგრი, ისე უშუალოდ მოცემული კომპონენტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები) და თბილისის ნაგავსაყრელის ნაჟური წყლის მართვის სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

მიმდინარე პერიოდში, 2025 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, შეძენილი და მოწოდებულია: 5 ერთეული თვლიანი სატვირთველი ავტომანქანა - 286.2 ათასი ლარი, 2 ერთეული სპეც. ა/მანქანა მუხლუხა ბულდოზერი - 2,084.1 ათასი ლარი, 2 ერთეული ექსკავატორ დამტვირთველი - 602.2 ათასი ლარი. ასევე, შეძენილია 5,756.1 ათასი ლარის ღირებულების 14 ცალი სპეცტექნიკა (ანაზღაურება მოხდება 2026 წელს სპეცტექნიკის მოწოდების შემდეგ);

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს თბილისის მასშტაბით განთავსდა 53 ერთეული მიწისქვეშა ნაგავშემკრები კონტეინერი ღირებულებით - 4,387.0 ათასი ლარი, მათ შორის 38 ერთეული განთავსებულია ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირზე, ქაქუჩა ჩოლოყაშვილის ქუჩასა და გიორგი წერეთლის ქუჩაზე, ხოლო 15 ერთეული ისნის რაიონში, აწყურის ქუჩაზე; შეძენილია - 1 000 ცალი 240 ლიტრიანი და 1 500 ცალი 120 ლიტრიანი პლასტმასის ნაგავ შემკრები კონტეინერი - 209.7 ათასი ლარი. აგრეთვე, შეძენილია სკვერებისთვის განკუთვნილი 417 ცალი ანტიბაქტერიული ურნა, 536 ცალი უჟანგავი ფოლადის საფერფლე, 250 000 ცალი პერიოდულად შესაცვლელი პოლიეთილენის პარკი, რომელშიც გადახდილია - 537.5 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველთვიურად სუფთავდება 23 464 994 კვ.მ ტერიტორიის ფართობი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე 2024 წელს შეტანილია 491 953.93 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი და თბილისის ქუჩებზე დაიყარა 1,700.95 ტონა ტექნიკური მარილი და 23.00 კუბ.მ ქვიშა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ყოველთვიურად სუფთავდება 27 792 448 კვ.მ

ტერიტორიის ფართობი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილია 555404 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი და თბილისის ქუჩებზე დაიყარა 4 770 ტონა ტექნიკური მარილი და 127 კუბ.მ ქვიშა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას

დაგეგმილი მაჩვენებელი - თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას გადახდილი დღგ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - არსებული ავტოპარკის განახლების მიზნით, 2024 წელს შესყიდულია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების 35 ერთეული სპეცტექნიკა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული ავტოპარკის განახლების მიზნით, გრძელდება სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპეცტექნიკის შეძენა

მიღწეული მაჩვენებელი - არსებული ავტოპარკის განახლების მიზნით, შეძენილია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების 23 ერთეული სპეცტექნიკა 9მათ შორის 14 ერთეული მოწოდებული იქნება 2026 წელს).

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შეძენილია სხვადასხვა ტევადობისა და შემადგენლობის 11210 ნაგვის კონტეინერი, ხოლო დამონტაჟდა 270 მიწისქვეშა კონტეინერი აკ.წერეთლის გამზირზე, ბაგები-წყნეთის გზატკეცილზე და ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სხვადასხვა ტევადობის ნაგვისშემკრები კონტენერების შეძენა, 64 მიწისქვეშა კონტეინერი დამონტაჟდება გ.წერეთლის ქუჩაზე, ჩოლოყაშვილის და აწყურის ქუჩებზე და ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე.

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილ იქნა სხვადასხვა ტევადობისა და შემადგენლობის 3453 ნაგვის კონტეინერი, 250 000 ცალი პერიოდულად შესაცვლელი პოლიეთილენის პარკი, ხოლო დამონტაჟდა 53 მიწისქვეშა კონტეინერი (მათ შორის ალ.ჭავჭავაძის გამზირზე, ქ.ჩოლოყაშვილისა და

გ.წერეთლის ქუჩებზე - ჯამში 38 ერთეული, ხოლო აწყურის ქუჩაზე - 15 ერთეული).

03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 15,060.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 18,251.2 ათასი ლარის 82.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

2025 წლის გეგმა - 6,670.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,709.9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,374.3 ათასი ლარი), რაც გეგმის 85.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ძველ და ახალ ტერიტორიებზე არსებული ზოოპარკის გამართული ფუნქციონირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მოწყობა - გაუმჯობესება, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სასწავლო წრეების ფუნქციონირება და შემეცნებითი ტურების მოწყობა, სამეცნიერო კუთხით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ტერიტორიების შეფასება და ცხოველთა ქცევის შესწავლა და სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ცხოველების კვება, ვეტერინარული სამედიცინო მომსახურება, ინფრასტრუქტურული ობიექტების, ცხოველებისა და მცენარეული საფარის მოვლა-პატრონობა და სხვა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,195.5 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

ზოოპარკის ძველ და ახალი ტერიტორიებზე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების, ცხოველებისა და მცენარეული საფარის მოვლა-პატრონობა, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტი; ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე განხორციელდა: ჭიშკრის

გამღები სისტემის შეკეთება-რეაბილიტაცია; დაქირავებული სპეცტექნიკითა და შესყიდული მასალებით (სამეურნეო წესით) ვოლიერების რეაბილიტაცია, შიდა გზების ნაწილის დაგება-რეაბილიტაცია და დიდი მტაცებლების ვოლიერში ბეტონის საფარის მოწყობა; ზოოპარკის პერსონალისთვის აშენდა მოსასვენებელი ოთახი; დიდი მტაცებლების ვოლიერის ნაწილში მოეწყო თბილი იატაკი; შენობა-ნაგებობების მშენებლობის, ბარიერებისა და ღობეების, შიდა გზებისა და ბილიკების, ასევე ვოლიერების მშენებლობისა და რეაბილიტაციის მიზნებისათვის დაქირავებულ იქნა სამშენებლო ტექნიკა და შეძენილ იქნა ლითონისა და ხის მასალები, სენდვიჩ პანელები, ბეტონი, ბლოკი, ბადეები, ქვიშა, ღორღი და სხვა მასალები; შეძენილ იქნა ბაზალტის ლოდები ვოლიერებში ხელოვნური კლდეებისა და სხვადაცხვა დეკორაციების მოსაწყობად; ახალი ზოოპარკის ტერიტორიის ნაწილში დასრულდა დაბალი ძაბვის დაქსელვის სამუშაოები; სამეურნეო მიზნებისათვის შეძენილ იქნა კუთხსახეხი, ბეტონის ვიბრატორი, მიტრის ხერხი და სხვა; ვოლიერებში უსაფრთხო ღობეების მოწყობის მიზნით შეძენილ იქნა ელექტრო ბარიერების დანადგარები (ეგრეთ წოდებული ელექტრომწყემსი), ელექტრო ამომრთველები და სხვადასხვა ელექტრო მოწყობილობები;

დაიწყო ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე (წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების მიზნით) თბილისის ზღვიდან წყლის ამოღების პროექტირება-მშენებლობის სამუშაოები: მოხდა პროექტის ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება, მომზადდა საექსპერტო დასკვნა და მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები, მიმდინარე პერიოდში დასრულდა თბილისის ზღვიდან წყლის ამოღების (ტექნიკური წყალმომარაგების მაგისტრალი და სამარაგო რეზერვუარი) სამუშაოების პირველი ეტაპი.

ძველი ზოოპარკის ტერიტორიაზე განხორციელდა სპილოს ვოლიერის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია. ასევე, ძველ და ახალ ტერიტორიაზე განხორციელდა: ვიდეო-სათვალთვალო სისტემის რეაბილიტაცია; ვეტერინალური მიზნებისათვის შეძენილ იქნა ენდოსკოპიის აპარატი; ზოოპარკის ფუნქციონირებისათვის შეძენილ იქნა: ფრინველის გალია, რბილი ავეჯი, წყლის

ტუმბოები, სხვადასხვა კომპიუტერული და საოფისე ტექნიკა, ასევე ავზები, ცხოველის სარწყულებლები, ნავის ძრავი და ა.შ;

ეროვნული და გლობალური საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამრავლება და აღდგენა, როგორც ტყვეობის პირობებში, ისე ბუნებაში - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა: ცხოველების მოვლა და მათზე დაკვირვება; კვების რაციონის შერჩევა-დაზუსტება; ვეტექიმების მიერ ცხოველებზე დაკვირვება და, საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა; განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჯიხვების ნამატმა შეადგინა - 10 სული, კეთილშობილი ირმების ნამატმა შეადგინა 7 სული, ნიამორების ნამატმა 8 სული; გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული შესაბამისი სამსახურების მიერ და ასევე მოსახლეობიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ზოოპარკში შემოყვანილ იქნა ჩამორთმეული და ბუნებაში ნაპოვნი ცხოველები და ფრინველები (მათ შორის: დათვი, ორბი, ბუ, კუ, თუთიყუში, გველი (პითონი) და სხვა); მიღებული ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის მიზნით შესაბამისი ვეტერინარული მომსახურება; გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოსთან ერთად, „სახეობათა აღდგენის ეროვნული გეგმის“ ფარგლებში, ალგეთის ეროვნულ პარკში, რეინტროდუქციის მიზნით, განხორციელდა შვიდი კეთილშობილი ირმის გაშვება;

მსოფლიოსა და ადგილობრივი ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა: კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ზოოპარკის ვეტექიმები მივლინებულ იქნენ ქ. დიორში (უნგრეთი) - ცხოველებისათვის სამედიცინო პრაქტიკულ და თეორიულ სემინარებზე; ნიამორების გავრცელების არეალის შესწავლის მიზნით ზოოპარკის დირექტორი (ზურაბ გურიელიძე) მივლინებულ იქნა თურქეთში; ევროპული აკვარიუმებისა და ზოოპარკების (EAZA) ასოციაციის ეგიდით მოწყობილ დირექტორთა ყოველწლიურ კონფერენციაზე, ზოოპარკის დირექტორი და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, მივლილებულ იქნენ ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში; ასევე, დირექტორი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი და ცხოველთა კურატორი მივლინებულ იქნენ ქალაქ

ლოძში (პოლონეთი) ევროპის აკვარიუმებისა და ზოოპარკების ასოციაციის (EAZA) ყოველწლიურ კონფერენციაზე; სამშენებლო სფეროში გამოცდილების მიღების მიზნით, სამეურნეო მენეჯერი მივლინებულ იქნა ქ. ჰელსინკში (ფინეთი); სპეციალური ხის მასალებისა და ვოლიერებისათვის დეკორაციების მოძიება-ჩამოტანის მიზნით ზოოპარკის თანამშრომლები სხვადასხვა პერიოდში მივლინებულ იქნენ სამეგრელო-სვანეთისა და აჭარის რეგიონებში;

სამეცნიერო კვლევების ჩატარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეკოლოგიური განათლების დონის ამაღლება - ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა: გადაშენების პირას მყოფი სახეობებისათვის შესაფერისი ჰაბიტატების შერჩევა/მოძიების მიზნით, ზოოპარკის დირექტორი მივლინებული იქნა გრიგოლეთში; ზოოპარკის თანამშრომლები სხვადასხვა პერიოდში მივლინებულ იქნენ: ვაშლოვანის ეროვნულ პარკში - ქურციკების პარაზიტების გამოკვლევისა და მათი იმობილიზაციისა და ჯიპიეს საყელოების დაყენების მიზნით; ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში - იშვიათი სახეობების აღსადგენი ჰაბიტატების მოძიება-შეფასების მიზნით; ზოოპარკმა მონაწილეობა მიიღო ვაკის პარკის ტერიტორიაზე ჩატარებულ სამეცნიერო პიკნიკში; სასწავლო ცენტრის ეგიდით, ჩატარდა შემეცნებითი ზოოტურები სკოლების მოსწავლეებისა და ბაღის აღსაზრდელებისათვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1 090 მოსწავლემ; საკვირაო ზოოსკოლაში მონაწილეობა მიიღო 121-მა მოსწავლემ; მთელი წლის გამნავლობაში ფუნქციონირებდა მოხალისეთა პროგრამა, რომელშიც მონაწილეობდა 13 მოხალისე; რეგულარულად ხორციელდებოდა ცხოველთა ყოფის გამდიდრების ღონისძიებები (ენრიჩმენტი);მიმდინარე პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 211026, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან (2024 წელი - 201386) შედარებით 9640-ით მეტია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე (დაახლოებით 10 ჰა) ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ვოლიერები (ცხოველთა, ფრინველთა) და ნაწილობრივ მოწყობილია ინფრასტრუქტურა, ხოლო ძველ ტერიტორიაზე (9 ჰა) სრულყოფილად ფუნქციონირებს ზოოპარკი, შენარჩუნებულია არსებული ინფრასტრუქტურა, აშენებული და

რეაბილიტირებულია ცხოველთა და ფრინველთა ვოლიერები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ზოოპარკის ძველ და ახალ ტერიტორიებზე არსებული ობიექტებისა და მცენარეული საფარის მოვლა და შენარჩუნება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები), ცხოველთა კოლექციის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ახალი ვოლიერების აშენება/არსებული ვოლიერების რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკსა და ბუნებაში ცხოველებზე ჩატარებული დაკვირვებები; ცხოველების გავრცელებისა და მათი რაოდენობის აღრიცხვის მიზნით მოწყობილი ექსპედიციები და განხორციელებული სამეცნიერო კვლევები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ზოოპარკსა და ბუნებაში ცხოველებზე დაკვირვება, ცხოველების გავრცელებისა და მათი რაოდენობის აღრიცხვის მიზნით ექსპედიციების მოწყობა, სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ცხოველთა ქვესახეობების დადგენა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკის ფუნქციონირებისთვის არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხოლო ზოოპარკის ტერიტორიაზე სრულყოფილად ფუნქციონირებს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრი (მათ შორის 2024 წელს ბავშვებისთვის მოეწყო 73 შემეცნებითი ტური, რომლებშიც მონაწილეობდა 1247 ბავშვი, საკვირაო ზოოსკოლაში მონაწილეობა მიიღო 3 ასაკობრივი ჯგუფის 55-მა მოსწავლემ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შენარჩუნება; სასწავლო ცენტრში საგანმანათლებლო წრეებისა და ჯგუფების ფუნქციონირება, შემეცნებითი ტურების მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული იქნა ზოოპარკის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, სკოლის მოსწავლეთათვისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მოეწყო შემეცნებითი ტურები, რომლებშიც მონაწილეობდა 1090 ბავშვი, საკვირაო ზოოსკოლაში მონაწილეობა მიიღო 121-მა მოსწავლემ.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 201386

ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია დაახლოებით 210 - 250 ათასი ვიზიტორის მიღება.

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა - 211026 ვიზიტორი.

03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

2025 წლის გეგმა - 11,580.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,350.9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,209.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 80.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ვიზიტორებისათვის ხელმისაწვდომი ბოტანიკური ბაღი, მოვლილი, შენარჩუნებული და გაზრდილი მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნები, დოკუმენტირებული მერქნიან მცენარეთა კოლექციები, შეუფერხებელი და წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოწესრიგებული ტურისტული და განახლებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების (თანამშრომელთა შრომის და საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო, ტრანსპორტის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვის და სხვა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 2,438.4 ათასი ლარი). ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მოვლილი და შენარჩუნებული მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნები, დოკუმენტირებული მერქნიან მცენარეთა კოლექციები, მცენარეთა გაზრდილი და მოვლილი კოლექციის ღონისძიების ფარგლებში: სისტემატურად ხორციელდება ძირითადი ტურისტული მარშრუტების, გზების, ბილიკების მოვლა-დასუფთავება (დაახლოებით 8-9 კმ პერიმეტრის მოვლა); მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთებზე ყოველდღიურად ხორციელდებოდა მოვლა-დასუფთვების და აგროტექნიკური სამუშოები (70 ჰა ფართობის მოვლა), როგორც

არსებული კოლექციების შესანარჩუნებლად, ასევე მის გასაფართოვებლად. ბაღის კოლექციების შევსების მიზნით, ჩატარდა აქტიური მოსამზადებელი სამუშაოები მცენარეების რგვებისათვის, დაირგო მცენარეები და მიმდინარეობდა მათი მოვლის სამუშაოები;

მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით (ბაღის ყვავილოვანი გაფორმების უბნებზე ყოველწლიური განახლება), დეკორატიული გაფორმების უბნებზე დაირგო 4 ნაირსახეობის 6 500-ზე მეტი საგაზაფხულო დეკორატიული ერთწლოვანი მცენარე (ზიზილა, ჟაბო, გაზანია, დეკორატიული კომბოსტო); მრავალწლოვნებიდან გაფორმების უბნებს შეემატა 45-მდე სახეობისა და ჯიშის 240-ზე მეტი ერთეული მცენარე (მათ შორის: ფლოქსის 4 ჯიშის 40 ინდივიდი, დიდი რაოდენობით სალბი, ფრინტას 5 ახალი ჯიშის 20 ინდივიდი, მონარდას 2 ახალი ჯიშის 13 ინდივიდი, კარიოპტერისის 5 ინდივიდი, ვერონიკას 2 ჯიშის 20-ზე მეტი ინდივიდი, ორეგანო აურეას 4 ინდივიდი, პოტენტილას (მარწყვაბალახას) 2 ჯიში და სხვა); მარტიდან ივლისის ჩათვლით ბაღის ყვავილოვანი გაფორმების ნაკვეთებში დაირგო 32 052 ერთეული ერთწლოვან მცენარეთა ჩითილები, ტუბერი - 1 070 ერთეული, მრავალწლოვანი მცენარეები - 2 000-ზე მეტი; სულ საანგარიშო პერიოდში დარგულია 110-ზე მეტი სახეობისა და ჯიშის 44332 ერთეული ერწლოვანი და მრავალწლოვანი მცენარე. მათ შორის კულტურული გეორგინის ჯიშები და გეორგინის ადგილობრივი ახალი ჰიბრიდები: Dahlia cultorum ‘Osin y Sofiivci’, D. cultorum ‘Kalinka’, D. cultorum ‘Kiev Vecherniy’, D. cultorum ‘Ksenia’, D. cultorum ‘Morli’, D. cultorum ‘Osinnoe Zoloto’, D. cultorum ‘Park Princess’, D. cultorum ‘Putcens’, D. cultorum ‘Rozovaja Diadema’, D. cultorum ‘New Dimension’, D. hybrida ‘Sofia’, D. hybrida ‘Makaterine’ და სხვა; კაუნასში (ლიეტუვაში) მივლინებულ იქნა დეკორატიულ მცენარეთა კოლექციების და ბაღის განყოფილების უფროსი, სადაც იგი მიწვეული იყო გეორგინების გამოფენაზე, როგორც საერთაშორისო ჟიურის წევრი და გაცვლის ფარგლებში (ბაღის კოლექციებისათვის) მან ჩამოიტანა 28 ახალი ჯიშის დეკორტიული მცენარის სარგავი მასალა (ძირები), მათ შორის გეორგინის 3 ახალი ჯიში; ჩატარდა სამუშაო გეორგინების კოლექციის გასაფართოებლად, შეირჩა ახალი ჯიშები და

მიმდინარეობს სარგავი მასალის მოძიება და გამრავლების სამუშაოები; შემოდგომაზე ჩატარებულ ქრიზანთემების საშემოდგომო გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქრიზანთემის კოლექციაში არსებული 150-მდე ჯიშის ქრიზანთემა, ასევე ადილობრივი ჰიბრიდიზაციის გზით მიღებული 35-მდე ჰიბრიდული ფორმა (ორიგინატორი ე.გოგიტაშვილი). სულ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო 4000-ზე მეტი ერთეული ქრიზანთემა; ასევე, განხორციელდა 2000-მდე მერქნიანი მცენარის ეტიკეტირება და დოკუმენტირება. მთლიანად ეტიკეტირებულია იასამნების კოლექციის 800-მდე და ვარდების კოლექციის 500-მდე ეგზემპლარი (სულ 3300-მდე ეტიკეტი); ხმელთაშუა ზღვის ფიტოგეოგრაფიული ნაკვეთის, მაგნოლიებისა და საკურას კოლექციებისათვის დასაბეჭდად მომზადდა 150 ეტიკეტი; ბაღის სანერგე მეუბრნეობიდან ბაღის სხვადასხვა ტერიტორიაზე დაირგო სხვადასხვა სახეობის 250-მდე ინდივიდი ხე და ბუჩქი; ქართულ ბაღს შეემატა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას ექსპერიმენტული ნაკვეთიდან მემორანდუმის ფარგლებში გადმოცემული ხეხილოვანი კულტურების 4 ჯიშის 20-მდე ეგზემპლარი. ხეხილის ძველი ქართული ჯიშებიდან შემოტანილი იქნა ვაშლის 4 ჯიში, მსხლის 1 ჯიში და ალუჩის 1 ჯიში (სულ 18 ეგზემპლარი). ბოტანიკურ ბაღს შეემატა ახალი ჰორტენზიის (Hydrangea macrophylla) 10 ჯიშის 19 ეგზემპლარი და Hydrangea arborescens ‘Candybelle Bubblegum’ 1 ეგზემპლარი (სულ 20 ეგზემპლარი), ახალი ისამნის ჯიშის Syringa Vulgaris ‘Znamya Lenina’ - 5 ეგზემპლარი და არყის Betula pendula - 2 ეგზემპლარი; ბაღში შემოტანილია (სანერგე მეურნეობიდან შესყიდული) და დაირგო არაადგილობრივი მცენარების - 159 ტაქსონის 1650 ინდივიდი. ამ 159 ტაქსონიდან ბაღისათვის ახალია 15 სახეობა და 30 ჯიში (სულ 45 ტაქსონი). ასევე, შესყიდულ იქნა ვარდის 190 ჯიშის 900-მდე ეგზემპლარი, რომლებიც გაფორმების ნაკვეთებზე ჯერ არ არის დარგული; ექსპედიციის შედეგად შემოტანილია: სოჭის (Abies nordmaniania) 20 ეგზემპლარი და ინტროდუცირებულ იქნა ადგილობრივი ფლორის - 38 გვარის და 37 სახეობის ველური მცენარე (როგრც მერქნიანი, ისე ბალახოვანი), სულ 2000-მდე ინდივიდი; ჩატარდა ღონისძიებები საკოლექციო მცენარეების გამოყვანის მიმართულებით:

დაითესა ისრაელიდან მიღებული 7 სხვადასხვა სახეობის მუხის თესლი და თესლის გაცვლითი ფონდიდან მიღებული 10-მდე სახეობის მერქნიანი მცენარის თესლი. სულ დათესილ იქნა 17 მდე სახეობის თესლი, ექსპერიმენტულ სანერგე მეურნეობას დასათესად გადაეცა 50 სახეობის მერქნიანი მცენარის თესლი;

განახლებული საყრდენი კედლების (ყორეების) პერიმეტრეზე ჩატარდა გამწვანების სამუშაოები. ბორიდურის მოწყობის მიზნით აქ დაირგო ბაღის სანერგეში გამოყვანილი 10-მდე სახეობის 80-ზე მეტი ბუჩქის ნერგი;

შეუფერხებელი და წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი და საგანმათლებლო საქმიანობის ღონისძიების ფარგლებში:

ა). სამეცნიერო პუბლიკაციების გამოცემის მიმართულებით: ბოტანიკური ბაღების კონსერვაციის საბჭოს (BGCI) გარემოსდაცვითი განათლების მე-11 კონგრესისათვის, რომელიც გაიმართა კორეაში, ქალაქ სეულში, 2025 წლის 8-13 ივნისს, წარდგენილ იქნა მოხსენების თეზისი ბოტანიკური ბაღის ეკოსაგანმანათლებლო პროექტების შესახებ - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო პროგრამები კლიმატის ცვლილების კონტექსტში“. თეზისი მიღებულია საორგანიზაციო კომიტეტის მიერ და გაიგზავნა სასტენდო მოხსენების საბეჭდი ვერსია, რამდენადაც ონლაინ ფორმატი გაუქმდა (ბოტანიკური ბაღის წარმომადგენლები ვერ ჩაერთვნენ პოსტერების სესიაში, ხოლო მოხსენება წარადგინა პარტნიორი ორგანიზაციის „პარტნიორიბა ბუნებისათვის“ პრეზიდენტმა (აშშ, სიეტლი) ენტონი ელისონმა); 8-9 სექტემბერს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ERASMUS+-ის პროექტის PRESS ფარგლებში) გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე - „საბუნებისმეტყველო განათლება მდგრადი განვითარებისთვის“, წარადგენილ იქნა მოხსენება (თეზისი): „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის საგანმანათლებლო პროექტები და ინიციატივები მდგრადი მომავლისთვის“; იასამნების საერთაშორისო რეესტრის ყოველკვარტალური ჟურნალის მორიგ ნომერში დასაბეჭდად გაიგზავნა სტატია „დეკორატიული მებაღეობა და მეყვავილეობა სირინგარიუმი – იასამნების საკოლექციო ნაკვეთი საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში“, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი

ბოტანიკური ბაღის იასამნების ცნობილი კოლექციის შექმნის ისტორია და მისი დღევანდელი მდგომარეობა, მიწოდებულ იქნა მაღალი გარჩევადობის ფოტოები; გამოქვეყნდა სტატია მაღალრეიტინგულ ჟურნალში „Journal of Xenobiotics.: კავკასიის ენდემური მცენარეების Sempervivum transcaucasicum-ისა და Paeonia daurica subsp. mlokosewitschii-ის ექსტრაქტების ანტიოქსიდანტური პოტენციალი და ანტიბაქტერიული აქტივობა და მოლეკულური In Silico მექანიზმის ანალიზი; სამეცნიერო ჟურნალში Modern Issues of Medicine and Management (MIMM) 2025: 2(30) pp. 5-19 გამოქვეყნდა სტატია საქართველოსა და სომხეთის ტრადიციული სამკურნალო მცენარეების: Symphytum caucasicum M. Bieb. (Boraginaceae) და Cyclamen coum Mill. (Primulaceae) ეთნობოტანიკური კვლევა და ფიტოქიმიური პროფილირება; ჟურნალ ,,ინტელექტში“ დაიბეჭდა 2 სტატია: კალიების ინვაზიების დინამიკა და ინტეგრირებული მართვის სტრატეგიები აღმოსავლეთ საქართველოს არიდულ ზონებში და ჰალიომორფა ჰალისის წინააღმდეგ მავნებლების ინტეგრირებული მართვის ქართული მოდელი, როგორც გლობალური სასოფლო-სამეურნეო საფრთხის რეგიონული რეაგირება; 2025 წლის 31 ივლისს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე - „ქართული ხორბლის ახალი რეალობა“ (მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯიღაურა), წარდგენილ იქნა ზეპირი მოხსენება (თეზისი) - „საქართველოს ხორბლების კონსერვაცია საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში - ისტორიული მიმოხილვა“; 2025 წლის 2-5 ოქტომბერს იაჰორინაში (ბოსნია-ჰერცეგოვინა) XVI საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო სიმპოზიუმზე "Agrosym 2025" წარდგენილ იქნა სასტენდო მოხსენება (თეზისი) - ,,თხილის ცხვირგრძელას ბუნებრივი მტრები საქართველოში“. (სულ 4 თეზისი და 5 სამეცნიერო სტატია);

ბ). წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავების მიმართულებით: სამუშაო პროგრამით, გათვალისწინებული 8 სახეობის შეფასებიდან ორი Anthemis saguramica Sosn და Astragalus cyri Fom დასრულებულია და საერთაშორისო ექსპერტების მიერ რეცენზირებული შეფასებები 2025 წლის მარტის თვეში აიტვირთა საერთაშორისო წითელი ნუსხის

IUCN პორტალზე; გაგრძელდა ექსპედიციების გზით მასალის მოპოვება დანარჩენი სახეობების (Astragalus tanae Sosn; Crataegus pontica C. Koch. და Halimodendron halodendron L) შეფასებისათვის, რომელიც ტარდება ეროვნულ დონეზე; შეფასდა Astragalus tanae Sosn - 1 ახალი, Crataegus pontica C. Koch. – 2 ახალი და Halimodendron halodendron L - 1 ახალი პოპულაცია (სულ 4 ახალი პოპულაცია); საგაზაფხულო თესვის ფარგლებში ქოთნებში დაითესა 16 სახეობის (საერთაშორისო პროექტის 14+2 - ვესტონ გარფილდის საერთაშორისო პროექტის სამიზნე სახეობა) თესლი; ქოთნებში დათესილი იერუსალიმის ბოტანიკურ ბაღის მიერ საჩუქრად გადმოცემული ეკონომიკური მნიშვნელობის მცენარეების 17 სახეობის თესლიდან მიღებული მცენარეები გადაირგო ბაღის ტერიტორიაზე; მიმდინარეობს ლაბორატორიულ პირობებში ცოცხალი კოლექციების შევსების მიზნით დათესილი საკონსერვაციო სტატუსის მქონე 7 სახეობის თესლის (1. Campanula fedorovii Charadze; 2. Campanula hohenackeri sch & C.A.Mey; 3. Campanula stevenii Bieb. (subsp. beauverdiana); 4. Campanula ჯantschavelii Zagareli; 5. Salvia garedji Troitzk.; 6. Muscari alpanicum Schchian.; 7. Scabiosa georgica Sulak.) აღმოცენებისა და ადგილობრივი კვლევითი პროექტის სამიზნე სახეობის Anthemis saguramica Sosn (Cota saguramica) ქოთნებში გადარგული 117 აღმონაცენის მონიტორინგი. ასევე, თესლიდან იქნა მიღებული კახეთის მაჩიტას და გლობულარიას 15-15 აღმონაცენი, რომლებიც გადაირგო საკოლექციო ნაკვეთზე. (სულ - 10 პროტოკოლი); ამავე პროექტის სამიზნე სახეობის Astragalus cyri-ის ბუნებაში არსებული პოპულაციის გასაძლიერებლად, შეთესვის საშუალებით - ე. წ. პოპულაციის „რეინფორსმენტის“ სამუშაოებისათვის, საანგარიშო პერიოდში შეგროვდა 1 000 თესლი. შეთესვა უნდა ჩატარებულიყო მიმდინარე წლის ოქტომბერში, მაგრამ რიგი მიზეზების გამო გადატანილია გაზაფხულისათვის; მიმდინარეობს მუშაობა გამრავლების პროტოკოლზე 4 სახეობისათვის - ვესტონის პროექტის სამიზნე სახეობა - სურო; ცოცხალ კოლექციას შეემატა ბუნებიდან შემოტანილი ღვიის 2 სახეობის, ძმერხლის, კლდისვაშლას, ჯიქას, თამელის და ჯადვარის - ჯამში 7 სახეობის 60-მდე ინდივიდი; ეროვნული თესლის ბანკს შეემატა 11 ველური სახეობის 17 პოპულაციიდან (სხვადასხვა ლოკაციიდან)

აღებული თესლი და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიიდან შეგროვებული 9 ველური სახეობის თესლი. გარდა ამისა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პროექტის ფარგლებში თესლის ბანკში შესანახად შემოვიდა Fagus orientalis-წიფელის 8 პოპულაციის თესლის 34 ნიმუში. ასვე, კავკასისი ფლორის განყოფილებაში შემოვიდა (შესაბამისი სტანდარტებით დამუშავდა და დათესვამდე შენახულ იქნა მშრალ ოთახში) ადგილობრივი ხორბლების საკოლექციო ნაკვეთიდან აღებული 26 ნიმუშის თესლი (ენდემური სახეობები და ადგილობრივი ჯიშები) და ბაღის ტერიტორიიდან შეგროვებული ინტროდუცირებული მცენარეების 21 ნიმუშის თესლი;

გ). 4 სამეცნიერო და 4 საგანმანათლებლო პროექტის განხორციელების მიმართულებით: - ჩატარდა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს 6 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 2024 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგები და 2025 წელს დაგეგმილი აქტივობები, ხოლო სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს 6 ივნისის გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება-ანგარიში: ათასწლეულის თესლის ბანკის პარტნიორობის ფარგლებში ჩატარებული 20 წლიანი სამუშაოს შესახებ. სხდომას დაესწრნენ ბოტანკური ბაღის პარტნიორი ორგანიზაციების - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტისა და კიუს სამეფო ბოტანკური ბაღის ათასლწეულის თესლის ბანკის წარმომადგენლები. 9 სექტემბრის სხდომაზე მოსმენილ იქნა დეკორატიულ მცენარეთა კოლექციებისა და ბაღის განყოფილების უფროსის (მარინე მუჩაიძის) ანგარიში კაუნასში (ლიეტუვა) მივლინების შესახებ, სადაც იგი მიწვეული იყო გეორგინების გამოფენაზე, როგორც სართაშორისო ჟიურის წევრი. საბჭოს დანარჩენ სხომებზე განიხილებოდა მიმდინარე საკითხები; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას წარედგინა ანგარიში 2024 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ. მიღებულია რეცენზია და უმაღლესი შეფასება; ადრე დამტკიცებული 4 მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტიდან დასრულდა 3 პროექტი: 1). „საქართველოს ფლორის პრიორიტეტული საკონსერვაციო სტატუსის მქონე ზოგიერთი სახეობის თვითგანახლების შესაძლებლობების შესწავლა და ex situ კონსერვაცია“ (2021-

2025წ.წ.); 2). „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ენტომოფაუნის შესწავლა“ (2024-2025წ.წ.); 3). „თბილისის ურბანულ ნარგაობებში გამოვლენილი მავნებლები და დაავადებები - კვლევა, ბრძოლის ღონისძიებები და ილუსტრირებული გზამკვლევის შექმნა“ (2024-2025წ.წ.), ხოლო გრძელდება 1 პროექტი - „თბილისის მიდამოებში გავრცელებული არომატული მცენარეების ინტროდუქცია საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში“ (2024-2026წ.წ.);

გაგრძელდა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის და დიდი ბრიტანეთის კიუს ბოტანიკური ბაღის „ათასწლეულის“ თესლის ბანკის პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე საერთაშორისო პროექტი - „კავკასიაში გავრცელებული საფრთხის ქვეშ მყოფი მერქნიანი სახეობების კოლექციებში არსებული ხარვეზის დაფარვა“, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სულ 30 საველე-საექსპედიციო გასვლა საკვლევი მასალის, მცენარეთა სარგავი მასალის მოპოვების, თესლის ბანკის კოლექციების აღდგენა-გამდიდრების და საერთაშორისო წითელი ნუსხის IUCN კრიტერიუმების მიხედვით სახეობების საკონსერვაციო სტატუსის შეფასების მიზნით. გასვლების დროს თესლის გაცვლის ფონდისათვის შეგროვდა 114 სახეობის თესლი და თვით ბაღში არსებული ყვავილოვან-დეკორატიული მცენარეების განყოფილების მიერ მოწოდებულია 97 ჯიშის თესლი. სულ 212 დასახელების თესლი შევიდა 2026 წელს პარტნიორი ორგანიზაციებისათვის გასაგზავნ თესლის სიაში, მომზადდა მისი ელექტრონული ვერსია და დაეგზავნა ქსელში ჩართულ ორგანიზაციებს; სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივ საგრანტო კონკურსში გამარჯვებული ბოტანიკური ბაღის პროექტის - „მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა ინოვაციური ტექნოლოგიებით“ SPG-24-1337 ფარგლებში, ლექცია-პრაქტიკუმები X-XI-XII კლასისა და I-II კურსის სტუდენტებისთვის - განხორციელდა 2-ჯერ, თითოეულ ნაკადს ჩაუტარდა ორკვირიანი სემინარები. პროექტში მონაწილეობა მიიღო 20-მდე ადამიანმა. პროექტი დასრულდა მაისის ბოლოს;

მიმდინარე პერიოდში ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს თელავის ი.გოგებაშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

მზადდება განახლებული მემორანდუმი ი.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან; გადახდილია საერთაშორისო ქსელების - ხმელთაშუა ზღვის ტაქსონომიური კვლევის ორგანიზაციის - OPTIMA და ბოტანიკური ბაღების კონსერვაციის საერთაშორისო საბჭოს - BGCI ინსტიტუციური წევრობის მოსაკრებლები. გამზადდა ბოტანიკურ ბაღის მერქნიანი მცენარეების კოლექციების სია BGCI-ს გლობალურ ბაზაში განსათავსებლად. მომზადდა დოკუმენტაცია მორტონის არბორეტუმის აკრედიტაციის მოსაპოვებლად; ბოტანიკურმა ბაღმა უმასპინძლა 9 საერთაშორისო დელეგაციას/სტუმარს; ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ 5 შეხვედრაში, რომლებიც ჩატარდა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის საკოორდინაციო საბჭოს და ეროვნული სატყეო პროგრამის პროცესის ფორმატში და მიეძღვნა ადგილობრივი ფლორის მრავალფეროვნების კონსერვაციისა და ტყის მოვლა-აღდგენისა საკითხებს;

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეგულარულად ხორციელდებოდა 4 ეკოსაგანამანათლებლო პროექტი: 1). „ეკომკვლევარი“ (VII-VIII-IX კლასის მოსწავლეებისთვის) - განხორციელდა 24-ჯერ და პროექტში მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 570-მდე მოსწავლემ. 2). „ეკოთავგადასავალი“ (I-VI კლასის მოსწავლეებისათვის) - განხორციელდა 145-ჯერ და პროექტში მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 2000-მდე მოსწავლემ; 3). „სახალისო ეკოლოგია - ვქმნით ეკოსისტემებს“ (II-VI კლასის მოსწავლეებისათვის) - განხორციელდა 38-ჯერ და პროექტში მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 650-მდე მოსწავლემ; 4). სატესტო რეჟიმში რამდენჯერმე განხორციელდა ახალი საგანამნათლებლო-შემეცნებითი პროგრამა „ნიადაგის კვლევა: მართვა და მონიტორინგი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯამში 174 -მა მოსწავლემ. სულ წლის განმავლობაში ზემოაღნიშნულ 4 საგანანმანათლებლო პროექტში ჩართული მოსწავლეების საერთო რაოდენობამ შეადგინა 3394. ასევე, საექსკურსიო მომსახურების ფარგლებში, ეკოგანათლების განყოფილების გიდების მიერ,

ჩატარდა 119 -მდე ექსკურსია (უნივერსიტეტები - 5; ორგანიზაციები - 8; საბავშვო ბაღები - 19; საჯარო სკოლები - 50; კერძო სკოლები - 22), რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ჯამში 2 300-მდე დამთვალიერებელმა; ხოლო, გარემოსდაცვით დღეებთან დაკავშირებით, ეკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, ჩატარდა 5 სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 120-მდე ადამიანმა. სულ 2025 წლის განმავლობაში ზემოაღნიშნულ ყველა საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულ პირთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 5814 (საგანმანათლებლო 4 პროექტის მონაწილეებს + ექსკურსიების მონაწილეები + სემინარების მონაწილეები);

მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივ საგრანტო კონკურსზე წარდგენილმა პროექტმა - "ახალგაზრდა ბოტანიკოსთა აკადემია" (შიფრი - SPG-25-094), რომლის მიზანი იყო მონაწილეებისათვის მცენარეთა კონსერვაციის თანამედროვე მეთოდების გაცნობა, ვერ მიიღო ფონდის დაფინანსება;

მოწესრიგებული და გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის ღონისძიების ფარგლებში დასრულდა ბოტანიკური ბაღის მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები და შესაბამისი საზედამხედველო სამუშაოები (მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა და დოკუმენტაციის მომზადება); აბანოთუბნის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. "ლელვთახევის" ხეობის ქვათაცვენის შემაკავებელი ღონისძიებები და შესაბამისი გამაგრება-სარეკონსტრუქციო სამუშაოები; ბაღის ტერიტორიაზე ფერდობების დამჭერი კედლების/ყორეების აღდგენა-გამაგრებისა და ახლის მოწყობის მიზნით საჭირო სამშენებლო სამუშაოები (საზედამხედველო სამუშაოების ჩათვლით); ბაღის ტერიტორიაზე არსებული ყოფილი სასადილოს და მებაღის შენობის (საზედამხედველო სამუშაოების ჩათვლით) რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები; ბაღის ტერიტორიაზე არსებული წყალარინების (საკანალიზაციო სისტემის) ქსელის განახლების/გაფართოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და მშენებლობის ეტაპზე საავტორო ზედამხედველობის შესყიდვა; გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, განხორციელდა ბაღის ტერიტორიაზე არსებულ კლდოვან ფერდობზე დამონტაჟებული ქვათაცვების დამჭერი ბადის ქვეშ (ქვათაცვენისა და კლდოვანი

ქანების ეროზიის შედეგად) მოქცეული კლდოვანი მასის ჩამოწმენდის, ტერიტორიიდან გატანისა და შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის საფუძველზე, ახალი ბადის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოები; ბაღის ვიზიტორების გადასაადგილებლად შესყიდულ იქნა ორი ელექტრო ავტობუსი; ბოტანიკური ბაღის ბალანსზე რიცხული ელექტრომობილებისა და ავტომანქანების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების გაწევა;

ბოტანიკური ბაღის ღია სადღესასწაულო სივრცეში კულტურულ-გასართობი ფესტივალების ორგანიზების მომსახურების სათანადო ღონისძიებების ფარგლებში, კონტრაქტორი კომპანია მოემსახურა 2 ფესტივალს - „საკურას ყვავილობა“ და “პურის ფესტივალი“; იაპონიის საელჩოსა და თბილისის მერიის ხელშეწყობით, 2025 წლის მარტის თვეში განხორციელდა 2016 წელს ბაღის ტერიტორიაზე გაშენებული იაპონური ბაღის აღდგენა-განახლების სამუშაოები; მიმდინარეობს - ვარდების საკოლექციო ნაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები (საზედამხედველო სამუშაოების ჩათვლით), აზერბაიჯანის საელჩოს მოთხოვნის გათვალისწინებით (შენობის უშუალო სიახლოვით აზერბაიჯანელ მოღვაწეთა პანეთეონთან), მიმდინარეობს პროექტში ცვლილებების შეტანა, რაც გულისხმობს სანიტარული კვანძების სხვა ადგილზე გადატანას;

ასევე, ხოციელდებოდა ბაღის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანის ღონისძიებები; ტუმბო-აგრეგატების ელექტრონული მართვის მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება; ბოტანიკური ბაღის ბალანსზე რიცხული ელექტრომობილებისა და ავტომანქანების და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შეძენა; ბოტანიკური ბაღისათვის კომპლექსური სასუქის, ამონიუმის გვარჯილის, დახლების და ნოყიერი ნიადაგის შეძენა (ნიადაგი განაწილდა ბაღის სხვადასხვა ტერიტორიებზე). მიმდინარე პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 273 868, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წელი - 282 514) შედარებით 8 646-ით ნაკლებია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ძირითადი ტურისტული მარშრუტების (გზების, ბილიკების) 6,5-7 კმ. პერიმეტრის მოვლა, მოვლილი და შენარჩუნებული საკოლექციო ნაკვეთები (65 ჰა ფართობი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა (მათ შორის მოვლილი და შენარჩუნებულია საკოლექციო ნაკვეთები (70 ჰა ფართობი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ეტიკეტირებული და დოკუმენტირებულია - 890 მცენარე, მცენარეთა კოლექცია განხლებულია - 34 ახალი სახეობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 800 მცენარე, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 30 ახალი სახეობა.

მიღწეული მაჩვენებელი - ეტიკეტირებული და დოკუმენტირებულია - 1000 მცენარე, მცენარეთა კოლექცია განხლებულია - 45 ახალი სახეობით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით 2024 წელს დარგულია 60100 ერთწლოვანი მცენარე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 55000-მდე ერთწლოვანი მცენარის დარგვა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 44332 ერთწლოვანი მცენარე.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო იყო შეზღუდვა და დაკომპენსირდა სხვა უბნებში დარგული მრავალწლოვნებით.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 8 ცალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 3 ცალი.

მიღწეული მაჩვენებელი - სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 9 ცალი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დასრულებული სამეცნიერო პროექტების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა დამატებითი პუბლიკაციების გამოქვეყნება.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება 4 სახეობის პროტოკოლი/შეფასდა 9 სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 4 სახეობა პროტოკოლი/4 სახეობა შეფასება.

მიღწეული მაჩვენებელი - წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 10 სახეობა პროტოკოლი/8 სახეობა შეფასება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წინა წლებში მოპოვებული მონაცემების შეჯამება და შესაბამისი მონაცემების დამუშავების დასრულება.

6.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობა (პროექტები) ფარგლებში დასრულდა 4 სამეცნიერო პროექტი და 4 საგანმანათლებლო პროექტი (მათ შორის მონაწილეობა მიიღო 2 410-მდე სკოლის მოსწავლემ, ხოლო გარემოსდაცვით დღეებთან დაკავშირებულ 8 სემინარში მონაწილეობა მიიღო 120-მდე ადამიანმა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობა (პროექტები) ფარგლებში 4 სამეცნიერო და 4 საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 5 სამეცნიერო პროექტი და 4 საგანმანათლებლო პროექტი (მათ შორის მონაწილეობა მიიღო 3394 სკოლის მოსწავლემ).

7.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 282514 ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა - 300000 ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 273868 ვიზიტორი, ხოლო ეკოგანათლების განყოფილების გიდების მიერ მოწყობილ 119 ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 2300-მდე დამთვალიერებელმა.

8.საბაზისო მაჩვენებელი - მოწესრიგებული, გამართული ტურისტული და

სამეურნეო ინფრასტრუქტურის და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, 2024 წელს დასრულდა 4 პროექტი (ღობეების მოწყობა, ბაღის 2 ლოკაციაზე სასიმაგრო კედლების აღდგენა, დაცვისა და სალაროს ჯიხურის მოწყობა, დეკორატიული ხის კოტეჯის მოწყობა) და 2022-2023 წლებში დაწყებული 4 პროექტიდან 2 პროექტი (ფერდის გამაგრება, წყლის და გაზის მილის გადატანა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება 2023-2024 წელს დაწყებული 3 პროექტი (მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი, "ლეღვთახევის" ხეობის ქვათაცვენის შემაკავებელი ღონისძიება, ფერდობების დამჭერი კედლების/ ყორეების აღდგენა-გამაგრება); 2025 წელს დაწყებული 2 პროექტი (ყოფილი სასადილოს და მებაღის შენობის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, ვარდების საკოლექციო ნაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია); დაიწყება საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია/ გაფართოება; განხორციელდება ბაღის ტერიტორიაზე მდებარე 5 ხიდის აღდგენა-გამაგრების და ახლის მოწყობის სამუშაოები

მიღწეული მაჩვენებელი - მოწესრიგებული და გამართულია ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურა, მათ შორის დასრულდა 2023-2024 წელს დაწყებული 3 პროექტი (მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი, "ლეღვთახევის" ხეობის ქვათაცვენის შემაკავებელი ღონისძიება, ფერდობების დამჭერი კედლების/ ყორეების აღდგენა-გამაგრება), საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია/ გაფართოება, ყოფილი სასადილოს და მებაღის შენობის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, ხოლო ვარდების საკოლექციო ნაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დასრულდება 2026 წელს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვერ განხორციელდა 2 პროექტი (ვარდების საკოლექციო ნაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია) - კონტრაქტორი კომპანიის მხრიდან ვალდებულებების ვადაგადაცილებით შესრულების გამო, ხოლო (ბაღის ტერიტორიაზე მდებარე 5 ხიდის აღდგენა-გამაგრების და ახლის მოწყობის სამუშაოები) - რამოდენიმეჯერ ჩაშლილი ელექტრონული ტენდერის გამო.

03 04 რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია

დაფინანსებულია 34,822.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 44,051.1 ათასი ლარის 79.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 04 01 სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 12,992.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 12,191.9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 9,445.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 93.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა სანიაღვრე ქსელის, საკანალიზაციო ქსელის, შადრევნის, რეტერატების, ამფითეატრის, სკეიტპარკის, ველოტრეკის, საბავშვო მოედნების, სავარჯიშო სივრცის, ფანჩატურების, საჩრდილობლების მოწყობის, ვერტიკალური გეგმარების, საპროექტო არეალის ნიშნულზე მოყვანისა და შავი მიწის გაშლის, სარწყავი და სასმელი წყლის სისტემების, ბილიკების, კიბეების, პანდუსის, ელ. ქსელისა და განათების ბოძების და საჭადრაკო სივრცის მოწყობის სამუშაოები, ხოლო მიმდინარეობს ადმინისტრაციული შენობის კედლების, N1 და N2 რეტერატების, ძაღლების მოედნის, კიბეებისა და პანდუსის, ფეხბურთის მოედნისა და კალათბურთის მოედნის, მოწყობის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დასრულდა სამხედრო ქალაქის პარკის ხელშეკრულების დადების პროცედურა და დაიწყო სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გრძელდება სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობის სამუშაოები შეუფერხებლად (გრაფიკის მიხედვით), რომელიც დასრულდება 2026 წელს

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

03 04 02 ვერის ბაღის რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 22,859.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 21,036.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 13,484.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 92%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები: პროექტის ფარგლებში სრულად შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები; მოეწყო - სადრენაჟე, სანიაღვრე და სარწყავი სისტემა, პავილიონები და ფანჩატურები, ახალი საბავშვო, სავარჯიშო და ძაღლების კინოლოგიური სივრცეები, ახალი ბელვედერი (გადმოსახედი) და 5500 კვ.მ დაციტის ქვაფენილი; სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა საფეხმავლო ბილიკებს; შეიცვალა გარე განათების ბოძები და შესაბამისი ელ.ქსელი; დამონტაჟდა ვიდეო-მეთვალყურეობის კამერები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა შადრევანს; აშენდა შენობა პარკის ადმინისტრაციისთვის და საზოგადოებრივი საპირფარეშოსთვის; სრულად შეიცვალა საპარკო ფურნიტურა (განთავსდა 200 ერთეული სკამი და 140 ერთეული სანაგვე ურნა); გასამწვანებელ ტერიტორიაზე შევიდა 5 000 კუბ.მ. ნოყიერი მიწის ნაზავი; დაირგო ახალი ხე-მცენარეები (1 000 ხე და 3 600 ბუჩქი) და დაიგო 18 300 კვ.მ რულონური ბალახის ბელტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - დასრულდა ვერის ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხელშეკრულების დადების პროცედურა და დაიწყება სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება ვერის ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

03 04 03 ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 8,200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,593.5 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 19.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა შადრევნების და კასკადის რეაბილიტაციის შემდეგი სამუშაოები: შემოიღობა კასკადის ტერიტორია, დასრულდა სადემონტაჟო სამუშაოები და პარალელურად მიმდინარეობს პროექტირებისა და საბოლოო ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის მომზადების სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - განხორციელდა ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის დამატებით კვლევით სამუშაოებზე ექსპერტიზის დასკვნები და შესაბამისად, მომზადებულია პროექტი.


დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიწყება ვაკის პარკში შადრევნების და კასკადის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა ნაწილობრივ.


განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - ვაკის პარკის შადრევნების კასკადის პროექტისა და საბოლოო ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის მომზადების პროცედურების გაჭიანურება, რამაც გამოიწვია აუთვისებლობა

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**


ათასი ლარი



ათასი ლარი



	ბიზნესის სტიმულირება	ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა	მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა	თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები	თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში
2023 წლის ფაქტი	1,417.2	29.4	626.4	25.8	12.9	297.1
2024 წლის ფაქტი	994.3	50.0	491.2	25.8	24.2	225.1
2025 წლის ფაქტი	919.0	107.4	397.3	25.8	59.1	7.2



04 01 ბიზნესის სტიმულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 1,303.5 ათასი ლარი, დაფინანდა - 919,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 70.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის ორგანიზებით, ახალი წლის ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო გამოფენა-გაყიდვა "თბილისური საშობაო ბაზარი" (ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 191-მა ბიზნეს სუბიექტმა), თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით ღონისძიება - "გაუსინჯე თბილისს გემო" (მონაწილეობა მიიღო 136-მა ბიზნეს სუბიექტმა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც კვების პროდუქტები, ასევე ხელნაკეთი ნივთები), ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-15-ე საერთაშორისო რეგიონული ფორუმი თემაზე - „მშვიდობის როლი მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში“ (მონაწილეობა მიიღეს ამერიკის შეერთებული

შტატების, აზერბაიჯანის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, თურქმენეთის, იაპონიის, კატარის, კენიის, ნიდერლანდების, ნორვეგიის, სომხეთის, შვეიცარიის, ჩეხეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და სხვა, პროფესიული წრეების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა. ასევე, მონაწილეობდნენ საქართველოს მთავრობის წევრები, მუნიციპალიტეტების მერები და საკრებულოს წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო გამომსვლელები, ექსპერტები სხვადასხვა სფეროდან, ბიზნესსექტორის, აკადემიური წრეებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ღონისძიების მსვლელობისას გაიმართა რამდენიმე B2B ფორმატის შეხვედრა მონაწილე მხარეებს შორის, რაც მიზნად ისახავდა სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვასა და საქმიანობის კვეთის პოტენციალის იდენტიფიცირებას (თემატიკა: მდგრადი ეკონომიკური განვითარება, 8 000-წლიანი ტრადიციული მეღვინეობა, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და ინოვაციები, განახლებადი ენერგიის მოხმარება და განვითარებ, ცირკულარული ეკონომიკა, თანამედროვე ტენდენციები სამშენებლო სექტორში, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, უძრავი ქონების ბაზარი, დემოგრაფია და მიგრაცია, სივრცითი მოწყობა, სატრანსპორტო რეფორმა და ქალაქის განვითარებისთვის საჭირო სხვა)), ხოლო თბილისის მერიის თანაორგანიზებით ჩატარდა „ჯიშიანი ძაღლების საერთაშორისო გამოფენა“ (მონაწილეობდა 400-მდე უცხოელი მოქალაქე, გამოფენას ექსპერტიზას უწევდნენ საერთაშორისო კლასის ექსპერტები, ექსპერტებმა ჯიშიანი ძაღლების მოყვარულებს და მომშენებლებს ჩაუტარეს კვალიფიციური ლექციები ჯიშიანი ძაღლების შესახებ სხვადასხვა თემებზე), დანების გამოფენა-გაყიდვა "KNIFE SHOW თბილისი 2025" (მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ სფეროში მოღვაწე 58-მა მეწარმემ, ასევე, ღონისძიება ითვალისწინებდა დანის წარმოებისთვის საჭირო ჭედვის, გამოწრთობისა და სხვა პროცედურების მასტერკლასის ჩატარებას), მეწარმე ქალთა პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და შემეცნებითი ღონისძიება (მონაწილეობდა 30 მეწარმე ქალბატონი, გამოფენის ფარგლებში ჩატარდა ასევე პრაქტიკული ტრენინგები, რაც დაეხმარება მათ ბიზნესის ზრდასა და მარკეტინგული სტრატეგიის ეფექტურად დაგეგმვაში),

საშობაო ბაზრობა "მარგო ფეარ" (წარმოდგენილი იყო 15 ადგილობრივი მწარმოებლის საშობაო და საახალწლო ნაწარმი, სასაჩუქრე ნაკრები და სხვა ნივთები, რომლებიც სპეციალურად იქნა შერჩეული ამ დღისთვის). აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიის ორგანიზებით 2025 წლიდან დაიწყო „მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პროექტი“, რომლის მიზანია მიკრო და მცირე ბიზნესისათვის ფინანსური მხარდაჭერა (პროექტის ფარგლებში შეირჩა და ხელშეკრულება გაუფორმდა 44 ბიზნეს სუბიექტს. აქედან, ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 21 ბიზნეს სუბიექტს, ხოლო 23 ბიზნეს სუბიექტის მხარდაჭერა განხორციელდება 2026 წელს მათ მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლიდან ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, პერმანენტულად ტარდება ბიზნესის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის ფესტივალები და ფორუმები, გამოფენა-გაყიდვები, რომელშიც მონაწილე ქალი ბიზნესმენების წილი მუდმივად იზრდება (2024 წლის ფაქტი - გამოფენა-გაყიდვები ჩატარდა 30-ჯერ, სადაც მონაწილეთა ნახევარს ქალი მეწარმეები წარმოადგენენ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - წლის განმავლობაში პერმანენტულად ჩატარებული გამოფენა-გაყიდვები, ქალების ჩართულობის ზრდა ეკონომიკური განვითარების პროცესში.

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში გამოფენა-გაყიდვები ჩატარდა 6-ჯერ, სადაც მონაწილეთა ნახევარს ქალი მეწარმეები წარმოადგენენ.

2.საბაზისო მაჩვენებელი - N/A.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიკრო და მცირე ბიზნესების ნაწილობრივ ფინანსური მხარდაჭერა/თანადაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - 2025 წელს მიკრო და მცირე ბიზნესის ფინანსური მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში შეირჩა და ხელშეკრულება გაუფორმდა 44 ბიზნეს სუბიექტს. აქედან, ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 21 ბიზნეს სუბიექტს,

ხოლო 23 ბიზნეს სუბიექტის მხარდაჭერა განხორციელდება 2026 წელს მათ მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ).

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2007 წლიდან თბილისის მერია ორგანიზებას უწევს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმის ჩატარებას, სადაც მონაწილეობას იღებენ და გამოცდილებას გვიზიარებენ საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები/მომხსენებლები, ღონისძიება იმართება წელიწადში ერთხელ და ეთმობა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ თემას (მათ შორის 2024 წელს ფორუმი ჩატარდა წარმატებით, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ამაღლდა თბილისის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ცნობადობა და მნიშვნელობა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ეკონომიკური ფორუმის წარმატებით ჩატარება, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე თბილისის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ცნობადობის და მნიშვნელობის ამაღლება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ამაღლდა თბილისის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ცნობადობა და მნიშვნელობა (თემატიკა: მდგრადი ეკონომიკური განვითარება, 8 000-წლიანი ტრადიციული მეღვინეობა, ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა და ინოვაციები, განახლებადი ენერგიის მოხმარება და განვითარებ, ცირკულარული ეკონომიკა, თანამედროვე ტენდენციები სამშენებლო სექტორში, გარემოს დაცვა და ეკოლოგია, უძრავი ქონების ბაზარი, დემოგრაფია და მიგრაცია, სივრცითი მოწყობა, სატრანსპორტო რეფორმა და ქალაქის განვითარებისთვის საჭირო სხვა).

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - „მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერის გასაწევად შეირჩა და ხელშეკრულება გაუფორმდა 44 ბიზნეს სუბიექტს. აქედან ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 21 ბიზნეს სუბიექტს, ხოლო 23 ბიზნეს სუბიექტის მხარდაჭერა განხორციელდება 2026 წელს მათ მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ. აღნიშნულმა გამოიწვია აუთვისებლობა.

04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 60.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 59.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა (მოსახლეობა, პოტენციური ინვესტორი და ტურისტი) თბილისის ეკონომიკის, ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა „მდგრადი განვითარების მიზნების თბილისის ნებაყოფილობითი ადგილობრივი მიმოხილვის“ დაინტერესებულ მხარეთა საკონსულტაციო ფორუმის ფარგლებში მონაწილეთა სამუშაო შეხვედრა თბილისის მერიის წარმომადგენლებთან; სამუშაო შეხვედრა „ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სხვადასხვა სექტორში ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისა და მისი როლის შესახებ“; ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად ჩატარდა „უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები, მიწა და ავტოსადგომები) საბაზრო ღირებულების“ კვლევა; მრავალბინიან საცხოვრებელ შენობაში ერთი კვ.მ. საცხოვრებელი ფართის მშენებლობის ღირებულების და ბინის თეთრი კარკასიდან გარემონტებულ კონდიციამდე მიყვანის ღირებულების კვლევა, რომელთა გამოყენება ხდება დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტების ფინანსური მოდელების შემუშავების პროცესში; მიმდინარეობს „ახალი საზოგადოებრივი პარკების“ კვლევა, რომლის მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ახალი საზოგადოებრივი პარკების ეკონომიკური სარგებლისა და სოციალური შედეგების შეფასება; დაიბეჭდა თბილისის შესახებ საპრომოციო მასალები (საინფორმაციო კატალოგი „თბილისი ციფრებში“ – 500 ცალი); შეძენილ იქნა „ბრენდირებული ჩანთები“ (400 ცალი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული ბროშურების მომზადება და მათი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის (2024 წლის ფაქტი - დაიბეჭდა 500 ცალი საინფორმაციო კატალოგი „თბილისი ციფრებში“, 10500 ცალი ტურისტული რუკა, 600 ცალი ბრენდირებული ბლოკნოტი, 600 ცალი „ბრენდირებული ჩანთა, რომელიც მიეწოდათ დაინტერესებულ პირებს).

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული ბაზის შენარჩუნება და განახლება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაიბეჭდა 500 ცალი საინფორმაციო კატალოგი „თბილისი ციფრებში“, 400 ცალი „ბრენდირებული ჩანთა, რომელიც მიეწოდებათ დაინტერესებულ პირებს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება შეხვედრები ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლებთან და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ინფორმაციის გაცვლა ეკონომიკის განვითარების მიმართულებებისა და შესაძლებლობების შესახებ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2021 და 2024 წწ-ში განხორციელდა “საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების“კვლევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები, მიწები და ავტოსადგომები) საბაზრო ღირებულების კვლევა.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 2 კვლევა (უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები, მიწები და ავტოსადგომები) საბაზრო ღირებულების და მრავალბინიან საცხოვრებელ შენობაში ერთი კვ.მ. საცხოვრებელი ფართის მშენებლობის ღირებულების და ბინის თეთრი კარკასიდან გარემონტებულ კონდიციამდე მიყვანის ღირებულების კვლევა), რომელთა გამოყენება ხდება დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტების ფინანსური მოდელების შემუშავების პროცესში, ხოლო მიმდინარეობს ახალი საზოგადოებრივი პარკების კვლევა, რომელიც დასრულდება 2026 წელს.

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 7.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო ესპანეთის სამეფოში (ქ. მარბელია) გამართულ მსოფლიო ქალაქების ტურიზმის ფედერაციის (WTCF) ევროპის რეგიონულ კონფერენციაში (გაიმართა შეხვედრები კერძო კომპანიებთან და პარტნიორ ქალაქებთან, განხილულ იქნა ნაბიჯები საქალაქო ტურიზმის განვითარებაში სხვადასხვა ინოვაციური არხებისა და გზების გამოყენების მიმართულებით), ხოლო მერიის თანაორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება/კონკურსი "ქუჩის ხელოვნება მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის", რომლის მიზანს წარმოადგენდა ქუჩის მხატვრობის გზით მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი გადაჭრის გზების შესახებ დიალოგის ინიცირება (კონკურსში გამოვლინდა ორი გამარჯვებული, რომელთაც თბილისის მერიასთან შეთანხმებით მიეცათ ნებართვა მოეხატათ მზიურის და ვაკის პარკის ტერიტორიაზე არსებული კედლები).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 10-მდე ეკონომიკურ და საინვესტიციო ფორუმებში, თბილისის შესახებ მასალები გაგზავნილია 30-მეტ ქვეყანაში (ე.წ. "News Letter").

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ 4 საერთაშორისო ღონისძიებაში მონაწილეობა, თბილისის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 2 საერთაშორისო ღონისძიებაში, სადაც წარდგენილი იქნა მდგრადი განვითარების

შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხები და ტურიზმის მიმართულებით შესაძლებლობები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - თბილისი აღარ არის Delice Network-ის წევრი. შესაბამისად, აღარ მიუღია მონაწილეობა მათ მიერ ინიცირებულ საერთაშორისო ღონისძიებებში.

04 07 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსებულია 25.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 370.0 ათასი ლარის 7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

04 07 02 შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: შიდა მონიტორინგისა და აუდიტის საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - განსაზღვრულია 50.0 ათასი ლარით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მერიის სისტემაში განხორციელებული შიდა აუდიტორული შემოწმებისა და ინსპექტირების/მონიტორინგის შედეგად მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება და რისკების შემცირება; კვალიფიკაციური საჯარო მოხელეები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები არ გაწეულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - გამოვლენილი დარღვევებისა და ხარვეზების აღმოფხვრა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი.

2. საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მქონე საჯარო მოხელეები

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული საბაზისო მაჩვენებელი.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - შიდა აუდიტორული

შემოწმებისა და ინსპექტირების/მონიტორინგის განხორციელებისას აღმოჩენილი დარღვევების გამოსავლენად, აღმოსაფხვრელად და შესაფასებლად, რომელიც მოითხოვს სპეციალიზებულ გამოცდილებას/შემოწმებას, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დასკვნა არ მომზადებულა და არ განხორციელებულა სხვადასხვა სახის მატერიალური საშუალებების/ ინვენტარის (ხელსაწყოების, ინსტრუმენტების, ტექნიკისა და ქსელური მოწყობილობების და ა.შ) შეძენა, რამაც გამოიწვია აუთვისებლობა.

04 07 03 სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - განსაზღვრულია 10.0 ათასი ლარით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სახელმწიფო შესყიდვებისათვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მაქსიმალური სიზუსტე და ობიექტურობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები არ გაწეულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის ფაქტობრივი მონაცემებით, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულებასა და სახელშეკრულებო ღირებულებას შორის სხვაობა - 12,73%

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება 20%-ის ფარგლებში

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) – აუთვისებლობა გამოწვეულია აღნიშნული მომსახურების საჭიროების არარსებობიდან გამომდინარე, ვინაიდან შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით, ბაზრის კვლევას აწარმოებდა შესაბამისი განყოფილება.

04 07 05 საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 310.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 25.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სისტემის გამართული ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილია ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის საწევრო გადასახადი და გაწეულია საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის 2025 წლის განმავლობაში გაგრძელების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის (ESBA) გაგრძელება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამის გამართული ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ფინანსური მენეჯმენტის ეფექტური ფორმების დანერგვის, საფინანსო სისტემაში არსებულ ხარვეზებზე და კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებულ ცვლილებებზე ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაციის მიღება და სწავლება-ტრენინგების ორგანიზება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ინფორმაციის და კონსულტაციის მიღება, სწავლება-ტრენინგებში მონაწილეობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) – დაგეგმილი იყო საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა/დახვეწა მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ერთეულების დონეზე და საფინანსო სისტემის გაუმჯობესებისათვის სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც არ განხორციელდა, რამდენადაც სამთავრობო სექტორს დაქვემდებარებული ორგანიზაციების სახაზინო სისტემაზე გადასვლა გადაიწია 2026 წლისათვის.

04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 469.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 397.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში ეკო-ტურიზმის განვითარების მიმართულებით შესაძლებლობების გამოვლენა, ახალი ტურისტული ინფტასტრუქტურის (მანიშნებლები, საკემპინგე ადგილები და სხვა) შექმნა; ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება/ თანაორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო ავსტრიის რესპუბლიკაში (ქ. ინსბრუკი) გამართულ საერთაშორისო ფორუმზე - "INTERALPIN B2B Cooperation Platform 2025" (გაიმართა B2B შეხვედრები ინდუსტრიის ლიდერებთან, ექსპერტებთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან, მათ შორის კომპანია ALLEGRA-ს მფლობელთან და მენეჯერთან, სადაც მოხდა გამოცდილების გაზიარება სამთო ტურიზმსა და ველობილიკების მოწყობის და განვითარების საკითხებზე); თბილისის მერიის თანაორგანიზებით ჩატარდა: ადგილობრივი ოსტატებისა და მათი ნამუშევრების (დანები) შესახებ ბეჭდური კატალოგის პრეზენტაცია, რომელიც მიზნად ისახავს ადგილობრივი ოსტატების პოპულარიზაციას და მათი ნამუშევრების

ხელმისაწვდომობას დაინტერესებულ პირთათვის; „თბილისის გასტრო კვირეული“; საერთაშორისო კონფერენცია - "სტანდარტები ტურიზმში"; „თბილისური სტუმარმასპინძლობის კონფერენცია“ - “Tbilisi Hospitality”, რომლის მიზანიც გახლდათ სტუმარ-მასპინძლობის სექტორის განვითარება და დასაქმებული პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლება (მოხდა 50-ზე მეტი დასაქმებულის ჩართვა საერთაშორისო სპიკერების მიერ ჩატარებულ ტრენინგებსა და მასტერკლასებში); “ყავის საერთაშორისო ფესტივალი”; გასტრონომიული ფესტივალი - "Food and Wine Festival Tbilisi"; ფესტივალი - "სტუმარმასპინძლობის დღე"; ფესტივალი -"საახალწლო მასპინძლობა", ხოლო მერიის ორგანიზებით ჩატარდა სემინარები ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისათვის: სემინარი - კულტურული ტურიზმის გიდებისათვის; სტუმარმასპინძლობის „თბილისური დღეების“ ფარგლებში სფეროს წარმომადგენლებისათვის სემინარები და მასტერკლასები (გადამზადდა ტურიზმის ინდუსტრიის 50-მდე წარმომადგენელი); სპორტის ბიზნესის საერთაშორისო კონფერენცია - "Sports Way Global-Tbilisi Sports Business Summit". გარდა ამისა, გადახდილია „მსოფლიო ქალაქების ტურიზმის ასოციაციის“ საწევრო გადასახადი; ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების საინფორმაციო - გაცნობით ვიზიტთან დაკავშირებული ხარჯები, რომლის მიზანი იყო თბილისის, როგორც მიმზიდველი ტურისტული მიმართულების (City Break Destination), პოპულარიზაცია (მოწვეული სტუმრებმა საკუთარ პლატფორმებზე გაავრცელეს ინფორმაცია ქალაქის მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტების შესახებ. შედეგად, მათ მიერ განთავსებული ვიდეოების ნახვა შეძლო 100 000-ზე მეტმა პოტენციურმა ვიზიტორმა). აღსანიშნავია, რომ მიმდინარეობს ბაგების ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების ქსელის და მასზე მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობა-მონიშვნის (მარკირება) სამუშოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს კერძო სექტორის განვითარებისა და

მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა 5 სემინარი/ტრენინგი. გადამზადდა ტურიზმის ინდუსტრიის 150-მდე წარმომადგენელი, ხოლო გასტრო კვირეულის ფარგლებში მსოფლიო დონის შეფ-მზარეულების მიერ მასტერკლასები ჩაუტარდათ კულინარიული ხელოვნების მოყვარულებს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება არანაკლებ 5 თემატური ტრენინგი

მიღწეული მაჩვენებელი - კერძო სექტორის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა 5 სემინარი/ტრენინგი. გადამზადდა ტურიზმის ინდუსტრიის 100-მდე წარმომადგენელი, ხოლო გასტრო კვირეულის "Tbilisi Hospitality"-ის ფარგლებში მსოფლიო დონის შეფ-მზარეულების მიერ მასტერკლასები ჩაუტარდათ კულინარიული ხელოვნების მოყვარულებს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 8 საერთაშორისო და ერთ ადგილობრივ ღონისძიებაში, დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილე კომპანიებსა და პოტენციურ ვიზიტორებს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება თბილისის მერიის მიერ არანაკლებ 5 საერთაშორისო და 2 ადგილობრივ ღონისძიებაში მონაწილეობა (ორგანიზება/ თანაორგანიზება).

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 5 საერთაშორისო და 5 ადგილობრივ ღონისძიებაში, დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილე კომპანიებსა და პოტენციურ ვიზიტორებს.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს საინფორმაციო გაცნობითი ტურის ფარგლებში თბილისს ეწვია 10-მდე საერთაშორისო ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებიდან და დიდი ბრიტანეთიდან. გაიმართა B2B შეხვედრები 20-მდე ადგილობრივ ტურისტულ კომპანიასთან, რომლებსაც მიეწოდათ ინფორმაცია თბილისის ტურისტული პოტენციალის შესახებ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლება.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისს ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტები, ბლოგერები და ტურისტული ასოციაციის წარმომადგენლები (მათ მიერ განთავსებული ვიდეოების ნახვა შეძლო 100 000-ზე მეტმა პოტენციურმა ვიზიტორმა).

4. საბაზისო მაჩვენებელი - კუს ტბის და ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთდა ველო და საფეხმავლო ბილიკები, განხორციელდა მათი მონიშვნა და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეიქმნება ერთი ტურისტული ბილიკი, რომლის კონკრეტული ლოკაცია გამოიკვეთება შესწავლის შემდეგ.

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარეობს ბაგების ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების ქსელის და მასზე მცირე ინფრასტრუქტურის მოწყობა-მონიშვნის (მარკირება) სამუშოები.

5. საბაზისო მაჩვენებელი - თბილისი არის მსოფლიო ქალაქების ტურიზმის ასოციაციის წევრი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომით თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლება.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მსოფლიოს წამყვანი ქალაქების წარმომადგენლებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ქ. მარბელიაში სამუშაო შეხვედრაში, სადაც ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება საქალაქო ტურიზმში ინოვაციურ მიდგომებთან დაკავშირებით, რაც მსოფლიოს ბევრ ქალაქში წარმატებით დაინერგა და განვითარდა.

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 107.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 107.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის გაზრდა და დაინტერესებული ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლების ინფორმირებულობა; შემუშავებული

მხარდაჭერის პროგრამები იდენტიფიცირებული პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდასაჭერად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მერიის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც განხილული იქნა ბიზნესის ხელშეწყობის, შრომის ბაზრის განვითარების და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების საკითხები, ხოლო მერიის თანაორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო ტექნოლოგიური კონფერენცია - „გლობალ ტექ ვიქენდ თბილისი 2025“, რომელიც მიზნად ისახავდა თბილისის პოზიციონირებას კავკასიისა და ცენტრალური აზიის წამყვან ტექნოლოგიურ ჰაბად (კონფერენცია მიმდინარეობდა სამ დღეს და მოიცავდა 20-ზე მეტ ღონისძიებას, ღონისძიებას ესწრებოდნენ მსოფლიოს წამყვანი კომპანიების, ანგელოზ ინვესტორთა ქსელების და ვენჩურული ფონდების წარმომადგენლები და დელეგაციები). გარდა ამისა, თბილისის საინვესტიციო პროდუქტებისა და გარემოს საინფორმაციო კამპანიის წარმოების მიზნით, ჟურნალსა „FDI Intelligence” და საიტზე განთავსდა სარეკლამო - საინფორმაციო და ონლაინ სტატია (ინფორმაცია თბილისში არსებული საინვესტიციო გარემოს შესახებ ხარჯების ეფექტურობის გათვალისწინებით). თბილისი დასახელებული იქნა შემდეგ რეიტინგებში: 1. fDi-ის ევროპის მომავლის ქალაქები 2025 - ხარჯთეფექტიანობის თვალისაზრისით; 2. fDi-ის ევროპის მომავლის ქალაქები 2025 - FDI სტრატეგიის მიხედვით; 3. fDi-ის ევროპის მცირე რეგიონები 2025 - ხარჯთეფექტიანობის თვალსაზრისით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 10-ზე მეტი ინდივიდუალური შეხვედრა პოტენციურ ინვესტორთან; 3 სექტორული შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლებთან დაუმთავრებელი და ავარიული შენობების მიმართულებით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეხვედრა პოტენციურ ინვესტორებთან, ბიზნეს ასოციაციისა და კომპანიების წარმომადგენლებთან.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო ინდივიდუალური შეხვედრა ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, 100-მდე სექტორული შეხვედრა კომპანიის


წარმომადგენლებთან დაუმთავრებელი და ავარიული შენობების მიმართულებით.


2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო ანგელოზ ინვესტორთა ორგანიზებით ჩატარებულ 2 საინვესტიციო ღონისძიებაში და უძრავი ქონების კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ 3 მასშტაბურ ღონისძიებაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მონაწილეობა იქნება მიღებული ორ საერთაშორისო ბიზნეს ღონისძიებაში.


მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტექნოლოგიური კონფერენციაში - „გლობალ ტექ ვიქენდ თბილისი 2025“, თბილისის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ციფრული და ბეჭდური სტატიები განთავსდა FDI Intelligence-ის საერთაშორისო გამომცემლობაში.

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**





05 01 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 56,529.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 57,179.6 ათასი ლარის 98.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:



05 01 08 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა


გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 6,292.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,287.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის სახურავის (42512.7 კვ.მ) შეკეთების სამუშაოები (46 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (5529.3 გრძ.მ) შეკეთების სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის ქსელების (42 მისამართი 6750.10 გრძ.მ) შეკეთების სამუშაოები, ლიფტის მოწყობა/რეაბილიტაციის (64 მისამართი) სამუშაოები, სადარბაზოს ლითონის კარის მონტაჟის (24 მისამართი, 234.53კვ.მ) სამუშაოები, საერთო სარგებლობის ქვის კიბეების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (10 მისამართი, 2543.45 კვ.მ), 27 სადარბაზოს შესასვლელის გადახურვის (12 მისამართი, 244.71 კვ.მ) სამუშაოები და განხორციელდა პანელოვანი შენობების სართულშუა ნაპრალების 15909 გრძ.მ რეაბილიტაცია (მობათქაშება) 7 მისამართზე. ამასთან, გაწეულია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისა და დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 241 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 259 განცხადება.

05 01 09 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 4,702.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,627.4. ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და

მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შიდა- წყალკანალიზაციის შეკეთების სამუშაოები (103 სადარბაზო); ბრტყელი და ქანობიანი (92 სადარბაზო) სახურავების შეკეთების სამუშაოები; წყალსაწრეტი მილების (75 სადარბაზო) შეკეთების სამუშაოები; ლიფტების მიმდინარე/ კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (37 სადარბაზო); სადარბაზოს სენსორული განათების სამუშაოები (14 სადარბაზო); ლითონის კარის მონტაჟი (34 სადარბაზო); საერთო სარგებლობის აივნების მონტაჟი (5 სადარბაზო); საერთო სარგებლობის კიბის მოაჯირებისა და კიბის უჯრედის მოაჯირები (4 სადარბაზო). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული 721 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 192 განაცხადი ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 701 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 223 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არ განხორციელდა განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანი.


05 01 10 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 4,459.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა წყალ-კანალიზაციის ქსელების (37 მისამართი) შეკეთება, შენობის ქანობიანი სახურავის შეცვლა – შეკეთება (10 მისამართი), შენობის ბრტყელი სახურავის შეცვლა – შეკეთება (17 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (21 მისამართი) შეცვლა-შეკეთება, საცხოვრებელ სახლებში სადარბაზოს კარების (ჭიშკარი) მიმდინარე შეკეთება (27 მისამართი), ლიფტის მიმდინარე/კაპიტალური შეკეთება (48 მისამართი), მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში კიბის მიმდინარე (6 მისამართი), საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრება-გაძლიერების (4 მისამართი) და სადარბაზოების მიმდინარე რემონტის (4 მისამართი) სამუშაოები. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 155 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 166 განცხადება.

05 01 11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩოღურეთის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩოღურეთის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 5,384.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,342.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა

ღონისძიებები, მათ შორის: შენობის ქანობიანი სახურავისა (21029 კვ.მ - 42 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების (1430 გრძ.მ - 29 მისამართი) შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (16106 გრძ.მ - 29 მისამართი), ლიფტების შეკეთება (8 მისამართი - 8 ერთეული ლიფტი), საერთო სარგებლობის ეზოს ჭიშკრისა და სადარბაზოს კარის შეკეთება (17 მისამართი), საცხოვრებელი კორპუსის კაპიტალური გამაგრება (13 მისამართი), საერთო საგებლობის კიბეების (17 მისამართი) და აივნების (3 მისამართი) მიმდინარე შეკეთება, სადარბაზოს (15 მისამართი) მიმდინარე შეკეთება. ასევე, გაწეულია კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ექსპერტიზის მომსახურების და აღდგენა-შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო დეფექტური აქტებისა და შესაბამისი ესკიზური ნახაზების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული 643-მდე განცხადებიდან დაკმაყოფილდა 147 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 591-მდე განცხადებიდან დაკმაყოფილდა 147 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის არ განხორციელება. ასევე, დაკმაყოფილდა იმ ამხანაგობების განცხადებები, რომელთა საერთო სარგებლობის ქონება უფრო მძიმე, სავალალო და ავარიულ მდგომარეობაში იყო.


05 01 12 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 8,343.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,320.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (26978 კვ.მ) და წყალსაწრეტი მილების (6713 გრძ.მ) შეკეთება (სულ 100 მისამართი), შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (30 მისამართი), ლიფტების შეკეთება (103 ლიფტი), სადარბაზოს შეკეთება/რემონტი (43 მისამართი) და საერთო კიბეების (13 მისამართი) შეკეთება, პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (5 მისამართი). ასევე, გაწეულია ლიფტების დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული 1129 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 203 განცხადება, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 1034 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 291 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.

05 01 13 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 7,460.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 7,389.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და

კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: შენობის ქანობიანი სახურავისა (13302.35 კვ.მ - 39 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების (38 მისამართი-8885გრძ.მ შეკეთება), ლიფტებისა (7 ლიფტის მოდერნიზაცია და 66 ლიფტის შეკეთება) და კიბეების (8 მისამართი) აღდგენა/შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (28 მისამართი - 7544.20 გრძ.მ), საერთო სარგებლობის სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი (12 მისამართი) და პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (6 მისამართი). ასევე, გაწეულია ლიფტების დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული შემოსული 626 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 221 განცხადება, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 652 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 196 განცხადება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.


05 01 14 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 7,875.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,703.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავის (42731.95 კვ.მ) და წყალსაწრეტი მილების (7322 გრძ.მ) შეკეთება (65 მისამართი), შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (35 მისამართი), ლიფტების (60 მისამართი - 77 ლიფტი) შეკეთება, საერთო სარგებლობის სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი (53 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების (8 მისამართი) აღდგენა-შეკეთება, სადარბაზოს (მათ შორის: თაღები) რემონტი (27 მისამართი), სენსორული სანათების მონტაჟი (18 მისამართი - 858 წერტილი), საცხოვრებელი კორპუსის კაპიტალური გამაგრება (1 მისამართი), პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (6 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის, საექსპერტო მომზადების ხარჯები და დაფარულია 2024 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტის მიზნით დაკავებული 2.5% -69.7 ათასი ლარი.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული 315 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 298 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 315 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 309 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა პირობებს.

05 01 15 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 5,286.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,216.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და

კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავების შეკეთება (42 მისამართი), შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა (15 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (24 მისამართი) და სართულშუა ნაპრალების (12 მისამართი) რეაბილიტაცია, ლიფტების შეკეთება-აღდგენა (35 მისამართი); შიდა რემონტი და სადარბაზოს შესასვლელი გადახურვის ფილების დემონტაჟი (23 მისამართი); სადარბაზოს შესასვლელის კარებებისა და კიბეების შეკეთება (35 მისამართი); სენსორული განათება (14 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული 670 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 259 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შესაძლებლობის ფარგლებში შემოსული განცხადებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 655 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 224 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილების შენატანის განუხორციელებლობით


05 01 16 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 3,767.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,719.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ქანობიანი/ბრტელი სახურავის (16 214.64 კვ.მ - 40 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების შეკეთება (9 მისამართი), ლიფტების (12 მისამართი - 25 ლიფტი) შეკეთების სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (24 მისამართი), საერთო სარგებლობის ჭიშკრის (27 მისამართი) მოწყობა, პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (13 მისამართი). საერთო სარგებლობის კიბეების (25 მისამართი) და აივნების (5 მისამართი) აღდგენა-შეკეთება, სადარბაზოს (მათ შორის: თაღები) რემონტი (11 მისამართი), სენსორული სანათების მონტაჟი (14 მისამართი - 687 წერტილი). ამასთან, გაწეულია დეფექტური აქტების, ექსპერტიზის შედგენის ხარჯები და დაფარულია 2024 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტის მიზნით დაკავებული 2.5% - 18.6 ათასი ლარი.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული შემოსული 339 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 192 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 279 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 184 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.


05 01 17 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 3,609.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,463.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ლითონის კიბის, ჭიშკრის და სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟის, შეკეთება-რესტავრაციის და აღდგენის სამუშაოები (11 მისამართი); წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების სამუშაოები (20 მისამართი); წყალსაწრეტი მილების (29 მისამართი) და შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავის შეკეთების სამუშაოები (35 მისამართი); სადარბაზოს შიდა, ასევე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში არსებული თაღების რემონტი (9 მისამართი); ამორტიზებული (მწყობრიდან გამოსული) ლიფტების მოდერნიზაცია/შეკეთების სამუშაოები (12 მისამართი); საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის კიბეების აღდგენის სამუშაოები (16 მისამართი); შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (3 მისამართი); საერთო სარგებლობის აივნების აღდგენის სამუშაოები (3 მისამართი); ჩატარდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი სახლების (3 მისამართი) ავარიული ნაწილის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს შემოსული 145 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.


მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 140 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად


- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ათასი ლარი



ათასი ლარი





06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 44,158.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 44,890.4 ათასი ლარის 98.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 01 02 დაავადებათა სკრინინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ეროვნული სკრინიგ ცენტრი

2025 წლის გეგმა - 4,136.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,542.4 ათასი ლარით,

რაც გეგმის 85.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაავადებათა ადრეული გამოვლენის საშუალებით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული და ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის პრევენცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, თბილისში რეგისტრირებული პირების (მ.შ. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი) შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები: ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში; პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცებში; კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის; ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა 25-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში.

ცხრილი 1. ანაზღაურებულ შემთხვევათა რაოდენობა კომპონენტების მიხედვით:

თვე	ძუძუს კიბოს სკრინინგი	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	პროსტატის კიბოს მართვა	კოლორექტული კიბოს სკრინინგი	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მარვა	სულ
2024 წლის დეკემბერი (10-31)	3 166	3 311	324	456	1 431	**8 688**
იანვარი	3 664	3 840	378	533	2 549	**10 964**
თებერვალი	4 405	4 507	459	606	2 661	**12 638**
მარტი	4 103	5 301	460	626	2 670	**13 160**
აპრილი	4 311	4 879	415	515	2 535	**12 655**
მაისი	4 000	4 781	481	594	2 648	**12 504**
ივნისი	4 046	5 096	475	660	2 522	**12 799**
ივლისი	4 915	5 581	451	573	2 855	**14 375**
აგვისტო	3 089	2 750	189	324	1 502	**7 854**
სექტემბერი	3 614	5 432	502	566	2 839	**12 953**
ოქტომბერი	4 079	4 514	521	556	2 833	**12 503**
ნოემბერი	7 132	6 648	689	826	3 979	**19 274**

ჯამი	50 524	56 640	5 344	6 835	31 024	150 367

დანართი N: მომსახურების ანაზღაურება კომპონენტების მიხედვით:

თვე	ძუძუს კიბოს სკრინინგი	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	პროსტატის კიბოს მართვა	კოლორექტული კიბოს სკრინინგი	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მარვა	სულ
2024 წლის დეკემბერი (10-31)	93 542	75 337	3 240	5 253	30 185	**207 557**
იანვარი	109 200	82 540	3 780	6 472	53 892	**255 884**
თებერვალი	127 352	97 570	4 590	7 130	55 667	**292 309**
მარტი	121 705	125 128	4 600	8 374	55 551	**315 358**
აპრილი	127 015	105 810	4 150	6 389	53 782	**297 146**
მაისი	118 841	106 581	4 810	7 776	55 415	**293 423**
ივნისი	119 745	114 476	4 750	8 728	53 878	**301 577**
ივლისი	144 718	121 980	4 510	8 151	61 049	**340 408**
აგვისტო	92 025	55 989	1 890	3 972	31 463	**185 339**
სექტემბერი	118 829	121 268	5 020	6 632	59 250	**310 999**
ოქტომბერი	119 922	101 163	5 210	6 796	60 518	**293 609**
ნოემბერი	197 304	144 406	6 890	9 412	84 499	**442 511**
ჯამი	**1 490 198**	**1 252 248**	**53 440**	**85 085**	**655 149**	**3 536 120**

გარდა ამისა, ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის საკუთარი სახსრებიდან გაწეულია 6,548.8 ათასი ლარი ცენტრის ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო ბიუჯეტის სახსრებიდან 6,3 ათასი ლარი ალექსიძის N1-ში საბურთალოს ფილიალის შენობის რემონტის პროექტის მომზადების ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში ჩატარდა 139557 კვლევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 142871 კვლევის ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 150367 კვლევა.

06 01 03 გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა

ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“

2025 წლის გეგმა - 812.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 810.3 ათასი ლარით (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 483.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და დაავადებათა ჰოსპიტალური შემთხვევების შემცირება; ჩატარებული აცრების ორგანიზება-ხელშეწყობა სხვადასხვა ასაკში, სხვადასხვა ვაქცინით და შედეგად შემცირებული მართვადი ინფექციური დაავადებები; ინფექციური დაავადებების გავრცელების მინიმიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 24.6 ათასი ლარი). ასევე, ეპიდემიოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები: გადამდებ დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა; ინფექციების გავრცელების შეზღუდვების ღონისძიებების განხორციელება; დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოვლენა და მათი პრევენციულ მკურნალობაში, შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექცია-დეზინსექცია; იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა; სამედიცინო საგანმანათლებლო საქმიანობა, გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით.

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2025 წელს აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფარგლებში აღირიცხა ცხრილი N1-ში მითითებული

ნოზოლოგიები:

ცხრილი N1:

ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა
მწვავე დუნედამბლა მწვავე პოლიომიელიტი/გიენ-ბარეს სინდრომი	4	მალარია	9
ქოლერა	0	მუცლის ტიფი	0
დიფთერია	0	ტეტანუსი	0
წითელა	294	ლეიშმანიოზი	5
წითურა	0	ექინოკოკოზი	55
ყივანახველა	87	ფასციოლოზი	18
ყბაყურა	12	ამებიაზი	8
ტუბერკულოზი	263	ტრიქინელოზი	2
ბაქტ.მენინგიტი	45	სიფილისი	630
ტუბ.მენინგიტი	4	თანდაყოლილი სიფილისი	0
მენინგიტი გამოწვეული hemophilusinfluenzaB	1	სიფილისი ორსულებში	33
ვირ.მენინგიტი	25	გონორეა	122
მენინგოკოკცემია	5	ქლამიდიოზი	245
N. meningitides-ით გამოწვეული მენინგიტი	1	საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	399
Streptococcus pneumonae –თ გამოწვეული მენინგიტი	5	ნოზოკომიური პნევმონია	895
Streptococcus pneumonae –თ გამოწვეული ინფექცია	15	ნოზოკომიური ბაქტერიემია, სეფსისი	392
ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზი	127	ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	242
სალმონელოზი	299	15-49 წ.ქალთასიკვდ.	21
შიგელოზი	3	0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილი	20
ბოტულიზმი	1	სხვა ვირუსული ჰეპატიტები	5
სავ.ინფ.წარ.დიარეა	3463	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი A	1
სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	698	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B	53
სოკოთი მოშხამვა	60	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	1051
ჯილეხი	0	ჰეპატიტი C	812
ბრუცელოზი	25	მწვავე ჰეპატიტი E	1
აივ –შიდსზე ტესტირებული	114017	სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	0
მ. შ. აივ– შიდსზე ტესტირებული ორსულები	6503	ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება	0
ლაიმის დაავადება	87	ჰანტავირუსით გამოწვეული ინფექცია	7

ტულარემია	0	დენგეს ცხელება	0
ჩუტყვავილა	2876	Q ცხელება	5
ქუნთრუშა	365	ლეპტოსპიროზი	85
ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია	21290	აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები	1
შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი	3	პოქსვირუსებით გამოწვ. დაავადება	1
ცოფი	0	ყვავილი	0
სხივური დაზიანება	0	ყვითელი ცხელება	0

საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპისმსგავსი დაავადებების ამბულატორიული ვიზიტების 1 746 602 შემთხვევა (მათ შორის: მწვავე რესპირატორული ინფექცია (ILI) – 132 775), ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების რაოდენობა - 105 736 (მათ შორის მწვავე რესპირატორული ინფექციის ჰოსპიტალური (SARI) – 8 156 შემთხვევა).

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალური ცენტრის მიერ განხორციელდა: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, კერებში - ეპიდკვლევა, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, გადამდებ დაავადებათა ანგარიშგება დზეი-ისა და ელექტრონული მოდულის მიხედვით და ასევე, ვაქცინების მიღება (დკსჯეც-იდან), შენახვა და გაცემა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მომაწილე დაწესებულებებში. ასევე, ტარდებოდა ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებები, მათთვის საჭირო ანტირაბიული სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი ვაქცინებისა და იმუნოგლობულინის განაწილება ანტირაბიულ კაბინეტებში;

მგბ+ ავადმყოფებთან ეპიდანამნეზით დადგინდა კონტაქტში მყოფი სავარაუდო ინფიცირებული პირები და ცენტრმა განახორციელა მათი მიმართვა ფტიზიატრიულ სამსახურში. ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა ტუბერკულოზით დაავადებულ ეგრეთწოდებულ ინდექს პაციენტებისა და მათთან კონტაქტში მყოფ პირთა ელექტრონული აღრიცხვა-შეტყობინება-შესწავლის თვალსაზრისით, ონლაინ ფლატფორმის საშუალებით. ასევე, ოფიციალურად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წარიმართა

ტუბერკულიოზით დააავადებულ ყოფილ პატიმრებში ეპიდგამოკვლევა, მკურნალობაზე ცუდი დამყოლისა და რეიზისტენტული შტამით დაავადებულ პაციენტთა ეპიდზედამხედველობა (შეტყობინების შემთხვევაში); განხორციელდა ანგარიშგება ვაქცინისა და სხვა სახარჯი მასალის ინვენტარიზაციის შესახებ. ანგარიშგება ხორციელდება დკსჯეც-ში;

პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელ ყველა დაწესებულებაში, განაწილდა სახარჯი მასალა სწრაფი ანტიგენ ტესტირებისთვის. პროტოკოლის მიხედვით საანგარიშო პერიოდში შემოწმდა 1450 დაწესებულება (მათ შორის 473 სილამაზის სალონი) და საჯარიმო ოქმი არ შემდგარა;

2025 წლის იანვრის თვიდან დაიწყო წითელას შემთხვევების მატება, რომელმაც 38-ს მიაღწია, შემთხვევების 80% დაფიქსირდა მაღალ ასაკში (20-52წ). მხოლოდ ერთეული შემთხვევა დაფიქსირდა 0-2 წლამდე ასაკის ბავშვებში. წარმოებდა კერის თითოეული შემთხვევის შესწავლა, კონტაქტების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში მათი სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვა აცრების ჩასატარებლად. მონიტორინგი ჩატარდა სამედიცინო დაწესებულებებში წითელას საწინააღმდეგო აცრების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით 5 წლის ასაკის ბავშვებში, წითელასა და ტეტრავალენტური ვაქცინით აცრების დაბალი მაჩვენებლების გამო. ასევე, ამ საკითხთან დაკავშირებით, საინფორმაციო წერილები გაიგზავნა სკოლის რესურს ცენტრებში, განათლების სამინისტროში, საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში და თავად სამედიცინო დაწესებულებებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი იყო 60%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი 55%.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ჩატარდა 128 889 ეპიდ. კვლევა; დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებები - 123 356 შემთხვევა; პროფილაქტიკური აცრები - 234 582 ჩხვლეტა/ჩაწვეთება; ანტირაბიული

ვაქცინაცია-ჩხვლეტა - 65 609; გრიპის ვაქცინით აცრილია 57 025 ადამიანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 155 710 ეპიდ. კვლევა; დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებები - 140 931 შემთხვევა; პროფილაქტიკური აცრები - 221 287 ჩხვლეტა/ჩაწვეთება; ანტირაბიული ვაქცინაცია-ჩხვლეტა - 22 645; გრიპის ვაქცინით აცრილია 58 021 ადამიანი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2024 წელს მონიტორინგი ჩატარდა 1600 დაწესებულებაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მონიტორინგის ჩატარება 1 200 დაწესებულებაში

მიღწეული მაჩვენებელი - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, მონიტორინგი ჩატარდა 1450 დაწესებულებაში.

06 01 04 სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 2,000.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,986.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე ბენეფიციარებისათვის ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 341 ბენეფიციარი.

ცხრილი 1. დაფინანსებული შემთხვევების რაოდენობა და გადარიცხული თანხა დაწესებულების მიხედვით:

დაწესებულების დასახელება	მოსარგებლეთა რაოდენობა	ნაზღაურებული თანხა
ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი	31	181 500
სს გერმანული ჰოსპიტალი	2	12 000
სს ვიანი - ბოკერია	4	24 000
სს ვიანი - კარაპს მედლაინი	50	294 139
სს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური	11	66 000

ქირურგიის ეროვნული ცენტრი		
სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი	1	6 000
სს ჯერარსი	14	80 500
შპს აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა	14	84 000
შპს ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ	31	182 649
შპს ვივამედი	12	72 000
შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა	11	60 500
შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო	14	75 527
შპს თოდუას კლინიკა	9	54 000
შპს ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი	3	18 000
შპს ინოვა	23	132 698
შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი	12	71 500
შპს მედი ქლაბ ჯორჯია	17	97 952
შპს ნიუ ჰოსპიტალს	41	238 353
შპს წმინდა მიქაელის ჰოსპიტალი	5	30 000
შპს ჯეო ჰოსპიტალს	10	55 731
შპს ინიციო	4	20 975
შპს იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა	3	18 000
შპს კლინიკა რუსთავი	2	12 000
შპს პირველი სამედიცინო ცენტრი	2	12 000
შპს ს.ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა	1	3 800
შპს ქართულ - ჰოლანდიური ჰოსპიტალი	1	6 000
სს გლობალმედის საუნივერსიტეტო კლინიკა	2	12 000
სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა	3	18 000
შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	1	5 320
შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი	1	6 000
შპს მედ ინვესტმენტი	1	6 000
შპს ავერსის კლინიკა	3	17 591
შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა	2	12 000
სულ:	**341**	**1 986 734**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაფინანსდა 477 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 334 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 341 ბენეფიციარი.

06 01 05 გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 5,396.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,386.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის და მონიტორინგის კვლევების ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამკურნალო მედიკამენტები „ოკრელიზუმაბი“ და „ფინგოლიმოდი“, „თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“, „ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები: ა) რომელთაც დიაგნოზი დასმული აქვთ მაკდონალდის კრიტერიუმების შესაბამისად და კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მიენიჭათ; ბ) რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში აქვთ რეგისტრაცია, მათ შორის, ის პირები, რომლებსაც აღნიშნული 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია (თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად, პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში); გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი მქონე მოქალაქეები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი;

მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით. ბენეფიციარებს მედიკამენტის ღირებულება უფინანსდებათ სრულად (100%-ით) დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით და კვლევების ღირებულებაც უფინანსდებათ სრულად (100%-ით) დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით („თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“ ფინანსდება 350 ლარით, ხოლო „ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“ - 425 ლარით).

ცხრილი 1: მედიკამენტების რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა:

მედიკამენტის დასახელება	საანგარიშგებო თვე	დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ფინგოლიმოდი	დეკემბერი 2024წ	34	188 292
	იანვარი	22	121 836
	თებერვალი	29	163 372
	მარტი	27	149 526
	აპრილი	19	105 222
	მაისი	37	204 906
	ივნისი	32	177 216
	ივლისი	16	88 608
	აგვისტო	8	44 304
	სექტემბერი	62	343 356
	ოქტომბერი	20	110 760
	ნოემბერი	36	199 368
	სულ	**342**	**1 896 766**
ოკრელიზუმაბი	დეკემბერი 2024წ	24	249 100
	იანვარი	23	243 800
	თებერვალი	22	233 200
	მარტი	22	230 430
	აპრილი	21	222 600
	მაისი	33	349 800
	ივნისი	33	349 800
	ივლისი	31	328 600
	აგვისტო	6	63 600
	სექტემბერი	45	477 000
	ოქტომბერი	30	318 000
	ნოემბერი	36	381 600

	სულ	**326**	**3 447 530**
სულ ჯამი		**668**	**5 344 296**

ცხრილი 2: კვლევების რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა

კვლევის დასახელება	**საანგარიშგებო თვე**	**დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა**	**გადარიცხული თანხა**
თავის ტვინის მრტ კვლევა	დეკემბერი 2024წ	1	350
	იანვარი	1	350
	თებერვალი	1	350
	მარტი	2	700
	აპრილი	2	700
	მაისი	2	700
	ივნისი	6	2100
	ივლისი	2	700
	აგვისტო	2	700
	სექტემბერი	1	350
	ოქტომბერი	5	1750
	ნოემბერი	1	350
	სულ	**26**	**9 100**
თავის თვინის + ხერხემლის და ზურგის ტვინის მრტ კვლევა	დეკემბერი 2024წ	2	1550
	იანვარი	3	2325
	თებერვალი	4	3100
	მარტი	4	3100
	აპრილი	1	775
	მაისი	2	1550
	ივნისი	6	4650
	ივლისი	3	2325
	აგვისტო	5	3875
	სექტემბერი	3	2325
	ოქტომბერი	6	4650
	ნოემბერი	3	2325
	სულ	**42**	**32 550**
ხერხემლის და ზურგის ტვინის მრტ კვლევა	**მაისი**	**1**	**425**
სულ ჯამი		**69**	**42 075**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობაა -

232.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 212 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 290 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაიზარდა პაციენტების რაოდენობა

06 01 06 აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 12,295.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 12,258.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ოჯახის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მულტიდისციპლინური გუნდის, ერთი ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსი, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა);

ბაზისური მომსახურება (სტანდარტიზებული სეანსების რაოდენობის გათვალისწინებით, თვეში მაქსიმუმ 20 სეანსი), თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში შეადგენს: 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – ABA თერაპიის არანაკლებ 14 სეანსს; 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – ABA თერაპიის არანაკლებ 12 სეანსს; 12-17 წლის ასაკის ჩათვლით-მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, ხოლო 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში: ABA

თერაპიის სეანსების ოდენობის არანაკლებ 7/10 - 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის; ABA თერაპიის სეანსების ოდენობის არანაკლებ 6/10 - 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის; 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეთათვის - მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე;

არასტანდარტული მომსახურების ფარგლებში - მშობელს უფლება აქვს თავად აირჩიოს თერაპიების სახე, ბავშვის საჭიროების გათვალისწინებით, სეანსების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს და თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2 400 ბენეფიციარი; ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებები (ბაზისურიც და ინდივიდუალური განვითარების გეგმით) ფინანსდება არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაა თვეში არაუმეტეს 450 ლარი, ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით. ინდივიდუალური განვითარების გეგმის 1/3-ზე მეტი სეანსის არჩატარების შემთხვევაში, ვაუჩერის ღირებულებაა ვაუჩერის სრული ღირებულების 70%. მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სეანსი, ან ტელეინტერვენციის (ინდივიდუალური) მოდელით განხორციელებული სეანსი.

ცხრილი 1. მონაწილე დაწესებულებების რაოდენობა, ანაზღაურებული სეანსების რაოდენობების მიხედვით.

მიმწოდებელი დაწესებულება	სეანსების რაოდენობა	ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“	276 291	872	4 582 080
სს ევექსი-კარავი ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი	28 012	170	778 792
რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები“	42 312	190	1 002 120
შპს „მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი“	9 580	76	377 775
ა(ა)იპ პირველი ნაბიჯი საქართველო	30 610	164	834 782
შპს ,,ფაზლი“	75 303	385	2 035 110
ვალეო 2011	42 960	190	1 004 850
რეჰაბი	22 044	112	531 780
,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“	21 919	96	494 685
ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში	15 359	79	379 725

ჰარმონია	10 247	66	236 250
სულ ჯამი:	**574 637**	**2 400**	**12 257 950**

***შენიშვნა:** ცხრილში შესულია 2024 წლის დეკემბრის მონაცემებიც, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული მომსახურებები ანაზღაურდა 2025 წლის ბიუჯეტიდან. ასევე, დაზუსტდა აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა და აპრილის თვიდან გათვალისწინებულია 2 400 ბენეფიციარის მომსახურება საშუალოდ თვეში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 2100 ბავშვს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - თვეში საშუალოდ 2400 ბავშვისათვის მომსახურების გაწევა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

06 01 07 ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 7,571.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,552.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: HER2 და R2 დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიებზე, პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომა, მეტასტაზების გაჩენის პრევენცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება 5.0 ათასი ლარი, ხოლო დაფინანსდა შემდეგი სამკურნალო მედიკამენტები: HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი; სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო; ბ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, სამი

ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი, პერტუზუმაბი + ტრასტუზუმაბი ან ფესგო; გ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ, 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი. მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით და ბენეფიციარებს მედიკამენტის ღირებულება უფინანსდებათ სრულად 100%-ით.

ცხრილი 1: დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

ერთეულის პროგრამული კოდი	ბენეფიციარების რაოდენობა	დაფინანსებული ამპულების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ტრასტუზუმაბი	132	1155	1 595 070
ტრასტუზუმაბი +პერტუზუმაბი, ფესგო	195	1653	5 763 780
ლაპატინიბი	20	179	188 761
ჯამი	**347**	2987	**7 547 611**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის განმავლობაში დაფინანსდა 355 შემთხვევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაფინანსდება 276 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 347 ბენეფიციარი.

06 01 08 ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 920.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 919.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის სპეციალურ სათემო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და

მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში და აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ასაკის ზემოთ მოზრდილებში.

ცხრილი 1. მოსარგებლეთა რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით

საანგარიშგებო თვე	**აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა**	**ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში**				**სულ**
	ა(ა)იპ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი	შ.პ.ს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“	შპს თბილისის ფსიქიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური	ქართულ-ავსტრიული ბავშვთა და მოზარდთა ნეიროფსიქიატრიული ცენტრი - შპს „სანნი კიდსი“	ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობა	
2024 წლის დეკემბერი	111	45	60	29	27	**272**
იანვარი	114	45	60	30	30	**279**
თებერვალი	113	45	60	30	30	**278**
მარტი	113	45	60	30	30	**278**
აპრილი	111	45	60	30	30	**276**
მაისი	111	45	60	30	28	**274**
ივნისი	109	45	60	30	29	**273**
ივლისი	110	45	53	30	26	**264**
აგვისტო	116	0	45	30	0	**191**
სექტემბერი	117	44	45	30	23	**259**
ოქტომბერი	116	45	48	30	21	**260**
ნოემბერი	119	45	45	17	30	**256**
ჯამი	**1360**	**494**	**656**	**346**	**304**	**3 160**

ცხრილი 2. დაფინანსების მოცულობა დაწესებულებების მიხედვით

საანგარიშგებო თვე	**აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა**	**ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში**				**სულ**
	ა(ა)იპ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი	შ.პ.ს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“	შპს თბილისის ფსიქიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური	ქართულ-ავსტრიული ბავშვთა და მოზარდთა ნეიროფსიქიატრიული ცენტრი - შპს „სანნი კიდსი“	ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობა	
2024 წლის დეკემბერი	32 247	11 875	18 000	8 650	8 100	**78 872**
იანვარი	33 687	11 500	18 000	8 950	8 800	**80 937**

თებერვალი	33 214	11 425	18 000	8 900	9 000	**80 539**
მარტი	32 710	11 750	18 000	8 950	9 000	**80 410**
აპრილი	32 550	11 100	18 000	9 000	9 000	**79 650**
მაისი	32 207	12 600	18 000	8 900	8 400	**80 107**
ივნისი	32 330	12 200	18 000	8 950	8 700	**80 180**
ივლისი	32 342	12 900	15 900	8 925	7 800	**77 867**
აგვისტო	33 774	-	13 500	8 675	-	**55 949**
სექტემბერი	33 510	12 875	13 500	8 950	6 650	**75 485**
ოქტომბერი	33 523	12 500	14 400	8 950	6 300	**75 673**
ნოემბერი	34 450	12 250	13 500	5 100	8 775	**74 075**
სულ	**396 543**	**132 975**	**196 800**	**102 900**	**90 525**	**919 743**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 258 ბენეფიციარს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო მომსახურების გაწევა თვეში საშუალოდ 285 ბენეფიციარისათვის.

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 264 ბენეფიციარს.

06 01 09 სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური

2025 წლის გეგმა - 204.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 194.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 95%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის შენობის იჯარის ხარჯებით უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის შენობის იჯარის ხარჯები (თვეში 5900 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში). ასევე, გაწეულია ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის (ახორციელებდა ადამიანის სისხლიდან დონორული სისხლის მიღებას, სისხლის კომპონენტების დამზადებას და საქართველოს

მასშტაბით კლინიკების მომარაგებას) ფუნქციონირების ხარჯები საკუთარი სახსრებიდან - 661.4 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - შენობის იჯარის ხარჯების ანაზღაურება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

06 01 10 რევმატოიდული ართრიტის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 205.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 201.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რევმატოიდული ართრიტის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს სამკურნალო მედიკამენტის „ტოცილიზუმაბის“ (1 კოლოფი 162მგ/0.9მლ №4 შპრიცი) დაფინანსებას, რომელიც შეყვანილ უნდა იქნეს კანქვეშა ინექციად, არაუმეტეს კვირაში ერთისა, ხოლო მოსარგებლეები არიან: რევმატოიდული ართრიტის (M05.8; M06.0; M06.8) დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ქულაც DAS28 ინდექსით (დაავადების აქტივობის ქულა 28 სახსრის დათვლის გამოყენებით) შეფასების მიხედვით შეადგენს 3.2-ს ან აღემატება მას და ამასთანავე: ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის (შემდგომში – მერია) განცხადებით მიმართვამდე ბოლო 2 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის რეგისტრირებული არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში. ასევე ის პირები, რომლებსაც ამ 2 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია, თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პირი არ დარეგისტრირებულა სხვა

მუნიციპალიტეტში; ბ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი და აკმაყოფილებენ ამ პუნქტის მოთხოვნებს; გ) მერიისთვის განცხადებით მიმართვის დროს რეგისტრირებული იყვნენ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში და განცხადებით მომართვამდე პერიოდში არ ყოფილან რეგისტრირებული საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტში;

მომსახურების დაფინანსება ხორციელდება შემდეგნაირად: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს). „ტოცილიზუმაბის“ (1 კოლოფი 162მგ/0.9მლ №4 შპრიცი) – არაუმეტეს 1 570 ლარისა. აღსანიშნავია, რომ პროგრამა დაიწყო 2025 წლის 1 სექტემბრიდან და დეკემბრის ჩათვლით დაფინანსდა 52 ბენეფიციარი.

ცხრილი N1. დაფინანსებული მედიკამენტის რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა საანგარიშო პერიოდში

მედიკამენტის დასახელება	საანგარიშგებო თვე	დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ტოცილიზუმაბი	ოქტომბერი	19	75 360
	ნოემბერი	33	126 228
სულ		**52**	**201 588**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 57 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 52 ბენეფიციარი.

06 01 13 ტრანსპლანტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 11,350.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 11,306.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა, განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის, თბილისში რეგისტრირებული (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი) ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეებისათვის შემდეგი ღონისძიებები: ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები; მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პაციენტის კონდიცირება – ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა; ღვიძლის ტრანსპლანტაცია; ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების HLA ტიპირების კვლევა (HLA ტიპირების კვლევის მოსარგებლეები არიან - ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) HLA - ტიპირებისათვის მოსამზადებელი კვლევებისა და HLA ტიპირებისათვის, ღეროვანი უჯრედების დონორთა რეესტრის შექმნის მიზნით, მოხალისედ დარეგისტრირებული, პოტენციური დონორები, რომლებიც მერიისთვის განცხადებით მომართვამდე რეგისტრირებულნი არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი

დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრაციის მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი).

საანგარიშო პერიოდში ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში, დაფინანსდა 50 შემთხვევა, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) HLA - ტიპირებისათვის მოსამზადებელი კვლევები და HLA ტიპირების კომპონენტში დაფინანსდა 367 შემთხვევა, ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში - 15 შემთხვევა.

ცხრილი 1. ბენეფიციართა რაოდენობა და გადარიცხული თანხა

მომსახურების დასახელება	რაოდენობა	თანხა
წინასატრანსპლანტაციო კვლევა	45	437 578
მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია	33	3 730 938
მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ალოგენური ტრანსპლანტაცია	8	1 496 939
მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია	9	2 006 017
ღვიძლის ტრანსპლანტაცია	15	1 800 000
HLA ტიპირება	367	1 835 000
სულ	**477**	**11 306 472**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაფინანსდა 241 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი 339 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 477 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაემატა ახალი კვლევა - HLA ტიპირება, რამაც გამოიწვია ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა

06 02 სოციალური დაცვა დაფინანსებულია 144,017.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 151,784.8 ათასი ლარის 94.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 01 კომუნალური სუბსიდირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 10,350.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,328.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ელ-ენერგიის, დასუფთავების, წყლის კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თბილისში რეგისტრირებულ 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის/აბონენტებისათვის განხორციელდა ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების მოსაკრებელზე სუბსიდიის (დასუფთავების მოსაკრებელზე (ა) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ერთი პირი - 2,5 ლარის ოდენობით, ბ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ორი პირი - 5 ლარის ოდენობით, გ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია სამი პირი - 7,5 ლარის ოდენობით, დ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ოთხი და მეტი პირი - 10 ლარის ოდენობით); წყლის გადასახადზე - 3,89 ლარის ოდენობით; ელექტროენერგიაზე - აბონენტის მიერ, ფაქტიურად მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების შესაბამისად) დარიცხვა. კერძოდ:

ცხრილი 1. საანგარიშო პერიოდში მოსარგებლე აბონენტთა რაოდენობა, მომსახურე კომპანიების მიხედვით

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	დეკემბერი
ს.ს თელასი	59 489	59 345	59 677	59 979	60 983
ს.ს ენერგო-პრო ჯორჯია	2 554	2 549	2 568	2 582	2 475
ს.ს ეპ ჯორჯია მიწოდება	2 546	2 541	2 563	2 579	2 619
შპს თბილისის ელექტრო მიმწოდებელი კომპანია	58 855	58 537	59 011	59 228	60 243
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი		33 819	33 428	67 744	34 984

ცხრილი 2. საანგარიშო პერიოდში მომსახურე კომპანიებში გადარიცხული თანხები (ლარი)

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	
ს.ს თელასი	285 847	285 125	286 685	287 613	291 733
ს.ს ენერგო-პრო ჯორჯია	12 347	12 316	12 409	12 483	11 898
ს.ს ეპ ჯორჯია მიწოდება	60 672	63 900	59 115	58 247	55 086

შპს თბილისის ელექტრო მიმწოდებელი კომპანია	1 670 169	1 654 068	1 629 811	1 507 015	1 302 409
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი		152 862	151 095	306 203	158 128
სულ	**2 029 034**	**2 168 271**	**2 139 114**	**2 171 560**	**1 819 253**

ცხრილი 3. საანგარიშო პერიოდში მოსაკრებლის სახეების მიხედვით რაიონებში გადარიცხული თანხა (ლარი)

რაიონი	ელექტროენერგია	დასუფთავება	წყალი	სულ
გლდანის რაიონი	1 475 061	294 121	152 690	1 921 872
ნაძალადევის რაიონი	1 434 281	240 388	112 214	1 786 882
დიდუბის რაიონი	371 634	72 162	39 979	483 776
ჩუღურეთის რაიონი	641 520	88 600	42 637	772 756
ისნის რაიონი	1 054 203	187 958	102 175	1 344 336
სამგორის რაიონი	1 584 266	316 416	162 747	2 063 429
ვაკის რაიონი	345 064	68 146	40 906	454 116
საბურთალოს რაიონი	592 061	107 047	52 870	751 978
მთაწმინდის რაიონი	195 496	43 260	24 033	262 789
კრწანისის რაიონი	366 906	80 358	38 036	485 299
სულ	**8 060 492**	**1 498 454**	**768 287**	**10 327 232**

ამასთან, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 0.9 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა თვეში საშუალოდ (5 თვის განმავლობაში) 60201 ოჯახის სუბსიდირება (ელექტროენერგიის, წყლის გადასახადზე და დასუფთავების მოსაკრებელზე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 56256 - მდე ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 63241 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაიზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა

ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობა.

06 02 02 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 12,589.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 12,553.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე. ფინანსური დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 6055 ოჯახს - 20922 ბავშვზე.

ცხრილი 1. დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა თვეების მიხედვით[22]

ოჯახი/ბავშვი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ოჯახი	6 032	6 033	6 063	6 076	6 084	6 076	6 073	6 074	6 047	6 036	6 018	6 045
ბავშვი	21 065	20 791	20 984	20 991	20 914	20 987	20 903	20 962	20 932	20 853	20 772	20 906

ცხრილი 2. გადარიცხული თანხების განაწილება თვებისა და რაიონების მიხედვით (ლარი)

რაიონი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გლდანის რაიონი	226 400	222 350	225 100	226 850	226 650	227 500	226 250	229 400	227 000	225 700	227 750	226 900
ნაძალადევის რაიონი	153 600	153 850	156 100	155 350	155 200	155 350	154 650	155 850	155 600	155 450	153 550	155 450
დიდუბის რაიონი	38 500	37 150	37 050	36 350	35 900	35 850	36 700	36 300	37 350	35 750	35 450	35 650

[22] ცხრილში მოცემული ბენეფიციართა რაოდენობა ასახავს იმ პირებსაც, რომელთაც უკან დახევით მიიღეს თანხა.

ჩუღურეთის რაიონი	58 750	57 150	58 550	57 650	57 550	57 550	57 400	57 350	57 150	55 650	55 500	55 800
ისნის რაიონი	135 550	134 750	133 100	131 500	131 000	131 300	130 850	129 750	130 150	130 600	127 300	129 400
სამგორის რაიონი	261 800	259 550	262 850	263 500	263 600	264 450	263 050	263 200	261 450	262 450	263 200	265 250
ვაკის რაიონი	28 400	27 600	27 450	27 600	27 100	27 050	27 250	27 350	28 150	27 450	27 100	27 050
საბურთალოს რაიონი	68 000	67 500	69 600	70 750	70 050	71 100	71 650	71 800	72 150	71 450	71 450	72 800
მთაწმინდის რაიონი	23 200	22 050	21 800	22 050	22 000	21 150	21 050	21 150	21 600	21 000	21 100	21 400
კრწანისის რაიონი	59 050	57 600	57 600	57 950	56 650	58 050	56 300	55 950	56 000	57 150	56 200	55 600
სულ	**1053 250**	**1039550**	**1049200**	**1049550**	**1045700**	**1049350**	**1045150**	**1048100**	**1046600**	**1042650**	**1038600**	**1045300**

ცხრილი 3. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება სქესისა და რაიონების მიხედვით

რაიონი	**ბავშვების განაწილება სქესის მიხედვით**		**სულ**
	მდედრობითი	**მამრობითი**	
გლდანის რაიონი	2 474	2 471	**4 945**
ნაძალადევის რაიონი	1 699	1 669	**3 368**
დიდუბის რაიონი	394	396	**790**
ჩუღურეთის რაიონი	641	591	**1 232**
ისნის რაიონი	1 466	1 410	**2 876**
სამგორის რაიონი	2 840	2 927	**5 767**
ვაკის რაიონი	303	301	**604**
საბურთალოს რაიონი	756	787	**1 543**
მთაწმინდის რაიონი	249	244	**493**
კრწანისის რაიონი	610	677	**1 287**
სულ	**11 432**	**11 473**	**22 905**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 20287 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება თვეში საშუალოდ 20982 ბავშვის დაფინანსება, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა.

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 20922 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულთა ცვლილება.

06 02 03 მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 25.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასულ ბენეფიციარებს (18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები) რომელთა მომსახურების გაწევისთვის დაფინანსდა ა(ა)იპ ასოციაცია საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი (პირის ჩართვა ხორციელდება მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისათვის შეადგენს 500 ლარს თვეში).

ცხრილი: ბენეფიციართა რაოდენობა და გადარიცხული თანხა თვეების მიხედვით

დასახელება	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი
გადარიცხული თანხა	7 500	4 500	4 000	9 000
ბენეფიციართა რაოდენობა	5	5	4	4

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 4 ბენეფიციარს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - თვეში საშუალოდ 6 ბენეფიციარის მომსახურება

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალოდ თვეში მომსახურება გაეწია 5 ბენეფიციარს

06 02 04 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური

მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 2,372.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,325.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირთა ჯანმრთელობის, ემოციური ფონის და საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილება გამოწვეულია მიუსაფართა თავშესაფარში და ჰოსპისში (პალიატიური ზრუნვა) ნაკლები მომართვიანობით, ხოლო ზამთრის პერიოდში გაიზარდა ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე ბენეფიციარების რაოდენობა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - ორხევის საცხოვრისიდან გამოყვანილი და ბინის ქირით უზრუნველყოფილია 71 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - ორხევის საცხოვრისიდან გამოყვანილი უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახების (71 ოჯახი) ბინის ქირით უზრუნველყოფა

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 1,795.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,708.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული, თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის, დადგენილი წესით გაიცა 2024 წლის დეკემბრის თვის კუთვნილი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით 91 ბენეფიციარისათვის (მათ შორის 47 ბენეფიციარისათვის ასევე, გაიცა 2024 წლის მაისის კუთვნილი 400 ლარი), სულ ჯამში – 55.2 ათასი ლარი. ასევე, გაცემულია მიმდინარე წლის მაისის თვის კუთვნილი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით 2102 ბენეფიციარისათვის, ხოლო დეკემბრის თვის კუთვნილი ფულადი დახმარება 2034 ბენეფიციარისთვის - 1,654.4 ათასი ლარი.

ცხრილი 1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება რაიონისა და სქესის მიხედვით

რაიონი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
გლდანის რაიონი	156	285	441
ნაძალადევის რაიონი	130	206	336
დიდუბის რაიონი	35	78	113
ჩუღურეთის რაიონი	35	61	96
ისნის რაიონი	88	200	288
სამგორის რაიონი	192	280	472
ვაკის რაიონი	34	48	82
საბურთალოს რაიონი	51	108	159
მთაწმინდის რაიონი	17	38	55

კრწანისის რაიონი	34	55	89
სულ	**772**	**1 359**	**2 131**

ცხრილი 2. დაფინანსებულ ბენეფიციართა და გადარიცხული თანხის განაწილება რაიონების მიხედვით*

რაიონი	**ბენეფიციართა რაოდენობა**	**გადარიცხული თანხა**
გლდანის რაიონი	441	351 600
ნაძალადევის რაიონი	336	273 200
დიდუბის რაიონი	113	92 800
ჩუღურეთის რაიონი	96	77 600
ისნის რაიონი	288	232 400
სამგორის რაიონი	472	374 800
ვაკის რაიონი	82	66 000
საბურთალოს რაიონი	159	126 000
მთაწმინდის რაიონი	55	44 000
კრწანისის რაიონი	89	71 200
სულ	**2 131**	**1 709 600**

***შენიშვნა:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-98 დადგენილების თანახმად, 2024 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება შესაძლებელია გაიცეს 2024 წელს მოქმედი წესის შესაბამისად 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში იმ პირთათვის, რომლებიც განცხადებას წარმოადგენენ 2024 წლის 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში. ასევე, იმ მოსარგებლეებისათვის, რომლებზეც საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ ინფორმაცია მომსახურე ბანკიდან მიღებული იქნება 2025 წლის 10 მარტამდე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაფინანსდა საშუალოდ 1823 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ). ამასთან, დაფარულია 2023 წლის კუთვნილი დახმარება 106 ბენეფიციარზე

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა საშუალოდ 1675 ბენეფიციარის დაფინანსება (წელიწადში ორჯერ) (მათ შორის 2024 წლის დავალიანების დაფარვა)

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა საშუალოდ 2068 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ). ამასთან, დაფარულია 2024 წლის კუთვნილი დახმარება 91 ბენეფიციარზე

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ

განსხვავებებზე - გაიზარდა სოც. დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობა.

06 02 23 „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 84.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 77.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ,,ვოლდ ვიჟენ საქართველოს ფონდს“ აუნაზღაურდა მიმდინარე პერიოდში შესრულებული სამუშაოს ღირებულება (ყოველთვიურად - 7260 ლარის ოდენობით, ხოლო აგვისტოს თვეში - 4810 ლარი) 03.02.2025 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში №184-ე ბაღის ტერიტორიაზე არსებულ დღის ცენტრში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვისათვის.

ცხრილი 1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება რაიონისა და სქესის მიხედვით*

რაიონი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
გლდანის რაიონი	10	9	**19**
ნაძალადევის რაიონი	1	4	**5**
დიდუბის რაიონი	2	2	**4**
ჩუღურეთის რაიონი	3		**3**
სამგორის რაიონი	1		**1**
ვაკის რაიონი		1	**1**
საბურთალოს რაიონი	2	2	**4**
მთაწმინდის რაიონი	1		**1**
სულ	**20**	**18**	**38**

*შენიშვნა: აღსანიშნავია, რომ იანვარში სააღმზრდელო პროცესი შეჩერებული იყო, ბაღის ტერიტორიაზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო. ამასთან, წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში. ხოლო დეკემბრის მომსახურება გადაირიცხა თეკემბრის თვეში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 21 ბავშვმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო 24 ბავშვისათვის მომსახურების მიწოდება, საშუალოდ თვეში.

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებით ისარგებლა თვეში საშუალოდ 25 ბავშვმა.

06 02 24 სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 501.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 490.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქ.თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის“ მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის, დადგენილი წესით (განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ბენეფიციარი წლიურად იღებს 900 ლარის ფულად დახმარებას სამ ეტაპად, 300 ლარის ოდენობით თითოეულ ეტაპზე. მომსახურე ბანკიდან ბენეფიციართათვის გახსნილი ანგარიშების შესახებ ინფორმაცის მიღების შემდეგ) გაიცა 2024 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება. ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 11 ბენეფიციარს (მათ შორის ერთ პირზე გაიცა სამი თვის კუთვნილი - თვეში 300

ლარი, ხოლო 10 პირისთვის ერთი თვის კუთვნილი - თვეში 300 ლარი), სულ ჯამში 3.9 ათასი ლარი. ასევე, გაცემულია მიმდინარე წლის მაისის თვის კუთვნილი ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით 555 ბენეფიციარისათვის, აგვისტოს თვის კუთვნილი ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით გაიცა 547 ბენეფიციარისათვის, ხოლო დეკემბრის თვის კუთვნილი ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით გაიცა 520 ბენეფიციარისათვის, ჯამში 490.5 ათასი ლარი.

ცხრილი 1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება რაიონისა და სქესის მიხედვით

რაიონი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
გლდანის რაიონი	44	52	96
ნაძალადევის რაიონი	47	19	66
დიდუბის რაიონი	18	6	24
ჩუღურეთის რაიონი	32	15	47
ისნის რაიონი	42	34	76
სამგორის რაიონი	33	36	69
ვაკის რაიონი	10	8	18
საბურთალოს რაიონი	19	5	24
მთაწმინდის რაიონი	13	9	22
კრწანისის რაიონი	68	49	117
სულ	**326**	**233**	**559**

ცხრილი 2. დაფინანსებულ ბენეფიციართა და გადარიცხული თანხის განაწილება რაიონების მიხედვით*

რაიონი	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
გლდანის რაიონი	96	86 700
ნაძალადევის რაიონი	66	56 400
დიდუბის რაიონი	24	21 000
ჩუღურეთის რაიონი	47	41 700
ისნის რაიონი	76	64 800
სამგორის რაიონი	69	60 600
ვაკის რაიონი	18	16 500
საბურთალოს რაიონი	24	20 700
მთაწმინდის რაიონი	22	19 200

კრწანისის რაიონი	117	102 900
სულ	**559**	**490 500**

***შენიშვნა:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N50-98 დადგენილების თანახმად, 2024 წლის კუთვნილი ფულადი დახმარება შესაძლებელია გაიცეს 2024 წელს მოქმედი წესის შესაბამისად 2025 წლის ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში იმ პირთათვის, რომლებიც განცხადებას წარმოადგენენ 2024 წლის 10 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში. ასევე, იმ მოსარგებლეებისათვის, რომლებზეც საბანკო ანგარიშის გახსნის შესახებ ინფორმაცია მომსახურე ბანკიდან მიღებული იქნება 2025 წლის 10 მარტამდე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს საშუალოდ 570 ბენეფიციარს წლის განმავლობაში სამჯერ დაერიცხა კუთვნილი დახმარება. ამასთან, გაცემულია 2023 წლის კუთვნილი დახმარება 7 ბენეფიციარზე

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა წლის განმავლობაში სამჯერ, საშუალოდ 557 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალოდ 541 ბენეფიციარს, წლის განმავლობაში სამჯერ დაერიცხა კუთვნილი დახმარება. ამასთან, გაცემულია 2024 წლის კუთვნილი დახმარება 11 ბენეფიციარზე.

06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 572.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 545.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა ახალშობილის შეძენისას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 699 ოჯახს (713 ბავშვზე), რომელთაც შეეძინათ ახალშობილი (მათ შორის 333 ბავშვზე (500 ლარი) -

პირველი ან მეორე შვილის შეძენისთვის, 169 ბავშვზე (800 ლარი) - მე-3 შვილის შეძენისთვის, 128 ბავშვზე (1000 ლარი) - მე-4 შვილის, ხოლო 75 ბავშვზე (1500 ლარი) მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის). ამასთან, 8 ოჯახს დამატებით ჩაერიცხა 2.8 ათასი ლარი, 2024 წელს შეძენილი ახალშობლისთვის[25].

ცხრილი 1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება რაიონისა და სქესის მიხედვით

რაიონი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
გლდანის რაიონი	79	68	147
ნაძალადევის რაიონი	69	60	129
დიდუბის რაიონი	11	5	16
ჩუღურეთის რაიონი	15	19	34
ისნის რაიონი	44	56	100
სამგორის რაიონი	83	90	173
ვაკის რაიონი	10	9	19
საბურთალოს რაიონი	21	17	38
მთაწმინდის რაიონი	8	7	15
კრწანისის რაიონი	24	18	42
სულ	**364**	**349**	**713**

ცხრილი 2. დაფინანსებულ ბენეფიციართა და გადარიცხული თანხის განაწილება რაიონების მიხედვით

რაიონი	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა (ლარი)
გლდანის რაიონი	147	112 000
ნაძალადევის რაიონი	129	92 600
დიდუბის რაიონი	16	11 400
ჩუღურეთის რაიონი	34	21 600
ისნის რაიონი	100	84 100
სამგორის რაიონი	173	138 800
ვაკის რაიონი	19	11 900

[25] განცხადებით მომართვის საფუძველზე, მიმდინარე პერიოდში 8 ოჯახს დამატებითი თანხა ჩაერიცხა 2024 წელს შეძენილი ახალშობილისთვის (მათ შორის მესამე ბავშვზე 7 ოჯახს 300-300 ლარი და მე-5 ბავშვზე 1 ოჯახს 700 ლარი).

საბურთალოს რაიონი	38	27 300
მთაწმინდის რაიონი	15	12 400
კრწანისის რაიონი	42	32 900
სულ	**713**	**545 000**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დახმარება გაეწია 799 ბავშვის ოჯახს (770 ოჯახი)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 776 ბავშვის ოჯახის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია 713 ბავშვის ოჯახს

06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 437.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 370.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უძლურთათვის შინმოვლის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ,,სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების (ბართელის უძლურების შეფასების ინდექსი ≤95) დახმარება - შინმოვლა. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურებული იქნა იანვარსა და თებერვალში შესრულებული სამუშაოს ღირებულება: ,,დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოებისათვის“ – 37.4 ათასი ლარი, ,,საქართველოს კარიტასისათვის“ – 122.6 ათასი ლარი, „ერთად მოყვასისათვის“ – 115.1 ათასი ლარი, წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის - 90.1 ათასი ლარი და ბენეფიციართა შემფასებელი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის - 4.9 ათასი ლარი.

ცხრილი1. ბენეფიციართა განაწილება თვისა და სქესის მიხედვით

თვე	მდედრობითი	მამრობითი	სულ
იანვარი	523	192	715
თებერვალი	515	190	705
მარტი	511	182	693
აპრილი	500	184	684
მაისი	496	175	671
ივნისი	493	178	671
ივლისი	464	172	636
აგვისტო	470	178	648
სექტემბერი	471	173	644
ოქტომბერი	467	170	637
ნოემბერი	461	168	629
დეკემბერი	463	164	627

ცხრილი 2. გადარიცხული თანხების განაწილება თვეებისა და რაიონების მიხედვით (ლარი)*

რაიონი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გლდანის რაიონი	0	6 715	6 525	6 536	6 425	6 347	6 252	5 235	4 918	7 970	6 047	11 849
ნაძალადევის რაიონი	0	4 362	4 307	4 386	4 464	4 259	4 543	3 656	3 622	6 270	4 372	8 672
დიდუბის რაიონი	0	2 166	2 166	2 103	2 040	2 016	2 127	1 772	1 214	2 961	1 906	3 607
ჩუღურეთის რაიონი	0	3 674	3 671	3 482	3 482	3 340	3 552	3 088	1 762	5 198	3 142	6 412
ისნის რაიონი	0	3 431	3 431	3 170	3 147	3 092	3 028	1 717	1 404	5 582	2 956	5 661
სამგორის რაიონი	0	5 490	5 435	5 270	5 293	5 317	5 175	1 969	3 040	8 178	4 757	9 369
ვაკის რაიონი	0	1 180	1 047	1 394	1 331	1 331	1 158	1 017	472	1 984	1 102	2 326
საბურთალოს რაიონი	0	3 357	3 302	2 955	2 908	2 880	2 981	2 337	2 326	4 490	2 903	5 630
მთაწმინდის რაიონი	0	1 309	1 332	1 387	1 246	1 246	1 080	773	315	1 939	923	2 121
კრწანისის რაიონი	0	1 104	1 104	1 135	1 080	1 048	1 048	662	591	1 726	993	2 042
სულ	**0**	**32 788**	**32 320**	**31 819**	**31 416**	**30 876**	**30 944**	**22 227**	**19 666**	**46 298**	**29 101**	**57 690**

***შენიშვნა:** წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში. ხოლო დეკემბრის თვის მომსახურება გადაირიცხა დეკემბერში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 794 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 581 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება საშუალოდ თვეში 850 ბენეფიციარის

მომსახურება (მათ შორის საშუალოდ 630 ქალი).

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 638 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 467 ქალი).

06 02 27 პერსონალური ასისტენსის მომსახურებით უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 1,320.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,319.2 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი), რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თვეში საშუალოდ 116 ბენეფიციარის მომსახურების დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარისო პერიოდში განხორციელდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურება, რომელიც დელეგირებული უფლებამოსილებაა[26] და ფინანსდება არამატერიალიზებული ვაუჩერის ფორმით, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული მოცულობით (რეგულარული ასისტირების შემთხვევაში ერთ პირს უფინანსდება თვეში არაუმეტეს 60 საათისა, სპეციალიზებული ასისტირების შემთხვევაში - თვეში არაუმეტეს 120 საათისა). მიმდინარე პერიოდში დაფინანსდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება - 20.5 ათასი ლარი, ხოლო პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფისათვის და შშმ პირთა შეფასებისათვის, დაფინანსდა შემდეგი მიმწოდებელი/შემფასებელი ორგანიზაციების გაწეული მომსახურებები: ა(ა)იპ "ხელი ხელს"- 208.4 ათასი ლარი, ა(ა)იპ „ასოციაცია ანიკა“- 143.6 ათასი ლარი, ა(ა)იპ „თბილისის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი“ –

[26] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2025 წლის 30 იანვრის N1/ნ ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 1 იანვრიდან მუნიციპალიტეტს დაემატა ახალი დელეგირებული უფლებამოსილება პერსონალური ასისიტენტის მომსახურებით უზრუნველყოფა.

410.1 ათასი ლარი, ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“ – 445.2 ათასი ლარი, სს ევექსი - 2.8 ათასი ლარი, ა(ა)იპ "სტუდია "ეიდისი" – 86.1 ათასი ლარი, სს მედკაპიტალი – 2.4 ათასი ლარი.

ცხრილი N1. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა განაწილება თვისა და სქესის მიხედვით

თვე	მდედრობითი	მამრობითი	სულ
იანვარი	21	33	54
თებერვალი	22	24	46
მარტი	23	37	60
აპრილი	33	30	63
მაისი	27	38	65
ივნისი	69	69	138
ივლისი	69	83	152
აგვისტო	61	61	122
სექტემბერი	69	68	137
ოქტომბერი	71	75	146
ნოემბერი	66	83	149
დეკემბერი	113	112	225

ცხრილი N2. პროგრამის ფარგლებში გადარიცხული თანხების განაწილება თვებისა და რაიონების მიხედვით (ლარი)[27]

რაიონი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გლდანის რაიონი	0	0	26 676	13 660	13 960	10 660	27 519	32 495	27 519	32 277	31 837	33 863
ნაძალადევის რაიონი	0	0	17 350	10 841	10 827	10 294	14 375	18 077	17 758	16 808	18 663	22 006
დიდუბის რაიონი	0	0	2 285	620	545	2 080	8 759	12 595	13 468	16 405	18 769	17 457
ჩუღურეთის რაიონი	0	0	3 040	1 585	336	1 182	6 097	11 023	7 800	7 800	7 825	7 825
ისნის რაიონი	0	0	6 161	3 014	3 040	7 760	14 369	15 734	17 627	19 237	21 099	19 939
სამგორის რაიონი	0	0	13 520	6 785	6 785	6 885	14 815	17 678	16 523	18 005	18 870	18 845
ვაკის რაიონი	0	0	9 360	4 705	4 730	7 850	7 977	11 127	13 661	14 714	14 338	15 664
საბურთალოს რაიონი	0	0	21 548	11 306	12 410	9 265	21 199	23 186	24 907	24 619	28 465	26 620
მთაწმინდის რაიონი	0	0	6 240	4 680	4 755	4 680	7 669	8 605	10 920	10 970	10 970	9 719

[27] წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში. პროგრამის განხორციელება დაიწყო მარტიდან. შესაბამისად, იანვარი-თებერვლის შესრულებული სამუშაო ანაზღაურდა მარტში, ხოლო დეკემბრის შესრულება ანაზღაურდება 2026 წლის იანვარში.

კრწანისის რაიონი	0	0	12 555	6 265	6 265	3 320	9 415	13 205	7 853	10 685	10 075	10 491
სულ	**0**	**0**	**118 735**	**63 461**	**63 653**	**63 976**	**132 194**	**163 725**	**158 036**	**171 520**	**180 911**	**182 429**

ცხრილი N3. ბენეფიციართა განაწილება თვეებისა და მიმწოდებლების/შემფასებლების მიხედვით (ლარი)

მიმწოდებელი ორგანიზაცია/თვე	ააიპ "ხელი ხელს"	ასოციაცია ანიკა	თბილისის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი	საქართველოს უსინათლოთა კავშირი	ააიპ "სტუდია "ეიდისი"	სს მედკაპიტალი	სს ევექსი	სულ
იანვარი	8	3	14	16	0	0	13	**54**
თებერვალი	12	4	13	16	0	0	1	**46**
მარტი	11	4	13	17	0	8	7	**60**
აპრილი	11	3	14	17	0	0	18	**63**
მაისი	11	4	13	17	0	3	17	**65**
ივნისი	17	12	33	34	4	8	30	**138**
ივლისი	19	18	43	39	4	21	8	**152**
აგვისტო	14	14	40	40	4	5	5	**122**
სექტემბერი	19	18	41	40	4	4	11	**137**
ოქტომბერი	19	18	42	40	4	12	11	**146**
ნოემბერი	19	18	42	40	4	13	13	**149**
დეკემბერი	25	35	52	88	6	2	17	**225**

ცხრილი N4. პროგრამის ფარგლებში გადარიცხული თანხების განაწილება თვეებისა და მიმწოდებლების/შემფასებლების მიხედვით (ლარი)[28]

მიმწოდებელი ორგანიზაცია	ააიპ "ხელი ხელს"	ასოციაცია ა ნიკა	თბილისის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრი	საქართველოს უსინათლოთა კავშირი	ააიპ "სტუდია "ეიდისი"	სს მედკაპიტალი	სს ევექსი	სულ
იანვარი	0	0	0	0	0	0	0	0
თებერვალი	0	0	0	0	0	0	0	0
მარტი	25 311	8 762	37 512	46 800	0	0	350	118 735
აპრილი	15 210	4 836	18 600	24 440	0	200	175	63 461
მაისი	15 405	3 666	19 692	24 440	0	0	450	63 653
ივნისი	16 588	4 394	18 054	24 440	0	75	425	63 976
ივლისი	21 164	17 238	49 110	37 492	6 240	750	200	132 194
აგვისტო	22 932	22 503	59 637	51 688	6 240	525	200	163 725
სექტემბერი	17 420	6 240	19 045	60 143	54 938	125	125	158 036

[28] წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში. პროგრამის განხორციელება დაიწყო მარტიდან. შესაბამისად, იანვარი-თებერვლის შესრულებული სამუშაო ანაზღაურდა მარტში, ხოლო დეკემბრის შესრულება ანაზღაურდება 2026 წლის იანვარში.

ოქტომბერი	21 723	24 856	60 437	57 889	6 240	100	275	171 520
ნოემბერი	25 428	25 740	63 947	58 981	6 240	300	275	180 911
დეკემბერი	27 248	25 350	64 090	58 851	6 240	325	325	182 429

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - საშუალოდ თვეში 116 ბენეფიციარის მომსახურების დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალოდ თვეში 113 ბენეფიციარისათვის მომსახურების გაწევა.

06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 969.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 961.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირების კულტურულ-შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები - 93.4 ათასი ლარი და ერთი პირის შრომითი კომპენსაცია 1.0 ათასი ლარი; 18 წლის ასაკის ზემოთ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების მომსახურებით, მომსახურების 20% თანადაფინანსება: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი - 11.6 ათასი ლარი; ა(ა)იპ კავშირი ია - 13.7 ათასი ლარი; ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - 15.5 ათასი ლარი; ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - 17.7 ათასი ლარი; ა(ა)იპ "ასოციაცია იკა-21" – 4.6 ათასი ლარი; ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობისა ასოციაცია - 14.2 ათასი ლარი; ა(ა)იპ სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი აისი - 19.6 ათასი

ლარი; ა(ა)იპ ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში - 0.6 ათასი ლარი; ა(ა)იპ მშობელთა ხიდი - 16.0 ათასი ლარი; ა(ა)იპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას, რომ საჭიროებენ - 46.7 ათასი ლარი; ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი - 7.9 ათასი ლარი, ა(ა)იპ მშობლების თანადგომა - 6.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ განვითარების სივრცე - 2023 – 11.0 ათასი ლარი, სულ ჯამში 13 დღის ცენტრი დაფინანსდა 185.2 ათასი ლარით. გარდა ამისა, დაფინანსდა საგარანტიო შესრულებები სხვადასხვა საჭიროებებისათვის - 361.8 ათასი ლარით, ა(ა)ი.პ საქართველოს უსინათლოთა კავშირი - გამცილებლის მომსახურება - 35.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ „ასოციაცია იკა-21“ – 12.5 ათასი ლარი, ა(ა)იპ „კოალიცია მოძრაობა ცვლილებებისთვის“ – 74.9 ათასი ლარი, ა(ა)იპ „ახალი ნაბიჯები“- 16.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ კავშირი ია - 6.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „მულტიპროფილური კვალიფიკაციის ამაღლების, დასაქმების ხელშეწყობისა და ჯანდაცვის მიმართულებების კოორდინაციის საერთაშორისო ასოციაცია „ერთმანეთისთვის“– 18.4 ათასი ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი - 8.4 ათასი ლარი, ა(ა)იპ ხელი ხელს - 29.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაფინანსდა 110 განცხადება/პროექტი


დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 116 განცხადება/პროექტის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 82 განცხადება/პროექტი


განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები მომართვიანობა.

❖ განათლება


ათასი ლარი



ათასი ლარი



	სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა	ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა
2023 წლის ფაქტი	204,333.4	5,562.4	23,125.9	2,847.1	4,194.0	1,394.9
2024 წლის ფაქტი	218,975.7	5,310.1	28,740.9	3,400.0	4,326.7	1,102.9
2025 წლის ფაქტი	242,836.0	5,675.1	57,071.1	4,214.9	4,448.5	2,017.4



07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 242,836.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 259,801.4 ათასი ლარის 93.5%-ი). მათ შორის:

07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო; ა(ა)იპ საბავშვო ბაგა-ბაღები

2025 წლის გეგმა - 259,801.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 242,836.0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 11,140.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 93.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ახალი ბაღების მშენებლობის დასრულება, ავარიული საბავშო ბაგა-ბაღების გამაგრება ან დემონტაჟი და მშენებლობა, სკოლამდელი განათლების საჯარო სერვისზე მოთხოვნის დაკმაყოფილება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები საბიუჯეტო სახსრებიდან - 3,008.9 ათასი ლარი (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურება,

ოფისის ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, მივლინება, ავტომანქანების მოვლა-შენახვა, ექსპლუატაცია და სხვა), ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 1,175.7 ათასი ლარი, თანამშრომელთა სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდოს ანაზრაურების, მცირეფასიანი აქტივების (მ.შ საოფისე მაგიდები, სკამები, 2 მაცივარი და სხვა) და 6 ავტომანქანის შეძენის, ოფისის ხარჯების, ტრანსპორტის ექსპლუტაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯების ასანაზღაურებლად, 17 ავტომანქანის პარკირების საშვის შეძენა, სასამართლოებში არსებული საქმეების სახელმწიფო ბაჟის გადახდის, 2025 წლის შემაჯამებელი ღონისძიებისთვის ფართის ქირის და სტუმრების გამასპინძლების და სხვა ხარჯები.

საბავშვო ბაგა-ბაღების ხელშეწყობის (მათ შორის საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის, რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია) მიმართულებით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულია 32,237.5 ათასი ლარი, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 545.5 ათასი ლარი. ბაგა-ბაღების მშენებლობა, რეკონსტრუქცია/ რეაბილიტაციის, მოქმედი საბავშვო ბაგა-ბაღების გეგმიური და გადაუდებელი რემონტების, ავეჯის, სათამაშოების, საკანცელარიო, სამეურნეო საქონლისა და სხვადასხვა საჭიროების ხარჯების ასანაზღაურებლად; გრძელდება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების, ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის/რეაბილიტაციის სამუშაოები მათ შორის: თბილისის N43 ბაგა-ბაღის მშენებლობაზე ანაზღაურებულია - 397.2 ათასი ლარი, თბილისის N37 ბაგა-ბაღის კაპიტალური რეაბილიტაციისთვის - 833.8 ათასი ლარი, ლილოს საბავშვო ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობისთვის - 1 721.8 ათასი ლარი, თბილისის N28 ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობისთვის - 485.4 ათასი ლარი (გარდამავალი ხელშეკრულება), თბილისის N50 ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობისთვის - 3,811.3 ათასი ლარი (გარდამავალი ხელშეკრულება), თბილისის N6 ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობისთვის - 644.4 ათასი ლარი (გარდამავალი ხელშეკრულება), თბილისის N109 ბაგა-ბაღის ახალი შენობის მშენებლობისთვის 1,982.7 ათასი ლარი (გარდამავალი ხელშეკრულება), თბილისის N211 საბავშო ბაგა-ბაღის კაპიტალური რეაბილიტაციისთვის - 283.5 ათასი ლარი,

თბილისის N71, N101 და N102 საბავშო ბაგა-ბაღების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანისთვის - 186.4 ათასი ლარი, თბილისის N153 ბაგა-ბაღის რემონტისთვის - 310.7 ათასი ლარი, N125 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისთვის -52.4 ათასი ლარი (ნარჩენი 2.5%), თბილისის N162 საბავშო ბაგა-ბაღის სატრანსპორტო ქვესადგურის მონტაჟისთვის ანაზღაურებულია - 97.3 ათასი ლარი, N26 საბავშო ბაგა-ბაღის მშენებლობისთვის ავანსის სახით გაცემულია - 300.0 ათასი ლარი, თბილისის N69 საბავშო ბაგა-ბაღის დრენაჟის მოწყობის სამუშაოებზე - 74.8 ათასი ლარი, თბილისის N95 საბავშო ბაგა-ბაღის ცენტრალური გათბობის მოწყობის სამუშაოებზე ანაზღაურებულია - 223.3 ათასი ლარი, თბილისის N160 საბავშო ბაგა-ბაღის შენობის მოწყობის სამუშაოებისთვის ანაზღაურებულია - 205.4 ათასი ლარი, თბილისის N199 საბავშვო ბაგა-ბაღის 04 საკაბელო ქსელის რეკონსტრუქცია და სარემონტო სამუშაოებისთვის გადარიცხულია - 81.8 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია საბავშვო ბაგა-ბაღების სახურავების შეკეთებაზე - 301.2 ათასი ლარი, ბაგა-ბაღების ეზოს კეთილმოწყობისთვის და მცირე სარემონტო სამუშაოებისთვის - 3,516.3 ათასი ლარი (რაც გულისხმობს ბაგა-ბაღებში გადაუდებელ ფორსმაჟორულ სამუშაოებს მ.შ. წყალგაყვანილობა, სანტექნიკა, საკანალიზაციო მილების წმენდა და სხვა), 159 ბაგა-ბაღისთვის მაცივრების (მ.შ საყოფაცხოვრებო მაცივარი - 115 ცალი, ვიტრინა მაცივარი - 101 ცალი და სინჯარების მაცივარი - 95 ცალი) შეძენაზე ანაზღაურებულია 267.8 ათასი ლარი, 190 საბავშვო ბაგა-ბაღის დეზინფექცია-დერატიზაციისთვის - 70.3 ათასი ლარი, ქსოვილის ნივთების შეძენაზე - 1,159.4 ათასი ლარი (მ.შ თეთრეულის კომფლექტი, მატრასები, ლეიბები, საბნები, სამზარეულოს საწმენდი და იატაკის ტილოები, მოპის ტილოები და სხვა), 190 საბავშვო ბაგა-ბაღის თეთრეულის რეცხვის მომსახურებისათვის (მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე - 64508კგ) – 161.8 ათასი ლარი, სამეურნეო, საკანცელარიო და ჰიგიენური (მ.შ პირბადე, ბახილები და სხვა) საქონლის შეძენაზე - 3,826.3 ათასი ლარი, 20 საბავშვო ბაგა-ბაღში ფარდების და ფარდა-ჟალუზების შესაძენად გადარიცხულია - 209.5 ათასი ლარი, საახალწლო ტკბილეულისთვის - 810.9 ათასი ლარი, სათამაშოებისთვის ანაზღაურებულია - 1

290.4 ათასი ლარი (მათ შორის საახალწლო სათამაშოებისთვის 229.9 ათასი ლარი), 170 ბაგა-ბაღისათვის კომპიუტერული ტექნიკის (მათ შორის პრინტერი, სკანერი, ასლგადამღები, კომპიუტერი, უწყვეტი კვების წყარო) და კონდიციონერების (80 ერთეული) შეძენაზე ანაზღაურებულია - 431.3 ათასი ლარი, საჭიროებებიდან გამომდინარე განხორციელდა 160 ბაგა-ბაღის სამზარეულოს ტექნიკისა და 180 ბაგა-ბაღის გათბობა-გაგრილების სისტემების შეკეთება - 1,642.8 ათასი ლარი, 180 საბავშვო ბაგა-ბაღში კომპიუტერების შეკეთების მომსახურებაზე ანაზღაურებულია 77.0 ათასი ლარი, სახანძრო უსაფრთხოების მოწესრიგებისთვის ანაზღაურებულია - 599.9 ათასი ლარი (სახანძრო სიგნალიზაცია დამონტაჟდა 50 საბავშვო-ბაგა-ბაღში, ხოლო ცეცხლმაქრები დაიტუმბა და შეიცვალა 167 ბაღში); დაიწყო საბავშვო ბაგა-ბაღებში ელექტრონული აღრიცხვიანობის სისტემის მონტაჟი (დამონტაჟდა 190 საბავშვო ბაგა-ბაღში) და გაცემულია 1,980.3 ათასი ლარი, საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის შეძენილია 464 სასწორი და ანაზღაურებულია 28.6 ათასი ლარი, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მომწოდებლიდან დაკავებულია და ბიუჯეტში გადარიცხულია 32.0 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია 173 ბაგა-ბაღისთვის მცირეფასიანი ავეჯის შეძენის (მ.შ საკონფერენციო სკამი, მაგიდები, ტუმბოები და სხვა) და სხვა მიმდინარე ხარჯების დაფარვის ხარჯები;

საბავშვო ბაგა-ბაღების მომსახურების (190 საბავშვო ბაგა-ბაღში სიით რეგისტრირებული 60000-მდე აღსაზრდელი) მიმართულებით გაწეულია 207,589.7 ათასი ლარი (მათ შორის ბაგა–ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (147,556.3 ათასი ლარი), თანამშრომლების საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურება (2,005.6 ათასი ლარი), ბავშვთა კვების ხარჯები (24,446.5 ათასი ლარი), საბავშვო ბაგა-ბაღების კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები (14,076.6 ათასი ლარი), დასუფთავების ხარჯები - 227.3 ათასი ლარი, 190 საბავშვო ბაგა-ბაღის ბუღალტრული პროგრამის 2025 წლის ლიცენზიის ვადის გაგრძელების მიზნით ანაზღაურებულია - 672.6 ათასი ლარი, 10 საბავშვო ბაგა - ბაღის შენობის იჯარის ხარჯები - 1,949.0 ათასი ლარი, 16 საბავშვო ბაგა - ბაღის დაცვის მომსახურებისთვის (კამერები) – 27.7 ათასი ლარი, ზოგიერთ საბავშვო ბაგა-ბაღზე (36 ბაღი) შპს „ელფის“ სასარგებლოდ სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხების

ანაზღაურება - 310.3 ათასი ლარი, საბავშვო ბაგა-ბაღების გაუთვალისწინებელი და სხვა აუცილებელი ხარჯებისათვის გაწეულია - 2,702.5 ათასი ლარი;

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გაიხსნა ორი ახალი საბავშვო ბაგა ბაღი: გლდანის რაიონში აშენდა ახალი N50 ბაგა-ბაღი (ბაღი გათვლილია 8 ჯგუფზე და 230 აღსაზრდელზე), ხოლო ისნის რაიონში დაინგრა ძველი შენობა და აშენდა ახალი N109 ბაგა-ბაღი (ბაღი გათვლილია 20 ჯგუფზე და 580 აღსაზრდელზე); განხორციელდა საზაფხულო ბაღების პროექტი, რომელშიც ჩაერთო 55 საბავშვო ბაგა-ბაღი, რეგისტრაცია გაიარა 19 533-მდე აღსაზრდელმა და მოხდა 3 000-მდე თანამშრომლის შერჩევა; კვალიფიკაციის ასამაღებლად ტრეინინგი გაიარა 190 საბავშვო ბაგა-ბაღის 135 ბუღალტერმა. ასევე, დაიგეგმა და წლის ბოლომდე გაგრძელდა 250-მდე საქმისმწარმოებლის გადამზადება კომპიუტერულ პროგრამებში; სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის კვალიფიციური განათლების უზრუნველსაყოფად სხვადასხვა ბაღებში განისაზღვრა დამატებით 50 პერსონალური ასისტენტის ლიმიტი და მიმდინარე პერიოდში ბაგა-ბაღებს დაემატა 40-მდე განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვთან მომუშავე პერსონალური ასისტენტი; დაგეგმილია 30-მდე საბავშვო ბაგა-ბაღის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, რაც გულისხმობს საბავშვო ბაგა-ბაღებში აუცილებელი ფიზიკური გარემოს მოწყობას მ.შ: მდგრადობის ანალიზი, სარემონტო სამუშაოები, ავეჯით აღჭურვა, ეზოს მოწყობა, სათამაშოებისა და სხვადასხვა მასალების შეძენა, აგრეთვე, დოკუმენტურად გაიწერა სხვადასხვა პროცედურების, მეთოდოლოგიასთან, ჯანდაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან საბავშო ბაგა-ბაღების შესაბამისობაში მოყვანა, თანამშრომლების გადამზადება; სააგენტომ ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურთან ერთად ჩაატარა ტრეინინგი საბავშვო ბაგა-ბაღების მშობლებისთვის, ბავშვების გაჯეტებზე დამოკიდებულებაზე, ხოლო სააგენტოს განვითარების განყოფილება აქტიურად იყო ჩართული საბავშვო ბაღების პერსონალის გადამზადებაში, როგორც ტექნიკური დავალების შემუშავებაში, ასევე

ორგანიზებაში, კერძოდ, ჩატარდა ტრენინები რამდენიმე მიმართულებით: 1. პირველადი გადაუდებელი დახმარება - გადამზადდა 350 აღმზრდელი; 2. ნეიროპლასტიურობა და განათლება, ეიდეტიკური სწავლების მეთოდოლოგია - გადამზადდა 5 საბავშვო ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პერსონალი; 3. ბაღის მეთოდისტების გაძლიერება ბავშვთა განვითარების ხელშეწყობისათვის - გადამზადდა 33 მეთოდისტი; 4. პროგრამა „ჰართი“ ხელოვნების მეშვეობით ემოციური გაჯანსაღება და განათლება - გადამზადდა 150 ადამიანი: დირექტორი, მეთოდისტი, აღმზრდელი; 5. ინტეგრაცია, ინკლუზია, ძალადობა - გადამზადდა 75 აღმზრდელი; 6. HACCP-ის მიმართულებით ტრენინგები - გადამზადდა 190 ბაღის აღმზრდელი და დირექტორის მოადგილე; გაფორმდა მემორანდუმი „SOS ბავშვთა სოფელთან“ შემდგომი გადამზადებით აღმზრდელების ინკლუზიური მიმართულებით; „SOS ბავშვთა სოფელმა “ გადმოიბარა და გააგრძელა “SAVE THE CHILDREN” უკრაინელი ბავშების მხარდამჭერი საქმიანობა, რომელიც თბილისის N93 საბავშვო ბაგა ბაღშია გახსნილი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დასრულდა 4 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა და 3 საბავშვო ბაგა-ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია, გრძელდება 8 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 7 საბავშვო ბაგა-ბაღის (მათ შორის 2 ავარიული ბაღის გამაგრება/რეკონსტრუქცია და 5 არსებული ბაღის ნაცვლად ახალი ბაღის მშენებლობა) დასრულება. დაიწყება ერთი ავარიული ბაღის გამაგრება/ რეკონსტრუქცია და ერთი ბაღის მშენებლობა, გრძელდება ერთი ახალი ბაღის მშენებლობის და ერთი ბაღის კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოები

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 2 საბავშვო ბაგა-ბაღის მშნებლობა, გრძელდება 8 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - უმეტესმა კომპანიამ ვერ მოახერხა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სამუშაოების დასრულება და დაწყებულია კანონით დადგენილი

პროცედურები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წლის ბოლოსთვის 190 საბავშვო ბაგა-ბაღი მოემსახურა 60000-მდე აღსაზრდელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 190 საბავშო ბაგა-ბაღში 61000-მდე აღსაზრდელის მიღება.

მიღწეული მაჩვენებელი - 190 საბავშვო ბაგა-ბაღი მოემსახურა 60000-მდე აღსაზრდელს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები მოთხოვნა შეიქმნა ბაღებში არსებულ ადგილებზე და არ მოხდა 60000-ზე მეტი აღსაზრდელის დარეგისტრირება.

07 02 ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა დაფინანსებულია 57,071.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 84,727.2 ათასი ლარის 67.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 01 ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

2025 წლის გეგმა - 42.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 37.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სასკოლო კლუბების განვითარება, მოსწავლეების და სკოლების ჩართულობის გაზრდა არაფორმალურ საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „სასკოლო თეატრალური ფესტივალი არტსკოლას" პროექტი - „არტსკოლა", რომელიც მოიცავს 25-60 წუთიან სპექტაკლის ჩვენებას. ფესტივალში მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სკოლების, დამოუკიდებელი საყმაწვილო, ახალგაზრდულმა თეატრალურმა დასებმა, დიასპორულმა თეატრებმა. ასევე, ფესტივალში ჩართულები იყვნენ შშმ პირები და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგებლები. ფესტივალი ჩატარდა კონკურსის სახით, შეიქმნა ნაწარმოებები

„სიყვარულის“ თემაზე. სასკოლო თეატრალური ფესტივალი „არტსკოლა“ დასრულდა გრანდიოზული დაჯილდოვებით და გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეები და დასები. გამარჯვებულ სპექტაკლს კი გადაეცა გრან-პრი; ა(ა)იპ „ახალგაზრდების ჰარმონიული განათლების“ პროექტი - „UCMAS International Competition & World Cup 2025 – საერთაშორისო ჩემპიონატი და მსოფლიო თასი 2025“ (მსოფლიო თასი 2025 მენტალურ არითმეტიკაში უკვე 27-ედ ჩატარდა მსოფლიოში), ღონისძიება პირველად ჩატარდა საქართველოში და მთელი კავკასიის რეგიონში. კონკურსზე ჩამოვიდა 1,500-ზე მეტი მოსწავლე 84 ქვეყნიდან, ასობით მასწავლებელი, მშობელი და სხვადასხვა საგანმანათლებლო სფეროდან დელეგაციის წარმომადგენლები, ჯამში 3,000-ზე მეტი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ესტუმრა თბილისს.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაფინანსდა და განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი 4 პროექტი, პროექტებში მონაწილე 1000-მდე მოსწავლე (მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები და მოზარდები).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება და პროექტებში ჩართული 1000-მდე სკოლის მოსწავლე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები და მოზარდები.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა და განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი 2 პროექტი, პროექტებში მონაწილე 1500-ზე მეტი მოსწავლე (მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები და მოზარდები).

07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

2025 წლის გეგმა - 31,104.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 29,352.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 3,136.4 ათასი ლარი), რაც 94.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინფორმირებული თბილისის

მოქალაქეები და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებისათვის და თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისათვის (საჭიროების შემთხვევაში სხვა მუნიციპალიტეტებისათვის) მიწოდებული ელექტრონული სერვისები, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიის სტრუქტურულ ერთეულებში და ტერიტორიულ ორგანოებში, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოვლა და ტექნიკური მომსახურება, არასაცხოვრებელი ფართის იჯარა, რიგის მართვის ბილეთების საბეჭდი პრინტერის შეძენა, რიგის მართვის სისტემის ტექნიკური და პროგრამული მომსახურება, მონიტორინგის სისტემის SolarWinds-ს ლიცენზიის განახლება, ADManager Plus და Exchange Reporter Plus -ს ლიცენზიის ტექნიკური მხარდაჭერის განახლება, Care/SLA და რიგის მართვის სისტემის „Qmatic“-ის ტექნიკური და პროგრამული განახლება, Manage Engine Service Desk Plus Enterprise-ის ერთ წლიანი ტექნიკური მხარდაჭერა და ლიცენზია, სააგენტოში არსებული ცხელი ხაზის სისტემის ტექნიკური მხარდაჭერა და ლიცენზია, Barracuda Email Security Gateway Virtual License 400-ის ერთ წლიანი ტექნიკური მხარდაჭერა და ლიცენზია, სააგენტოში არსებული CISCO VOIP C8300-1N1S-4T2X ორ მარშრუტიზატორის და ერთობლივი ზარის A-FLEX-STD-CUBE (CUBE Standard Trunk Session License) 120 იუზერის ტექნიკური მხარდაჭერა და ლიცენზია, DDos (Radware DefensePro 6-1S) პროგრამის ერთ წლიანი ლიცენზია და ტექნიკური მხარდაჭერა, Advanced Web Application Firewall და დატვირთვის ბალანსერის ერთ წლიანი ლიცენზია და ტექნიკური მხარდაჭერა, Delphix-ის ლიცენზიისა და ტექნიკური მხარდაჭერის განახლება, პრივილეგირებული მომხმარებლის წვდომის პროგრამის ლიცენზიის განახლება, ჰიპერ-კონვერგენტული ინფრასტრუქტურის ლიცენზიის განახლება/

ტექნიკური მომსახურება, კრიტიკული ქსელური ინფრასტრუქტურის ტექნიკური მხარდაჭერის და ლიცენზიის განახლება, ობიექტური მონაცემთა შესანახი სისტემის გაფართოების (დამატებითი მოდულის) შესყიდვა, თანმდევი მომსახურებით (ინსტალაცია/კონფიგურაცია), IBM storewize 7000 MTM: 2076-112, S/N: 78G0613-თვის განკუთვნილი მყარი დისკები, მონაცემთა შესანახი სისტემის გაფართოება, ქსელური მოწყობილობებისთვის უწყვეტი კვების წყაროების შეძენა და სხვა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 2,373.0 ათასი ლარი, სასერვეროში არსებულ კომპიუტერში ჰიპერ - კონვერგენტული ინფრასტრუქტურის Appliance-ების დამატებითი მეხსიერების მოდულების შეძენის, დღგ-ს გადასახადისა და მივლინების ხარჯის დაფინანსება). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

სისტემური ანალიზის დეპარტამენტის მიერ მუდმივად მიმდინარეობს არსებული ელექტრონული სერვისების გარკვეული ფუნქციონალების დამატება/ცვლილება, საანგარიშო პერიოდში კი განხორციელდა გარკვეული სამუშაოები შემდეგ ელექტრონულ სერვისებში: ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემა, მაღალმთიანი რეგიონებისა და სოციალური პროგრამების სისტემა, ტაქსი-თბილისი, პარკირების სისტემა, მომხმარებლის უფლებების მართვის სისტემა, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, სამგზავრო ბარათების სისტემა, კონფიგურაციების მართვა, ელექტრონული განცხადებების სისტემა, ტრეინინგი და დანერგვა, ინტერაქტიული რუკის სისტემა, ჯანდაცვის პროგრამების სისტემა, Fix Tbilisi, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის სისტემა, აუზით სარგებლობის სისტემა, უფასო კვების სისტემა, სოციალური მომსახურების მოდული, მოქალაქეთა დახმარების სისტემა, თქვენი იდეა ქალაქის მერს, სოციალური მომსახურების მოდული, ინფორმაციის გადამოწმების სისტემა, სამართალდარღვევებზე მიღებული გადაწყვეტილებების სისტემა, მუნიციპალური კალენდრის სისტემა, ელექტრონული მთავრობის სისტემა, პერსონალური კონსულტანტი, შეტყობინებების მართვა;

პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ანალიტიკოსების მიერ შექმნილი პროექტებისა და სერვისების პროგრამული

უზრუნველყოფა და მოდერნიზაცია. ასევე, სააგენტოში გატარდა და მუდმივად მიმდინარეობს არსებული ელექტრონულ სერვისების/პროექტების გარკვეული ცვლილებები (ფუნქციონალების ცვლილება/დამატება/გაუქმება), სამუშაო პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრის და ახალი მოთხოვნების წარმოშობის შედეგად, არსებული სისტემების გაუმჯობესების მიზნით;

სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა მერიის ადმინისტრაციულ შენობაში 21 სართულზე არსებული ქსელური კომუტატორების და უსადენო ქსელური მოწყობილობების დემონტაჟი-დასაწყობება, ახალი ქსელური კომუტატორების და უსადენო ქსელური მოწყობილობების მონტაჟი, ოპტიკური კავშირის გაყვანა და სასერვეროში ახალი ქორ სვიჩების მონტაჟი და პროგრამული უზრუნველყოფა, მერიის მეორე სასერვეროში ქსელების მართვისათვის განკუთვნილი აპარატურა/პროგრამის გამართვა, მოხდა და გრძელდება ძველი სატელეფონო კავშირის ჩანაცვლება ციფრული აპარატებით, ხორციელდება 24 საათიან რეჟიმში სისტემებზე მონიტორინგი, როგორიცაა შიდა ქსელის, დაშიფრული გარე ქსელური წვდომების, ვირტუალური მანქანების, გარე ქსელიდან შეტევის მონიტორინგი, რეგულარულად ხორციელდება ყოველდღიური აპარატურული მონიტორინგი, დაგეგმილად ხდება სისტემების განახლება. გაეშვა მერიის ადმინისტრაციის შენობაში ახალი ქსელი, მიმდინარეობს WIFI სხვადასხვა ტიპის მიერთების გატესტვა და სტუმრის რეჟიმის დანერგვა, გაეშვა წვდომების ფაერვოლი, მიმდინარეობს წარმოქმნილი პრობლემების გასწორება, ცხელ ხაზზე სწორდება მოლოდინის მუსიკა. ხორციელდება დაცვის სამსახურის კამერების წვდომების დარეგულირება;

ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ მოხდა მომსახურების გაწევა კომპიუტერულ ქსელების 3851 ტექნიკური და 37360 ელექტრონული სერვისების საკითხზე;

მომსახურების ცენტრების დეპარტამენტის სერვის ცენტრებში მომსახურება გაეწია 374824 მოქალაქეს (მათ შორის დარეგისტრირდა (შემოვიდა ფოსტით და ელექტრონულად) 237841 კორესპონდენცია და ხელზე გაიცა - 29108). ასევე, გაიცა 40627 ტაქსის ლიცენზია და ტაქსების 2607 ტრაფარეტი, უფასო ზონალური

პარკირების სისტემაში დარეგისტრირდა 8576 მოქალაქე, გაიცა 4811 ტაქსის სტიკერი და მოქალაქეთა პროფილის მართვის სისტემაში შეიქმნა/განახლდა 7058 მოქალაქის პროფილი;

ცხელი ხაზის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 586264 სატელეფონო ზარის მომსახურება;

საოპერაციო დეპარტამენტში დარეგისტრირდა ფოსტით და ელექტრონულად შემოსული 108467 კორესპონდენცია, პასუხები ელექტრონულად გაიგზავნა - 66504 და ფოსტით - 110971 (მათ შორის მომსახურების ცენტრების მიერ ელექტრონულად და ფოსტით გაცემული კორესპონდენცია);

ხარისხის კონტროლის სამმართველოს მიერ განხორციელდა ცხელ ხაზზე შემოსული 21531 სატელეფონო ზარის მოსმენა. აქედან შეფასდა 286 სატელეფონო ზარი და შესაბამისად, მოხდა თანამშრომელთა საქმიანობის ყოველთვიური შეფასებაც; სამმართველო აქტიურად ახორციელებს მუნიციპალური სერვის ცენტრების მონიტორინგს, ადგილზე ვიზიტისა და დაკვირვების გზით და საანგარიშო პერიოდში ჯამური ვიზიტების რაოდენობამ შეადგინა 403; მოქალაქეთა მომსახურების მიმართულებით დამუშავდა ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 11 სტრუქტურული ერთეულისთვის, კერძოდ, თითოეული ერთეულისათვის კატეგორიების მიხედვით მომზადდა და გადაეგზავნათ ანგარიში კორესპონდენციების მოცულობის, დატვირთულობის და ვადაგადაცილებული წერილების რაოდენობის გათვალისწინებით; შემოწმდა დოკუმენტბრუნვის პროგრამაში დარეგისტრირებული განცხადებები ნომენკლატურის მიხედვით და მომზადდა არასწორი ნომენკლატურით დარეგისტრირებული განცხადებების სტატისტიკური ანგარიში;

პროფესიული განვითარების სამმართველოს მიერ საანგარიშო პერიოდში დასრულდა ტრენინგი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებულ ბუღალტრულ პროგრამა ესბა (ESBA)-ს მოდულში (სულ ტრენინგი გაიარა თბილისის საბავშვო ბაგა- ბაღების 135 ბუღალტერმა); ინვენტარიზაციის მართვა

საჯარო დაწესებულებაში; რისკების მართვა სახელმწიფო შესყიდვებში; კორუფცია და კორუფციის რისკების მართვა; ტრენერთა ტრენინგი; პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების პროგრამა; სატელეფონო კომუნიკაცია; MS Excel beginner/intermediate/Advanced; საჯარო სექტორის აუდიტორთა სერტიფიცირების კურსი; ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სექტორში; პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სასერტიფიკატო კურსი; პერსონალურ მონაცემების დაცვა და საჯაროების სტანდარტები; პირველადი სამედიცინო დახმარება; მოხელის მენეჯერული უნარები; სახანძრო უსაფრთხოება; „ნეიროპლასტიურობა და განათლება, ესთეტიკური სწავლების მეთოდოლოგია“; ,,ორგანიზაციული ქცევა და კულტურა“; პროგრამული ბიუჯეტირება; სისტემური აუდიტი; ეფექტიანობის აუდიტი; სამშენებლო ხარჯთაღრიცხვა; შინაგანი რესურსების მართვა და პროფესიული ეფექტიანობა; არაფორმალური სწავლება, სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდიკა (მემორანდუმის ფარგლებში სასახლესა და მასწავლებლის სახლს შორის); აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული; საქმისწარმოებისა და საარქივო საქმის სასწავლო პროგრამა. სულ გადამზადდა 1852 მოსამსახურე (მათ შორის 1662 ქალი, 190 კაცი);

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის მიმართულებით, სააგენტოს მიერ ჩართული დეპარტამენტების მხრიდან, მუდმივად მიმდინარეობს სერვისების ფუნქციონალების ცვლილება/ დამატება/ კონსულტაციები.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 25-მდე მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 2000-მდე გადამზადებული თანამშრომელი (2024 წლის ფაქტი - 22 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 2102 გადამზადებული თანამშრომელი (მათ შორის 1564 ქალი, 538 - კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - 27 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 1852 გადამზადებული თანამშრომელი (მათ შორის 1662 - ქალი, 190 - კაცი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - თანამშრომელთა მიერ დაფიქსირდა მოთხოვნის ცვლილება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სააგენტო უზრუნველყოფს თბილისის მუნიციპალიტეტის (საჭიროების შემთხვევაში სხვა მუნიციპალიტეტების) ელექტრონული სისტემების გამართულ ფუნქციონირებას, ხოლო სააგენტოს 11 სერვის ცენტრში, საოპერაციო დეპარტამენტში და ცხელ ხაზზე 1 000 000 მოქალაქისთვის მომსახურების გაწევას (2024 წლის ფაქტი - მომსახურება გაეწია სააგენტოს 11 სერვის ცენტრში 1 127 228 მოქალაქეს (მათ შორის დისტანციურად (სატელეფონო ზარის მომსახურება) - 615352 მოქალაქეს).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - სააგენტოს მომსახურების ცენტრებში (11 სერვის ცენტრი), საოპერაციო დეპარტამენტში და ცხელ ხაზზე მომსახურება გაეწია 1 133 234 მოქალაქეს (მათ შორის დისტანციურად (სატელეფონო ზარის მომსახურება) – 586264 მოქალაქეს).

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 30-მდე პროგრამული ლიცენზიის შეძენა-განახლება, ხოლო 3 წელიწადში ერთხელ თბილისის ურბანული ნაწილის ფოტორეალისტური 3D მოდელის შექმნა, რომელიც დაიწყო 2024 წელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება, თბილისის ორთოფოტოს და ობლიქ ფოტოს გადაღების ნაწილის დასრულება 2025 წელს.

მიღწეული მაჩვენებელი - განახლდა 26 პროგრამული ლიცენზია, დასრულდა ორთო-ფოტოს და ობლიქ ფოტოს გადაღება/დამუშავების ღონისძიებები.

4.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სააგენტო უზრუნველყოფს თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის სასერვერი სისტემის შექმნა/გაფართოება/ განახლების მიზნით ციფრული ინფორმაციის შემნახველი მასივების და სისტემების, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შეძენა/ განახლება /ჩანაცვლებას და მასთან დაკავშირებული საჭირო პროგრამების/ ლიცენზიების შესყიდვა, სასერვეროს გამართვა.

დაგეგმილი მაჩვენებელი საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება (გაფართოებული სასერვერო მასივებისთვის მასივების მონაცემთა რეზერვირების სისტემით,

გაგრილების სისტემით, უწყვეტი კვების და მუდმივი დენის წყაროებით (იუპიესები, გენერატორები) უზრუნველყოფა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სააგენტო

2025 წლის გეგმა - 5,419.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,430.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 63.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება, სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების შესახებ მედია საშუალებებით გასული ინფორმაციის მონიტორინგი - 34.0 ათასი ლარი, სოციალური მედია - 12.4 ათასი ლარი, პირდაპირი ეთერით გადასაცემი ღონისძიებები - 535.5 ათასი ლარი, ხოლო თარგმნის მომსახურება - 13.7 ათასი ლარი.

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: კამპანიების სამსახურში ყოველდღიურ რეჟიმში მზადდებოდა დღის ამბები, რომელიც თბილისის გამგეობებისა და მერიის სამსახურების ყოველდღიურ საქმიანობას ეხებოდა. ასევე, დამზადდა ვიდეო რგოლები: დღის ამბავი (221 ვიდეო რგოლი), ცხოველთა მონიტორინგის - საიმიჯო და 19 ვიდეო რგოლი, 2025 წლის საქმიანობის 23 შემაჯამებელი ვიდეო რგოლი, საახალწლო ვიდეო რგოლი, 211 tik tok ვიდეო რგოლი, ლაგუნა ვერეს კვანძის ვიდეო რგოლი, 10 საიმიჯო ვიდეო რგოლი, 5 საპრეზენტაციო ვიდეო რგოლი, საჯარო ხელოვნების ფონდის 2 ვიდეო რგოლი, რილსები 4. ასევე, დამზადდა სხვადასხვა გრაფიკული ვიდეო რგოლები:

მათ შორის, საპრეზენტაციო 5 ვიდეოს გრაფიკული ქუდი; ბაგა-ბაღების გრაფიკული ვიდეო; გზების რეაბილიტაციის გრაფიკული ვიდეო; ტოტემის გრაფიკული ვიდეო; სპორტი და ხელოვნება უფროსი თაობისთვის (საარჩევნო კლიპებისთვის არქივის დახარისხება - აპრილი-ივნისი ობიექტების და თემების რაოდენობა - 85 და მერის წარდგენის კლიპებისთვის საარქივო მასალების მოგროვება - 5 თემა, 80 ფოლდერი); მუნიციპალური ინსპექციის ქუდი, გახსნა და დახურვა, ტიტრის ფონი და შეფუთვა; რაიონების საქმიანობის შეჯამებისთვის - 10 რაიონის ქუდი და შეფუთვა; 3 საქალაქო სამსახურის ქუდი და შეფუთვა;

დიზაინის მიმართულებით მომუშავე ჯგუფმა იმუშავა სხვადასხვა თემებზე, მათ შორის: 3 და 8 მარტისთვის მერიის ფბ პოსტი, მერის ფბ ბანერი - 25+, მერის და მერიის ფბ გვერდებისთვის 11 ბანერი; ყველა გამგეობისთვის 3 და 8 მარტის და სააღდგომო პარკების დიზაინი; გლდანის გამგეობა: ღონისძიების 2 როლაფი და 6 ვაუჩერი, "გლდანის თასი მინი ფეხბურთში 2025“ - სრული ბრენდირება, კალათბურთის ტურნირი, ტრენინგი თვითმმართველობა, სასწავლო წლის დასრულება - ბრენდირება (ბანერი, ფოტო ჩარჩო); ვაკის გამგეობა: ჩოგბურთის და ფრენბურთის ღონისძიებების ბრენიდერება (სიგელი, ბანერი, მაისური, შტენდერი და ა.შ.) სიგელი და შტენდერი (რა? სად? როდის?), მოსაწვევი, 5 ფბ ბანერი, "მხიარული სტარტების" ბრენდირება; მთაწმინდის გამგეობა: ფრენბურთის ტურნირი - ბანერი, მაისური. კალათბურთის ტურნირი - სიგელი; ისნის გამგეობა: ახალგაზრდული ბანაკის ბანერი, ფრენბურთის ტურნირი - ბანერი, ჭადრაკის სასკოლო ჩემპიონატის ბანერი, საშვები და სავიზიტოები 30+, „isani junior cup" ბრენდირება; კრწანისის გამგეობა - წიგნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ბრენდირებული ნივთები, კალათბურთის ტურნირი - სიგელი, 3X3 ქუჩის კალათბურთში კრწანისის რაიონული თასი - ბანერი და სერტიფიკატები, კრწანისის რაიონის სკოლებს შორის ტურნირი „მხიარული სტარტები“ - ბრენდირება, იცხოვრე სპორტით - ბანერი; ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო: ინფოგრაფიკი ტრანსპორტისთვის, 2 ფბ პოსტი; ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო: ბუკლეტი, 5 ცალი ფბ ბანერი და 22 ბანერი; ეკოსერვისის მანქანების (3 ავტომობილი) ბრენდირება; საბავშვო ბაგა-ბაღების

მართვის სააგენტო - 3 ბანერი, სიგელი 4, საბავშვო ბაღებისთვის - 17 მოლბერტი; სკრინიგინი - პაციენტის ბარათი, ოფისის გასაფორმებელი სტიკერები და როლაფი; ეკონომიკური SDR მოსაწვევი და საქაღალდის ყდა; უსაფრთხოებისთვის მანიშნებელი (მაღალი ძაბვაა), თბილისის მდგრადი განვითარების რეგიონული ფორუმი - სრული ბრენდირება, თბილისობის სრული ბრენდბირება, საახალწლო სრული ბრენდირება (მათ შორის გამგეობებისთვისაც), საახალწლო საჩუქარის დიზაინის შემუშავება, სპორტი უფროსი თაობისთვის - როლაფი, ავარიული კორპუსებისთვის გამაფრთხილებელი ბანერი ყველა გამგეობისთვის, მუნიციპალური ინსპექციის მანქანების, მოტოს და ბაიკერის ეკიპირების ბრენდირება, 8 პრეზენტაცია მერის არსებული და სამომავლო პრექტების შესახებ; სატრანსპორტო და ურბანული პოლიტიკის ბრენდირება - ბანერი და პრეზენტაცია, ინფრასტრუქტურის პოლიტიკის ბრენდირება - ბანერი და პრეზენტაცია, ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის ბრენდირება - ბანერი და პრეზენტაცია, სამგორის "საზაფხულო ფესტივალი - ბანერი, ნაძალადევის ბრენდირება მინიფეხბურთის, ფრენბურთის და რაგბის ტურნირებისთვის, 10 გამგეობის საქმიანობის შემაჯამებელი ღონისძიებებისთვის: ქავერი, პრეზენტაციის თემპლეითი, მოსაწვევი; გამგეობებისთვის სხვადასხვა ღონისძიებების შეფუთვა (ბანერები, სიგელები, და ფორმები და ა.შ.) და სხვა.

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მედიასთან კომუნიკაცია, ინფორმაციისა და პრესრელიზების მომზადება. ასევე, მომზადდა თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა უწყების მედიააქტივობების და სოციალურ ქსელში განსათავსებელი ინფორმაცია, გაშუქდა ბრიფინგები და კომენტარები, განხორციელდა დაგეგმილი პიარ აქტივობები (375 აქტივობა, მათ შორის საქალაქო სამსახურები - 215 აქტივობა და გამგეობები - 160 აქტივობა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სატელევიზიო და რადიო ეთერში ინფორმაციის განთავსების მიზნით, 2024 წელს დამზადებულია 344 ვიდეო რგოლი (საიმიჯო, გრაფიკული, საინფორმაციო).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საშუალოდ 200 ვიდეო რგოლის დამზადება

(ინფორმაციული, საიმიჯო, გრაფიკული).

მიღწეული მაჩვენებელი - დამზადებულია 685 ვიდეორგოლი (საიმიჯო, გრაფიკული, საინფორმაციო).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აღნიშნული გამოწვეულია მცირე ზომის ვიდეოების დამზადებით, ვინაიდან გამგეობებისთვის და სტრუქტურული ერთეულებისთვის დამზადდა სოციალურ ქსელში დასადები მცირე ზომის ვიდეოები (მათ შორის ინფორმაციული, გრაფიკული და საიმიჯო).

2.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში ინფორმაციის განთავსება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების 33 Facebook გვერდზე (მათ შორის ერთ Instagram გვერდი), ხოლო პირდაპირ ეთერით გადაცემულია 10 ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ინფორმაციის განთავსების მიზნით, საშუალოდ წლის განმავლობაში 33 Facebook გვერდი (მათ შორის ერთ Instagram გვერდი), ხოლო პირდაპირ ეთერით გადაცემული 26 ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ინფორმაციის განთავსება 33 Facebook გვერდზე (მ/შ 1 ისტაგრამი) და პირდაპირ ეთერით გადაცემულია 22 ღონისძიება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსათავსებელი ინფორმაციის სიმცირე და სოციალური ქსელის ყურებადობის გაზრდა.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - ძირითადად ინფორმაციის განთავსება ხდება სოციალურ ქსელში (სოციალური ქსელის ყურებადობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაზრდილია და აღარ საჭიროებს ზედმეტ ხარჯებს და რეკლამირებას), რამაც გამოიწვია სატელევიზიო სივრცეში განსათავსებელი ინფორმაციის სიმწირე, რადგან მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება ხდება სატელევიზიო სივრცეში სოციალური სარეკლამო რგოლის სტატუსით, რაშიც საბიუჯეტო თანხები არ იხარჯება. ამასთან, განსათავსებელი ვიდეო რგოლები დამზადებულია სააგენტოს მიერ.

07 02 05 თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2025 წლის გეგმა - 9,000.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,582.4 ათასი ლარით (მიზნობრივი ტრანსფერი), რაც გეგმის 50.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა უსაფრთხო, კომფორტული და დროული ტრანსპორტირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, თბილისის რაიონის საჯარო სკოლის მოსწავლეთა (მათ შორის სსსმ და შშმპ სტატუსის მქონე მოსწავლეთა) სატრანსპორტო მომსახურება. ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოების პერიოდში სხვა სკოლებში გადანაწილებული მოსწავლეების შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველყოფა. სულ მიმდინარე პერიოდში განხორციელდა 13 281 მოსწავლის ტრანსპორტირება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეთა (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის (შშმპ) სტატუსის მქონე მოსწავლეები) ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. საშუალოდ ერთი სემესტრის განმავლობაში 10 500 მოსწავლის ტრანსპორტირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 13 281 მოსწავლის ტრანსპორტირება

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების მიზნით, მეორე სემესტრში გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა - 6,9294 ათასი ლარი, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში აუთვისებელი თანხა

განპირობებულია გაწეული მომსახურების ანაზღაურების სპეციფიკით, კერძოდ, წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში. შესაბამისად, დეკემბრის თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება 2026 წლის იანვრის თვეში.

07 02 06 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაფინანსებულია 19,669.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 39,161.8 ათასი ლარის 50.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 06 01 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 3,291.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,596.4 ათასი ლარით (მიზნობრივი ტრანსფერი), რაც გეგმის 78.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე არსებულ N6-ე, N59-ე, N69-ე, N115-ე, N136-ე, N118-ე, N167-ე, N173-ე, N174-ე საჯარო სკოლებში 20451.95 კვმ.მ ეზოს მოასფალტების სამუშაოები; N79-ე, 115-ე, 118-ე, 119-ე, 160-ე, 177-ე საჯარო სკოლებში 7435 კვმ.მ შენობის სახურავის შეკეთების სამუშაოები; N59-ე, 119-ე, 167-ე, 174-ე, 208-ე საჯარო სკოლებში შემოღობვისა და გარე კიბეების რეაბილიტაციის სამუშაოები; N208-ე სკოლისთვის შესყიდული იქნა 11 ცალი მაგიდის კომპიუტერი; N59-ე და N208 სკოლისთვის შესყიდული იქნა თითო მრავალფუნქციური პრინტერი შესაბამისი კარტრიჯებით. ამასთან, გაწეულია სკოლების შემოღობვისა და გარე კიბეების რეაბილიტაციის, ეზოს მოასფალტების და შენობის სახურავის შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 15 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუტარდა 14 საჯარო სკოლას.

07 02 06 02 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 8,255.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,723.5 ათასი ლარით (მიზნობრივი ტრანსფერი), რაც გეგმის 33%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე არსებულ N32, N142, N48, N154 N12, N129, N141, N190 საჯარო სკოლებში ეზოს ასფალტის საფარის მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები 17699.1 კვ.მ; N48, N141, N142, N154 საჯარო სკოლების ღობის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; N48, N154 საჯარო სკოლების ეზოში სანიაღვრე ქსელი შეკეთების სამუშაოები; N129, N142, N143, N149, N159, N190 ბრტყელი სახურავის/წყალსაწრეტი მილების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები 8292.82 კვ.მ; N12, N190 საჯარო სკოლების შიდა სარემონტო სამუშაოები; N207-ე საჯარო სკოლისთვის დამატებითი საკლასო ოთახების მოწყობის სამუშაოები, N141-ე საჯარო სკოლაში სსსმ (სპეციალური საგანმაწათლებლო საჭიროების მქონე) მოსწავლეთათვის რესურს ოთახის მოწყობის სამუშაოები; N138-ე საჯარო სკოლისათვის ელექტრონული სახელმძღვანელოს „ვირტუალური სამუშაოები ზოგად ქიმიაში“ შესყიდვის და N138-ე სკოლისთვის A4 ფორმატის მრავალფუნქციური შავ-თეთრი ლაზერული პრინტერის, კარტრიჯის შეძენის

ხარჯები. ამასთან, გაწეულია სკოლების შიდა გზების მიმდინარე და ფრაგმენტული (N129, N190, N11, N32, N14, N141, N12, N48, N154, N142) შეკეთების, ბრტყელი სახურავის/წყალსაწრეტი მილების სარემონტო (N129, N142, N143, N149, N159, N190) სამუშაოების, შიდა სარემონტო (N8, N9, N12, N48, N142, N143, N154, N159, N190, 141, N207) სამუშაოების, ღობეების მოწყობა-რეაბილიტაციის (N12, N48, N129, N141, N142, N154, N190, N207) სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 15 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდა 15 საჯარო სკოლას.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია გამოცხადებული ტენდერების ჩაშლით/შეწყვეტით (N8, N9, N142, N143, N48, N154, N159, საჯარო სკოლების შიდა სარემონტო სამუშაოები, N129, N190, N12, N207 საჯარო სკოლების ღობის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, N12, N129, N141, N190 საჯარო სკოლების ეზოების ასფალტის საფარის მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები).

07 02 06 03 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 3,541.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,589.6 ათასი ლარით (მიზნობრივი ტრანსფერი), რაც გეგმის 44.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და

მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე არსებულ N18, N22, N140, N130 N155 სკოლებში ეზოების ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; N130, N22, N169 სკოლებში საქვაბეში შესასრულებელი მიმდინარე სანტექნიკური სამუშაოები; N22, N130, N140 სკოლებში სარემონტო სამუშაოები (მიმდინარე რემონტი); N18, N22, N140 საჯარო სკოლებში ღობეების მოწყობის საუშაოები; N100, N140, N155 სკოლებში დაზიანებული ქანობიანი და ბრტყელი გადახურვის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები; N140. N130, N22, 155 სკოლებში სანიაღვრე და წყალარინების (კანალიზაციის) ქსელების მოწყობის და აღდგენა შეკეთების სამუშაოები; ამასთან, გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების და რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში სანიაღვრე ქსელების მოწყობის, ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთების, დაზიანებული ქანობიანი და ბრტყელი გადახურვის მიმდინარე შეკეთების, სკოლის ეზოებში სანიაღვრე ქსელების და წყალარინების (კანალიზაციის) მოწყობის სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 12 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუტარდა 7 საჯარო სკოლას

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია ერთის მხრივ ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიით, ხოლო მეორეს მხრივ სკოლების სპეციფიკიდან გამომდინარე, სარემონტო სამუშაოები, მოსწავლეების უსაფრთხოების მიზნით, უნდა განხორციელდეს არასაგაკვეთილო საათებში, ეს კი მოითხოვდა იმაზე მეტ დროს რაც გამოყოფილი იყო.

07 02 06 04 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული

სამუშაოები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 2,432.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,194.5 ათასი ლარით (მიზნობრი ტრანსფერი), რაც გეგმის 49.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე არსებულ N2-ე, N5-ე, N24-ე, N26-ე N29-ე, N30-ე და N31-ე საჯარო სკოლებში მცირე ინფრასტრუქტურული - მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, N2-ე საჯარო სკოლაში სპორტული მოედნის მოწყობისა და N150-ე, N36-ე და N26-ე საჯარო სკოლებში სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, N2-ე, N24-ე, N26-ე, N30-ე, N31-ე და N150-ე საჯარო სკოლების ეზოების ასფალტის საფარის მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთებითი სამუშაოები. ასევე რაიონის ტერიტორიაზე არსებულ N24-ე სკოლის ეზოში რკინა-ბეტონის კედლის და რკინის ჭიშკრის მიმდინარე შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, N31-ე, N24-ე, Nმე-2, N26-ე, N30-ე და N150-ე საჯარო სკოლების შიდა გზების მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოების დეფექტური აქტებისა და N2-ე, N26-ე, N36-ე და N150-ე საჯარო სკოლებში სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების ხარჯები. ამასთან, გადარიცხულია დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 9 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა (მცირე

ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუტარდა 9 საჯარო სკოლას.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით: საჯარო სკოლებში ეზოს ასფალტის მიმდინარე და ფრაგმენტულ შეკეთებით სამუშაოებზე დაგეგმილ ფართებზე აღარ გახდა საჭირო ორფენიანი საფარის მოწყობა. ასევე, გამგეობამ ვერ განახორციელა 24-ე საჯარო სკოლაში დაგეგმილი რკინა/ბეტონის ღობის, ჭიშკრისა და ავარიული ავტოფარეხების დემონტაჟის და ახლის მოწყობის სამუშაოები, ვინაიდან სკოლის ხელმძღვანელობამ ვერ შეათანხმა განათლების სამინისტროსთან ავარიული ავტოფარეხის დემონტაჟის საკითხი.

07 02 06 05 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 889.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: განხორციელდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების N54, N102, N122, N126 და N128 მცირე ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები და საჯარო სკოლის N137 წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაციის სამუშაოები, N55 და N41 საჯარო სკოლებში შშმ პირებისათვის ლიფტების მოწყობა, N102-ე საჯარო სკოლისათვის 15 ლეპტოპის შესყიდვა, N54-ე, N102-ე და N126-ე საჯარო სკოლებისათვის კომპიუტერების შესყიდვა, N54-ე და N126-ე საჯარო სკოლებისათვის პრინტერებისა და კარტრიჯების შესყიდვა, საჯარო სკოლებისათვის სპორტული მოედნების რეკონსტრუქციის და ახლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ესკიზური ნახაზების შედგენა. ამასთან, გადარიცხულია დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 8 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

07 02 06 06 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 3,423.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,433.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 71.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე არსებული N17-ე, N64-ე, N195-ე და N210-ე საჯარო სკოლების სახურავებისა და წყალსაწრეტი მილების რეაბილიტაციის სამუშაოები, N17-ე, N64-ე, N161-ე, N210-ე, N192-ე, N60-ე და N1 ექსპერიმენტულ საჯარო სკოლების სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები, N186-ე, N192-ე და N195-ე საჯარო სკოლების შიდა სარემონტო სამუშაოები, N195-ე საჯარო სკოლის ინტეგრირებული ოთახის აღჭურვის ხარჯები, N186-ე და N192-ე საჯარო სკოლების წყალ-საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაციისა და შიდა ეზოების მოასფალტების სამუშაოები. საჯარო სკოლებში სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო დეფექტური აქტების შედგენის მომსახურების ხარჯები. ამასთან, გადარიცხულია დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 9 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა (მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუტარდა 9 საჯარო სკოლას.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა ნაწილობრივ გამოწვეულია ტენდერებიდან გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსით. ამასთანავე, სსიპ პირველ ექსპერიმენტულ საჯარო სკოლაში დაგეგმილი იყო წყლისა და წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია და შიდა ეზოს მოწყობა. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო სასწავლო პროცესის პარალელურად, ხოლო სკოლას არ გააჩნია ალტერნატიული შესავლელი, რომლითაც სკოლის ტერიტორიით მოსარგებლენი შეძლებდნენ გადაადგილებას, აღნიშნული სამუშაოების შესრულება ვერ განხორციელდა. ასევე, გათვალისწინებული იყო N195 საჯარო სკოლის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. ვინაიდან, საკითხის შესწავლისას გამოიკვეთა სპორტულ მოედანზე კერძო საკუთრების პრობლემა, ვეღარ მოხერხდა დაგეგმილი სამუშაოების შესრულება, რაც თავის მხრივ იწვევს გარკვეული ფინანსური რესურსის აუთვისებლობას.

07 02 06 07 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 1,128.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 461.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 40.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: 74-ე, 88-ე, 139-ე და 172-ე საჯარო სკოლების შიდა ეზოებში დაზიანებული ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები,

87-ე საჯარო სკოლაში შშმ ბავშვებისათვის ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები, 90-ე საჯარო სკოლაში პროფესიული ინტეგრირებული პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინის" დანერგვის მიზნით საკლასო ოთახის კომპიუტერებით მოწყობა-აღჭურვა, 139-ე საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის სახურავის შეკეთებითი სამუშაოები, 172-ე საჯარო სკოლაში შენობის სახურავის შეკეთებითი სამუშაოები, 202-ე საჯარო სკოლაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, 81-ე, 88-ე და 92-ე საჯარო სკოლებში შენობის ბზარების, ფუნდამენტის და კედლების ექსპერტიზა. ამასთან გადარიცხულია დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 14 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩუტარდა 9 საჯარო სკოლას.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია საჯარო სკოლებში სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოების შეუსრულებლობიდან გამომდინარე, რაც გამოწვეულია სატენდერო პროცედურების გაჭიანურებასთან.

07 02 06 08 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 4,105.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,363.7 ათასი ლარით (მიზნობრივი ტრანსფერი), რაც გეგმის 57.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დელეგირებული

უფლებამოსილების ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე არსებულ N131-ე; N156-ე; N168-ე; N82-ე საჯარო სკოლებში შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები; N182-ე, N107-ე, N156-ე საჯარო სკოლებში საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელი შეკეთების სამუშაოები; N180-ე საჯარო სკოლაში წყალსადენის ქსელი მოწესრიგების სამუშაოები; N182-ე საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის საევაკუაციო კიბის მოეწყობის სამუშაოები; N217-ე საჯარო სკოლაში შესასვლელი კარის და ღობის (ნაწილობრივ) მოწყობის სამუშაოები; N82-ე, N105-ე, N107-ე; N108-ე; N131-ე; N145-ე; N168-ე; N178-ე; N180-ე; N217-ე სკოლებში განხორციელდა ხეების სხვლა-ფორმირების, ბალახის თიბვა-გატანის სამუშაოები; N107-ე, N131-ე, N145-ე საჯარო სკოლებში განხორციელდა პროფესიული ინტეგრირებული ოთახების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; N168-ე,N 131-ე საჯარო სკოლებში სააქტო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები; N168-ე საჯარო სკოლის სპორტული მოედნის და N82-ე, N145-ე საჯარო სკოლების სპორტული დარბაზების მოწყობ ის სამუშაოები; N105-ე; N107-ე; N108-ე; N145-ე; N156-ე; N168-ე; N178-ე; N180-ე; N182-ე საჯარო სკოლაში ეზოების მოასფალტების სამუშაოები. ამასთან, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის მომსახურების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 12 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა 12 საჯარო სკოლაში.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია ერთის მხრივ ტენდერის შედეგად მიღებული ეკონომიით, ხოლო მეორეს მხრივ სკოლებში ჩასატარებელი სამუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე.

07 02 06 09 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული

სამუშაოები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 4,310.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,424.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 79.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე 144-ე, 153-ე, 72-ე, 70-ე და 65-ე საჯარო სკოლებში შიდა სარემონტო სამუშაოები, 53-ე, 72-ე, 75-ე, 144-ე და 70-ე საჯარო სკოლებში საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები, 144-ე საჯარო სკოლის ეზოში გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები, 153-ე, 65-ე და 70-ე საჯარო სკოლებში ღობეების, ჭიშკრის მოწყობა-რეაბილიტაციის და მათ მიმდებარედ სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოები, 70-ე, 153-ე, 218-ე და 65-ე საჯარო სკოლების მიმდებარედ გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის სკვერების მოვლა-პატრონობა), 218-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ მოსასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები, 70-ე, 153-ე საჯარო სკოლების ტერიტორიაზე გარე განათების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სამუშაოები და 144-ე, 153-ე, 72-ე, 70-ე, 75-ე და 65-ე საჯარო სკოლის შიდა ეზოებში დაზიანებული ასფალტის საფარის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები. ამასთან, გადარიცხულია დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 7 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

07 02 06 10 თბილისის საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 7,784.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,992.8 ათასი ლარით (მიზნობრივი ტრანსფერი), რაც გეგმის 25.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და გაუმჯობესებული სასწავლო პირობები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა სამუშაოები. მათ შორის: მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდა თბილისის კლასიკურ გიმნაზას, N20, N42, N47, N49, N51 საჯარო სკოლებს; რაიონის ტერიტორიაზე მდებარე თბილისის კლასიკურ გიმნაზას, N21, N58, N212, N213, N214, N42, N43, N47, N49, N53, N104, N211, N20 სკოლებს გაეწია გამწვანებული ტერიტორიების მოვლის, ხეების მოჭრის/სხვლა-ფორმირების (დამუშავება-გატანა), მოტეხილი და მოთხრილი ხეების დამუშავება-გატანის მომსახურება; შეძენილი იქნა 17 კომპლექტი პერსონალური კომპიუტერი N58-ე საჯარო სკოლისათვის. ამასთან, გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩაუტარდება 11 საჯარო სკოლას.

მიღწეული მაჩვენებელი - მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ჩატარდა 14 საჯარო სკოლაში

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - საჯარო სკოლებში დაგეგმილი სამუშაოების ჩაბარება უნდა მომხდარიყო 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებამდე, რაც ფიზიკურად ვერ მოხერხდებოდა სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო პროცედურების ხანგრძლივობის გათვალისწინებითა და შესასრულებელი სამუშაოების დიდი მოცულობის გამო. შესაბამისად, ვერ

მოხერხდა დაგეგმილი სამუშაოების სრული მოცულობით ჩატარება და გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება.

07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 5,675.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5,813.8 ათასი ლარის 97.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

07 03 03 მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება

2025 წლის გეგმა - 5,813.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,675.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 270.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა, მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზება და ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვა, ზღვის უბნის მედიათეკისათვის ვიდეო და აუდიო აპარატურის, მედიათეკებისა და ფილიალებისთვის კომპიუტერული ტექნიკის (მათ შორის 5 ფილიალში სკანერი), საბიბლიოთეკო ფონდისთვის წიგნების, ჟურნალ-გაზეთების შეძენა, ვაკის მედიათეკის მცირე სარემონტო სამუშაოები (ვიტრაჟების შეცვლა) და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 124.5 ათასი ლარი, გადასახადების გადახდის, კულტურულ, საგანამანათლებლო და საგამოფენო ხარჯების, ოფისის ხარჯების, აუდიტორული მომსახურების, ტურნიკეტების შეძენის და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად). ბიბლიოთეკების გაერთიანება მოიცავს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 34 ფილიალს თბილისის

სხვადასხვა უბანში და თბილისის მედიათეკების გაერთიანებას (ვაკის, ვარკეთილის, ნაძალადევის, ზღვის უბნის[29] და დიღმის მედიათეკას). მიმდინარე პერიოდში გაწევრიანდა და ბიბლიოთეკის/მედიათეკის სერვისებით ისარგებლა 29494 პირმა. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ჩატარდა სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები და ინვენტარით და ტექნიკით აღიჭურვა იაკობ გოგებაშვილის სახელობის 21-ე ბიბლიოთეკა (გაიხსნა 6 ივნისს) და ვარკეთილის მეორე მედიათეკა; დაიწყო სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები მარო მაყაშვილის სახელობის N3 ბიბლიოთეკის ფილიალში, რომელიც დასრულდება 2026 წელს; „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის“ (მოიცავს საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ფიზიკურ-გამაჯანსაღებელ აქტივობებს: ცეკვა (ქართული და სამეჯლისო), სახვითი ხელოვნება და ვარჯიში) ფუნქციონირებს მირზა გელოვანის სახელობის მე-2 ბიბლიოთეკაში (150 ბენეფიციარი) და ზღვის უბნის მედიათეკაში[30] (პროექტი ხორციელდება თბილისის მერიის, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ორგანიზებითა და გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) პარტნიორობით); წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს თბილისის მედიათეკებმა და ბიბლიოთეკებმა უმასპინძლეს, მათ შორის მირზა გელოვანის სახელობის მე-2 ბიბლიოთეკაში არსებულ "60+ კლუბში" გაიმართა კლუბის საპატიო წევრის, მაია მახარაშვილის შემოქმედებითი საღამო (ავტორმა სტუმრებს საკუთარი შემოქმედება გააცნო);

თბილისის მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში მდებარე საქართველო-კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრში (Georgia-Korea Information Access Center) განხორციელდა შემდეგი საგანმანათლებლო და კულტურული პროგრამები: კორეული ენის კურსი (მონაწილეთა რაოდენობა - 145), ვორქშოფები უსინათლო და მცირემხედველი მომხმარებლებისთვის (მონაწილეთა რაოდენობა - 18), ციფრული პროგრამების (Notion, Adobe Premiere, AI) კურსი (მონაწილეთა

[29] ზღვის უბნის მედიათეკა მუშაობას შეუდგა 2025 წლის 28 იანვრიდან. თბილისსა და ნანტს შორის დაძმობილების 45 წლისთავისა და თანაშრომლობის აღსანიშნავად, ზღვის უბნის მედიათეკა ქალაქ ნანტის სახელობისაა.

[30] რეგისტრაცია დაიწყო 18 მარტიდან, ხოლო აპრილის დასაწყისიდან კლუბმა დაიწყო ფუნქციონირება, სადაც მიმდინარე პერიოდში რეგისტრირებულია 80-მდე ბენეფიციარი.

რაოდენობა - 130), კორეული კულტურის პროგრამა (მონაწილეთა რაოდენობა - 126), პროექტი „ხმით დანახული სამყარო“ – აუდიოწიგნების ჩაწერა (მონაწილეთა რაოდენობა - 10), „ინკლუზიური ციფრული გარემოს ხელმისაწვდომობა უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის“ (მონაწილეთა რაოდენობა - 10); ზღვის უბნის მედიათეკაში ჩატარდა ტელე-კინო აკადემიის მასტერკლასი თემაზე "ყურადღების კონცენტრაცია", რომელიც ხელს შეუწყობს გონების გავარჯიშებას, განწყობის ამაღლებასა და თვალსაწიერის გაფართოებას (განკუთვნილი იყო 6-დან 10 წლამდე ბავშვებისთვის); ვარკეთილის და ვაკის მედიათეკებში ბესიკ ხარანაულის ხელნაკეთი წიგნების სახელოსნო გაიხსნა, რომლის მიზანია მოზარდებში კითხვის პოპულარიზაცია, წარმოსახვის უნარის გაძლიერება, ტექსტის გააზრებისა და მეტაფორული აზროვნების განვითარება (პროექტი განკუთვნილია 8-12 წლის ბავშვებისთვის); ძმები ზუბალაშვილების სახელობის თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში 2024 წლის ყველაზე აქტიური მკითხველების, ასევე, ბიბლიოთეკებისა და მედიათეკების დამსახურებული თანამშრომლების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა (მკითხველებსა და ბიბლიოთეკარებს სასაჩუქრე წიგნები და მადლობის სიგელები გადაეცათ); წიგნის დღესთან დაკავშირებით გაიმართა შეხვედრები შალვა ნუცუბიძის სახელობის N13-ე, ოთარ ჭილაძის სახელობის N33-ე და მთავარ ბიბლიოთეკებში ავტორებთან გივი ჩიღვინაძე, კატო ჯავახიშვილი და ვასილ გულეურთან; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ოთარ ჭილაძის სახელობის N33, აკაკი ბაქრაძის სახელობის N18 და მთავარი ბიბლიოთეკის ფილიალებში გაიმართა შეხვედრები ვანო დუგლაძესთან, ირმა მალაციძესთან, ზალიკო სულაკაურთან და ვასო გულეურთან;

ზღვის უბნის მედიათეკასა და ლილოს ეკატერინე გაბაშვილის სახელობის 25-ე ბიბლიოთეკაში განხორციელდა ტელე-კინო აკადემიის პროექტები „კრიტიკული აზროვნება“ (განკუთვნილია 10-15 წლის მოზარდებისთვის - მათთვის, ვისაც არა მხოლოდ ინფორმაციის მიღება და გაცემა აინტერესებს, არამედ მიღებული ცოდნის გაანალიზება და კრიტიკული შეფასების სწავლაც უნდა) და „კომუნიკაციის ხელოვნება“ (განკუთვნილია 6-10 წლის ბავშვებისთვის, ვისაც

საკუთარი იდეების, ოცნებებისა და სურვილების გაზიარება, ახალი მეგობრების შეძენა და მეტი სიახლის გაგება უნდა);

ბიბლიოთეკების გაერთიანებამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ორ ორგანიზაციასთან: 1. „ტელე-კინო აკადემია ინოვატორი“, რომელთან თანამშრომლობის საფუძველზე 6-15 წლის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის, მათ საჭიროებაზე მორგებულ ისეთ უფასო საგანმანათლებლო პროექტებს ჩაატარებს, როგორიცაა: „კომუნიკაციის ხელოვნება“, „ყურადღების კონცენტრაცია“, „მეტყველება“, „კრიტიკული აზროვნება“, „კრეატიული აზროვნება“ და 2. „ფსიქოთერაპიის ქართული ფედერაცია დენდრონი“, რომელთან თანამშრომლობის ფარგლებშიც 16+ მომხმარებლებისათვის მედიათეკებში საჯარო ლექციები გაიმართება მენტალური ჯანმრთელობის თემების შესახებ (ციკლი მოიცავს თორმეტ შეხვედრას წინასწარ განსაზღვრულ თემებზე (თვეში თითო შეხვედრა)). მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა ლექციები: დიდი დიღმის მედიათეკაში თემაზე - კრიტიკული აზროვნება; ვაჟა-ფშაველას სახელობის N28 ბიბლიოთეკაში თემაზე - კრეატიული აზროვნება და მეტყველება; შალვა ნუცუბიძის სახელობის N13 ბიბლიოთეკაში თემაზე - ყურადღების კონცენტრაცია; ნოდარ დუმბაძის №8 ბიბლიოთეკაში - 10-15 წლიანი ჯგუფისათვის თემაზე - კრეატიული აზროვნება, ხოლო 6-10 წლიანი ჯგუფისათვის - მეტყველებისა და კომუნიკაციის ხელოვნება; ოთარ ჭილაძის სახელობის N33 ბიბლიოთეკაში - მეტყველებისა და კომუნიკაციის ხელოვნება; „ფსიქოთერაპიის ქართული ფედერაცია დენდრონთან“ თანამშრომლობის ფარგლებში გაიმართა: ვარკეთილის მედიათეკაში, შეხვედრა სოციალური მედიის გავლენა მენტალურ ჯანმრთელობაზე, რომლის მიზანია მსმენელს მიაწოდოს ინფორმაცია თუ როგორ ზემოქმედებს სოციალური მედია მენტალურ ჯანმრთელობაზე, მსმენელებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში და გაეცნონ, სოციალური მედიის მავნე ზეგავლენისგან თავდაცვის სტრატეგიებს;

თემქის მედიათეკის, ზღვისუბნის პარკის მედიათეკის, შალვა ნუცუბიძის სახელობის N13, აკაკი ბაქრაძის სახელობის N18 და ექვთიმე ხელაძის სახელობის N7 ბიბლიოთეკების ფილიალებში განხორციელდა პროექტი „სახელოსნო ვერაზე“,

რომლის მიზანია, მოზარდებისათვის კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ნიმუშების გაცნობა - მათი მოკლე ისტორიის შესწავლა, ასევე კონკრეტული ნიმუშების შესრულება; ნაძალადევის მედიათეკაში გაიმართა ფსიქოთერაპიის ქართული ფედერაცია „დენდრონის“ საჯარო ლექციების ციკლის მეექვსე შეხვედრა თემაზე "ტრავმა და მენტალური ჯანმრთელობა". შეხვედრაზე განხილული იქნა ფსიქოტრავმის გავლენა ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობაზე. მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ ჩართულიყვნენ თემასთან დაკავშირებულ დისკუსიაში და მიიღონ რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ამოიცნონ და გაუმკლავდნენ ამ პრობლემას; ვაკის მედიათეკაში გაიმართა საჯარო ლექციების ციკლის მეშვიდე შეხვედრა - თემაზე „მშობლისა და შვილის ურთიერთობა და მისი მნიშვნელობა მენტალური ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად’’, ხოლო მერვე შეხვედრა გაიმართა თემაზე: „ბულინგი როგორც ფსიქოსოციალური ფენომენი: პოტენციური შედეგები და პრევენციის მექანიზმები“;

ვაკის მედიათეკაში საქართველოში ჩეხეთის საელჩოს ინიციატივით ჩეხური ლიტერატურის კუთხე გაიხსნა. მედიათეკის წიგნად ფონდს 149 დასახელების უმეტესად საბავშვო მხატვრული და დარგობრივი წიგნი შეემატა. თბილისის მულტიფუნქციურ ბიბლიოთეკებსა და ჩეხეთის საელჩოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;

თემქის მედიათეკაში მდებარე "60+ კლუბში ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის" ხანდაზმულთა დღე აღინიშნა. კლუბში დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტომ (TİKA) კლუბის წევრებს საჩუქრად გადასცა მასალა და ინვენტარი სახვითი ხელოვნებისა და ხელსაქმის გაკვეთილებისთვის, მათ შორის, ელექტროპიანინო და საკერავი მანქანები; 60+ კლუბში", კლინიკა „კურაციოს“ გუნდმა პირველი საპილოტე სესია გამართა. ექიმებმა მონაწილეებს მისცეს რჩევები გერიატრიაზე, ჯანმრთელ ცხოვრების წესზე და სკრინინგის მნიშვნელობაზე. შეხვედრა გაიმართა UNFPA-ს, თბილისის „60+ კლუბისა“ და „კურაციოს“ თანამშრომლობით, რომლის მიზანია ხანდაზმულ ასაკში აქტიური და უსაფრთხო ცხოვრების სტილის პოპულარიზაცია; გარდა ამისა, აქტიურად

მიმდინარეობდა სკოლის მოსწავლეთა ვიზიტები გაერთიანებაში შემავალ ბიბლიოთეკებსა და მედიათეკებში, რა დროსაც ვიზიტორები ეცნობოდნენ გაერთანების მუშაობის სპეციფიკასა და სერვისებს.

მალტაზე ჩატარებული ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორი მალტის დედაქალაქ ვალეტაში არსებულ ქართულ ბიბლიოთეკას სტუმრობდა, ამჟამად, ბიბლიოთეკაში 250-ზე მეტი ქართულენოვანი წიგნია და ბიბლიოთეკების გაერთიანებასა და „GCC- MALTA - მალტის ქართული კულტურის ცენტრს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში, წიგნადი ფონდის განახლების პროცესი კვლავაც გრძელდება;

გარდა ამისა, აქტიურად მიმდინარეობდა სკოლის მოსწავლეთა ვიზიტები გაერთიანებაში შემავალ ბიბლიოთეკებსა და მედიათეკებში, რა დროსაც ვიზიტორები ეცნობოდნენ გაერთიანების მუშაობის სპეციფიკასა და სერვისებს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის/ მედიათეკის სერვისებით მოსარგებლე 40000-მდე პირი (2024 წლის ფაქტი - 31447 პირი) და 100-მდე განხორციელებული ღონისძიება

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 20%-ით

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის/მედიათეკის სერვისებით მოსარგებლე 29494 პირი და 90-მდე განხორციელებული ღონისძიება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მიმდინარეობდა N3 ფილიალის და ვარკეთილის მედიათეკის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები და სრული აღჭურვა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მუდმივად ხორციელდება ფილიალების/მედიათეკების აღჭურვა ინვენტარით, ტექნიკით, წიგნადი, აუდიო, ვიდეო და ციფრული ფონდებით, ხოლო სარემონტო სამუშაოების ჩატარებით თანამედროვე სივრცის შექმნა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა და

სრულად აღიჭურვა თანამედროვე ტიპის ავეჯითა და სხვა საჭირო ინვენტარით ბიბლიოთეკის N21 ფილიალი და ვარკეთილის მეორე მედიათეკა, დაიწყო N3 ფილიალის სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები (დასრულდება 2026 წელს), განახლდა წიგნადი ფონდი (ბიბლიოთეკის ყველა ფილიალმა მიიღო 4350 დასახელების ქართული, თარგმნილი და საბავშვო მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურა), ხოლო მედიათეკებისთვის აუდიო, ვიდეო და ციფრული ფონდები.

07 04 პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 2,077.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,017.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიზნობრივი სოციალური ჯგუფების პროფესიული მომზადება/გადამზადება მოკლევადიანი პროფესიული კურსების მეშვეობით და დასაქმების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროექტის „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში დაფინანსდა 12 სასწავლებელი/ორგანიზაცია (სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“, სსიპ კოლეჯი „მერმისი“, სსიპ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი, ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“, ა(ა)იპ „რეზო თურნავას სახელობის საქართველოს ტექნოლოგიური განათლების განვითარების ფონდი“, ა(ა)იპ „საბავშვო სტუდია ფანტასმაგორია“, ა(ა)იპ „რეედუქეითი განათლება“, ა(ა)იპ “პროჯექთ ფოლი პო”, ა(ა)იპ “სქილ ლაბი”, ა(ა)იპ „ფიზიკური მომზადებისა და ფიტნე აკადემია“, ა(ა)იპ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“) პროფესიული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების მიზნით. გაზაფხულის მიღების ფარგლებში 12 მარტიდან - 31 მარტის ჩათვლით 10000-მდე მოქალაქემ გაიარა რეგისტრაცია და 28 აპრილიდან დაიწყო მომზადება/გადამზადების მოკლევადიან პროგრამებზე სწავლა, დაფინანსებული

პროექტის ფარგლებში 1050 თბილისში რეგისტრირებული სრულწლოვანი მოქალაქე ჩაერთო პროგრამაში და შესაძლებლობა მიეცა 70 პროფესიულ სპეციალობაში მომზადება/გადამზადება გაევლო შემდგომი დასაქმების მიზნით, ხოლო შემოდგომის მიღების ფარგლებში 17 სექტემბრიდან - 1 ოქტომბრის ჩათვლით 10000-მდე მოქალაქემ გაიარა რეგისტრაცია და 27 ოქტომბრიდან დაიწყო მომზადება/გადამზადების მოკლევადიან პროგრამებზე სწავლა, სადაც ჩაერთო 1400 თბილისში რეგისტრირებული სრულწლოვანი მოქალაქე და შესაძლებლობა მიეცათ 80 პროფესიულ სპეციალობაში მომზადება/გადამზადება გავლის შემდგომი დასაქმების მიზნით. გარდა ამისა, გაწეულია ვებ-გვერდის „Dasakamdi.ge”-ს ტექნიკური უზრუნველყოფისა და მართვის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს გადამზადება გაიარა 1851 კურსდამთავრებულმა 65-მდე სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 11 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გადამზადებული 3000-მდე თბილისში რეგისტრირებული მოქალაქე.

მიღწეული მაჩვენებელი - გადამზადება გაიარა 2450 მოქალაქემ 80-მდე სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 12 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაიზარდა პროგრამების/სპეციალობების ფასი, რამაც გამოიწვია ჩართული და გადამზადებული მოქალაქეების რაოდენობის შემცირება.

07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 4,448.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 4,473.8 ათასი ლარის 99.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 05 01 უწყვეტი განათლების სისტემის და სტუდენტური პროექტების

ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 85.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 72.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სტუდენტების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და საუნივერსიტეტო კონტაქტების განვითარების მიზნით, უცხოელი პროფესორების და სპეციალისტების ვიზიტების მხარდაჭერა თბილისში, საზაფხულო და ზამთრის სკოლების ხელშეწყობა (ვორქშოფები, მასტერკლასები, სემინარები, კონფერენციები, ფოუმები) სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროექტის - „ფ.ჯესაპის სახელობის საერთაშორისო სამართლის იმიტირებული პროცესის ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული გუნდის საერთაშორისო რაუნდებში მონაწილეობა“ განსახორციელებლად, რომელშიც მონაწილეობდა 100-ზე მეტი ქვეყნისა და იურისდიქციის 700-ზე მეტი სამართლის სკოლის წარმომადგენელი (პროექტში მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის 6-მა სტუდენტმა); ა(ა)იპ „დემოკრატიის ახალგაზრდული აკადემია“ პროექტის - „სტუდენტური დებატები 2025“ განსახორციელებლად (პროექტი რამდენიმე ეტაპად გაიმართა, ჩატარდა დებატების ტურნირები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შორის და დასასრულს გამოვლინდა საუკეთესო გუნდი), ხოლო პროექტის - „დებატების ზამთრის სკოლა 2026“ ფარგლებში შერჩეული სადებატო თემები შეეხება წარმომადგენლობით დემოკრატიას, თვითმმართველობებთან და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც მათში ზემოაღნიშნული საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება (პროექტი გაიმართება 2026 წლის თებერვალში); ა(ა)იპ „სოციალური განვითარების

ჰაბის“ პროექტი - „ციფრული იმუნიტეტისა და თანამედროვე კომუნიკაციების სკოლა“, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტებისა და დაინტერესებული პირების აღჭურვას იმ აუცილებელი უნარებით, რაც საჭიროა 21-ე საუკუნის კომპლექსურ საკომუნიკაციო გარემოში ეფექტური ნავიგაციისთვის. პროექტის ფარგლებში შეიქმნება 2 სამუშაო ჯგუფი (თითო ჯგუფში იქნება 20 მონაწილე) რომელთაც ინდივიდუალურად ჩაუტარდებათ ჯამში 4 შეხვედრა, თემებზე - ტექნოლოგიური გავლენა ფსიქიკაზე, საჯარო გამოსვლის შიში, კომფორმიზმი და მანიპულაციისადმი მოწყვლადობა, პროექტში მონაწილეობას მიიღებს 40 ბენეფიციარი (პროექტი ჩატარდება 2026 წლის იანვარ თებერვალში); ა(ა)იპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პროექტი - „საუნივერსიტეტო კონფერენცია წიგნის, ქართული წიგნის ისტორიისა და საბიბლიოთეკო პრობლემატიკის შესახებ“, რომელიც გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 24-25 დეკემბერს და მას დაესწრნენ სტუდენტები, ბიბლიოთეკარები პროფესორ-მასწავლებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს საზაფხულო და ზამთრის სკოლებში ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში ჩართული 1000-ზე მეტი სტუდენტი და ახალგაზრდა, ხოლო ინიციატივების და პროექტების განხორციელებაში მონაწილე 1000-მდე სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა (მათ შორის „დებატები ზამთრის სკოლა 2026“ გაიმართება 2026 წლის თებერვალში.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2024 წელს 15 წამყვანი სპეციალისტის/პროფესორის ვიზიტი; ლექციებში, მასტერკლასებში და ვორქშოფებში ჩართული 1000-მდე სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა უცხოეთში ვიზიტი და ამ გზით ახალგაზრდების შეხვედრა უცხოელ პროფესორებთან, ხოლო ლექციებში,

მასტერკლასებში და ვორქშოფებში ჩართული 1000-მდე სტუდენტი.

07 05 02 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ჩემი ადვოკატი

2025 წლის გეგმა - 888.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 877.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული მომსახურება, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკების ორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ჩემი ადვოკატის ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 8.7 ათასი ლარი) ხარჯები (მათ შორის შეძენი იქნა კომპიუტერული ტექნიკა ერთი ერტეული შრედერი, საოფისე ტექნიკა და ინვენტარის ექსპლუატაციის და მიმდინარე რემონტის ხარჯები, აუდიტორული მომსახურების და იდუმალი მომხმარებლის კვლევის მომსახურების შესყიდვა და სხვა). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მიმდინარე პერიოდში „სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკის ორგანიზების“ ღონისძიების ფარგლებში გაწეული იქნა 15.0 ათასი ლარი;

უფასო სამართლებრივი დახმარების მიმართულებით მიმდინარე პერიოდში განხორციელდა 12858 მომართვა (ცხრილი 2, ცხრილი 3), ხოლო ცხელ ხაზზე განხორციელდა დაახლოებით 8513 ზარი (მათ შორის ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 6629 მოქალაქეს).

ცხრილი 1: სამართლებრივი დახმარება თემატიკის მიხედვით

დასახელება	უბნებზე მომართვა	ცხელ ხაზი (ზეპირი კონსულტაცია)
კომუნალური	107	98
სახელშეკრულებო	1046	414
სასარჩელო	1689	689

„ატსტუპნიკები“	72	14
საოჯახო	528	219
სამემკვიდრეო	340	244
სააღსრულებო	211	158
სოციალური	1843	1028
ამხანაგობები	363	439
უძრავი ქონება	1465	296
შრომითი ურთიერთობები	142	164
სამოქალაქო აქტები	94	238
საჯარო რეესტრი	527	195
სამეზობლო დავა	284	278
საგადასახადო-სამეწარმეო	95	150
სამშენებლო ნებართვა	584	314
ადმინისტრაციული წარმოება	907	593
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	1567	529
უკანონო მშენებლობა	608	328
რეპრესირებული (აღიარება/კომპენსაცია)	15	19
უდაო წარმოება	263	156
ბინის პრივატიზაცია	100	64
ინტელექტუალური სამართალი	8	2
სულ	**12858**	**6629**

ცხრილი 2: სოციალური სტატუსიის მიხედვით მომართვიანობა

დასახელება	**რაოდენობა**
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი	1926
პენსიონერი ასაკისა გამო	2455
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე	146
იძულებით გადაადგილებული	256
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და შშმ პირი	110
პენსიონერი ასაკის გამო და შშმ პირი	77
იძულებით გადაადგილებული და შშმ პირი	9
და სხვა	7879
სულ	**12858**

ცხრილი 3: დახმარების სახეებიდან გაწეულია შემდეგი

ზეპირი კონსულტაცია	10109

წერილობითი კონსულტაცია	25
სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა	15
საპროცესო დოკუმენტი	1020
წარმომადგენლობა	90
განცხადება	309
ადმინისტრაციული საჩივარი	597
მატერიალურად შედგენილი დოკუმენტი	693
სულ	**12858**

დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 2783 საქმე) წარმატებით დასრულდა 590, მიმდინარეა - 1489 საქმე, არ დაკმაყოფილდა - 632, მოქალაქემ არ შეიტანა - 40 სასამართლო დოკუმენტი, გამოიხმო - 28, არ მიიღო წარმოებაში 2, საქმის წარმოება შეწყდა 2 საქმეზე. საკვლევი პერიოდის განმავლობაში სულ განხორციელდა 60 წარმომადგენლობა; მიმდინარე პერიოდში 324 მოქალაქეს გაეწია კონსულტაცია მედიაციის მიმართულებით;

ორგანიზაცია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან და ჯამში 154 სტუდენტი (მათ შორის 117- გოგო, 37 - ბიჭი) გადაამზადა (სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის კურსი), მათ შორის: მოხალისე - 113, პრაქტიკანტი - 41. სტუნდენტები პრაქტიკისა და სტაჟირების მანძილზე ეუფლებიან საადვოკატო საქმიანობას (მათ შორის მოქალაქესთან ინტერვიუს ჩატარების ტექნიკა, კონსულტაციის გაწევა, სამართლებრივი დოკუმენტის შედგენა (განცხადება/ სარჩელი/საჩივარი და სხვ), სამართლებრივი დასკვნის შედგენა, სასამართლო პროცესზე დასწრება და პროცესის ანალიზის შედგენა) და სწავლობენ მოქალაქეებთან ურთიერთობას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სამართლებრივი დახმარება გაეწია 19483 მოქალაქეს (მათ შორის ცხელი ხაზი (ზეპირი კონსულტაცია) - 5525).

დაგეგმილი მაჩვენებელი - უფასო იურიდიული დახმარების მიმღები 19500 მოქალაქე

მიღწეული მაჩვენებელი - სამართლებრივი დახმარება გაეწია 19487 მოქალაქეს (მათ

შორის ცხელი ხაზი (ზეპირი კონსულტაცია) - 6629).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 183 სტუდენტმა (მათ შორის ბიჭი - 43, გოგო - 140).

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროფესიული პრაქტიკაში მონაწილეობას მიიღებს 170 სტუდენტი/მოხალისე.

მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 154 სტუდენტმა (მათ შორის ბიჭი - 37, გოგო - 117).

07 05 03 სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 3,500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,498.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტების, შშმ სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება, თბილისში რეგისტრირებული მაგისტრანტების წახალისება და მოტივაციის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტების 2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების მიზნით, 5 მარტიდან - 31 მაისის ჩათვლით გამოცხადდა განაცხადების მიღება სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, სამსახურმა განიხილა შემოსული განცხადებები, რომლის საფუძველზეც მომზადდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 1403 სოციალურად დაუცველი სტუდენტი (მათ შორის 876 ქალი, 527 კაცი), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი 675 სტუდენტი (მათ შორის 408 ქალი, 267 კაცი) და შშმ პირი - 46 სტუდენტი (მათ შორის 30 ქალი, 16 კაცი); შემოდგომის სემესტრის დაფინანსების მიზნით, 3 სექტემბრიდან - 5 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადდა განაცხადების მიღება, მიმდინარე პერიოდში სამსახურმა განიხილა სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით შემოსული განცხადებები, გაკეთდა

დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 1658 სოციალურად დაუცველი სტუდენტი (მათ შორის 1035 ქალი და 623 კაცი), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი 662 სტუდენტი (მათ შორის 394 ქალი, 268 კაცი), ხოლო შშმ პირი - 59 სტუდენტი (მათ შორის 31 ქალი, 28 კაცი);

წარმატებული სტუდენტების ფინანსური წახალისების მიზნით, 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ქულების გათვალისწინებით, სახელმწიფო უნივერსიტეტის ან/და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმატებულ სტუდენტთა სიის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 7 აპრილიდან - 17 აპრილის ჩათვლით, ხოლო წარმატებულ სტუდენტთა მიერ დაფინანსების მისაღებად საჭირო დოკუმენტების წარდგენის ვადა - 2025 წლის 28 აპრილიდან - 2 ივნისის ჩათვლით, რომლის საფუძველზეც მომზადდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და ფინანსური წახალისება ჩაერიცხა 410 სტუდენტს (მათ შორის 299 გოგო, 111 კაცი); გაზაფხულის სემესტრის ქულების გათვალისწინებით, უნივერსიტეტების მიერ წარმატებულ სტუდენტთა სიის წარდგენის ვადა განისაზღვრა 2025 წლის 5 ნოემბრიდან - 19 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო წარმატებულ სტუდენტთა მიერ დაფინანსების მისაღებად საჭირო დოკუმენტების წარდგენის ვადა განისაზღვრა, წარმატებულ სტუდენტთა სიის წარდგენიდან 2025 წლის 11 დეკემბრის ჩათვლით, რომლის საფუძველზეც მომზადდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და ფინანსური წახალისება ჩაერიცხა 231 სტუდენტს (მათ შორის 150 ქალი, 81 კაცი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაფინანსებული 4367 სოციალურად დაუცველი, შშმ და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი და 595 წარმატებული მაგისტრანტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 3700-მდე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტი და 800 წარჩინებული მაგისტრანტი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებული 4503 სოციალურად დაუცველი, შშმ და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი და 641 წარმატებული მაგისტრანტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აკადემიური ქულების გათვალისწინებით, წარმატებული მაგისტრანტების მომართვიანობის შემცირება.

07 06 ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე დაფინანსებულია 4,214.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 4,412.7 ათასი ლარის 95.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

07 06 01 ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

2025 წლის გეგმა - 4,412.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,214.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 95.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსწავლე - ახალგაზრდობის შემეცნებით - შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება; მოზარდების და ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა; სასახლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, მივლინების, ოფისის ხარჯების, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის (მათ შორის დაზღვევა), ავეჯის, დარბაზის სკამების, პლანეტარიუმის, მუსიკალური ინსტრუმენტების და კომპიუტერული ტექნიკის შეძენის, გადასახადების გადახდის, რეკლამის, კულტურულ, საგანმათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 1,446.0 ათასი ლარი). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა 410 ღონისძიება, ხოლო ჯამურად პროექტებსა და

ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 13755, მათ შორის: კულტურულ - საგანმანათლებლო - 90, გასვლითი ღონისძიება - 41, სატელევიზიო გადაცემა - 46, შეხვედრა/პრეზენტაცია/დისკუსია - 91, საგანმანათლებლო ლექცია/ მასტერკლასი - 21, კონცერტი - 40, გამოფენა/სპექტაკლი - 38, ფესტივალი/კონკურსი/ტურნირი - 38, კინო ბანაკი - 1, საზაფხულო სკოლა - 1, ოლიმპიადა/სიმპოზიუმი - 2; შეკრება - 1;

სასახლეში დარეგისტრირებულია კვარტალში საშუალოდ 2686 ბენეფიციარი, მათ შორის მეოთხე კვარტლის მონაცემებით რეგისტრირებულია 220 ბენეფიციარი - სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსით, 38 ბენეფიციარი - შშმ პირის სტატუსით, 27 ბენეფიციარი - წარჩინებულის სტატუსით, 272 ბენეფიციარი - მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსით. ამასთან, სასახლეში ჩატარდა სხვადასხვა პროექტი/ღონისძიება, მათ შორის: დასრულდა ეროვნული სასახლის რეაბილიტაციის პროცესი და ისტორიულ შენობას სრულად შენარჩუნებული აქვს პირვანდელი იერსახე, სასახლის შენობა და ინფრასტუქტურა განახლდა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, რესტავრაცია ჩაუტარდა ისტორიულ დარბაზებს, საღონისძიებო და საგანმანათლებლო სივრცეებს, განახლდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის საჭირო აუცილებელი და ისტორიული ავეჯი, ახლებურად მოეწყო მედიათეკის სივრცეები; გაიხსნა ეროვნული სასახლის მუზეუმი, სამუზეუმო სივრცეებში (10 სამუზეუმო დარბაზი) განთავსდა ფერწერული ნამუშევრები, სკულპტურები, ვინტაჟური თოჯინები, მოეწყო არქეოლოგია-ეთნოგრაფიის კუთხე, მიმდინარეობს პლანეტარიუმის დამონტაჟება; მარკეტინგული აქტივობების ფარგლებში დაიგეგმა სასახლის სხვადასხვა წრეების პოპულარიზაციის კამპანიები და მიმდინარეობს არსებული წრეების ფოტო/ვიდეო გადაღება, შემდგომში სხვადასხვა პლატფორმაზე განთავსების მიზნით, დამატებით ჩატარდა შიდა ტრენინგები: პროექტის მართვის მოდელები, სოციალური მედიის კონცეფციის სტრატეგიები, Design thinking ჩარჩო, რომელიც დაფუძნებულია ვიზუალური წარმოსახვის ბაზაზე იდეების გენერირებაზე (სასახლის ტიკ-ტოკ გვერდზე განთავსდა 82 ვიდეო, გამომწერების რაოდენობა გაიზარდა 3000-მდე); კონკურსი „ჩემი ხელნაკეთი მანქანა“, რომელშიც

მონაწილეობა მიიღო თბილისისა და სხვადასხვა ქალაქის მაცხოვრებელმა 8-დან 15 წლამდე ასაკის, 45-მა მოზარდმა (დაკომპლექტდა 9 ჯგუფი, რომელთაც მეორეული/გადამუშავებული მასალების გამოყენებით, 40 წუთის განმავლობაში, ადგილზე შექმნეს მანქანის მოდელი); ა(ა)იპ ,,კულტურის და განათლების ფონდისა'' და ა(ა)იპ ,,ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის'' მიერ, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, დაბა ბაკურიანში ჩატარდა „ზამთრის კინობანაკი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კონკურსის წესით შერჩეულმა, თბილისის მაცხოვრებელმა 17-22 წლის 28 ახალგაზრდამ (მონაწილეებისთვის ჩატარდა 6 ლექცია, 5 ვორქშოფი, 6 კინოჩვენება, 6 მოდერირებული დისკუსია); 18 თებერვლიდან - 10 ივნისის ჩათვლით, შეიქმნა ახალგაზრდა თეატრის კრიტიკოსთა სასწავლო კურსი (კურსის ხანგრძლივობა - 4 თვე, ლექცია კვირაში 1 დღე), რომელზეც 16 დან 22 წლამდე ასაკის 25 ახალგაზრდა დარეგისტრირდა, ისინი სრულიად უსასყიდლოდ გაეცნენ თეატრის ისტორიას (როგორც ქართული, ასევე მსოფლიო თეატრი) წაიკითხეს პიესები, დადიოდნენ დრამატული თეატრის სპექტაკლებზე. კლასიკური შედევრები ნახეს ვიდეოჩანაწერების საშუალებით, დაწერეს რეცენზიები (კურსის დასასრულების შემდეგ საუკეთესო რეცენზიები გამოქვეყნდება ქართული თეატრის ელექტრონული არქივის გვერდზე); სასახლის კინოფესტივალ „თაობის“ მიერ 2 თებერვლიდან - 25 მაისის ჩათვლით მიმდინარეობდა „ახალგაზრდა კინოკრიტიკოსთა საგანმანათლებლო კურსი“, რომელშიც კონკურსის წესით შერჩეული 25-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა (მონაწილეები, პროფესიონალი კინომცოდნის მენტორობით, სწავლობენ კინოს ისტორიას, ფილმების ანალიზსა და რეცენზიების წერას. პროექტის დასრულების შემდეგ, მონაწილეებს ექნებათ საჭირო თეორიული ცოდნა და პროფესიული უნარები. ასევე, მათ მიერ დაწერილი ბლოგები და რეცენზიები გამოქვეყნდება სპეციალურად შექმნილ პლატფორმაზე www.youngcritics.ge); 3 მაისი, სასახლის ორგანიზებით მოსწავლეთა 78-ე სასწავლო-კვლევითი კონფერენციის დასკვნითი ეტაპი გაიმართა. კონფერენციის მთავარი თემები იყო „ადამიანი-მიკროკოსმოსი“ და „ხელოვნური ინტელექტი მდგრადი განვითარებისთვის“. საქართველოს მასშტაბით, მიღებული

ნაშრომებიდან, 10-მა სექციამ გამოავლინა გამარჯვებულები (I-II ადგილი). მონაწილეთა რაოდენობა 117 მოსწავლე საქართველოს მასშტაბით; 1 - 4 ივნისს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან თანამშრომლობით, ჩატარდა ეროვნული სასახლის გოგი თოდაძის სახელობის თბილისის საბავშვო და ახალგაზრდული თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბავშვო და ახალგაზრდულმა თეატრალურმა დასებმა საქართველოდან, საბერძნეთიდან, ჩინეთიდან, პოლონეთიდან, ირანიდან; 1-7 ივნისს საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალის „თაობა“ მოსამზადებელი ეტაპის ფარგლებში, ჩატარდა საინფორმაციო ვიზიტები თბილისის სამ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. მოსწავლეები გაეცნენ ინფორმაციას ეროვნული სასახლისა და კინოფესტივალის შესახებ, მონაწილეობა მიიღეს სახალისო თამაშებსა და ვიქტორინებში. გამარჯვებულ მონაწილეებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები. ჯამურად, აქტივობებში ჩაერთო 150-მდე მოსწავლე; 18-27 ივლისს ხელმძღვანელობა გაეწია ოთხი ქართველი ახალგაზრდისგან შემდგარ ჯგუფს ჯიფონის საერთაშორისო კინოფესტივალში (იტალიის ქალაქ ჯიფონი ვალი პიანა) მონაწილეობის მიზნით. ფესტივალის ფარგლებში ჯგუფის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს კინოჩვენებებში, სემინარებსა და დისკუსიებში, რამაც ხელი შეუწყო მათ პროფესიულ განვითარებასა და საერთაშორისო გამოცდილების მიღებას; 22-27 სექტემბერს ჩატარდა ახალგაზრდული საერთაშორისო კინოფესტივალი „თაობა“, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნიდან მონაწილეობა მიიღო 200-მდე ახალგაზრდამ (ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო 38 მოკლემეტრაჟიანი და 6 სრულმეტრაჟიანი ფილმი, გაიმართა შეხვედრები ფილმების შემოქმედებით ჯგუფებთან, ჩაერთვნენ მოდერირებულ დისკუსიებში, დაესწრნენ ლექციებსა და მასტერკლასებს, გამოავლინდა ფესტივალის გამარჯვებული ფილმები); ამერიკული კუთხის კლუბის მიერ ჩატარდა 53 პროექტი/ღონისძიება (მათ შორის გასვლითი სესია თბილისის ტექნოპარკში), რომელშიც მონაწილეობდა 3397 წევრი/ზრდასრული/ უფროსკლასელი/მასწავლებელი; 22–26 ოქტომბერს ეროვნული სასახლის ორგანიზებით გაიმართა XVI საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი

„თბილისური აისი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 100-მდე ახალგაზრდამ (ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ფილმების ჩვენება, მასტერკლასები, დისკუსიები და დაჯილდოება რამდენიმე ნომინაციაში); 26 ოქტომბერი - 2 ნოემბერს ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი (7 მოსწავლე და 1 თანმხლები პირი) მონაწილეობდა ბელგიაში გამართულ Filem'On-ის საერთაშორისო კინოფესტივალზე (International Film Festival for Young Audiences). მოსწავლეები მონაწილეობდნენ ჟიურის წევრებად, გაეცნენ ახალგაზრდებისთვის შექმნილ საერთაშორისო ფილმებს, დაამყარეს კონტაქტები სხვა ქვეყნების თანატოლებთან და გაცვალეს გამოცდილება კინემატოგრაფიის სფეროში; ნოემბერში ეროვნული სასახლის ორგანიზებით გაიმართა ვახტანგ კოტეტიშვილის სახელობის ახალგაზრდა ფოლკლორისტთა რესპუბლიკური შეკრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12-26 წლის ასაკის 150 ახალგაზრდამ; 15 ნოემბერს ეროვნული სასახლის კლუბ „ტესლამ“ უმასპინძლა DigiEduHack ჰაკათონის ადგილობრივ შეჯიბრს, თემით: „Using AI in the Educational Space - Challenges and Benefits“ („ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგანმანათლებლო სფეროში - გამოწვევები და ბენეფიტები“), რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 30-მა ახალგაზრდამ; გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდულმა ორკესტრმა მარტის თვიდან გაანახლა საქმიანობა და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ღონისძიებაში, მათ შორის: 2025 წლის ევროვიზიის სიმღერის ვიდეო რგოლის გადაღებაში. ასევე, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჩატარდა კამერული ანსამბლების კონცერტი, ხოლო დიდ დარბაზში ჩატარდა კონცერტი მიხეილ ედიშერაშვილის დირიჟორობით; საფორტეპიანო ფესტივალის ,,თბილისი პიანო ფესტი“ ფარგლებში, ორბელიანის მოედანზე ჩატარდა საბავშვო კონცერტი; თბილისის ახალგაზრდულმა ორკესტრმა Young Euro Classic Festival-ის ფარგლებში გერმანიის ქალაქ ბერლინში ჩაატარა კონცერტი, სადაც შედგა ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორის, ლაშა ხარხელაურის ნაწარმოების მსოფლიო პრემიერა; ფესტივალის „მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი თელავი“ ფარგლებში, თელავის თეატრში ჩატარდა კონცერტი; თბილისის ახალგაზრდულმა ორკესტრმა და ქართულმა როკ ჯგუფმა Bedford Falls

- მა გამართეს ერთობლივი კონცერტი; თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარდა თბილისის ახალგაზრდული ორკესტრისა და ედიშერ სავიცკის ერთობლივი კონცერტი; ეროვნული სასახლის სარკეებიან დარბაზში ჩატარდა საახალწლო კონცერტი; ეროვნულმა სასახლემ „შემოქმედებითი საქართველოს“ საგრანტო კონკურსში წარდგენილი პროექტით მოიპოვა დაფინანსება „ახალგაზრდული კაპელას სასცენო სამოსით აღჭურვა“;

მიმდინარ პერიოდში საერთო კულტურული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული პროექტები და პროგრამების ორგანიზების მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: ,,შარმ ელ შეიხის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ახალგაზრდებისათვის“, ა(ა)იპ ,,საქართველოს მეცნიერების ინოვაციის ორგანიზაცია“, ა(ა)იპ ,,საგანმანათლებლო რობოტიკის ასოციაცია“, ,,ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია“, შპს ,,აიპიემ თბილისი“, ა(ა)იპ ,,პირველი მიმინო“, ,,ამერიკის საელჩო“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 3 ფესტივალის და 480-მდე სხვადასხვა ღონისძიება ჩატარება (2024 წლის ფაქტი - ჩატარდა 369 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 3 ფესტივალი)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 410 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 3 ფესტივალი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს რეგისტრირებული საშუალოდ 3077 ბენეფიციარი (მათ შორის 227 სოციალურად დაუცველი, 35 შშმ პირი, 20 წარჩინებული მოსწავლე, 296 ბენეფიციარი მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსით).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალოდ რეგისტრირებული 2686 ბენეფიციარი (მათ შორის 214 სოციალურად დაუცველი, 33 - შშმ პირი, 24 წარჩინებული მოსწავლე, 281 ბენეფიციარი მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსით).

3.საბაზისო მაჩვენებელი - სასახლეში ყოველწლიურად ხორციელდება


მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

დაგეგმილი მაჩვენებელი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება (მათ შორის სხვადასხვა ტექნიკის, ინვენტარის, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა)


მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა


- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა**

ათასი ლარი



ათასი ლარი





08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია

3,899.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,908.7 ათასი ლარის 99.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 01 01 ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

2025 წლის გეგმა - 940.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 938.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მიმდინარე სპექტაკლები, პრემიერები, გაცვლითი ღონისძიებები, მაყურებლის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის თანაშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, სადადგმო, ვიდეო აუდიო აპარატურის შეძენა და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 371.4 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სპექტაკლი - "ჰელადოსი", ხოლო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სპექტაკლს - „მერი პოპინსი“ საზღვრისპირა სოფელ ნიქოზიდან სკოლის მოსწავლეები დაესწრნენ; სპექტაკლს - „საშიში კომედია პატარა სახლში“ დაესწრნენ აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები; გაიმართა პრემიერა სპექტაკლების - ,,მერი პოპინსი'', „ოსვენციმი, ტკივილი“, „ვირთხებზე ნადირობა“, „საშიში კომედია პატარა სახლში“, „რა ვუყოთ ბაბუას“; თეატრში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ანკა ვისდეის პიესაზე - „მუდამ ერთად“ (პრემიერა შედგება 2026 წელს), ჩატარდა კამერული და მონო სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი - „თბილისური ბროწეულები“, რომლის ფარგლებშიც უმასპინძლეს 6 საერთაშორისო სპექტაკლს (26 ადამიანი) და 9 საერთაშორისო ექსპერტს მსიოფლიო სხვადასხვა ქვეყნიდან, ფესტივალის ფარგლებში თეატრის ფოიეში მოეწყო ორი გამოფენა: ირენა ოგანჯანოვას ფერწერული ტილოების სერია „სიზმრები თბილისზე“ და იური მეჩითოვის

გენიალური ფოტო სერია - სერგო ფარაჯანოვი, გამოფენა გაგრძელდა ოქტომბრის ბოლომდე; თეატრალურმა დასმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ კიშინოვი, მოლდოვა FESTIS – საერთაშორისო თეატრალური ფესტივალში, სადაც წარმოდგენილი იქმა სპექტაკლი „ქალის სხეული, როგორც ბრძოლის ველი“, ქალაქ ანკარაში, თურქეთი ETCHOS – საერთაშორისო თეატრალური ფესტივალში წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი „ვიღაც სხვა“, ხოლო რუმინეთში “Underground Festival”-ზე წარმოადგინა სპექტაკლი, „ქალის სხეული, როგორც ბრძოლის ველი“, რომელმაც მიიღო მედიის პრიზი - ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლი; მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილი იქნა 10 მიმდინარე და 5 საპრემიერო სპექტაკლის სულ 199 წარმოდგენა. მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 24934 (მათ შორის 1754 საქველმოქმედო).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 10 მიმდინარე და 4 საპრემიერო სპექტაკლის სულ 203 წარმოდგენა, რომელსაც საშუალოდ 26000-მდე მაყურებელი ესწრება (2024 წლის ფაქტი - წარმოდგენილი იქნა მიმდინარე და საპრემიერო სპექტაკლების 221 წარმოდგენა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 24584).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 10 მიმდინარე და 5 საპრემიერო სპექტაკლის სულ 199 წარმოდგენა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 24934.

08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

2025 წლის გეგმა - 811.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 808.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მიმდინარე სპექტაკლები, პრემიერები, გაცვლითი ღონისძიებები, მაყურებლის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის თანაშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები და სხვა) ხარჯები. აღსანიშნავია, რომ თეატრის ახალი შენობის აშენებამდე თეატრი გადასულია დროებით ბაზაზე, სადაც არ არის სცენა და ვერ ტარდება სპექტაკლები. მიუხედავად ამისა, 13 მაისს პანტომიმის თეატრს შეუსრულდა 60 წელი და საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად, აკაკი ხორავას მსახიობთა სახლში ჩატარდა პრემიერა სპექტაკლისა ,,დრო'' (პრემიერაზე დასწრება იყო თავისუფალი). ჩატარდა პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალი ღია ცის ქვეშ, რომელიც გაგრძელდა 2 დღეს. გაიხსნა 1 ოქტომბერს მუსიკალური ბენდით - „4 +2“, გიორგი ცხადაძისა და თამარ კაკალაშვილის მონაწილეობით და 2 ოქტომბერს კი ღია ცის ქვეშ გაიმართა სპექტაკლი „დრო - ენა მამული სარწმუნოება“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - სპექტაკლების ჩვენება შეჩერებულია სცენის უქონლობის გამო, მიუხედავად ამისა, 2024 წელს - თეატრმა მონაწილეობა მიიღო 2 ღონისძიებაში, ხოლო ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა 2 მასტერკლასი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დასის მიერ შედგა ერთი საპრემიერო სპექტაკლის 2 ჩვენება, ჩატარდა პანტომიმის საერთაშორისო ფესტივალი.

08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

2025 წლის გეგმა - 1,077.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,076.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საერთაშორისო კულტურული და ტურისტული თვალსაზრისით თბილისის გაძლიერებული სტატუსი; საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან დამყარებული შემოქმედებითი და

გაცვლითი ურთიერთობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, მივლინების, ოფისის, შენობის იჯარის, ვებ-გვერდის პროგრამული პაკეტით ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების და სხვა ხარჯები) და თეატრალური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 385.8 ათასი ლარი). განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ფესტივალის საერთაშორისო პროგრამის (21 სექტემბერი - 4 ოქტომბერი) ფარგლებში მონაწილეობდა 5 დასი, შემდეგი ქვეყნებიდან: ისრაელი, დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და ლატვია, რომლებმაც წარმოადგინეს 6 სპექტაკლი, ხოლო ქართული სპექტაკლების პროგრამის (16 სექტემბერი - 4 ოქტომბერი) ფარგლებში 19 ქართული დასის მიერ ჩატარდა 40 სპექტაკლი (რეკომენდებული ფესტივალის საბჭოს მიერ) ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან (თემად წელს განისაზღვრა საქართველოს ჰიმნის ტექსტი „თავისუფლება დღეს ჩვენი“); ფესტივალის პროგრამები 4 ოქტომბერს დასრულდა და გაგრძელდება საგანამანათლებლო პროექტებით, რომელიც მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა უწყვეტად: მათ შორის თეატრი სახელოსნო 42-ში ჩატარდა ვორკშოპები: „ფიზიკური თეატრის ინტენსისვი გეკო კომპანიასთან ერთად“ და “ტრანსფორმაცია გამორჩეული პერსონაჟების შექმნის ხელოვნება - ჯაილზ ფორმანი”, ლექცია-სემინარი - „ამერიკული თეატრის თავისებურებები, თანამედროვე შესაძლებლობები და გამოწვევები”. თეატრალურ ფესტივალს ჯამში დაესწრო 1 814 მაყურებელი, სტუმრების რაოდენობა ქართულ სპექტაკლებზე - 48, სტუმრების რაოდენობა დასებით - 120.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ფესტივალის ფარგლებში იმართება საშუალოდ 6-მდე უცხოური, 37-მდე ქართული სპექტაკლი, 3-მდე ვორქშოპი/მასტერკლასი, ფესტივალში მონაწილეობს საშუალოდ 4-მდე მოწვეული და 26-მდე ქართული

დასი (2024 წლის ფაქტი - ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იყო 4 უცხოური დასის 5 სპექტაკლის (მათ შორის ერთი კოპროდუქცია) 7 ჩვენება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 19 ქართული დასის 41 სპექტაკლი (მათ შორის 6 პრემიერა), ორი შეხვედრა/ვორქშოპი..

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იყო 5 უცხოური დასის 5 სპექტაკლის 6 ჩვენება (მათ შორის ერთი სპექტაკლი/ფილმი, ერთი ქორეოგრაფიული სპექტაკლი), საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 19 ქართული დასის 40 სპექტაკლი, 7 შეხვედრა/ვორქშოპი.

08 01 05 სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი

2025 წლის გეგმა - 645.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 642.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მიმდინარე სპექტაკლები, პრემიერები, გაცვლითი ღონისძიებები, მაყურებლის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, სადადგმო ხარჯები, შენობის იჯარის და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 30.9 ათასი ლარი). გაიმართა სპექტაკლები: ,,დეპუტატი, დრამატურგი“, ,,ცილინდირი“, „პარტახი“, „ქაჩალი მომღერალი ქალი“, „მარლენი“; შედგა პრემიერა სპექტაკლისა „რეპეტიციის შემდეგ“, შედგა 2 გასტროლი, სოფელ იყალთოში და ბათუმში, სადაც წარმოდგენილი იყო სპექტაკლი „რეპეტიციის შემდეგ“; გაიმართა ბავშვებისთვის, კლასიკური მუსიკის საახალწლო კონცერტი - „სიმებიანი კვარტეტი პიციკატო“; მიმდინარეობს რეპეტიციები სპექტაკლებზე

„ცხრაკლიტული“ და „დედილო კურაჟი და მისი შვილები” (ძველი წარმოდგენის განახლება). მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილი იქნა 5 მიმდინარე და ერთი საპრემიერო სპექტაკლის სულ 60 წარმოდგენა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2217.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 6-მდე მიმდინარე და 2 საპრემიერო სპექტაკლის სულ 65-მდე წარმოდგენა, რომელსაც საშუალოდ 2400-მდე მაყურებელი ესწრება (2024 წლის ფაქტი - წარმოდგენილი იქნა მიმდინარე და ორი საპრემიერო სპექტაკლის სულ 56 წარმოდგენა (მათ შორის გასვლითი 3), მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2781 (მათ შორის გასვლით ღონისძიებებზე - 1053).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 5 მიმდინარე და ერთი საპრემიერო სპექტაკლის სულ 60 წარმოდგენა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2217.

08 01 08 სამეფო უბნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრი

2025 წლის გეგმა - 434.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 434.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მიმდინარე სპექტაკლები, პრემიერები, გაცვლითი ღონისძიებები, მაყურებლის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, სადადგმო და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 18.3 ათასი ლარი). მიმდინარე პერიოდში აქტიურად მიმდინარეობდა რეპეტიციები, გასტროლისთვის მზადება, ლექციები (ვორქშოფი) და თეატრის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სხვა სამუშაოები; თეატრმა საგასტროლო

ტურნეში - ქალაქ ხური-ში (შვეიცარია), ხოლო გერმანიაში ქალაქ დვისბურგში და მარბურგში წარმოადგინა ნინო ხარატიშვილის სპექტაკლი ,,რატომ იხარშება ბავშვი პოლენტაში" (სპექტაკლის 5 წარმოდგენა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 850 - მდე); ჩატარდა „ვერის უბნის არტ კლასის" წარმოდგენა - „დაბადება"; 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის დღეს, მაკა მახარაძის საბალეტო სტუდიის - „ვერის უბნის ტანც კლასის" სპექტაკლი „სამაგელი იხვის ჭუჭული"; თეატრმა მონაწილეობა მიიღო ავინიონის ფესტივალის ფარგლებში გამართულ თეატრალურ კონფერენციაში, სადაც შედგა საქმიანი შეხვედრა ფესტივალებისა და თეატრების პროდიუსერებთან მომავალი გასტროლებისა და კოპროდუქციების დაგეგმვის მიზნით; შედგა პრემირები სპექტაკლებზე - "ზაფხულის ღამის სიზმარი" (პრემიერა 14 ოქტომბერს) და "არაფერი პირადი" (ნოემბრის ბოლოს); თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის სპეციალური პროგრამის ფარგლებში გაიმართა სპექტაკლი "ტროელი ქალები"; თეატრმა მონაწილეობა მიიღო ვენაში (ავსტრია) გამართულ შემოქმედებით კონფერენციაში „KoneKtor 2024"; თეატრში ჩატარდა დათა თავაძის მასტერკლასი ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი რეჟისორებისა და მსახიობების მონაწილეობით. გარდა ამისა, სპექტაკლის "ზაფხულის ღამის სიზმარი" სარეკლამო კამპანიისთვის (ჩაეშვა 23 სექტემბრს) მომზადდა ფოტო და ვიდეო გადაღებები სარეკლამო მასალისთვის (პოსტერი, პროგრამა, ფლაერი, ბანერი, ტრეილერი, ტიზერი და სხვა); შედგა პრემიერა სპექტაკლისა „ზაფხულის ღამის სიზმარი" (შპს სამეფო უბნის თეატრის და ახალი ქართული თეატრის კოპროდუქცია), რომელიც თეატრმა წარმოადგინა გასტროლზე ჩინეთში; გაიმართა ქართული პიესების კრებულის წიგნის პრეზენტაცია - „არცერთი პიესა"; მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილი იქნა 7 მიმდინარე და ერთი საპრემიერო სპექტაკლის 46 წარმოდგენა (მათ შორის 5 წარმოდგენა გერმანია - შვეიცარიაში, ერთი - ჩინეთი), მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 6 439 (მათ შორის 850 - მდე გერმანია - შვეიცარიაში და 1600-მდე ჩინეთში).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში მიმდინარე და 2-მდე

საპრემიერო სპექტაკლის 70-მდე წარმოდგენა, რომელსაც საშუალოდ 10000-მდე მაყურებელი ესწრება (2024 წლის ფაქტი - წარმოდგენილი იქნა მიმდინარე და 3 საპრემიერო სპექტაკლის სულ 82 წარმოდგენა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 9089 (მათ შორის 715 მოსაწვევი და სტუდენტი და 1100 მაყურებელი გერმანიაში)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 7 მიმდინარე და ერთი საპრემიერო სპექტაკლის 46 წარმოდგენა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 6439 (მათ შორის 850-მდე მაყურებელი გერმანია - შვეიცარიაში და 1600-მდე ჩინეთში).

08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, სკოლების, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი,


2025 წლის გეგმა - 4,386.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,273.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების, არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, პოპულარიზაცია, მოსწავლეთა დაინტერესება და წახალისება; ხელოვნების სკოლების, ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (N20 და N19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით (თვეში საშუალოდ - 194 მოსწავლე),

N28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე (თვეში საშუალოდ - 133 მოსწავლე), ჰ.გონაშვილის N29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით (თვეში საშუალოდ - 101 მოსწავლე) და ალიოზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე (კაპელა) მოსწავლეთა უფასო სწავლება (თვეში საშუალოდ - 142 მოსწავლე), სულ ჯამში თვეში საშუალოდ - 570 მოსწავლე (მათ შორის ბიჭი - 48.2%, გოგო - 51.8%) - **ცხრილი 1**; გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა/ კოლეჯი/სტუდია/ გიმნაზია, თვეში საშუალოდ 660 მოსწავლე (მათ შორის გოგო - 441, ბიჭი - 219)) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსება; ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლების (30 სკოლა), ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ მოხმარებული კომუნალური, დასუფთავების, ინტერნეტის, თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად შრომის ანაზღაურების, ფულადი ჯილდოს, საბუღალტრო პროგრამის ლიცენზიის გაგრძელების, ზოგიერთი ხელოვნების სკოლის საანგარიშო/საიუბილეო კონცერტების დარბაზის იჯარის და „ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის №19 ხელოვნების სკოლის“ ორკესტრის მოსწავლეების სასწავლო-შრომით სემესტრის ჩატარების მიზნით სასტუმროს ხარჯები, ხოლო ხელოვნების სკოლების/გიმნაზია/ სტუდია/ კოლეჯის საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია 4,494.8 ათასი ლარი მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ოფისის ხარჯების, დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების, გადასახადების გადახდის და სხვა ხარჯებისათვის.

ცხრილი1: მოსწავლეთა რაოდენობა თვეების ჭრილში



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოსწავლეთა რაოდენობა თვეში საშუალოდ 1352 მოსწავლე (მ.შ. – 58% გოგო, 42%- ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 692 (მ.შ. 47% - გოგო, 53% - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 69% გოგო, 31% ბიჭი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - თვეში საშუალოდ 1230 მოსწავლე (მ.შ. – 60% გოგო, 40%-ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 570 (მ.შ. 48.2% - გოგო, 51.8% - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 67% გოგო, 33% ბიჭი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - ობიექტების შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფილია მათ მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების (დენი, წყალი, დასუფთავება, გაზი, ინტერნეტი) დაფარვა 100%-ით და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების

სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის გაგრძელება

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 2,532.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,099.2 ათასი ლარის 81.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 03 10 ე. ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

2025 წლის გეგმა - 208.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 174.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 83.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გამოფენები, აქციები, კონკურსები, სხვადასხვა აქტივობები და მათში ჩართული მოსწავლეები; ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების ჩართულობა და მათი ზოგადი განათლების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გალერეას ფუნქციონირების (მათ შორის თანაშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 33.8 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გალერეაში ჩატარდა საქართველოს პროფკავშირული კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირის მიერ ორგანიზებული ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის, ხელოვნების XVII რესპ. ფესტივალ-კონკურსი „იპოვე შენი ვარსკვლავის“ ფარგლებში ნორჩი მხატვრების გამოფენა - „მე ვარ საქართველო“; ბავშვთა ინტელექტუალური განვითარების კლუბის „IQ CLUB” - საგაზაფხულო გამოფენა; NEW SCHOOL – მოსწავლეების საგამოცდო ნამუშევრების გამოფენა; თბილისის 106-ე, 85-ე, და 124-ე საჯარო სკოლების

მოსწავლეთა ნახატების გამოფენა - “ჩვენი ფერადი სამყარო“; ტრადიციული გამოფენა - „ჩემი მთები“, რომლის მიზანი იყო ბავშვებს უფრო მეტი ინტერესითა და დაკვირვებით შეეხედათ მთებისთვის, გაცნობოდნენ მთებში არსებულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, გაეგოთ რა არის ალპინიზმი, კლდეზე ცოცვა; გამოფენა - „ძაფებით შექმნილი საოცრება“; შპს „ქაზელის“ ფესტივალი - „ახალი შანსი“, სამხატვრო-ლიტერატურული და მუსიკალური ნომრები; „მუზეუმების დღისადმი“ მიძღვნილი გამოფენა „დიეგო ველასკესი და ბავშვები“; ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი ანი გოგორიშვილის სამხატვრო სტუდიის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა; სამხატვრო-სახელოვნებო სტუდია „ელენეს“ მოსწავლეთა საანგარიშო გამოფენა; სტუდია „არტ-თაობა“ - მოსწავლეთა სემესტრული გამოფენა; სამხატვრო-სახელოვნებო სტუდია „ელენეს“ მოსწავლეთა საანგარიშო გამოფენა; შპს „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელის“ მოსწავლეთა ნახატების გამოფენა; „მეკო სტუდიას“ - მოსწავლეთა ნახატების გამოფენა - „ფერთა სამყარო 2025“; თურქი და ქართველი ახალგაზრდების ნამუშევრების გამოფენა „მეგობრობის მერიდიანი“, გალერიის თავისუფალი ხატვის ჯგუფების საანგარიშო გამოფენა, „ქარგვა- ძაფებით შექმნილი საოცრება“ ორგანიზატორი - ეკატერინე ლეჟავა, სტუდია „ჟოზეს“ მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა; „საშობაო“ გამოფენა; ხელნაკეთი ნივთების საშობაო - საახალწლო გამოფენა; “საახალწლო“ ზეიმი გალერეაში არსებული თავისუფალი ხატვის ჯგუფებისთვის და ა.შ. მიმდინარე პერიოდში გალერეაში ჩატარდა 33 ღონისძიება, ღონისძიებებზე ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 6349, ხოლო მონაწილეთა რაოდენობამ - 2590, გალერეას მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს - 58.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ ყოველწლიურად იმართება 20-მდე გამოფენა, აქცია, შეხვედრა და კონკურსი, ღონისძიებებში ჩართულია/სწავლობს 50-მდე მოსწავლე, 1450-მდე მონაწილე, ვიზიტორთა რაოდენობა 3800-მდე (2024 წლის ფაქტი - ჩატარდა 34 ღონისძიება, ღონისძიებებში ჩართული 51 მოსწავლე, 1916 მონაწილე, ვიზიტორთა რაოდენობა 4905)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 33 ღონისძიება, ღონისძიებებში მონაწილე 2590, ვიზიტორთა რაოდენობა 6349, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 58 საშუალოდ წლის მანძილზე.

08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

2025 წლის გეგმა - 2,890.9 ათასი ლარი, დაფინანსდა – 2,357.9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 92.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 81.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში, მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები, განახლებული და თანამედროვედ აღჭურვილი ობიექტები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების (მათ შორის თანაშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის შეძენა, ვ. ჭაბუკიანის მუზეუმის ვიტრინის შეკეთება და ახალი ვიტრინის კარებების შეძენა და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 105.3 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: პირველადი რეგისტრაციის პარალელურად მიმდინარეობდა მუზეუმების ძირითად ფონდში დაცული ექსპონატების აღწერილობათა ელექტრონული ვერსიის მომზადება ციფრულ ფორმატში გადასატანად, რაც დაკავშირებული იყო ექსპონატთა სწორ აღწერილობასა და წარმოშობის ისტორიასთან. რეგისტრირებული ან დროებით შემოსულობათა წიგნის მიხედვით აღრიცხული სამუზეუმო მასალების სხვადასხვა სახის ხარვეზის გასასწორებლად, უმეტეს შემთხვევაში, თავიდან განხორციელდა საფონდო

ერთეულთა აღწერილობათა შედგენა ან ისტორიის სრულყოფა და რეგისტრირებულ ექსპონატთა გაციფრულება; შეიქმნა ერთიანი მემორიალური, ტიპოლოგიური, იკონოგრაფიული და დოკუმენტური ფონდები;

მიმდინარეობდა ფონდებისა და კოლექციების ინვენტარიზაცია (მოწესრიგდა ძირითადი რეგისტრაციის დროს სავალდებულო ატრიბუცია, ძირითადი შემოსულობათა და საინვენტარო წიგნები ზონარგაყრილია, გვერდები დანომრილია, დალუქული ბეჭედდასმული და ხელმოწერილია); კოლექციათა ტიპოლოგიის მიხედვით საფონდო ერთეულთა პასპორტიზაციისთვის აუცილებელი დოკუმენტური ბაზა და სტანდარტი, კოლექციათა ტიპოლოგიის მიხედვით საფონდო ერთეულთა ციფრული ბაზების მომზადება, მუზეუმების ბიბლიოგრაფიული ფონდებისა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის კატალოგიზაცია;

მუზეუმების ფონდები გაიზარდა 110 საფონდო ერთეულით, მათ შორის 5 ტიპოლოგიური ნივთი შეძენილია მუზეუმების გაერთიანების საფონდო - შემსყიდველი კომისიის გადაწყვეტილებით, 105 გადმოცემულია უსასყიდლოდ; პირველადი რეგისტრაცია გაიარა 185 დასახელების 255 საფონდო ერთეულმა, წლის განმავლობაში ძველი ძირითადი შემოსულობათა წიგნიდან ახალში გადატანილი და რეგისტრირებულია 2511 დასახელების 3731 საფონდო ერთეული, სულ რეგისტრირებულია 2 696 დასახელების 3 986 საფონდო ერთეული; მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში მიმდინარეობდა რეგისტრირებულ ექსპონატთა სამეცნიერო ინვენტარიზაცია-დოკუმენტური აღწერა, საინვენტარო წიგნში აღირიცხა და მიენიჭა შიფრი და საინვენტარო ნომერი 2051 ექსპონატს (იკონოგრაფიული, ტიპოლოგიური, მემორიალური, მინიატურული ფიგურები და სხვ.); სულ 2025 წელს მომზადებულია 3 136 ექსპონატის პასპორტის ელექტრონული ვერსია (ტიპოლოგიური, იკონოგრაფიული, მემორიალური, მხატვრული და სხვ.), დროებითი შემოსულობათა ნომერი მიენიჭა 1 715 სამუზეუმო მასალას; მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ახალი ექსპოზიციის მოწყობასთან

დაკავშირებით ექსპონირებისათვის მომზადდა ფონდში დაცული 824 საფონდო ერთეული, 2 მემორიალური ექსპონატი დროებითი სარგებლობისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის თანხლებით გადმოცემულია ეროვნული მუზეუმიდან; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში დროებითი გამოფენის „ილიას სიტყვის სახე“ მოწყობასთან დაკავშირებით დროებითი სარგებლობისათვის გადმოცემულია 36 მხატვრული ნამუშევარი (ეროვნული მუზეუმი 4, ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმი 22, საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი 4, ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი 6) სულ მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულებში დროებითი სარგებლობისათვის გადმოცემულია 38 ექსპონატი, მომზადებულია შესაბამისი დოკუმენტაცია; ციფრულ ფორმატში გადატანილია 4 494 საფონდო ერთეულის აღწერილობათა ელექტრონული ვერსია; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის წიგნადი ფონდის კატალოგიზაციის მიზნით მომზადებულია 1 022 ერთეულის ანოტაციის ელექტრონული ვერსია;

თბილისის მუზეუმების გაერთიანების აქტივობები - კოტე და სოსო წერეთლების მემორიალურ სახლ-მუზეუმში, კოტე და სოსო წერეთლების დაბადების დღესთან დაკავშირებით გაიმართა ღია კარის დღეები; ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ვახტანგ ჭაბუკიანის დაბადებიდან 115 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა „ჟესტების ფილოსოფია“ გაიხსნა, რომელიც გაგრძელდა 6 აპრილამდე; გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ სახლ-მუზეუმში, გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალების დღისადმი მიძღვნილი ღია კარის დღე გაიმართა, ხოლო ხანდაზმულთა კავშირის საზოგადოება - „კათარზისის“ წევრებმა გოგი დოლიძის სამუსიკო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებთან ერთად გამართეს მინი შემოქმედებითი საღამო სახელწოდებით - „საქართველო უპირველეს ყოვლისა“; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმში, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღესა და აუტიზმის ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სსიპ „კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ ორგანიზებით და ა(ა)იპ „მუზეუმების

გაერთიანების“ ხელშეწყობით, მუზეუმში გაიმართა აფხაზეთის დროებით ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდებისთვის შემეცნებით - საგანმანათლებლო პროგრამა „თოჯინების ისტორია“, ხოლო თოჯინების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გაიმართა ღია კარის დღე; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიმართა „თამაზ ბექაიას ფონდის“ სტიპენდიანტების გამოვლენა და დაჯილდოება; ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში მუზეუმების საერთაშორისო დღის ფარგლებში ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამები „მუსეიონიდან მუზეუმამდე“, „Histoory of Tbilisi City”. ვიზიტორებმა დღის მანძილზე სპეციალურად მომზადებულ სურვილების ყუთში დატოვეს თავიანთი სურვილები და ხედვები - როგორ წარმოუდგენიათ მუზეუმი მომავლის ქალაქში; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში „მუზეუმების საერთაშორისო დღის“ ფარგლებში გაიმართა: ინტერაქტიული ექსკურსიები, ჩუღურეთის ურბანული ჩანახატების გამოფენა, სალონური შეხვედრები მუზეუმში - „ფლირტის“ საღამო (მუზეუმის ნულოვანი სართული - სტამბის სივრცე), კლასიკური მუსიკის საათი ნიჭიერთა ათწლედის საბავშვო ორკესტრის მონაწილეობით; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით“ კოტე და სოსო წერეთლების, ნიკოლოზ ბარათაშვილის და ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმებში გაიმართა ღონისძიება: „ღია კარის დღე; „ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში“, გაიხსნა სოსო წერეთლის ნამუშევრების გამოფენა „თავისუფლების ფორმები“ (გამოფენა აერთიანებს მხატვრის მიერ 1970-იანი წლებიდან 1983 წლამდე შესრულებულ ნამუშევრებს - მათ შორის, საზოგადოებისათვის ცნობილ და აქამდე უცნობ ფერწერულ თუ გრაფიკულ სერიებს); „ქ. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში“, გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „ზაქარია ფალიაშვილი 154“; „ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში“, გაიმართა საგანმანათლებლო დოკუმენტური ფილმის „მოჭირნახულე ერისა“

პრეზენტაცია; „ქ. თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ სახლ - მუზეუმში“ გაიხსნა გამოფენა „პირიმზე“ - ერთი ლექსის ვიზუალური ვარიაციები; მასწავლებელთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მოეწყო ღია კარის დღე, მუზეუმის დამთვალიერებლებს ჩაუტარდათ ექსკურსიები და შემეცნებითი-საგანმანათლებლო პროგრამა: „კოლექციონერი“; გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ სახლ - მუზეუმში“ გაიხსნა გამოფენა ,,დაბადებიდან - გარდაცვალებამდე. დიახ, სახელი უკვდავების დამერქმეოდა“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გალაკტიონ ტაბიძის, დამთვალიერებლებისთვის აქამდე უცნობი ხელნაწერები, მათ შორის: სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის პიესები, ნოველები, ჩანაწერები, ჩანახატები და პირადი მიმოწერა; ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში“ გაიმართა ღონისძიება „ევროპული მუსიკა ქართულად“; ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში“ გაიმართა შეხვედრა ნინო სამადაშვილთან. შეხვედრას დაესწრნენ საბალეტო ხელოვნების თაყვანისმცემლები, მოქმედი ბალეტის მსახიობები და ღონისძიებით დაინტერესებული პირები; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში“ „სოსო წერეთელი - თავისუფლების ფორმები“ გამოფენის ფარგლებში, კოტე და სოსო წერეთლების მემორიალური სახლ-მუზეუმის მიერ მომზადდა და განხორციელდა შემოქმედებითი აქტივობა „სოსო წერეთელი - თავისუფლების ფორმები“, რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისთვის ხელოვნებისა და ისტორიის გაცნობას იმ ეპოქის კონტექსტში, რომელსაც ასახავს სოსო წერეთლის შემოქმედებას; ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში“, გაიმართა ღონისძიება „ნანნი იესოს“ - ქართული კათოლიკური საშობაო საგალობელი; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში“ ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს, მუზეუმის დროებით საგამოფენო სივრცეში, გაიხსნა დროებითი გამოფენა „ილიას სიტყვის სახე“ (გამოფენა გაგრძელდება 2026 წლის თებერვლის ბოლომდე);

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში ტრადიციული „ხუთშაბათობის ფარგლებში“ გაიმართა „საქართველოში აზერბაიჯანელ ქალთა ასოციაციის“ დამფუძნებლის გულია მუსტაფაევას საჯარო ლექცია - „ფარი-ხანუმ

სოფიევა - პირველი მუსლიმი ქალი დეპუტატი საქართველოში“; ქალაქმგეგმარებელ ზურაბ ბაქრაძის საჯარო ლექცია - „შენარჩუნებადი განახლება და ქალაქი“; ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, თამაზ ჯოლოგუას საჯარო ლექცია თემაზე: „დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის პროგრამულ შეხედულებათა ურთიერთმიმართება“;

თბილისის მუზეუმების გაერთიანება 2023 წლიდან დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობს. ბენეფიციარებისთვის რეაბილიტაცია - რესოციალიზაციის მიზნით, მემორანდუმის ფარგლებში, უზრუნველყოფილია სამუზეუმო ტურები და სერვისებით სარგებლობა. შესაბამისად, სააგენტოს ხელშეწყობით ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო პროგრამებში/ აქტივობებში და შემეცნებით დისკუსიებში, მათ შორის: ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებში „მოკლე ჩართვა“, „გოლოვინი..., ოპერიდან ოპერამდე“ და „ჰიმნი“; გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური სახლ-მუზეუმის შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებში: „პოლინდრომის სამყარო“ და „აღბეჭდილი წამი“; ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური სახლ-მუზეუმის შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამაში „მოდა თუ სტილი?“, „ბალეტში გაცოცხლებული ზღაპარი“ და „რიტუალიდან ბალეტამდე“; ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამაში „ვაცოცხლოთ, რომ ვიცოცხლოთ“; გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ სახლ-მუზეუმში, შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამაში „აღბეჭდილი წამი“. გარდა ამისა, საქველმოქმედო ფონდ „კარიტასის“ ბავშვთა და ახალგაზრდული პროგრამის ბენეფიციარები დაესწრნენ შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური სახლ-მუზეუმის შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამა „საკარნავალო ნიღბები“; ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამაში „ვაცოცხლოთ, რომ ვიცოცხლოთ“; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში საგანმანათლებლო პროგრამაში „თოჯინების ისტორია“; მერაბ კოსტავას

მემორიალურ სახლ-მუზეუმში, ექსკურსია ჩაუტარდა სააგენტოს ბენეფიციარებს;

ზოგადსაგანმანათლებლო ციფრული კამპანიების ფარგლებში გრძელდება სხვადასხვა მედია პლატფორმაზე შემეცნებით-საგანმანათლებლო ციფრული ციკლები. გაერთიანების სოციალურ ქსელებში გრძელდება გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ნარატივებისა და თემების გამოყენებით საინფორმაციო-შემეცნებითი და ზოგადსაგანმანათლებლო ციფრული კამპანიები: „დღე ისტორიაში“, „ამონარიდები“, „წერილი სოფლიდან“, „გალაკტიონის ყვავილნარი“, „ტფილისური სიტყვა-თქმანი“, „თვის თემა“, „ივერია წერდა“, „ამბები თოჯინების ქალაქიდან“, „თამაშები თოჯინების ქალაქიდან“, „სტუმრად ილიასთან“, „მუსიკალური თბილისი“, „საუკუნის წინ“, „Nationalday“. სოციალური მედიის პლატფორმა ფეიბუკზე - გამოქვეყნდა 273 პოსტი, Tik-tok მედია პლატფორმაზე გამოქვეყნდა 5 ვიდეო, ხოლო ინსტგრამის პლატფორმაზე - 89 პოსტი, 46 მედია გაშუქება, 17 სიუჟეტი, ვებგვერდზე - https://tbilisimuseumsunion.ge/ - 6 პოსტი;

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ - მუზეუმში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: სამუზეუმო ფონდებში დერატიზაცია, დეზინფექცია და დეზინსექცია; მოეწყო დეკორატიული მილკვადრატის კონსტრუქცია; მანსარდის სივრცეში მოეწყო ჭერზე ჩარჩო კონსტრუქცია; გადაიხურა ეზოში არსებული გენერატორი; მოეწყო ეზოში შესასვლელი მოძრავი ჭიშკარი და მომზადდა საგამოფენო ვიტრინების დიზაინი. დასრულდა მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო სივრცეებში არსებული ციფრული ტექნიკისთვის ვიდეო-აუდიო (ეპოქის ამსახველი, ეროვნული მოძრაობა, ინტერვიუ) ფაილების მომზადება, განახლებული ექსპოზიციის მოწყობა და შენობის ტექნიკური აღჭურვა; მუზეუმში არსებულ თითოეულ ინტერაქტიულ მონიტორზე აპლიკაციის სტრუქტურის შემუშავება (ნავიგაციის, მასალის დაჯგუფებისა და ფორმების შემუშავება); სამუზეუმო საექსპოზიციო ვიტრინების სამონტაჟო სამუშაოები; მუზეუმის ეზოში მოეწყო მწვანე საფარი, დასრულდა მუზეუმის საფონდო სივრცეში შესაბამისი სასაწყობე სტელაჟების მონტაჟი; დაიწყო ილია ჭავჭავაძის მემორიალური სახლ-

მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ სახლ-მუზეუმსა და ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში არსებულ საექსპოზიციო სივრცეებში მოეწყო ახალი საგამოფენო ვიტრინები; გარდა ამისა, გადაუდებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების საჭიროების გამო, დაიკეტა „ქ. თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი“ დეტალური საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, მომზადდა შესაბამისი ტექნიკური დავალება. საპროექტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებამდე, შენობის ყველა რისკის შემცველი ადგილი გამაგრდა შესაბამისი სადგრებით; მიმდინარე პერიოდში თბილისის მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ჩატარდა - 352 საგანმანათლებლო პროგრამა (პროგრამებში დამსწრე/მონაწილე - 5109), 794 ექსკურსია, 99 ღონისძიება/აქტივობა/გამოფენა, ხოლო ვიზიტორებისა (4598) და დამთვალიერებლების (3947) რაოდენობამ შეადგინა - 8545.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში საშუალოდ წლის განმავლობაში ტარდება 750-მდე საგანმანათლებლო პროგრამა და 200-მდე ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - ჩატარდა 488 საგანმანათლებლო/შემეცნებით-საგანმათლებლო პროგრამა და 142 ღონისძიება/აქტივობა, 900 ექსკურსია)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ჩატარდა 352 საგანმანათლებლო/შემცნებითი პროგრამა, 99 ღონისძიება/აქტივობა/გამოფენა, 794 ექსკურსია).

2.საბაზისო მაჩვენებელი - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში საშუალოდ წლის განმავლობაში ვიზიტორებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობა - 12000-მდე, ხოლო შემეცნებით-საგანმანთლებლო პროგრამებზე დამსწრე 9500-მდე მონაწილე (2024 წლის ფაქტი - ვიზიტორებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 12581, ხოლო საგანმანთლებლო პროგრამებს დაესწრო 7716 მონაწილე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ვიზიტორებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 8545, ხოლო საგანმანთლებლო/ შემეცნებით-საგანმათლებლო პროგრამებს დაესწრო 5109 მონაწილე.

3.საბაზისო მაჩვენებელი - დასრულდა 1 ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები და აღჭურვა, ხოლო 1 ობიექტზე საპროექტო სამუშაოები, მოხდა სამუზეუმო ფონდების შევსება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ობიექტების კვლევა-პროექტირება, აღჭურვა. დაიწყება 2 ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 1 ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები და აღჭურვა, ხოლო 2 ობიექტზე საპროექტო სამუშაოები, მოხდა სამუზეუმო ფონდების შევსება, დაიწყო ერთი ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - თოჯინების და სათამაშოების მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების ელექტრონულ პორტალზე (EPIM) სამუშაო ჯგუფის მიერ დადასტურებული იქნა დეკემბრის ბოლოს. შესაბამისად, სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამ გადაიწია 2026 წელს.

08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება დაფინანსებულია 2,440.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,626.1 ათასი ლარის 92.9%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

08 04 01 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი"

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

2025 წლის გეგმა - 1,016.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,010.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების

პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ორკესტრის ფუნქციონირების ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 108.1 ათასი ლარი). ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის: ბიგ-ბენდის სარეპეტიციო დარბაზში გაიმართა: ჯაზური მუსიკის კონცერტი, ზაურ შავგულიძის და ოთარ მაღრაძის სოლო კონცერტები ბიგ-ბენდთან ერთად; სასტუმრო შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში ჩატარდა ჯაზის საერთაშორისო დღე ჯეისონ ისააკთან, ჟან ლუ ლონიონთან და სიბელ კოსთან ერთად, დინი ვირსალაძის სოლო კონცერტი თბილისის მერიის ბიგ-ბენდთან ერთად, გაიოზ კანდელაკის 80 წლის იუბილისადმი და მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნისადმი მიძღვნილი კონცერტი; ბიგ-ბენდმა მონაწილეობა მიიღო ქ.უთაისში, გვირილობის დღესასწაულზე; აზერბაიჯანის ქალაქ გაბალაში, გაბალის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალზე; ქალაქ ზუგდიდში, დადიანების სასახლეში საპატიო ზუგდიდელების დაჯილდოვების ცერემონიაზე; ორბელიანის მოედანზე გამართულ თბილისობის დღესასწაულზე; ბიგ-ბენდის სახელობითი ვარსკვალვის გახსნა, აღმაშენებლის 73-ში (ბიგ-ბენდის ოფისი). მიმდინარე პერიოდში დასმა მონაწილეობა მიიღო 19 ღონისძიებაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 40-მდე ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო 12-მდე ღონისძიებაში).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა იქნა მიღებული 19 ღონისძიებაში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოიწვია პირველ რიგში იმან, რომ ორკესტრს არ გააჩნია საკუთარი დარბაზი და მეორე, ძირითადი ღონისძიებები გარე სივრცეში იმართება.

08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

2025 წლის გეგმა - 518.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 504.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოვლილი და კეთილმოწყობილი პანთეონები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის, ,,ხოჯევანქი", ახალი პანთეონი) მოვლა-პატრონობის ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯები). ასევე, გაწეულია შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის მოვლა-შენახვის ხარჯები, ახალი პანთეონისათვის სანიაღვრე არხების დამცავი საფარების დამზადება-მონტაჟის შეძენა, ახალი პანთეონისათვის კომპიუტერის, პორტაბელური ლეპტოპისა და ოფისისთვის პრინტერის, კარტრიჯების, საწვავის, სანერგე მეურნეობის პროდუქციის (ნერგები და ხეები) შეძენა, საოფისე ავეჯის, პლანშეტური კომპიუტერების (ტაბები), სამეურნეო და საკანცელარიო საქონლის, გაცრილი დამუშავებული შავი მიწის შესყიდვა; დასრულდა ახალ პანთეონში 18 საფლავის კეთილმოწყობა, დიდუბის და ხოჯავანქის პანთეონებში შენობა ნაგებობების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, სათვალთვალო სისტემების შეძენა-მონტაჟი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - პანთეონებში (მთაწმინდის, დიდუბის, ,,ხოჯევანქი" და ახალი პანთეონი) მოვლილი და კეთილმოწყობილი საფლავები (მათ შორის 2024 წელს ახალ პანთეონში კეთილმოეწყო 13 საფლავი)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა (მათ შორის ახალ პანთეონში კეთილმოეწყო 18 საფლავი).

08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები

2025 წლის გეგმა - 1,090.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 926.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების (დოლები, დოლის ჩასადებები, ტამტამები) შეძენა და აუდიტორული მომსახურება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N5 ხელოვნების სკოლისათვის როიალისა და პიანინოების რესტავრაცია; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიისთვის მუსიკალური აპარატურის და ლეპტოპის შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის რევაზ ლაღიძის სახ. N4 და ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ჰ. გონაშვილის სახელობის N29 ხელოვნების სკოლებისათვის გათბობის სისტემების მოწესრიგება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N28, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის გ. ცაბაძის სახ. N25, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ს. ინაშვილის სახელობის N12 და ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის N7 ხელოვნების სკოლებისათვის პერსონალური კომპიუტერების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სულხან ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების სკოლაში დაზიანებული ინსტრუმენტებისა და ინვენტარის დაშლა-გატანა, ელექტრო გამანაწილებლის ფარის მონტაჟი, გათბობის ქვაბისა და წყლის მილის მონტაჟი/დემონტაჟი, ლითონის რადიატორების დემონტაჟისა და დასაწყობების, სამშენებლო მასალების მოგროვებისა და გატანის სამუშაოები; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის N14 ხელოვნების სკოლისათვის ვერტიკალური ფარდა-ჟალუზის შეძენა, სახანძრო სისტემის მოწესრიგება და დაზიანებული ჭერის განახლება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის N24-

ე ხელოვნების სკოლის ინვენტარის, ინსტრუმენტების გადატანა და დასაწყობება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯისთვის სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწესრიგება, სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობილობების დამისამართება, ხანძარსაწინააღმდეგო ხსნარით დამუშავება, ელექტრო მოწყობილობების, ელექტრო ქსელის მოწესრიგება და კარადების შეცვლა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის პ. ამირანაშვილის სახ. 18-ე ხელოვნების სკოლისათვის 2 პერსონალური კომპიუტერისა და დამცავი ბადეების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ალ. მაჭავარიანის სახ. N26-ე ხელოვნების სკოლისათვის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ელექტრო აპარატურის შეძენა, გათბობის სიტემისა და დამხმარე შენობის მოწყობისათვის პროექტის მომზადება; ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რევაზ ლაღიძის სახელობის ხელოვნების №4 ხელოვნების სკოლისათვის მოლბერტებისა და სამხატვრო განყოფილებისათვის მასალების შეძენა, შენობის სახურავის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის N7 ხელოვნების სკოლისათვის მუსიკალური ინსტრუმენტების, ინსტრუმენტების ნაწილების აქსესუარების, თაბაშირის ფიგურების, საჭირო აქსესუარებისა და მასალების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიისათვის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ვიქტორ დოლიძის სახ. N15-ე ხელოვნების სკოლისათვის პიანინოს, ხმის გამაძლიერებლის, სახვითი განყოფილების ინვენტარისა და მასალების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლისათვის საკონცერტო როიალის, პიანინოს, ქსილოფონის, ტუბის, საყვირისა და ვალტორნას სრული განახლება-რესატავრაცია; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის გ. ცაბაძის სახ. #25 ხელოვნების სკოლისათვის ფარდა-ჟალუზების, მუსიკალური ინსტრუმენტების, მუსიკალური აპარატურის, ინსტრუმენტების ნაწილებისა და აქსესუარების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ჰ. გონაშვილის სახელობის N29 ხელოვნების სკოლისათვის გათბობის სისტემის მოწესრიგება, მოლბერტების, თაბაშირის

ფიგურებისა და სხვადასხვა მასალების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ა. ნიჟარაძის სახ. N27-ე ხელოვნების სკოლისათვის ფარდა-ჟალუზების, მუსიკალური ინსტრუმენტების, მოლბერტისა და სხვა მასალების შეძენა; ცენტრალური გათბობის ქვაბის შიდა ფართიდან გარე პერიმეტრზე გატანა და გაზიფიცირების სამუშაოების ჩატარება; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა აფხაზეთი N1-ისათვის ორი ერთეული კარტრიჯის და ახალი ინვენტარის შეძენა, ჩამოწერილი ინვენტარის პოლიგონზე გატანა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მერი ნაკაშიძის სახელობის N17 ხელოვნების სკოლისათვის ფორტეპიანოების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის შ. შანიძის სახელობის N20 ხელოვნების სკოლისათვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა. გარდა ამისა, განხორციელდა: ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N2 ხელოვნების სკოლის საქვაბის შენობის სრული რეაბილიტაციისა და გათბობის ქვაბების მონტაჟის სამუშაოები; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ალ. მაჭავარიანის სახ. N26-ე ხელოვნების სკოლის საქვაბე ნაგებობის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის გ. ცაბაძის სახ. N25 და ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ა. ნიჟარაძის სახ. N27-ე ხელოვნების სკოლების სრული სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დასრულდა ერთი ობიექტის კაპიტალური რემონტი, განხორციელდა 25 კულტურის ობიექტისათვის ფუნქციონირების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის სარემონტო სამუშაოები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება ორი ობიექტის რემონტი, კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები მოთხოვნის შესაბამისად (მათ შორის 10-მდე ობიექტში მცირე რემონტი, ინვენტარის, ტექნიკის, ინსტრუმენტების შეძენა/რესტავარაცია).

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა ორი ობიექტის კაპიტალური რემონტი, განხორციელდა 23 კულტურის ობიექტისათვის ფუნქციონირების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის სარემონტო სამუშაოები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება).

08 05 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი, ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი.

2025 წლის გეგმა - 5,320.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,209.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული აქტივობების განხორციელების შედეგად, თბილისის გადაქცევა რეგიონის კულტურის ცენტრად, კულტურული ტურიზმის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 4,745.8 ათასი ლარით დაფინანსდა სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები, მათ შორის: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით სამი ღონისძიება (მათ შორის ,,საშობაო მსვლელობა ალილო", "ნოვრუზ-ბაირამი 2025", "ქართული თეატრის დღე“); თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობის მიზნით 52 ღონისძიება; ფესტივალების, კონკურსების, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით 191 ღონისძიება. ასევე, პიანისტთა თბილისის VIII საერთაშორისო კონკურსის" ჩასატარებლად, ა(ა)იპ საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდის მიერ გაწეულია - 42.0 ათასი ლარი (მათ შორის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურებისა და ბუღალტრული პროგრამის ლიცენზიის ვადის გაგრძელების მიზნით), ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 72.0 ათასი ლარი; ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალის მიერ - 116.6 ათასი ლარი ფესტივალის (მათ შორის საკონცერტო დარბაზის იჯარა, მოწვეული მუსიკოსების ტრანსპორტირების, სასტუმროს და სხვა ფესტივალთან დაკავშირებულ ხარჯები) ჩატარებისა და ბუღალტრული პროგრამის ლიცენზიის

ვადის გაგრძელების მიზნით, ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 5.0 ათასი ლარი; ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრის მიერ - 304.7 ათასი ლარი, მათ შორის 32-ე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „შემოდგომის თბილისი“ ჩატარებისა და ბუღალტრული პროგრამის ლიცენზიის ვადის გაგრძელების მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 240-მდე პროექტის ხელშეწყობა, რომელშიც მონაწილეობს 3600-მდე მონაწილე (2024 წლის ფაქტი - განხორციელდა 221 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 6000-ზე მეტი მონაწილე და 100000 -ზე მეტი დამსწრე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 247 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 8000-ზე მეტი მონაწილე და 130000 -ზე მეტი დამსწრე.

08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 30,300.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 38,418.4 ათასი ლარის 78.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 06 01 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სპორტული ცენტრები

2025 წლის გეგმა - 11,750.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 11,640.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 99.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები, სპორტული ფედერაციებისა და კლუბების ხელშეწყობა საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა; სპორტის სხვადასხვა სახეობაში ქალთა სპორტის და პარასპორტის განვითარება; მატერიალურად წახალისებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, ოლიმპიურ/პარალიმპურ თამაშებში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის მატერიალურად წახალისებული ქალთა

გუნდები/კლუბები და პარასპორტის გუნდური სახეობების საქართველოს ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის მატერიალურად წახალისებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; სამსახურს დაქვემდებარებული სპორტული ა(ა)იპ-ების ფუნქციონირების ხელშეწყობა (სერვისების ხელმისაწვდომობა).

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 35 სპორტული ფედერაცია: ბეისბოლის, ჭადრაკის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, ფარიკაობის, ტაეკვონდოს, აფროსნობის, მძლეოსნობის, სროლის, უშუს, მაგიდის ჩოგბურთის, კრივის, მშვილდოსნობის, ჰოკეის, საწყლოსნო სახეობების, ნიჩბოსნობის, ჭიდაობის, ნარდის, ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის, ხუთჭიდისა და ტრიატლონის, უძლიერეს მამაკაცთა, ფეხბურთის, გირის სპორტის, ბილიარდის, ამერიკული ფეხბურთის, კალათბურთის, ჩერლიდინგის, ხელბურთის, დრიფტის და დრაგის, კენდოს, ქართული ჭიდაობის, ველოსპორტის, ათლეტიზმის, ყინულის ჰოკეის და საავტომობილო სპორტის; საქართველოს 44 სპორტული ფედერაცია: კომპიუტერული სპორტის, ნარდის, ტანვარჯიშის, სამთო სირბილის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, ხელბურთის, შერეული საბრძოლო ხელოვნებების, საუნივერსიტეტო სპორტის, ბავშვთა და სასკოლო სპორტის, უშუს, სპორტცეკვების, ძიუდოს, ამერიკული ფეხბურთის, ურბანული სპორტის, ფარიკაობის, კიბერ სპორტის, ჭიდაობის, ჩოგბურთის, პადელის, ძალოსნობის, საწყლოსნო, მინი გოლფის, გირის სპორტის, მასრესლინგის, ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის (ძალისმიერი ფიტნესის), უძლიერეს მამაკაცთა, ხუთჭიდის და ტრიატლონის, სროლის, ჭადრაკის, კალათბურთის, კრივის, რაგბის, სუმოს, მშვილდოსნობის, ათლეტიზმის, სამბოს, მკლავჭიდის, ფიგურული ციგურაობის, კონტაქტური კარატეს, კუდოს, პანკრატიონის, გრეპლინგისა და ბეთლ რესლინგის, კანოესა და ნიჩბოსნობის, ქართული ჭიდაობის, ჰოკეის, ფრენბურთის და ფეხბურთის ფედერაცია ეროვნული ფედერაცია;

ასევე, დაფინანსდა: ა(ა)იპ "სპორტის მართვის მეთოდოლოგიის და ტექნოლოგიების ასოციაცია", ა(ა)იპ "სამოყვარულო ლიგა", ა(ა)იპ "საქართველოს

ახალგაზრდული მედიაკავშირი", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "დიდუბე - 2014", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "თბილისი თიმი 2022", ა(ა)იპ "ფრენბურთის კლუბი ათენა", ა(ა)იპ "ვორიორს", ა(ა)იპ "საქართველოს მკლავჭიდელთა კავშირი", ა(ა)იპ "საქართველოს საბრძოლო ჩემპიონატი", ა(ა)იპ "თბილისის ქალთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია", ა(ა)იპ "სპორტი განვითარებისთვის - საქართველო", ა(ა)იპ საფეხბურთო აკადემია "ვიკინგები", ა(ა)იპ "ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება", ა(ა)იპ "საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "რაშები", ა(ა)იპ "ჩოგბურთი", ა(ა)იპ „საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია“, ა(ა)იპ „საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია“ და ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლა პლატო თბილისი“, ა(ა)იპ "7X7 ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "ჯლუ" ფეხბურთის სამწვრთნელო, ა(ა)იპ "საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ "საქართველოს პროფესიონალური კრივის კავშირი", ა(ა)იპ "თიბი ჯეო", ა(ა)იპ "გრასრუტს ქაფ ჯორჯია", ა(ა)იპ "ახალგაზრდა ოლიმპიელი", ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "თსუ", ა(ა)იპ "მულტი სპორტული კლუბი ტფილისი", ა(ა)იპ "საფეხბურთო აკადემია დინამო გაგრა", ა(ა)იპ "აფხაზეთის ძიუდოს აკადემია", ა(ა)იპ წყალბურთის გუნდი "ივერია", ა(ა)იპ "სპორტული ღონისძიებების ცენტრი", ა(ა)იპ "სოკა ჯორჯია ფეხბურთი", ა(ა)იპ "ლოკომოტივი 2008", ა(ა)იპ "სვეგი სპორტს", ა(ა)იპ "ბილიკის მეთვალყურე", ა(ა)იპ "ქალთა კლუბი გლდანი", ა(ა)იპ "საქართველოს რაგბის კავშირი", ა(ა)იპ "გრანდ ავლაბარი" და ა(ა)იპ ქალთა საკალათბურთო კლუბი "ფენიქსი", ა(ა)იპ "საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ "ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება", ა(ა)იპ "ტრენერების ჰაბი", ა(ა)იპ "სალომე ფაჟავას მხატვრული ტანვარჯიშის აკადემია", ა(ა)იპ "მშვიდობის თასი-საქართველო", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია", ა(ა)იპ "ამერიკული ფეხბურთის აკადემია", ა(ა)იპ "მზის შვილები", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ლაშარი", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "შავნაბადა 77", ა(ა)იპ "საქართველოს ფრენბურთის ეროვნული აკადემია", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ავჭალა" და ა(ა)იპ რაგბის კლუბი

"წიქარა";

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, თბილისის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პირველობებში და ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში, საერთაშორისო ტურნირში. სულ დაფინანსდა 250 პროექტი, განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობა მიიღო 70375 ბენეფიციარმა (მათ შორის 49010 კაცი, 21365 ქალი), დასაქმებული იყო - 4005 ბენეფიციარი (მათ შორის 2588 კაცი, 1417 ქალი), კერძოდ: დაფინანსდა თბილისის თასის გათამაშებები, პირველობები და ჩემპიონატები: ჭადრაკში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ბატუტზე ხტომებში, სპორტულ ტანვარჯიშში, სპორტულ აკრობატიკაში, უშუში, აფროსნობაში, სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, კრივში, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ნარდში, უძლიერეს მამაკაცთა შორის, მას-რესლინგში, ბილიარდში, ცურვაში, ამერიკულ ფეხბურთში, სამთო სირბილში, ბიატლსა და ტრიატლში, კალათბურთში, ხელბურთში, ლაზერულ რბენაში, კიბერ ფეხბურთში, ქროსფიტში, დრაგში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, წოლჭიმში, საავტომობილო სპორტში, ჩერლიდინგში, ფეხბურთში და ბიცეპსზე წონის აწევასა და არმლიფტინგში;

თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: ჭადრაკში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, კრივში, მშვილდოსნობაში, ჰოკეიში, ნიჩბოსნობაში, შერეულ საბრძოლო ხელოვნებებში, თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, დრიფტში და დრაგში, სპორტცეკვებში და ჩოგბურთში;

თბილისელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში საქართველოში და საზღვარგარეთ: დარბაზის ჰოკეიში, წყალში ხტომაში, მკლავჭიდში, ორიენტირებში, ფეხბურთში, ძალისმიერ სპორტში, ნარდში, ხელბურთში, ძიუდოში, კრიობაში, ტანვარჯიშში, უშუში, კიკბოქსინგში, ხელბურთში, შერეულ საბრძოლო ხელოვნებებში, სპორტულ ცეკვებში, პარაწოლჭიმში, ძიუდოში,

ჩოგბურთში, ამერიკულ ფეხბურთში, კრივში, დრიფტში, ჭიდაობაში, ფარიკაობაში, ნიჩბოსნობაში, ძალოსნობაში, წყალბურთში, უძლიერეს მამაკაცთა დისციპლინებში, პარაძიუდოში, მასრესლინგში, მშვილდოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, კენდოში, ბიატლში, ტრიატლსა და ლაზერულ სირბილში;

დაფინანსდა სასწავლო-საწვრთნო შეკრებები: ბეისბოლ/სოფტბოლში, მშვილდოსნობაში, ბატუტზე ხტომაში, აკრობატიკაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჩერლიდინგში, ამპუტანტთა ფეხბურთში, ფეხბურთში, ძალოსნობაში, ტაეკვონდოში, უშუში, ძიუდოში და რაგბში;

განხორციელდა თბილისის ბეისბოლის/სოფტბოლის სპორტული სექციებისთვის, თბილისის მშვილდოსნობის კლუბებისთვის, თბილისის ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის სპორტსმენებისთვის, ა(ა)იპ "ფრენბურთის კლუბი ათენა"-ს სპორტსმენებისთვის, თბილისის ქალთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბის ვარჯიშებისთვის, კენდოს, იაიდოს და ჯოდოს ფედერაციის სპორტსმენებისთვის, თბილისის ჰოკეის ქალთა და მამაკაცთა გუნდებისთვის, ამერიკული ფეხბურთის ქალთა კლუბისთვის სპორტული დარბაზების და ღია მოედნების იჯარის დაფარვა, დაფინანსდა სახელობითი ტურნირები და სახელობით ტურნირებში თბილისელი სპორტსმენების მონაწილეობა: ჭადრაკში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, სასტენდო სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, კრივში, ფეხბურთში, აკადემიურ ნიჩბოსნობაში, თავისუფალ ჭიდაობაში და სპორტულ აკრობატიკაში; ასევე, დაფინანსდა: "თბილისის სასკოლო ლიგა 2025", "კალათბურთის სამოყვარულო ლიგა 2025" (ფინალური ეტაპი), დაბა ბაკურიანში, წყვილთა შორის მშვილდოსნობის აქტივობაში-ბაკურიანი 2025 თბილისელი შშმ პირების და ონკოსაზოგადოების წარმომადგენელი ქალების, დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და ომის ვეტერანების მონაწილეობა, წიგნის "სპორტულად" (ჯამლეტ ხუხაშვილის ბიოგრაფია) ინგლისურ ენაზე გამოცემა, შშმ და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა საფეხბურთო კლუბი "warriors"-ის ბენეფიციარების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, საქართველოს კიბერ ლიგა ევროპაბეთის თასი (ფინალური დღე), "მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა"-ში ჩართული უხუცესი თბილისელი

მწვრთნელების დაჯილდოება, თბილისის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის მომზადება (საქართველოს რეგულარული ჩემპიონატის, საქართველოს თასის, სუპერთასის და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებებში მონაწილეობისათვის), სამოყვარულო ფეხბურთის ჩემპიონატი „თბილისის ლიგა 2025“, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2025-ის თბილისის საქალაქო თამაშები კალათბურთში, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი კიბერსპორტის 5 დისციპლინაში, ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ასოციაციის (EUSA) დელეგაციის ვიზიტი თბილისში. აჭარის ღია პირველობაზე თბილისის სპორტულ ტანმოვარჯიშეთა გუნდის მონაწილეობა, 7X7 ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატები თბილისის "BETLIVE MASTER LEAGUE", "BETLIVE MASTER LEAGUE"-2, "BETLIVE MASTER LEAGUE"-3 და თბილისის მერიის თასი, საფეხბურთო კლუბი არსენალის სამწვრთნელო ბანაკი თბილისში, მინი ფეხბურთის ჩემპიონატი "ჯანსაღი ცხოვრების წესი ნარკომანიის წინააღმდეგ", პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა" ფარგლებში პარაპლანით ფრენის აქტივობაში თბილისელი შშმ პირების, სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცების, ომის ვეტერანებისა და ონკოსაზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილობა, "ურბან ფესტი 2025", საფეხბურთო ფესტივალი "ქინქლაძე გრასრუტს ქაფ ჯორჯია", სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო გალა-დაჯილდოება და პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა" ფარგლებში ფეინთბოლის, ჯომარდობის, მშვილდოსნობისა და ზიპლაინის აქტივობებში თბილისელი შშმ პირების, სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცების, ომის ვეტერანებისა და ონკოპაციენტების მონაწილეობა, რუმინეთის ქალაქ ეფორიე ნორდში, ევროპის ახალგაზრდულ საწვრთნელ ბანაკში "EAFF Junior Camp 2025"-ში თბილისის ამპუტანტთა ფეხბურთელ ბავშვთა გუნდის 2 სპორტსმენის და 2 მწვრთნელის მონაწილეობა, დაბა ურეკში, პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა" ფარგლებში "შშმ პირთა სპორტულ საზაფხულო ბანაკი - ურეკი 2025"-ში თბილისელი ბენეფიციარების მონაწილეობა, წიგნის "დიპლომატიური ნოტა, როგორც ლიტერატურული მიმართვის ნიმუში სპორტულ დიპლომატიაში" (ავტორები: ზაზა ჯაფარიძე, მაია დემეტრაძე) გამოცემა, პუბლიცისტ მამუკა

კვარაცხელიას სპორტულ-ბიოგრაფიული წიგნის "ერთადერთი" (ნარკვევები გელა კეტაშვილის ბიოგრაფიიდან) გამოცემა, "თბილისიმარათონი", სასტუმრო "ბილტმორში" ევროპის საწყლოსნო ფედერაციის კონგრესი, კუს ტბის ველოპარკის ტერიტორიაზე "Trailwatch DH Series/თრეილვოჩის დაუნჰილის სერიები (სამთო ველოშეჯიბრი სწრაფდაშვების/Downhill-ის დისციპლინაში). ასევე, „თბილისობა 2025“-ის ფარგლებში განხორციელდა სპორტული ღონისძიებები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ნარდში, მინი გოლფში და კრიობაში, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული 2025 წლის ჩემპიონატების (ელიტ-ლიგა, თბილისის ლიგა) გამარჯვებულთა დაჯილდოება, ტრენინგი სპორტულ სივრცეებში დასაქმებული მწვრთნელ-მასწავლებლებისათვის სახელწოდებით: "პოზიტიური დისციპლინა და უსაფრთხო გარემო", GSM AWARD (საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონია), ინტერის აკადემიის საფეხბურთო ბაზაზე, საფეხბურთო ფესტივალი "ნიუ ვიჟენ გრასრუტს ქაფ", საფრანგეთში, ულგატის ადაპტირებული ძიუდოს საერთაშორისო ტურნირზე "Get Together Tournament 2025" მზის შვილების სპორტსმენების მონაწილეობა და პუბლიცისტ ზურაბ თალაკვაძის სპორტულ-ბიოგრაფიული წიგნის "ამერიკული ოცნება" (ნიკოლოზ ცქიტიშვილი) ბეჭდვა;

თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 31 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, ინვენტარით და ეკიპირებით ისარგებლებს 9426 ბენეფიციარი (მათ შორის 7619 კაცი, 1807 ქალი);

მიმდინარე პერიოდში დაჯილდოვდა 2024 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის ერთი თბილისელი სპორტსმენი (კაცი). ასევე, 2025 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 202 თბილისელი სპორტსმენი (მათ შორის 161 კაცი, 41 ქალი), ხოლო საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 5 ქალთა გუნდი (80 ქალი, 4

მწვრთნელი კაცი) და 1 ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი (10 კაცი).

გარდა ამისა, ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ „წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“, ხოლო მიმდინარე პერიოდში თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად და ფულადი ჯილდოს გასაცემად დაფინანსდა: ა(ა)იპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი. ასევე, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი დაფინანსდა კომუნალური დავალიანების დასაფარად და სტრუქტურული ერთეულის - მუხიანის რაგბის კომპლექსის რაგბის კლუბი „ხვამლის“ სპორტსმენებისთვის ტრანსპორტირების მომსახურების, რაგბის ბურთების, ელასტიური სახვევების, რაგბის სათამაშო ფორმების, ეკიპირების და სადაზღვევო მომსახურების შესაძენად, ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი ვარკეთილის ფილიალისთვის ჰიგიენის საშუალებების, დასუფთავების მომსახურების, აუზების მოვლის ქიმიური საშუალებების, საკანცელარიო საქონლის, სხვადასხვა სახარჯი მასალების, ბრენდინგის, დაშვების სამაჯურების და ბარათების შესაძენად, ხოლო ა(ა)იპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი, ცენტრის შემაჯამებელი ღონისძიების ჩასატარებლად.

ამასთან, სპორტული ცენტრების საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია 7,960.9 ათასი ლარი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, მივლინების, ოფისის ხარჯების, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, რბილი ინვენტარის, ავეჯის, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის, შენობა-ნაგებობის და ავტომანქანების დაზღვევის, გადასახადების გადახდის და სხვა ხარჯებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაფინანსდა 257 პროექტი, 48 სპორტული ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა, ხოლო ინვენტარით და

ეკიპირებით ისარგებლა 7 174 ბენეფიციარმა (მ.შ. 4 933 კაცი, 2 241 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ 250-მდე სპორტული ღონისძიება, 50-მდე ორგანიზაციის ხელშეწყობა (სპორტული ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 250 პროექტი და 31 სპორტული ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაჯილდოვდა 2023 წელს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის 17 ეროვნული ფედერაციის 115 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 89 კაცი, 26 ქალი) და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის - თბილისის 4 ქალთა გუნდი (მ.შ. 66 ქალი, 9 მწვრთნელი კაცი), ხოლო 2024 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 185 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 153 კაცი, 32 ქალი) და საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის - თბილისის 5 ქალთა გუნდი (მ.შ. 91 ქალი, 16 კაცი) და 1 ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი (11 კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში საპრიზო ადგილის მფლობელი დაახლოებით 200-მდე თბილისელი სპორტსმენის და 5 გუნდის დაჯილდოება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაჯილდოვდა 2024 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის ერთი თბილისელი სპორტსმენი. ასევე, 2025 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 202 თბილისელი სპორტსმენი (მათ შორის 161 კაცი, 41 ქალი), ხოლო საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 5 ქალთა გუნდი (მათ შორის 80 ქალი, 4 მწვრთნელი კაცი) და 1 ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი (10 კაცი).

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 84325 ბენეფიციარმა (მ.შ. 58013 კაცი, 26312 ქალი) მათ შორის დასაქმებული იყო - 3552 ბენეფიციარი (მ.შ. 2255 კაცი, 1297 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროექტებში მონაწილე ქალებისა და შშმ პირების

წილის 5 %-ით ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა მიიღო 70375 ბენეფიციარმა (მ.შ. 49010 კაცი, 21365 ქალი) მათ შორის დასაქმებული იყო - 4005 ბენეფიციარი (მ.შ. 2588 კაცი, 1417 ქალი).

4.საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში აუცილებელი საჭიროებებისთვის მუდმივად ხორციელდება სამსახურს დაქვემდებარებული სპორტული ა(ა)იპ-ების (6 ორგანიზაცია) მათ შორის წყალბურთის ხელშეწყობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - (ა)იპ-ების სრულყოფილად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა, სერვისების ხელმისაწვდომობა

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 3,150.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,140.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის თვეში საშუალოდ 349 მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 48 (ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, ჭადრაკში, სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში, სპორტულ აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომებში, ბ/რ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფარიკაობაში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, ძალოსნობაში, ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომაში, მხატვრულ ცურვაში, აფროსნობაში, ძიუდოში, კრივში, ხელბურთში, სროლაში, ველოსპორტში, რაგბში, ბეისბოლსა და სოფტბოლში, ჩოგბურთში, სამბოში, ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, კარატეში, თანამედროვე ხუთჭიდში, ფუტსალში, ბალახის ჰოკეიში, ფრისბიში, უშუში, ბადმინტონში, პარალიმპიურ

სპორტში - პარაწოლჭიმში, მკლავჭიდში, ხრიდოლში, კიოკუშინკაი კარატეში, ფეხბურთში, პანკრატიონში, ტაეკვონდოში, ამერიკულ ფეხბურთში, კიკბოქსინგში და ამპუტანტთა ფეხბურთში, შერეულ საბრძოლო ხელოვნებებში) სახეობაში[31] ავარჯიშებენ მოზარდებს.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	კაცი
იანვარი	348	70	278
თებერვალი	347	70	277
მარტი	349	70	279
აპრილი	348	70	278
მაისი	348	70	278
ივნისი	350	70	280
ივლისი	350	70	280
აგვისტო	350	70	280
სექტემბერი	350	70	280
ოქტომბერი	349	70	279
ნოემბერი	349	70	279
დეკემბერი	349	70	279

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს 49 სპორტულ სახეობაში მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული საშუალოდ თვეში 347 მწვრთნელ–მასწავლებელი (მ.შ. 277 კაცი, 70 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - 49 სპორტულ სახეობაში მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 350 მწვრთნელ–მასწავლებელი მათ შორის 83% კაცი და 17% ქალი.

მიღწეული მაჩვენებელი - 49 სპორტულ სახეობაში მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული თვეში საშუალოდ 349 მწვრთნელ–მასწავლებელი (მ.შ. 80% კაცი, 20% ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ

[31] მიმდინარე წლის მესამე კვარტლიდან მწვრთნელ მასწავლებლები სპორტული სახეობებით (სპორტული ცოცვა და პარა ცურვის) აღარ სარგებლობენ, ხოლო ბეიზბოლი და სოფტბოლი ცალკე-ცალკე სახეობად არის ნაჩვენები

განსხვავებებზე - წლის განმავლობაში ფედერაციების მოთხოვნის შესაბამისად ხდება მწვრთნელების პროგრამიდან ამორიცხვა ან/და ჩანაცვლება.

08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 8,140.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,349.6 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 78%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდებისთვის შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა და არსებულის შენარჩუნება, ქუჩის სპორტის განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა ჩოლოყაშვილის ქუჩის მიმდებარედ (ს/კ: 01.17.14.003.239) ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების სამშენებლო/ სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო მიმდინარეობს ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედნების სამშენებლო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოეწყო 2 სკეიტ-მოედანი, 3 პადელის მოედანი და 1 ფეხბურთის მოედანი, დაიწყო ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა (მოედნები და სკეიტ-პარკი), გრძელდება ვარკეთილში მდებარე მულტიფუნქციური ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედნების მშენებლობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სპორტული ცენტრები.

2025 წლის გეგმა - 12,720.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,573.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,216.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 51.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ავეჯით და სპორტული ინვენტარით აღჭურვა, ხოლო გრძელდება ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, აეროპორტის დასახლება კორპუსი N9-ის (ს/კ 01.19.25.009.089) მიმდებარედ სპორტული დარბაზის მშენებლობის და ა(ა)იპ მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება;

დაფინანსდა ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ლილოს სპორტული ბაზის და ჩოგბურთის კორტების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები; ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის დიდი დიღმისა და ვარკეთილის ფილიალების შენობების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ვარკეთილის სტრუქტურული ერთეულისთვის ტანსაცმლის შესანახი კარადების ელექტრონული საკეტების შესყიდვა, დიდი დიღმის ფილიალში საშხაპეების მოწყობა და კარების მონტაჟი, ვარკეთილის ფილიალისთვის სხვადასხვა დანიშნულების ინვენტარის და მომსახურების შესყიდვა; ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულის გლდანის სპორტული კომპლექსისთვის საშხაპე პანელების, გამოსაცვლელი სივრცის კარადების,

კარადის RFID-საკეტების, RFID-პროგრამატორის და სტრუქტურული ერთეულის ნაძალადევის სპორტული კომპლექსისთვის შხაპის თავების, კარადის RFID-საკეტების, RFID - პროგრამატორის შესყიდვა; ა(ა)იპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულის მედეა ჯუღელის N1-ში მდებარე ტანვარჯიშის სპორტული ცენტრის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები და ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე სტრუქტურული ერთეულის ტერიტორიაზე გასახდელის და სველი წერტილების სენდვიჩ პანელით მოწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დასრულდა ორი სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება ორი სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

მიღწეული მაჩვენებელი - გრძელდება ორი სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს გრძელდება 3 სპორტული კომპლექსის (მათ შორის 2 მულტიფუნქციური ცენტრი) სამშენებლო სამუშაოები, ხოლო დასრულდა 4 ობიექტის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 2 სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები და 5 სპორტული ობიექტის სარემონტო სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - გრძელდება ერთი სპორტული კომპლექსის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, ხოლო დასრულდა 3 ობიექტის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვერ დასრულდა ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისად სარემონტო სამუშაოების დასრულდება 2026 წლისთვის

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესდა 12 სპორტულ კომპლექსში/ობიექტში (მათ შორის აღიჭურვა 5 სპორტული ობიექტი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 6 სპორტულ კომპლექსში/ობიექტში (მათ შორის ერთი სპორტული ობიექტის აღჭურვა).

მიღწეული მაჩვენებელი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 4 სპორტულ კომპლექსში/ობიექტში (მათ შორის ერთი სპორტული ობიექტის აღჭურვა).

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - კომპანიების მიერ 2025 წლის გეგმის შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია.

08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 429.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 406.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტის 31 (ფარიკაობა, ფრენბურთი, ბეისბოლი და სოფტბოლი, წყალში ხტომა, ძალოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომები, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ბ/რ ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, ცურვა, მხატვრული ცურვა, ნიჩბოსნობა, რაგბი, თანამედროვე ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, სპორტული ცოცვა, ჩოგბურთი, უშუ, ტაეკვონდო, კიოკუშინკაი კარატე, ხელბურთი, სროლა, კარატე

და ბადმინტონი) სახეობაში[32] 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული თვეში საშუალოდ 248 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

თვეები	სულ	მათ შორის	
		გოგო	ბიჭი
იანვარი	243	101	142
თებერვალი	243	101	142
მარტი	247	104	143
აპრილი	249	103	146
მაისი	253	108	145
ივნისი	252	110	142
ივლისი	249	108	141
აგვისტო	246	108	138
სექტემბერი	247	107	140
ოქტომბერი	246	109	137
ნოემბერი	242	108	134
დეკემბერი	239	107	132

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩართული თვეში საშუალოდ 241 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი (მ.შ.146 ვაჟი, 95 გოგონა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - 32 სახეობაში ჩართული და წახალისებული 260 სპორტსმენი ბავშვი მათ შორის 60% ვაჟი და 40% გოგონა.

მიღწეული მაჩვენებელი - 31 სახეობაში ჩართული და წახალისებული თვეში საშუალოდ 246 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი (მ.შ.57% ვაჟი, 43% გოგონა).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წლის განმავლობაში ფედერაციების მიერ ნაკლები მომართვიანობა.

08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის

[32] მიმდინარე წლის მესამე კვარტლიდან წარმატებული სპორტსმენი ბავშვები კინგბოქსინგში და ველოსპორტით აღარ სარგებლობენ, ხოლო დაემატა კარატეში ჩართული ბავშვები და მოზარდები.

განვითარების ცენტრი

2025 წლის გეგმა - 1,827.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,809.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა პარასპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 37.0 ათასი ლარი). ცენტრში მიმდინარეობდა ინტენსიური საწვრთნელი–სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც ჩართულია თვეში საშუალოდ 284 პარასპორტსმენი და 20 მწვრთნელი.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	მამაკაცი
იანვარი	267	46	221
თებერვალი	277	46	231
მარტი	280	46	234
აპრილი	280	45	235
მაისი	280	45	235
ივნისი	280	47	236
ივლისი	288	44	244
აგვისტო	292	45	247
სექტემბერი	292	45	247
ოქტომბერი	296	46	250
ნოემბერი	285	43	242
დეკემბერი	285	43	242

ცენტრში ვითარდება 14 პარასპორტული სახეობა: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარა მკლავჭიდი, პარა მშვილდოსნობა, პარა მაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, მჯდომარე ფრენბურთი, პარაძიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, აუტისტური სპექტრის

მქონე მოზარდების ფეხბურთი, პარატაეკვონდო და გოლბოლი. ასევე, ცენტრში ფუნქციონირებს ფიტნეს გამაჯანსაღებელი სექცია და ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში 10 საერთაშორიშო შეჯიბრებაში (პარაფარიკაობა, პარაძიუდო) მონაწილეობა მიღებული აქვს 24 პარასპორტმენს, მათ შორის ქალი - 10, კაცი - 14.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს პარაცენტრში 13 პარასპორტულ სახეობაში მიმდინარეობდა საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც ჩართული იყო თვეში საშუალოდ 240 პარასპორტსმენი (მათ შორის 202 მამაკაცი და 38 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება (მათ შორის არანაკლებ 13 პარასპორტული სახეობა და 280 პარასპორტსმენი).

მიღწეული მაჩვენებელი - 14 პარასპორტული სახეობა, რომელშიც ჩართულია თვეში საშუალოდ 284 პარასპორტსმენი (მათ შორის 239 მამაკაცი და 45 ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აღსანიშნავია, რომ 2025 წელს ცენტრში დაემატა ერთი სპორტული სახეობა - გოლბოლი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს 11 საერთაშორისო შეჯიბრებაში/ტურნირში/ შეკრებაში მონაწილეობა მიიღო 27 პარასპორტსმენმა (მათ შორის 19 მამაკაცი და 8 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - 2025 წელს 10 საერთაშორისო შეჯიბრებაში/ტურნირში/ შეკრებაში მონაწილეობა მიიღო 24 პარასპორტსმენმა (მათ შორის 14 მამაკაცი და 10 ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წლის განმავლობაში ერთ სახეობაში ტარდება რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრი, შესაბამისად ერთი და იგივე სპორტსმენი შესაძლებელია რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრში/ტურნირში/შეკრებაში მონაწილეობდეს.

08 06 07 სპორტი უფროსი თაობისთვის

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი

2025 წლის გეგმა - 400.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 381.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის უსასყიდლოდ სპორტული სერვისებით სარგებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის ორ სტრუქტურულ ერთეულში (გლდანის სპორტულ კომპლექსში და ნაძალადევის სპორტულ კომპლექსში), ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამ სტრუქტურულ ერთეულში (დიდი დიღმის კომპლექსში, ვარკეთილის კომპლექსში და ასათიანის ქუჩაზე მდებარე სპორტულ კომპლექსში) და კერძო სპორტულ ცენტრებში - სპორტკომპლექსში „არენა“, შპს „გიომირი+სპორტ-ტაიმში“, შპს „პაუერ მაქსში“ და შპს „პრემიუმ ფიტნესში“ საცურაო აუზებით და ფიტნესით სარგებლობისათვის სამსახურში წარმოდგენილი შესრულებები ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში დაფარულია 2024 წლის დეკემბრის თვის (596 ბენეფიციარი (მათ შორის ქალი - 385, კაცი - 211)) მომსახურების ხარჯები, ხოლო დეკემბრის შესრულება წარმოდგენილი იქნება 2026 წლის იანვარში.[33]

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	მამაკაცი
იანვარი	571	379	192
თებერვალი	625	373	252
მარტი	711	449	262

[33] აგვისტოში გლდანის საცურაო აუზი და ნაძალადევის საცურაო აუზი, ასევე ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის ორივე სტრუქტურული ერთეული დახურული იყო, შესაბამისად ნაკლები იყო ბენეფიციართა რაოდენობა.

აპრილი	544	349	195
მაისი	741	471	270
ივნისი	816	508	308
ივლისი	615	394	221
აგვისტო	325	202	123
სექტემბერი	869	513	356
ოქტომბერი	845	535	310
ნოემბერი	997	620	377
დეკემბერი	920	552	368

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ყოველთვიურად სპორტული სერვისით მოსარგებლე საშუალოდ 477 ბენეფიციარი (მათ შორის 304 ქალი, 173 კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 700 ბენეფიციარამდე

მიღწეული მაჩვენებელი - ყოველთვიურად სპორტული სერვისით მოსარგებლე საშუალოდ 715 ბენეფიციარი (მათ შორის 445 ქალი, 270 კაცი).

08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია 4,090.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7,018.4 ათასი ლარის 58.3%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

2025 წლის გეგმა - 2,563.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,411.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების ხელშეწყობა (მათ შორის სამეწარმეო და სტარტაპ საპროექტო იდეების დაფინანსება), ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა სარეკრეაციო, გართობის, დასვენების და მასობრივ ახალგაზრდულ ღონისძიებებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 1,913.2 ათასი ლარით დაფინანსდა სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ

დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები, მათ შორის: ა(ა)იპ „სიცილის ლიგას“ პროექტი - „ქართული ლიგა“, რომელიც ჩატარდა ქ. ამბროლაურში, 2025 წლის 31 იანვრიდან 2025 წლის 2 თებერვლის ჩათვლით, სადაც მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ქალაქების, რეგიონებისა და უმაღლეს სასწავლებელთა გუნდები (ახალგაზრდული გუნდი დაკომპლექტებული იყო 6 მონაწილისგან, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს ფესტივალის ღონისძიებათა ფარგლებში); ა(ა)იპ „ახალგაზრდები მშვიდობისა და თანასწორობისათვის“ პროექტი - „ახალგაზრდული ორგანიზაციების მენეჯმენტის სკოლა - ნაკადი III”, რომელიც განხორციელდა ორ ნაკადად, პირველი ნაკადი აერთიანებდა 20 სტუდენტ ახალგაზრდას (ახალგაზრდები 2025 წლის 17 თებერვლიდან 19 თებერვლამდე იმყოფებოდნენ დაბა ბაკურიანში), ხოლო მეორე ნაკადი მოეწყო 2025 წლის 19 თებერვლიდან 21 თებერვლის ჩათვლით 75 ახალგაზრდის მონაწილეობით; ა(ა)იპ „მზისფერი სამყაროს“ პროექტი - „დედის დღეს მიძღვნილი ახალგაზრდული ღონისძიები”, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდების მიერ შესრულებული პერფორმანსის დიდი აუდიტორიისთვის ჩვენება და ნიჭიერი მოზარდების გამოვლენა; ა(ა)იპ „ბავშვი და გარემოს“ პროექტი - „არაფორმალური საგანმანათლებლო - კულტურული და საინტეგრაციო ღონისძიებები ა/ო „ბავშვი და გარემოს“ 2 სამსახურის მოსარგებლე ბავშვებისთვის“, პროექტის ფარგლებში ჩატარდება არაფორმალური კულტურულ-საგანმანათლებლო და საინტეგრაციო ღონისძიებები, რომლის ბენეფიციარები არიან სიღარიბის პროგრამაში ჩართული ოჯახების ბავშვების დღის ცენტრ „ცისარტყელას“ 21 (6-17 წლის) აღსაზრდელი, შშმ ბავშვების დღის ცენტრ „იმედის“ 67 აღსაზრდელები (6-14 წლის შშმ ბავშვები), მათი ოჯახის წევრები (პროექტის ხანგრძლივობა: 01.04.2025წ – 31.12.2025წ); ა(ა)იპ „საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ პროექტი - „საბავშვო და ახალგაზრდული თეატრის საერთაშორისო ფესტივალი „თაობა“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართული, ასევე უცხოური საბავშვო და ახალგაზრდული თეატრალური კოლექტივები (სულ დაახლოებით 40-45 მდე მონაწილე 4-ზე მეტი ქვეყნიდან. ყველა მონაწილე შეირჩევა გამოგზავნილი მასალის საფუძველზე/

ვიდეო, ფოტო მასალა, რაიდერები. მონაწილეების ასაკი მერყეობს 10 - დან 60 წლამდე სპექტაკლის სპეციფიკიდან გამომდინარე); ა(ა)იპ „თავისუფალი ცნობიერება“ პროექტი - „მოზარდ მოაზროვნეთა კლუბი”, რომლის ფარგლებში ფარგლებში შეირჩა 13-დან 18-წლამდე 50 მოზარდი/ახალგაზრდა (პროექტი გრძელდება 6 თვე); ა(ა)იპ „ფოსტერქ.თ“ პროექტი - „პიარის საფუძვლები“ და „გაყიდვები და სწორი კომუნიკაცია“, პროექტის გზით მიმდინარეობს 20 თბილისში რეგისტრირებული ახალგაზრდის გადამზადება შემდგომ კურსებზე (მოიცავს ორ და სამთვიან სასწავლო პროგრამას): პიარის საფუძვლები (10 ბენეფიციარი) და გაყიდვები და სწორი კომუნიკაცია (10 ბენეფიციარი); ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი - „საქართველოს წარმომადგენელთა ვიზიტი ევროპის სტუდენტური გაერთიანების საბჭო 89-ე შეხვედრაზე“, ბოსნია და ჰერცეგოვინაში, ქალაქ ბანჯა ლუკაში, გაიმართა ევროპის სტუდენტური გაერთიანების საბჭოს 89-ე შეხვედრა, სადაც საქართველოს წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა; ა(ა)იპ „მომავლის ლიგის“ პროექტი - „კლიენტთა ქცევა და ეფექტური სერვისი“, რომლის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი (ოთხდღიანი), რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებისთვის კლიენტთან კომუნიკაციის, ემპათიისა და სერვისის ხარისხის გაუმჯობესებას; ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი - „საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2025“-ის დახურვის ღონისძიების ორგანიზება და მონაწილეთა დაჯილდოება”, პროექტის ფარგლებში 2025 წლის მაისიდან - სექტემბრის ჩათვლით, ყოველწლიური „საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2025“ ტარდება, რომელშიც ჩაერთო ყველა ავტორიზებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულების 30 000-ზე მეტი სტუდენტი, დასკვნით ღონისძიებას დაესწრო დაახლოებით 5 000 სტუდენტი; ა(ა)იპ „ახალგაზრდა ექსპერტთა კლუბის“ პროექტი - „საჯომარდო ბანაკი 2025“, პროექტის ფარგლებში 20 მაისიდან - 20 ივნისის ჩათვლით, დაბა ფასანაურში მდინარე არაგვის ტერიტორიაზე, მოეწყო 20 საჯომარდო ტური, ტურის ხანგრძლივობა იყო 1 დღე. თითოეულ ტურზე გაემგზავრა 100 ახალგაზრდა, რომლებსაც გამოცდილი ინსტრუქტორები საჯომარდო დაშვებამდე უტარებდნენ

ინსტრუქტაჟს. პროექტში სულ 2 000-მდე ახალგაზრდა ჩაერთო; ა(ა)იპ „ფონდი სოლიდარობა განათლებისთვის" პროექტი - „ახალგაზრდობა ნარკოტიკების გარეშე", რომელიც ჩატარდა ქუთაისში და მიზნად ისახავდა ნარკოტიკების მოხმარების პრევენციას ახალგაზრდებში, პროექტის ფარგლებში თბილისში მცხოვრები 50 ახალგაზრდა ჩაერთო 2-დღიან ტრენინგში, რომელსაც ატარებდა ექიმი-ფსიქიატრი; ა(ა)იპ „ახალგაზრდა ექსპერტთა კლუბის" პროექტი - „ზაფხულის მოხალისეობრივი ბანაკი 2025 ქობულეთში", პროექტი ჩატარდა 22-25 ივნისის პერიოდში, ქალაქ ქობულეთში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18-29 წლის თბილისში რეგისტრირებულმა ახალგაზრდებმა (65 ახალგაზრდა); ა(ა)იპ „ინოვაციების ასოციაციის" პროექტი - „ზაფხულის STEAM ბანაკი", მოსწავლეებმა ხუთი დღის განმავლობაში ბაკურიანში შეისწავლეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მოთხოვნადი სფერო - STEAM სფერო, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რობოტიკის მიმართულებას (პროექტის ბენეფიციარები: 25 მოსწავლე (13-18 ასაკობრივი ჯგუფი)); ა(ა)იპ „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების" პროექტი - „ახალგაზრდების ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში", პროექტის ფარგლებში მოეწყო გასვლითი სამუშაო შეხვედრა დედაქალაქის მასშტაბით მოქმედი უნივერსიტეტების სტუდენტების და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობით (პროექტში მონაწილე 60 ახალგაზრდა); ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი ჩემი სახლის" პროექტი - „მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბავშვების დასვენება სურამში", პროექტის ფარგლებში, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარები, 14 დღის განმავლობაში, დაბა სურამში არსებულ საოჯახო სასტუმროში და ჩაერთვებიან სხვადასხვა გასვლით ღონისძიებაში, მონაწილეობას მიიღებენ საინტერესო პროექტებში (პროექტში მონაწილე მცირე საოჯახო ტიპის სახლის 10 აღსაზრდელი ბავშვი (12-დან 18 წლამდე); ა(ა)იპ „სილიკონ ველი თბილისის" პროექტი - „AI წიგნიერების ბანაკი 2.0", პროექტის მთავარ ფოკუსს წარმოადგენს საბაზისო ცოდნის მქონე მოსწავლეთა ხელოვნური ინტელექტის ძირითადი პრინციპების შესახებ ცოდნით აღჭურვა, მათ შორის აპლიკაციების და ეთიკური დილემების გაცნობა და ამ თემების ირგვლივ სიღრმისეული ცოდნის

გაზიარება (15-18 წლის ასაკის, ჯამში 30 მონაწილის გადამზადება); ა(ა)იპ „საზოგადოებრივი აზრის“ პროექტი - „თანასწორთა განათლება საზოგადოების ჯანმრთელობისთვის“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 70-მა მონაწილემ თბილისიდან; ა(ა)იპ „ლაშქრობას“ პროექტი - „თბილისის გარშემო 2025“, პროექტის ფარგლებში განხორციელდება 5 ორდღიანი და 4 ერთდღიანი საველე-სალაშქრო ბანაკი მოხალისე-მსურველებისათვის, რომელშიც მონაწილეობას იღებს 225 თბილისში მცხოვრები ახალგაზრდა; ა(ა)იპ „კულტურული და შემეცნებითი ჰაბის“ პროექტი - „საზაფხულო ბანაკი 2025“, პროექტის ფარგლებში ქობულეთში მოეწყო თბილისის უნივერსიტეტების სტუდენტებისთვის საზაფხულო ბანაკი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის მასშტაბით მოქმედმა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების 60-მა აქტიურმა და წარმატებულმა სტუდენტმა; ა(ა)იპ „გარისას“ პროექტი - „გარისობა 2025“, ივნისის და ივლისის თვეებში, ჩატარდა 2 და 3-დღიანი ლაშქრობები საქართველოს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიასა და ნაკრძალში, ალგეთის ეროვნულ პარკში და ჯავახეთის დაცულ ტერიტოიებზე, ლაშქრობებში მონაწილეობა მიიღეს 14-დან 21-წლამდე 120 მოზარდმა და ახალგაზრდამ, რომლებიც შეირჩნენ საიტზე youthtbilisi.ge რეგისტრაციის საფუძველზე, ასევე გარისას სკოლის სარეგისტრაციო ფორმებიდან (პროექტში ჩაერთო 5 ინსტრუქტორი და 4 დამხმარე ინსტრუქტორი); ა(ა)იპ „კავკასიის კულტურულ-შემოქმედებითი კავშირის” პროექტი - „ახალგაზრდული განათლებისა და კულტურული ჩართულობის ხელშეწყობა თბილისში“, პროექტის ფარგლებში ჩატარდა 16 საჯარო ლექცია-დისკუსია, გამოფენა ეროვნულ ბიბლიოთეკაში და ექსკურსია საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში (პროექტის ბენეფიციარები: თბილისში მცხოვრები 120 მოსწავლე); ა(ა)იპ „თბილისი სტარტაპ ბიუროს“ პროექტი - „Global Tech Weekend Tbilisi 2025: Shapin the New Era“, 3-დღიანი ტექნოლოგიური ფესტივალი, რომელიც მიზნად ისახავდა ქალაქის პოზიციონირებას კავკასიისა და ცენტრალური აზიის წამყვან ტექნოლოგიურ ჰაბად. ღონისძიებამ გააერთიანა 20-ზე მეტი პარალელური ღონისძიება, 10,000-ზე მეტი სტუმარი და მთავარი კონფერენცია Shaping the New Era, რომელიც 21 ივნისს Radio City-ში ჩატარდა. კონფერენცია ფარავდა ისეთ

ვერტიკალებს, როგორიც იყო ხელოვნური ინტელექტი, Web3, ჯანდაცვა, გეიმინგი, აგრიტექი, ფინტექი; ა(ა)იპ „ედუ ლაბი ჯეორჯიას " პროექტი - „აღმოაჩინე შენი გზა" ერთთვიანი საზაფხულო სკოლა 13-17 წლის მოზარდებისთვის, რომლის მიზანია სხვადასხვა მომავლის პროფესიის გაცნობა ინტერაქტიული ვორქშოფებით, სტუმარი სპიკერების შეხვედრებით და მცირე პრაქტიკული პროექტებით; ა(ა)იპ „კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდი დღეს" პროექტი - „ხელოვნების ახალგაზრდული საერთაშორისო არტ-ბანაკი", რომელიც გაიმართა 25 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით, რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის პარალელურად. ბანაკში მონაწილეობისათვის შეირჩნენ ახალგაზრდა ხელოვანები, რომლებმაც უცხოელ კოლეგებთან (პოლონეთი, რუმინეთი) ერთად იმუშავეს და აიმაღლეს ცოდნა და გაიღრმავეს შემოქმედები უნარები. ბანაკში 7 დღის მანძილზე ყოველდღიურად ტარდებოდა მასტერკლასები და ვორქშოპები, თეორიული კურსები და პრაქტიკული მეცადინეობები, რომლებსაც უძღვებოდნენ დარგის გამოცდილი პედაგოგები და მასტერები; ა(ა)იპ „ალუბლის ბაღის" პროექტი - "გ. ყანჩელის სახ. თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის კონცერტი Young Euro Classic-ზე, ბერლინი", რომლის ფარგლებში თბილისის ახალგაზრდული ორკესტრი მიწვეული იყო გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, ახალგაზრდული ორკესტრების 26-ე საერთაშორისო ფესტივალზე Young Euro Classic. ფესტივალს ყოველწლიურად 25 000 მსმენელი სტუმრობს (პროექტის განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა - 46); ა(ა)იპ „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების" პროექტი - „სტუდენტური თვითმმართველობების განვითარების ფორუმი", პროექტი მიზნად ისახავდა სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნებასა და სტუდენტური თვითმმართველობების როლის გაძლიერებას უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, პროექტი 28-30 ივლისს გაიმართა და მასში მონაწილეობა მიიღო 35-მა ახალგაზრდამ თბილისში ავტორიზებული უნივერსიტეტებიდან; ა(ა)იპ „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის" პროექტი - „ინკლუზიური სათავგადასავლო ბანაკი „მე კარგად, შენ?!" დმანისში", 1 აგვისტოდან - 10 აგვისტოს ჩათვლით ინკლუზიური ბანაკი განხორციელდა დმანისში, სადაც მონაწილეობას იღებდა 25 ბენეფიციარი;

ა(ა)იპ „თბილისის კიბერსპორტის ფედერაციის“ პროექტი - „კიბერსპორტული ბანაკი“, პროექტი წარმოადგენდა საზაფხულო სკოლას, რომელმაც ერთად მოუყარა თავი ელექტრონული სპორტით დაინტერესებულ ადამიანებს; ა(ა)იპ „სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაციის“ პროექტი - „ახალგაზრდული სამეცნიერო კონფერენცია „ხელოვნური ინტელექტის როლი თანამედროვე მედიცინაში“, კონფერენცია აერთიანებს 18-29 წლის ახალგაზრდა მკვლევრებს, მათ შორის სტუდენტებსა და მედიკოსებს; ა(ა)იპ „ახალგაზრდა ექსპერტთა კლუბის” პროექტი - „ახალგაზრდების გასვლითი სამუშაო შეხვედრა ქობულეთში”, სადაც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და აქტიური ახალგაზრდული საექსპერტო საქმიანობით დაკავებულმა ახალგაზრდებმა (ჯამში 90-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა); ა(ა)იპ „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ პროექტი - „ზაფხულის ახალგაზრდული ბანაკი 2025“, ჩატარდა გასვლითი ღონისძიება ქობულეთში, რომლის ფარგლებშიც მოეწყო ახალგაზრდული გასართობი და რეკრეაციული ბანაკი დედაქალაქის მასშტაბით მოქმედი უნივერსიტეტების სტუდენტების და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩართულობით (პროექტში ჩაერთო 18-29 წლის 80 ახალგაზრდა); ა(ა)იპ „ბუგი აკადემიას” პროექტი - „ინგლისური ენის ტრენინგ მოდული ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის“, რომელიც მიზნად ისახავს თბილისში მცხოვრები 14-18 წლის სპორტსმენებისთვის ინგლისური ენის პრაქტიკული, სასაუბრო უნარების განვითარებას (20 მონაწილე სპორტსმენი); ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი - "საქართველოს წარმომადგენელთა ვიზიტი ევროპის სტუდენტური გაერთიანების ევროპელი სტუდენტების 50-ე კონვენცია“; ა(ა)იპ „თბილისი სტარტაპ ბიუროს“ პროექტი - „NASA Space Apps Challenge საერთაშორისო ჰაკათონი“, რომელიც 200-ზე მეტ ლოკაციაზე ერთდროულად ტარდება ორი დღის განმავლობაში და აერთიანებს ახალგაზრდა პროგრამისტებს, მკვლევარებს, დიზაინერებს, მშენებლებს, ტექნოლოგებსა და შემოქმედებით ადამიანებს (ჯამში მონაწილეობა მიიღო 80-100 ახალგაზრდამ); ა(ა)იპ „საქართველოს კულტურის ცენტრის“ პროექტი - „FOOD & WINE FESTIVAL TBILISI“, რომელიც გაიმართა

მთაწმინდის პარკში; ა(ა)იპ „გამოღვიძება 2024-ს“ პროექტი - „შემოდგომის სპორტულ - თერაპიული ბანაკი“, რომელიც მოეწყო ამბროლაურის რაიონში; ა(ა)იპ „კულტურისა და განათლების ფონდის“ პროექტი - „საერთაშორისო ახალგარდული კინოფესტივალი „თაობა 2025“, რომლის ფარგლებშიც ყოველდღიურად 300-მდე ახალგაზრდამ, როგორც ჟიურის წევრმა, ნახა სპეციალურად მათთვის შერჩეული ფილმები, მონაწილეობა მიიღო მოდერირებულ დისკუსიებსა და შემოქმედებით ჯგუფებთან შეხვედრებში, დაესწრო სფეროს პროფესიონალების ლექციებს და გამოავლინა გამარჯვებული ფილმები; ა(ა)იპ „სითი მიურალ არტის” პროექტები - “ჩოლოყაშვილის ქუჩის მიმდებარედ ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ფასადის კედლების მოხატვა და ოთარ ლორთქიფანიძის ქუჩა N28, სკვერში არსებული სტადიონის კედლების მოხატვა; ა(ა)იპ „ნანინა არტის“ (ს/კ 405809585) პროექტი - „ა(ა)იპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის“ ფილიალის ფასადის კედლის (მის: ქ. თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის ქუჩა, N1) მოხატვა“; ა(ა)იპ „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის“ პროექტი - „ახალგაზრდულ სტუდენტურ-თეატრთა თბილისის საერთაშორისო ფესტივალი „ნიღაბი 2025“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 უმაღლესმა სასწავლებელმა, მათ შორის საქართველოდან 6-მა და უცხოეთიდან 2 უმაღლესმა სასწავლებლის თეატრალურმა დასმა (ბულგარეთი, სომხეთი). პირდაპირი ბენეფიციართა რიცხვი - 180 სტუდენტი; ა(ა)იპ „ახალგაზრდების წინსვლაზე ორიენტირებული თბილისის კომპიუტერული სპორტის ფედერაციის“ პროექტი - „თბილისის გეიმინგ ფესტივალი 2025“; ა(ა)იპ „კულტურული და შემეცნებითი ჰაბის“ პროექტი - „მოხალისეობის აკადემია – ბაკურიანი 2025“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 18-29 წლის მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებულმა 60-მა ახალგაზრდამ; ა(ა)იპ „ახალი თაობის კავშირის“ პროექტი -„ბარბაროსობის სახალხო დღესასწაული“, ისნის რაიონში მცხოვრები ახალგაზრდები ყოველწლიურად, 17 დეკემბერს წმ. ბარბარეს დღეს, გრანდიოზულად აღნიშნავენ, პროექტის ფარგლებში ტრადიციულ საბავშვო და კულინარულ აქტივობებთან ერთად, გაიმართა გრანდიოზული კონცერტი, საპატიო უბნელების

დაჯილდოვების ტრადიციული ცერემონია, მოეწყო ბავშვთა გასართობი 20-მდე სივრცე და გაიმართა სხვადასხვა სპორტული აქტივობები და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ინტელექტუალური საკუთრებისა და განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურსა და სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს“ (ს/ნ 203831363) შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი სასტუმრო „სვისსოტელ თბილისში” მოწყობილ საკონფერენციო დარბაზში;

გარდა ამისა, დაფინანსდა ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი – 497.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გრძელდება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა (130 მოსწავლე) და მათი მასწავლებლების (60 მასწავლებელი) წახალისების მიზნით) დაფინანსება, მიმდინარე პერიოდში სახლის მიერ გაწეული კომუნალური, დასუფთავების, ინტერნეტმომსახურების, თანამშრომელთა ფულადი ჯილდოს, ვაკის ფილილისათვის შენობის იჯარის ხარჯების, მოსწავლეთა ტრანსპორტირების, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების (სოციალური მედიის და შემოქმედებითი პროექტების კოორდინატორები) შრომის ანაზღაურება, აუდიო ვიდეო აპარატურის შეძენის, ტრანსპორტის დაქირავების, სამგორის ფილიალში სპორტულ და ცეკვის დარბაზებში ტანსაცმლის საკიდების შეძენა/მონტაჟი, ხოლო სახლის საკუთარი სახსრებიდან გაწეულია - 1,620.5 ათასი ლარი, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ოფისის და სხვა ხარჯებისათვის; მცირე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა გლდანის, ნაძალადევის, დიდუბის, ჩუღურეთის, ძველი თბილისის, ვაკის, ისნის და სამგორის ფილიალებში, ახალი ინტერნეტქსელი მოეწყო და გარეპერიმეტრზე ვიდეო კამერები დამონტაჟდა სამგორის ფილიალში, ხოლო საჭადრაკო ინვენტარი შეძენილი იქნა გლდანის, დიდუბის, ვაკის, საბურთალოს, ისნისა და სამგორის ფილიალებისათვის. ამასთან, ბენეფიციართა შემოქმედებითი უნარების გამოვლენისა და მათი ინტერესების რეალიზაციისთვის

ჩატარდა საგანმანათლებლო, შემეცნებით - განმავითარებელი, შემოქმედებითი და სპორტული შინაარსის ღონისძიებები და აქტივობები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს დაფინანსებული 76 პროექტი, საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებში და მასობრივ ღონისძიებებში მონაწილე 30000-ზე მეტი ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებული 79 პროექტი (მათ შორის 12 პროექტი განხორციელდება 2026 წლის პირველ კავრტალში), საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებში და მასობრივ ღონისძიებებში 30000-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - დაინერგა მრავალფეროვანი პროგრამები და სერვისები, რეკრეაციის, გართობის და დასვენების მიმართულების ღონისძიებებში (ბანაკებსა და ლაშქრობებში) წლის განმავლობაში საშუალოდ ჩართული 10000-ზე მეტი ახალგაზრდა

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) სერვისებით (42 დასახელების წრესა და სტუდიაში) მოსარგებლე 3500 -ზე მეტი ახალგაზრდა (მათ შორის 1740 სოციალურად დაუცველი და 130 წარმატებული მოსწავლე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) სერვისებით (42 დასახელების წრესა და სტუდიაში) მოსარგებლე 3600 -ზე მეტი ახალგაზრდა (მათ შორის 1740 სოციალურად დაუცველი და 130 წარმატებული მოსწავლე).

08 08 02 თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და

ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი

2025 წლის გეგმა - 4,455.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,679.3 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 496.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 37.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში სპორტული და ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირება/სერვისების ხელმისაწვდომობა; ახალგაზრდებისთვის პროგრამის "მერიასთან ერთად" ფარგლებში სერვისებზე (ტრენინგ-ცენტრი, სპორტული ინვენტარი და ეკიპირება, ტრანსპორტი და ა.შ.) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მასობრივი ღონისძიებების, ახალგაზრდული ბანაკებისა და სკოლების ჩატარება, მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა; ახალი ვებ-გვერდების Youthtbilisi.ge და eurodesk.ge, ევროპის ახალგაზრდული ბარათის (youth card) გამართული ფუნქციონირება და ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის (ახალგაზრდული და სპორტული ფილიალები) ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,077.3 ათასი ლარი). ასევე, ცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

ელექტრონული პლატფორმა youthtbilisi.ge - ვებ-საიტი ემსახურება ცენტრის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ცენტრის ხილვადობისა და მის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. მიმდინარე პერიოდში განხორციელდა საიტის პოპულარიზაცია, ახალი ფუნქციონალების დამატება და ახალი პარტნიორების ჩართვა. საიტზე რეგისტრირებულია 28 ორგანიზაცია, 84 პროექტი და 3405 მოხალისე;

საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ევროპული ახალგაზრდული ბარათის (EYCA) პროგრამის განვითარებისათვის გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები პროგრამის ცენტრალურ პარტნიორთან – კომერციულ

ბანკთან ურთიერთობის გაღრმავების მიმართულებით; დასრულდა თანამშრომლობის მემორანდუმის ტექსტზე მუშაობა და შეთანხმდა მემორანდუმის გაფორმების საკითხები, რაც პროგრამის სტრატეგიული განვითარებისთვის საფუძვლად დაედება მომავალ კო-ბრენდ პროდუქტს; შეიქმნა და შეთანხმდა ტექნიკური დავალება, რომელიც პარტნიორ ბანკთან ელექტრონული ინტეგრაციისთვის საჭირო ცვლილებებს განსაზღვრავს; საქართველოში გაიცა საპილოტე რეჟიმში პირველი 100 ევროპული ახალგაზრდული ბარათი. ბარათების გაცემის შემდეგ დაფიქსირდა და წარმატებით აღმოიფხვრა მცირე ტექნიკური ხარვეზები, ხოლო ადგილობრივი ელექტრონული სისტემა სრულად მოერგო ოპერაციულ საჭიროებებს; პროგრამის პოპულარიზაციისა და ბარათის მფლობელთათვის სარგებლის გაზრდის მიმართულებით გაფართოვდა ფასდაკლებების ქსელი: შეთანხმება ფასდაკლებების დაწესებაზე მიღწეულ იქნა მთაწმინდის პარკთან, Gino Paradise-სთან, Wendy's, Dunkin'-ისა და Subway-ის ობიექტებში, რაც ხელმისაწვდომი იქნება როგორც ქართველი, ისე უცხოელი ბარათის მფლობელთათვის, ხოლო კულტურის სამინისტროსთან დაიწყო ფასდაკლებების საკითხზე მოლაპარაკება;

ცენტრის წარმომადგენელი მარტში დაესწრო ევროპული ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის სამუშაო შეხვედრას მონტენეგროში (შეხვედრაზე განისაზღვრა ასოციაციისთვის საერთო ბრენდ ნარატივი, რომელშიც საქართველოს წარმომადგენელმა გააზიარა პროგრამის განვითარების გამოცდილება და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საერთო ხედვის ჩამოყალიბებაში), ხოლო 11 ივნისს ცენტრის ევროპული ახალგაზრდული ბარათის პროგრამის კოორდინატორი დაესწრო EYCA-ს რეგიონულ შეხვედრას პრაღაში (შეხვედრის ფარგლებში გაიმართა მნიშვნელოვანი კომუნიკაცია EYCA-ს სათაო ოფისთან – განხილულ იქნა ბანკთან თანამშრომლობის მოდელი და გაჟღერდა კოლაბორაციის გეგმა, რომელიც სათაო ოფისმა პოზიტიურად შეაფასა); მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პროგრამის ტექნოლოგიური ეკოსისტემის გაძლიერებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიმართულებით, მათ შორის დაიწყო ევროპული

ახალგაზრდული პლატფორმის ონლაინ ეკოსისტემის გაუმჯობესება. (ცვლილებების მიზანია სს „საქართველოს ბანკთან“ სისტემური ინტეგრაციის უზრუნველყოფა), პირველ ეტაპზე წარმატებით შეიქმნა გარე სისტემის მხრიდან ბარათების გაცემისთვის საჭირო API, რომლის ინტეგრაციას ამჟამად აქტიურად ახორციელებს საქართველოს ბანკი; საქართველოს ბანკს მიეწოდა ყველა საჭირო ფუნქციონალი და სრული ტექნიკური დოკუმენტაცია ინტეგრაციის პროცესის უზრუნველსაყოფად. პარალელურად, გაუმჯობესდა ვებ-გვერდის მომხმარებლის გამოცდილება (User Experience), საგრძნობლად დაიხვეწა ფასდაკლებებისა და ვაუჩერების მოდულები და შეიქმნა პარტნიორი ორგანიზაციებისთვის ინტეგრაციის მოდელები. აღნიშნული ტექნიკური განვითარება პროგრამას საშუალებას აძლევს ითანამშრომლოს ქსელურ კომპანიებთან საქართველოს მასშტაბით (მათ შორის: „ვენდისი“, „დანკინი“, „საბვეი“, „ავერსი“, „სპარი“, „ალტა“) ახალი პარტნიორის მოდულის მეშვეობით. ახალი სისტემის ფარგლებში მომხმარებლები შეძლებენ ფასდაკლების მიღებას ფილიალებში უშუალოდ ბარკოდის სკანირების საშუალებით. საიტის გაუმჯობესების ფარგლებში პლატფორმაზე განთავსდა 25,000-ზე მეტი უცხოური ფასდაკლება, რის შედეგადაც ქართველ მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ eyc.ge-ს დატოვების გარეშე მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია ევროპული ახალგაზრდული ბარათის საერთაშორისო შეთავაზებების შესახებ. პროგრამაში ჩაერთო არაერთი მცირე მასშტაბის ორგანიზაციაც, რომელთა ფასდაკლებები უკვე გამოქვეყნებულია პროგრამის ოფიციალურ ვებ-გვერდზე; დაემატა ახალი პარტნიორები, მათ შორის „რედისონ რედი“, „იბის ჰოტელსი“, „ტენე” და სხვა ორგანიზაციები. მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო კულტურის სამინისტროს სრული ინტეგრაცია. ამჟამად საიტზე განთავსებულია და მოქმედია 20–50%-იანი ფასდაკლება საქართველოს სახელმწიფო ცხრამეტივე მუზეუმში; განხორციელდა პროგრამის პრომოუშენის მომსახურების შესყიდვა, რის შედეგადაც შემუშავდა სოციალური მედიის სტრატეგიული გეგმა Facebook, Instagram და TikTok პლატფორმებისთვის, შეიქმნა ფოტო და გრაფიკული სარეკლამო მასალები და მომზადდა 10 მაღალი ხარისხის მოკლე სარეკლამო ვიდეო, რომლებიც გამოყენებული იქნება პროგრამის

სოციალურ მედიაში პოპულარიზაციის მიზნით, მომზადდა ბეჭდური სარეკლამო მასალა, კერძოდ: ე.წ “ჰუდები”, ფლაერები, ბლოკნოტები ჩანთები ა.შ; მომზადდა ევროპული ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის სათაო ოფისისთვის წარსადგენი წლიური ანგარიში, რომელიც ლიცენზიორმა ორგანიზაციამ დადებითად შეაფასა; გრძელდება მუშაობა სამართლებრივ საკითხებზე. პროგრამის საპილოტე ეტაპის ჩაშვება დაგეგმილია 2026 წლის პირველ კვარტალში;

ქართველი ახალგაზრდებისთვის ევროპული შესაძლებლობების ფართო სპექტრის შეთავაზების მიზნით, ცენტრი ახორციელებს ევროდესკის პროგრამის იმპლემეტაციას საქართველოში, EuroDesk-ის მიერ უზრუნველყოფილ სერვისებზე წვდომა კი შესაძლებელი გახდა ცენტრის დაკვეთით შექმნილი პლატფორმის EuroDesk.ge-ს მეშვეობით, სადაც განთავსდა სასარგებლო ბმულები და სრული ინფორმაცია ევროპის ქვეყნებში არსებული მოხალისეობრივი, საგანმანათლებლო, სამუშაო შესაძლებლობების შესახებ. ევროდესკის (Eurodesk) ონლაინ პლატფორმა ამჟამად მუშაობს სატესტო რეჟიმში; ევროდესკ საქართველოს კოორდინატორებმა გამართეს 6 საინფორმაციო შეხვედრა პროექტის -"Talkative Days: შესაძლებლობები ახალგაზრდებისთვის" ფარგლებში, ჯამში 70-ზე მეტმა სკოლის მოსწავლემ და სტუდენტმა მიიღო ინფორმაცია იმ მრავალფეროვანი შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც მათთვის ხელმისაწვდომია ევროდესკის Opportunity Finder-ის მეშვეობით (შეხვედრები გაიმართა თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრში, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში და სამგორის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში); 20-23 მაისს ბრიუსელში გაიმართა ევროდესკის მულტიპლაერების სემინარი, რომელიც დაეთმო ევროპული შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის ეფექტური და ინოვაციური გზებით გავრცელების საკითხებს; ევროდესკ საქართველომ მონაწილეობა მიიღო თბილისში 1 ივნისს გამართულ ღონისძიებაში, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა; 15 სექტემბრიდან - 19 სექტემბრის ჩათვლით ქალაქ როტერდამში გაიმართა ევროდესკის ქსელის შეხვედრა და გენერალური ასამბლეა 2025 (Eurodesk Network Meeting and General Assembly 2025), რომელიც

მიზნად ისახავდა ევროდესკის წევრი ქვეყნების ეროვნული კოორდინატორების ერთ სივრცეში გაერთიანებას, მათი თანამშრომლობის გაძლიერებასა და ხელშეწყობას, რაც პირდაპირ ხელს უწყობს ქართველი ახალგაზრდების გაძლიერებას, მხარდაჭერასა და წახალისებას, რათა საქართველოს ქონდეს მეტი რესურსი, ინფორმაცია და ხელმისაწვდომობა თბილისის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეების, სტუდენტებისა და ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის გასაზრდელად სხვადასხვა ტრენინგსა თუ სასწავლო გაცვლით პროგრამაში; ოქტომბერში დაიწყო Eurodesk - ის ყოველწლიური კამპანია TimeToMove, რომლის მიზანია ახალგაზრდებისთვის ევროპული შესაძლებლობების გაცნობა, მათ შორის სწავლა, მოხალისეობა, სტაჟირება და საერთაშორისო მობილობა. კამპანია აერთიანებს ასობით ორგანიზაციას და მოიცავს 1000-ზე მეტ ღონისძიებას დაახლოებით 30 ქვეყანაში. წელს Eurodesk Georgia კამპანიას შეუერთდა თემით „აღმოაჩინე შენი ევროპა“ და განახორციელა რამდენიმე აქტივობა; Eurodesk Georgia - ს მიერ გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები ახალგაზრდებისათვის: 3 ნოემბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში თემაზე „საერთაშორისო შესაძლებლობები: მოხალისეობა და მოკლევადიანი გაცვლითი პროგრამები“, ხოლო 16 დეკემბერს სამგორის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, სადაც ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია საერთაშორისო პროგრამებში ჩართულობის გზებისა და პრაქტიკული შესაძლებლობების შესახებ; ევროდესკ საქართველოს პლატფორმა Eurodesk.ge ამჟამად მუშაობს სატესტო რეჟიმში.

არაფორმალური განათლების პროგრამა და ტრენინგ ცენტრი: ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „დროის მართვა და წარმატება“, არაფორმალურ გარემოში ახალგაზრდებს ჰქონდათ შესაძლებლობა აემაღლებინათ ცოდნა დროის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გაცნობოდნენ დროის მართვის ტექნიკებს, ასევე, ემსჯელათ დაგეგმვისა და წარმატებული შედეგის ურთიერთკავშირზე; ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯერმა ქ. ტროპეაში (იტალია) Erasmus + პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდული მუშაკებისთვის განკუთვნილ

საერთაშორისო პროექტში, ტრენინგ კურსი „ENHANCING YOUTHWORK WITH D.E.O.RPRACTICES“; ასოციაცია „Accoord“-ის მიერ ორგანიზებული ახალგაზრდული მუშაკებისთვის დაგეგმილი ვიზიტის (გამოცდილების გაზიარება, დაგეგმილი ერთობლივი პროექტის კომპონენტებზე შეჯერება და „Accoord“-ის დაქვემდებარებაში მყოფ ახალგაზრდული ორგანიზაციების სამუშაო პროცესის ადგილზე გაცნობა) ფარგლებში, ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამის მენეჯერი იმყოფებოდა ქალაქ ნანტში (საფრანგეთი); ცენტრის თანაორგანიზებით საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის სააქტო დარბაზში განხორციელდა „ინტელექტუალური ვიქტორინა“, ჩემპიონატში მონაწილეობას იღებდა 18 წლამდე ბენეფიციარები; 24 ოქტომბერს ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციარებისთვის ჩატარდა ტრენინგი „გუნდურობა“, ხოლო 4 დეკემბერს ცენტრის მიერ ახალგაზრდებისთვის ორგანიზებულ ტრენინგების ფარგლებში ჩატარდა ტრენინგები „დროის მართვა“.

ახალგაზრდული ბანაკები და მოხალისეობრივი პროგრამები: ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა ზამთრის ახალგაზრდული ბანაკები, რომლის ფარგლებში ახალგაზრდები ჩართული იყვნენ საგანმანათლებლო, სპორტულ, შემეცნებით აქტივობებსა და შეხვედრებში. ზამთრის ახალგაზრდული ბანაკი განხორციელდა დაბა ბაკურიანში, 2 ნაკადად: I ნაკადი - 22 თებერვალი - 26 თებერვალი, „საჯარო გამოსვლა“, ხოლო II ნაკადი - 26 თებერვალი - 2 მარტი, „მართვის ფსიქოლოგია“. ბანაკში ჩაერთო 100-მდე 18-25 წლის თბილისში მცხოვრები ახალგაზრდა, რომლებიც უზრუნველყოფილნი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმრო მომსახურებით, კვებითა და საჭირო ინვენტარით; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, აქტიური დასვენების, გართობის და რეკრეაციის ხელშეწყობის მიზნით, ივნისში ჩატარდა საზაფხულო პროგრამები 18-29 წლის თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც უსასყიდლოდ ისარგებლეს შემდეგი სერვისებით: ლაშქრობები, საველე-ბანაკები (კემპინგი), საჯომარდო ტურები, პადელი, ბოულინგი; 30 ივნისიდან - 8 ივლისის ჩათვლით ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა საზაფხულო ახალგაზრდული ბანაკები, რომლის ფარგლებში ახალგაზრდები ჩართული იყვნენ საგანმანათლებლო, სპორტულ,

შემეცნებით აქტივობებსა და შეხვედრებში, (ბანაკები განხორციელდა მისაქციელში, 2 ნაკადად: I ნაკადი - 30 ივნისი - 4 ივლისი, „ინტელექტუალური საკუთრება და ინოვაციები“ და II ნაკადი - 4 ივლისი - 8 ივლისი, „პროექტის მართვა“ (ბანაკში ჩაერთო 40-მდე 15-18 წლის თბილისში მცხოვრები მოზარდი, რომლებიც უზრუნველყოფილნი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმრო მომსახურებით, კვებითა და საჭირო ინვენტარით); 12 აგვისტოს - ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ცენტრმა გამოაცხადა ფოტოკონკურსი „სამყარო ჩემი ობიექტივიდან“, რომლის მიზანი იყო ახალგაზრდებში შემოქმედებითი ხედვის მხარდაჭერა და თვითრეალიზების ხელშეწყობა, რათა ახალგაზრდა თაობას თავისი უნიკალური ხედვა, ემოცია და ისტორია ფოტოების მეშვეობით გამოეხატათ (გამარჯვებულ კონკურსანტებს გადაეცათ კუთვნილი პრიზები); 5 დეკემბერს, მოხალისეთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა სანთლისა და საახალწლო დეკორაციების დამზადების ვორქშოპი, რომელიც მიზნად ისახავდა მონაწილეების ჩართვას შემოქმედებით და პრაქტიკულ პროცესში, სადაც ისინი გაეცნენ თემატურ მიმართულებებს, მასალებსა და გამოყენებულ ტექნიკებს. ვორქშოპში მონაწილეობა მიიღო 50-მდე ბენეფიციარმა;

პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში განხორციელდა, როგორც ცენტრის მიერ ორგანიზებული, ასევე, თბილისში მოქმედი სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით გამართული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, განხორციელდა სოციალური ტურები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სტუდენტური ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით; სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტის მომსახურებით სულ ისარგებლა 3800-მდე ბენეფიციარმა;

ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში თბილისის მერიის მხარდაჭერით გაიმართა ზამთრის STEAM ბანაკი, რომელშიც ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციარებმაც მიიღეს მონაწილება. ბანაკში ახალგაზრდებმა შეისწავლეს რობოტიკა, 3D პრინტინგი და ინოვაციური ტექნოლოგიები. მონაწილეებმა Lego რობოტებზე, ჩარხსა და 3D პრინტერზე მუშაობა ისწავლეს,

დაესწრნენ საინტერესო შეხვედრებს და პრაქტიკულ გაკვეთილებს; ახალგაზრდული ცენტრის 15 ბენეფიციარმა და მოხალისე მასწავლებლებმა Scavenger Hunt მოაწყეს. ძველი თბილისის ქუჩებში სიარულით, თავსატეხებისა და გამოწვევების გადაჭრით, მონაწილეებმა აღმოაჩინეს ქალაქის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობები; დაიწყო პროექტი „Youth Empower“, რომელიც მიზნად ისახავს 13-18 წლის სკოლის მოსწავლეების განვითარებას კარიერის დაგეგმვის, გარემოსდაცვითი ცნობიერების, სოციალური მეწარმეობისა და ციფრული უნარების მიმართულებით; სკაუტების ცენტრის ინიციატივით, ფონიჭალის ცენტრის ახალგაზრდები რუსთავის ტყე-პარკში იმყოფებოდნენ. მათ პრაქტიკაში განახორციელეს ცეცხლის დანთება, კარვის აგება, თავშესაფრის მოწყობა (ტრიპოდი) და პირველადი დახმარების გაწევა. დღის განმავლობაში ასევე, გაიმართა სხვადასხვა სახალისო აქტივობები; 18-26 აპრილს, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის 8 ბენეფიციარი იმყოფებოდა გერმანიის ქალაქ ჰაგენში, ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაზე (ახალგაზრდებმა ისწავლეს სწრაფი მოდის უარყოფითი გავლენა გარემოზე, იმსჯელეს მდგრადი წარმოების მნიშვნელობაზე და იმუშავეს პროექტზე) სახელწოდებით „Fast Fashion“; 15 მაისს, ცენტრის 8 ბენეფიციარმა, ახალგაზრდებისთვის ჩაატარა ტრენინგი თემაზე „ეკო მდგრადობა“; 18 მაისს, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრს ეწვივნენ ჰოლანდიური საქველმოქმედო ორგანიზაცია „Out of Area Foundation“-ის წარმომადგენლები — კლოუნები, რომლებმაც ცენტრის 40 ახალგაზრდას შესთავაზეს სახალისო და შემოქმედებითი აქტივობები; 1-7 ივნისს, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრს ესტუმრნენ ჰოლანდიური ორგანიზაცია „Out of Area Foundation“-ისა და Wolfert College-ის 24 მოსწავლე, ვიზიტის ფარგლებში მათ ფონიჭალის ახალგაზრდებთან ერთად მოხატეს ცენტრის კედლები, იმყოფებოდნენ ერთობლივ ექსკურსიაზე მცხეთაში და მონაწილეობდნენ კემპინგში გუდამაყარში; 3-11 ივლისს ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის 8 ბენეფიციარი მონაწილეობდა Erasmus+ ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში "Fast Fashion", რომელიც ჩატარდა ქობულეთში და მასში მონაწილეობდნენ ქართველი, გერმანელი და იტალიელი ახალგაზრდები, ხოლო 11-17 ივლისს ცენტრის 12 ბენეფიციარი მონაწილეობდა Erasmus+ ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში

"Bridges of Friendship", რომელიც ჩატარდა ბათუმში და მასში მონაწილეობდნენ ქართველი, აზერბაიჯანელი და შვედი ახალგაზრდები; 15 სექტემბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში საგანმანათლებლო პროცესი აქტიურად დაიწყო. ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 210 მსმენელი, რომლებიც შეისწავლიან შემდეგ კურსებს: ინგლისური ენა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება, გრაფიკული პროგრამირება, IT ინჟინერია, კლასიკური გიტარა და ჰიპ ჰოპი; 4 დეკემბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში სტუმრად მოწვეული იყვნენ №218 აზერბაიჯანული სკოლის 15 მოსწავლე. მათთვის ჩატარდა ვორქშოპი თემაზე „კულტურული მრავალფეროვნება“, რომლის მიზანი იყო კულტურათაშორისი დიალოგისა და ტოლერანტობის ხელშეწყობა; 11–15 დეკემბერს ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის 6 ბენეფიციარმა მონაწილეობა მიიღო Erasmus+ ვირტუალურ გაცვლით პროგრამაში თემაზე „European Integration“, სადაც მათ საერთაშორისო თანამშრომლობისა და ევროპული ინტეგრაციის შესახებ ცოდნა გაიღრმავეს და სხვა ღონისძიებები;

მეგობრობის სახლი - იანვრიდან განახლდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი უფასო კურსები, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის. სახელმწიფო ენის პროგრამა დაასრულა 11 ჯგუფმა: A1 დონის - 1 ჯგუფი, B1 დონის - 2 ჯგუფი, B1.1 დონის - 1 ჯგუფი, A1.1 დონის - 4 ჯგუფი, A1.2 დონის - 1 ჯგუფი, A2.1 დონის - 1 ჯგუფი, A2.2 დონის - 1 ჯგუფი. სულ რეგისტრირებული 165 ბენეფიციარი (მათ შორის 120 კურსდამთავრებული), რომლებმაც გამოცდის ჩაბარების შემდეგ, შესაბამის სერტიფიკატი მიიღეს; სახელმწიფო ენის შემსწავლელ პროგრამაზე მსურველთა რაოდენობა მზარდია და რეგისტრაცია ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში. უკვე დაკომპლექტდა A1.1, A2.1 და A2 + დონის 3 ახალი ჯგუფი, რომლებიც სწავლას (თითოეული კურსი მოიცავს 120 სთ-ს. გაკვეთილის ხანგრძლივობა 2 სთ-ია, კვირაში სამჯერ) დაიწყებენ 2026 წლის 20 იანვრიდან (45 მსმენელი); აღსანიშნავია, რომ პროექტი 2019 წლიდან ხორციელდება სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან ერთად;

სპორტული ცენტრები და სერვისები ცენტრის დაქვემდებარებაში არსებულ სპორტულ ობიექტებზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სპორტული ცენტრში „იმედი“ ფუნქციონირებს ფეხბურთის მინი მოედანი (ყოველდღიურად ემსახურება 80-დან 110-მდე ბენეფიციარს) და საცურაო აუზი (ყოველდღიურად ემსახურება 90-დან 120-მდე ბენეფიციარს). ცენტრში ტარდება ცურვის და ფეხბურთის ჯგუფური მეცადინეობები (მათ შორის ცურვის ჯგუფური მეცადინეობის სერვისით ისარგებლა 1702 ბენეფციარმა, ხოლო ფეხბურთის ჯგუფური მეცადინეობის სერვისით ისარგებლა 985 ბენეფიციარმა); მიმდინარე პერიოდში მოიხატა ცენტრის გარე ფასადი, გაიმართა საფეხბურთო ტურნირები;

ჩოგბურთის ცენტრის ვაკის ფილიალში ფუნქციონირებს 3 სტანდარტული და 1 მინი კორტი (კედელი). კორტებზე ყოველდღიურად ტარდება როგორც ჯგუფური ისე ინდივიდუალური ვარჯიშები (ემსახურება 40-დან 60-მდე ბენეფიციარს). 14 მარტს ჩატარდა ჩოგბურთის ტურნირი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის, ხოლო 1 მაისს ჩატარდა ტურნირი „სტუდფესტი 2025“ გოგონებსა და ვაჟებს შორის, სადაც 21 უმაღლესი სასწავლებელი იღებდა მონაწილეობას, მომხმარებლებისათვის კორტის დაჯავშნა ხდება წინასწარ, როგორც ადგილზე, ისე საიტის youthtbilisi.ge-ს მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია თავისუფალი დროები. მომხმარებლებს შეუძლიათ, როგორც კორტის ასევე, ჩოგბურთის ჩოგნის ქირაობა დადგენილი ტარიფების შესაბამისად; 20 ივნისიდან - 20 ივლისამდე პერიოდში მიმდინარეობდა "საზაფხულო პროგრამები 2025”, რომლის ფარგლებში ბენეფიციარებს ჰქონდათ ჩოგბურთის ცენტრის ვაკის პარკის კორტებით ერთჯერადად სარგებლობის შესაძლებლობა (პროგრამაში ჩაერთო youthtbilisi.ge-ს პლატფორმაზე რეგისტრირებული ასობით ახალგაზრდა); ივლისიდან სექტემბრამდე შეჩერდა ჯგუფური ვარჯიშები საზაფხულო არდადაგების გამო; ჩატარდა სველი წერტილის სარემონტო სამუშაოები; სექტემბრიდან აღდგა ჯგუფური ვარჯიშები და ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდა ჯგუფების შევსება/დაკომპლექტება; ნოემბერსა და დეკემბერში კორტები სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა, ყოველდღიურად ტარდებოდა როგორც ჯგუფური ასევე, ინდივიდუალური ვარჯიშები.

ჩოგბურთის ცენტრის ვერის ფილიალის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 3 ღია კორტი. კორტებზე ტარდება, როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური

მეცადინეობები. ბენეფიციართა შერჩევა ხდება მათი ფიზიკური და სპორტული მონაცემების მიხედვით. არსებული კორტის დატვირთვის სიხშირის გათვალისწინებით ცენტრს საშუალება აქვს მიიღოს 150-200 ბენეფიციარი. ამასთან, 28 მარტს ვერის კორტებზე ჩატარდა მოყვარულ ქალთა შეჯიბრი, ხოლო 29 მარტს სამოყვარულო ტურნირი მამაკაცთა შორის, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიმბოლური მედლებითა და თასებით; აპრილის თვეში ჩატარდა შიდა ტურნირი ბავშვებში, 3 ასაკობრივ კატეგორიაში, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებითა და სიგელებით; ივლისიდან დაიწყო კორტებისა და ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (მათ შორის კორტებისთვის ფართის გასაზრდელად, სამხრეთით მდებარე მიწის დამჭერი საყრდენი კედელი იცვლის მდებარეობას, ადმინისტრაციის შენობას უტარდება სრული რეაბილიტაცია (მათ შორის საყრდენ კედლებს მთლიანად უტარდება გამაგრებითი სამუშაოები არმირებული ბეტონით, იცვლება სართულშუა გადახურვის ფილა, გარედან შენობა მთლიანად მოპირკეთდება დეკორატიული აგურის ფილებით)). საანგარიშო პერიოდში გარე სამუშაოების დიდი ნაწილი დასრულებულია, ხოლო ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციის პროცესი აქტიურ ფაზაში მიმდინარეობს.

ცხრილი: მოსწავლეთა რაოდენობა სპორტული ცენტრების მიხედვით:

სპორტული ცენტრი იმედი												
დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ცურვა	122	153	192	155	165	148	53	0	205	186	184	139
ფეხბურთი	107	115	117	107	114	76	0	0	73	95	95	86
ჩოგბურთის ცენტრები												
ვაკე	42	40	47	48	50	50	0	0	13	46	65	71
ვერა	39	34	52	41	48	19	0	0	0	0	0	0

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ცენტრების (4 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (ჩუღურეთისა და ფონიჭალის)) სერვისებისა და პროგრამების ფარგლებში ჯამურად 24900 ბენეფიციარზე გათვლილი

ღონისძიებების ორგანიზება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 4 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (მთაწმინდა და ფონიჭალის) ფუნქციონირების ხელშეწყობა (სერვისების ხელმისაწვდომობა), პროგრამებში მონაწილე 23900-მდე ახალგაზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - 4 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (მთაწმინდა და ფონიჭალის) სერვისების და პროგრამებში ჩართული 22300 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მიმდინარე წლის ივლისიდან დახურულია ვერის სპორტული ცენტრი კორტებისა და ადმინისტრაციული შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამების განხორციელებაში მონაწილე 9100 ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამებში მონაწილე 8700 ახალგაზრდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 256 ახალგაზრდის გადამზადება, თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 380 ბენეფიაციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 245 ახალგაზრდის გადამზადება, თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 360 ბენეფიაციარი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში,

სოციალურ-შემეცნებითი ტურებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩართული 10100 ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში ახალგაზრდების ტრანსპორტით მხარდაჭერა და ჩართული 9600 ახალგაზრდა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - დასრულებული ახალი ვებ-გვერდების Youthtbilisi.ge და eurodesk.ge და ევროპის ახალგაზრდული ბარათისთვის (youth card) ვებ და მობილური აპლიკაციის შექმნა, ახალგაზრდებისთვის რომლებიც ისარგებლებენ ტურიზმის, განათლების, კულტურის, კვებისა და მომსახურების სხვადასხვა სფეროში ევროპის 40 ქვეყანაში. ვებ-გვერდებზე Youthtbilisi.ge დარეგისტრირებული 2000-ზე მეტი მოხალისე. დაწყებულია ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის პროცესი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ვებ-გვერდების Youthtbilisi.ge და eurodesk.ge და ევროპის ახალგაზრდული ბარათისთვის (youth card) ვებ და მობილური აპლიკაციის ტექნიკური უზრუნველყოფა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია ორდე დგებუაძის ქ. N1-ში მდებარე შენობაში არსებული ფართის სარემონტო სამუშაოებზე, ხარჯთაღრიცხვის კორექტირებით (საკანალიზაციო და წყალგაყვანილობის მილების დაგრძელებისა და ვიტრაჟების დამატების საჭიროებით), რამაც გამოიწვია აუთვისებლობა. ასევე, ვერის პარკში (კოსტავას ქუჩა N35) მდებარე ჩოგბურთის კორტებისა და ადმინისტრაციული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას წარმოიშვა შეფერხებები (სამშენებლო ობიექტამდე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებდა მთაწმინდის გამგეობა, რამაც 2.5 თვის განმავლობაში შეზღუდა სამშენებლო ობიექტამდე სამშენებლო ტექნიკის, ტრანსპორტისა და მანქანა-მექანიზმების გადაადგილება). შეფერხებების გამო, კონტრაქტორს სამუშაოების

შესრულების ვადა გაუხანგრძლივდა 2026 წლის 12 მარტის ჩათვლით.

08 09 შემოქმედებითი თბილისი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 630.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 611.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რეწვისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება, ვიზუალური ხელოვნებისა და მედია ხელოვნების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა კონკურსი ორ ეტაპად (მარტი და სექტემბერი), მათ შორის - საგამომცემლო მიმართულების - 41 განცხადება, დიზაინისა და ხალხური რეწვის ხელშეწყობის მიმართულების - 20, ვიზუალური ხელოვნების მიმართულების - 10 განცხადება და მედიახელოვნების პროექტების ფარგლებში - 7 განცხადება. ჯამურად ოთხივე მიმართულებით განსახილველად წარდგენილი იყო 78 განაცხადი. წარმოდგენილი განაცხადებიდან ოთხივე მიმართულებაზე დაფინანსდა და სრულად განხორციელდა 53 პროექტი (მათ შორის: საგამომცემლო - 26, დიზაინისა და ხალხური რეწვის ხელშეწყობის - 13, ვიზუალური ხელოვნების - 8, ხოლო მედიახელოვნების მიმართულების - 6 განცხადება). მათ შორის, შეიქმნა მნიშვნელოვანი საგამომცემლო პროექტების ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსია, როგორიცაა სულხან ცინცაძის საიუბილეო გამოცემა, თამარ აბაკელიას, ბელა ბერძენიშვილის, მოსე თოიძის, ნოდარ აფციაურისა და სხვათა გამოცემების მომზადება, დაიბეჭდა მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის საინფორმაციო წიგნი-ალბომი; სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში გაიმართა თანამედროვე და ტრადიციული ხელნაკეთობების გამოფენები და სხვა; მედია ხელოვნების მიმართულებით წარმოდგენილი პროექტების ფარგლებში დაფინანსდა რამდენიმე ანიმაციისა და ვიდეოთამაშის შესაქმნელად წარმოდგენილი განაცხადები და მოეწყო ციფრული და აუდიოვიზუალური გამოფენები; შეიქმნა მთაწმინდის

პანთეონის ხმოვანი აუდიო-გზამკვლევი და სხვა. ასევე, გაიმართა შეხვედრა მედია ხელოვნების სფეროს საერთაშორისო წარმომადგენლებთან, სადაც განხილული იქნა თბილისის მედია ხელოვნების სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის შემუშავების გეგმა და დაისახა მიზნები და ამოცანები სფეროს განვითარებისა და UNESCO-ს მედიაქალაქების ქსელის წევრი ქალაქის წინაშე არსებული ვალდებულებების შესასრულებლად. 2026 წლის გაზაფხულზე დაგეგმილია მედიაქალაქების ქსელის წევრი ქალაქების წარმომადგენლების შეხვედრა თბილისში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 54 პროექტი, 300-მდე ქართველი ხელოვანის და 16 უცხოელი ექსპერტისა და მონაწილის ჩართულობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება (საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების ნაწილობრივ/სრულად დაფინანსება).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 53 პროექტი, ქართველი ხელოვანების, უცხოელი ექსპერტებისა და მონაწილეების ჩართულობით.

08 10 საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ საჯარო ხელოვნების ფონდი

2025 წლის გეგმა - 510.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 506.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია და სახელოვნებო სფეროს ხელშეწყობა, თანამედროვე ხელოვნების ინტეგრირება ქალაქის ქსოვილში, ქალაქის იერსახის ცვლილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საჯარო ხელოვნების ფონდის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, მივლინების, საკანცელარიო საქონელის შეძენა, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურების, თარგმნის და ბეჭდვის მომსახურების, ინტერნეტდომენური სახელის (tpa.fund) რეგისტრაციისა და

მომსახურებით სარგებლობის, გვერდის (tpa.fund) ჰოსტინგის მომსახურების და სხვა ხარჯები) ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გობრონიძის ქ.N1-ში, დროებითი პროექტის ფარგლებში „ყვავილები ყველასათვის ხელმისაწვდომია“ ნამუშევრების დემონტაჟის მომსახურება; საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტატიის „თბილისის საჯარო ხელოვნების გზამკვლევის“ მომზადება, აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის შემოქმედებით-საგანმანათლებლო სემინარ-ვორქშოპების ჩატარება, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ლექცია „რენესანსის ეკონომიკა“, ონლაინ მოხსენება „სახელმწიფო დანახარჯების როლი კულტურაში", ლექციის „სახელმწიფო, კაპიტალი და კულტურა - ისტორიული ტრანსფორმაციები“ ჩატარება; ვერის პარკში, თავისუფალი ხატვის მასტერკლასის ჩატარება; ავლაბრის მოედანზე განთავსებული ქანდაკების „წინააღმდეგობა“ ზუმფარის ქაღალდით გაწმენდა/გაპრიალება; კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული პროექტის -"მეხსიერების ფრაგმენტები" ფარგლებში ვახტანგ ქოქიაშვილის ვიტრაჟებისთვის რკინის სტრუქტურის შექმნა; ბავშვთა დაცვის დღის აღსანიშნავად, მზიურის პარკის ტერიტორიაზე ხატვის მასტერკლასის უზრუნველსაყოფად, სახატავი მოედნის მოწყობა, შემდგომი დემონტაჟი და შესაბამისი გადაზიდვის მომსახურება; საჯარო სივრცეების ფოტო სერია, ფოტომომსახურება; ქალაქ ბაზელში ჩატარებული გამოფენის „Basel Social Club“-ის შესახებ საინფორმაციო ვიდეოფილმის გადაღება; საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საჯარო ხელოვნების შესახებ სტატია-მიმოხილვა: დავით ნათიძის ნამუშევრის „წინააღმდეგობა“ მომზადება; მეტრო სადგურში „პოლიტექნიკური უნივერსიტეტი“ პროექტის „სკამები დახრილი ფეხებით“ განხორციელება (მათ შორის პროექტის მიმდინარეობის ფოტომომსახურება); მზიურის პარკში განთავსებული ნამუშევრის შესახებ "მეხსიერების ფრაგმენტები" საინფორმაციო ვიდეოფილმის გადაღების მომსახურება; პროექტის „ხილული საქართველო“ განხორციელება (მათ შორის ბილბორდებზე განთავსებული პროექტის საინფორმაციო ფოტო და ვიდეოფილმის გადაღების მომსახურება) და სხვა;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს განხორციელდა 4 პროექტი, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა: 5 ვორქშოპი, 8 საჯარო მოხსენება/დისკუსია, 4 ლექცია/სემინარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 3 პროექტი, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა: 5 საჯარო მოხსენება/დისკუსია, ლექცია/ სემინარი.

08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში

დაფინანსებულია 1,781.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,822.0 ათასი ლარის 97.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 250.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 242.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საჯარო და კერძო სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ (გამარჯვებული გუნდები წევრები დაჯილდოვდნენ წიგნებით); სპორტულ-ინტელექტუალური თამაში - „გააცოცხლე საქართველოს ისტორია“; დაფინანსდა 5 სპორტული ღონისძიება (ფრენბურთის, კალათბურთის, მინი ფეხბურთის, რაგბის და კულა გლდანელის სახელობის ტურნირი) და რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოზარდებისთვის საბავშვო-გასართობ ღონისძიებებზე, სასწავლო წლის დასრულებასთან და ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით გაიმართა კონცერტები; ჩატარდა რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრებსა და სკოლებში მყოფი შშმ პირთა სტატუსის მქონე ბავშვებისთვის წინასაახალწლო გასართობი ღონისძიება.

ასევე, დაფინანსდა საჯარო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებისთვის გამართული ტრენინგების ჩატარების მიზნით, სემინარების ორგანიზების და საბავშვო-გასართობი აქტივობების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 12 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - განხორციელდა 11 სხვადასხვა ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 13 სხვადასხვა სახის ღონისძიების ჩატარება (მათ შორის: 6 სპორტული, 6 კულტურულ-გასართობი და 3 შემეცნებითი).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 13 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 8 კულტურული).

08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 160.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 159.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში რაიონის პედაგოგებისათვის შეძენილია პარფიუმერულ მაღაზიათა ქსელში 20 ერთეული 240 ლარიანი სასაჩუქრე ვაუჩერი. ასევე, გაწეულია მინი ფეხბურთის, ფრენბურთის, ქვიშის რაგბის, მკლავჭიდის ჩემპიონატების და კულტურულ - გასართობი ღონისძიების ორგანიზების (მათ შორის საახალწლო ღონისძიება) ხარჯები; შეძენილია 20 ცალი რაგბის ბურთი და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 12 სპორტული და

კულტურული ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - განხორციელდა 10 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 5 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 8 სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 8 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 4 სპორტული და 4 კულტურული).

08 11 03 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სპორტული ღონისძიებების - მინი ფეხბურთი დიდუბე 2025, ჩოგბურთი დიდუბე - 2025, ფრენბურთი დიდუბე - 2025, ქუჩის კალათბურთი დიდუბე 2025, სპორტი ყველა ეზოში შუალედური ტურნირის და კულტურული (დიდუბის სკოლის მედალოსნების - 2025 დაჯილდოვება) ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 8-10 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - განხორციელდა 9 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 4 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის მიზნით იგეგმება 4 ღონისძიების ჩატარება (მათ შორის 3 სპორტული და ერთი კულტურული).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 6 სხვადასხვა ღონისძიება.

08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 92.5 ათასი ლარით, რაც

გეგმის 92.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რაიონში მცხოვრები სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებული ქალბატონებისათვის და რაიონში მცხოვრები მოქალაქეებისათვის ღონისძიება „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ ღონისძიებები, რაიონში მცხოვრები მოქალაქეებისათვის და სკოლის მოსწავლეებისათვის ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან და ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიებების მოწყობა. (ღონისძიებებში მონაწილეობდა სულ 1250 სტუმარი). ასევე, რაიონის 14 საჯარო სკოლის ავტორიტეტული და ღვაწლმოსილი პედაგოგებისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში 14 სასაჩუქრე ვაუჩერების შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ჩატარდა 1 სპორტული და 4 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 3 სპორტული და 4 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 5 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საგანმანათლებლო სექტორიდან წამოსული ინიციატივების გათვალისწინებით პრიორიოტეტი მიენიჭა კულტურულ და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების ჩატარებას.

08 11 05 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 117.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების

წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის (1 ივნისი) აღსანიშნავად კულტურულ-გასართობი ღონისძიებისა და რა? სად? როდის? შეჯიბრის ორგანიზების, მინი ფეხმურთის, ფრენბურთის, ღია საჩოგბურთო ტურნირების, მხიარული სტარტებისა და წყნეთობის ღონისძიების ჩატარების ორგანიზების ხარჯები, სასაჩუქრე ბარათებისა და საახალწლოდ ბავშვებისათვის თეატრის ბილეთების შეძენის ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 17.6 ათასი ლარი, პრაღა 6-ის და ვაკის რაიონის დამეგობრების მემორანდუმის ფარგლებში, დამეგობრებული ქალაქის მერიის ყოველწლიურ საფეხბურთო ტურნირზე მონაწილეობის მისაღებად, სსიპ თბილისის N35 საჯარო სკოლის გუნდისთვის მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 13 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - ჩატარდა 6 სპორტული, 3 კულტურული და 4 ახალგაზრდული ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 6 სპორტული, 3 კულტურული და 4 ახალგაზრდული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში -

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 115.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 110.4 ათასი ლარით, რაც გეგმის - 96%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სპორტული

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის გუნდის „ტორტუგა“ ფეხბურთელებისათვის 30 ცალი ფეხბურთის ფორმის შეძენის ხარჯები, დიდგორობის დღესასწაულის, ღონისძიება-გაზაფხულის დღეები საბურთალოზე და ჭიდაობის ტურნირის ჩატარების ორგანიზების ხარჯები, დედის დღესთან და 8 მარტის დღესასწაულთან დაკავშირებით სასაჩუქრე ვაუჩერის და ქოთნის ყვავილების შეძენის ხარჯები, სპორტული ღონისძიების ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობისათვის 50 ცალი ბურთის შეძენის ხარჯები, სოფელ დიღომში არსებული ჭიდაობის დარბაზისათვის სპორტული ინვენტარის-ტატამის შესყიდვის ხარჯები. ჩატარდა კულტურული ღონისძიება, სადაც წიგნებით დაჯილდოვდა საპატიო სტუმრები. ჩატარდა კალათბურთის ტურნირი „საბურთალოს თასი“ და შეძენილ იქნა საჩუქრად კალათბურთის ბურთები, ჩატარდა ღონისძიებები: ლიტერატურული კონკურსი სახელწოდებით „მოვდივართ“, „ახალი 2026 წელი საბურთალოზე“ და „საახალწლო საჩუქრები ბავშვებს“. საბურთალოს რაიონის სკოლების ღვაწლმოსილი პედაგოგებისათვის შეძენილ იქნა სასაჩუქრე ყვავილები და ბარათები. ასევე, წახალისების მიზნით საჩუქრად გადაეცათ წიგნები და ფაზლები ადგილობრივ პატარა მაცხოვრებლებს, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი ეზოს გალამაზებაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2024 წელს ჩატარდა 3 სპორტული და 10 კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 11 სხვადასხვა სახის ღონისძიება (მათ შორის 4 სპორტული, 7 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება).

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 5 სპორტული და 12 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება.

08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 199.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.96%-ია

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია რაიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ფრენბურთის ტურნირის, ჭადრაკის 2 დღიანი ტურნირის, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისათვის კიკ-ბოქსინგის ერთდღიანი ტურნირის ორგანიზების ხარჯები, სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარებისათვის საბავშვო ფეხბურთის კლუბ „მავერიქსი“-სათვის გადასაცემად განკუთვნილი 23 ფეხბურთის ბურთის შეძენის ხარჯები, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის (1 ივნისი) აღსანიშნავად კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, საგანმანათლებლო ღონისძიების ესეების კონკურსის „რამ შემქმნა ადამიანად“ დაჯილდოების ცერემონიალის ორგანიზების, რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებლებით დაკომპლექტებული „ფუტსალის“ კლუბისთვის სპორტული ტანსაცმლის ბრენდირების, მინი ფეხბურთის ტურნირის „ისნის თასი 2025“-ს ორგანიზების, სოციალურად დაუცველი ბავშვთა გუნდი „ალბატროსი“-სთვის გადასაცემი ბურთების შეძენის, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის შემეცნებით - საგანმანათლებლო პროექტის ინტელექტუალური თამაშის „ბრწყინვალე გონება“ ორგანიზების, საგანმანათლებლო ღონისძიების „ისნის რაიონის სასკოლო საზოგადოების რჩეული მასწავლებელი 2025 წელს“ ნომინანტებისათვის გადასაცემად განკუთვნილი 10 სასაჩუქრე ბარათის შესყიდვის და საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის „დისკუსია თემაზე“ კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, ბარბაროობის დღესასწაულთან დაკავშირებით საბავშვო-კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების, საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით საბავშვო-კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების, უსინათლო ბავშვთა N202 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის აღსანიშნავი საბავშვო გასართობი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, რაიონის ტერიტორიაზე არსებული ძიუდოს კლუბი „ჯორჯია“-სთვის გადასაცემად

განკუთვნილი სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეთა დასაჯილდოვებლად და რაიონის ტერიტორიაზე „ISANI CUP“ საფეხბურთო ფესტივალში მონაწილე ბავშვებისათვის პრიზების შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწიურად იმართება საშუალოდ 10-16-მდე სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - ჩატარდა 16 კულტურულ, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 12 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის: 4 სპორტული, 8 კულტურულ /საგანმანათლებლო ღონისძიება).

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 8 კულტურულ/საგანმანათლებლო და 9 სპორტული ღონისძიება

08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 280.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 260.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საგანმანათლებლო კვირეულის გასვლითი პროექტების (გაზაფხულის ნაკადი სამცხე ჯავახეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე) ორგანიზების ხარჯები (ჩატარდა სპორტული ღონისძიებები თავისუფალი ჭიდაობაში, ფრანგული კრივში (სავატე), გურამ გალადაშვილის სახელობის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში); ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა გასართობი აქტივობები და კონცერტი ღია სივრცეში, 10 სეანსად წარმოდგენილ იქნა 4 საბავშვო თეატრალური წარმოდგენა (ქაჯანა, ბუტია, ბრემენელი მუსიკოსები და ვირუკას თავგადასავალი). ასევე, დაფინანსდა ახალი წლის დღესასწაულის აღსანიშნავი ღონისძიებები, ხოლო რაიონის 230 მედალოსან კურსდამთავრებულს

საჩუქრად გადაეცა ვეფხისტყაოსანი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 20-მდე სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო - სპორტული აქტივობა (2024 წლის ფაქტი - განხორციელდა 17 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 6 სპორტული და 11 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 15 სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება (მათ შორის 5 სპორტული და 10 კულტურული).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

08 11 09 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 250.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია დედის დღის (3 მარტი) და ქალთა საერთაშორისო დღისადმი (8 მარტი) მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები, 29 აპრილს წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით შემეცნებითი ღონისძიების, სკოლის მოსწავლეებს შორის ლიტერატურული კონკურსის და ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიების, ქალაქური მუსიკის საღამოს ღონსძიების, სკოლის პედაგოგებისათვის სალონური საღამოს ღონისძიების საბავშვო-გასართობი ღონისძიების ჩატარების ხარჯები, გრიშაშვილობა 2025წ, კრწანისობა 2025წ და საახალწლო ღონისძიების ჩატარების ხარჯები. ასევე გაწეულია სპორტული ღონისძიების ფარგლებში ქუჩის კალათბურთის, „მხიარული სტარტების“, ნარდის, კინგ-ბოქსინგის, ბერძნულ-

რომაული ჭიდაობის, სკოლებს შორის ფეხბურთის თამაშისა და პაჭკორიას სახელობის რაიონული ტურნირების ჩატარების ორგანიზების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10-15 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - ჩატარდა 7 სპორტული და 13 კულტურული ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 4 სპორტული და 9 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 7 სპორტული და 10 კულტურული ღონისძიება

08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2025 წლის გეგმა - 149.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 99.99%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ფრენბურთის, ქუჩის კალათბურთის, მინი ფეხბურთის და ქართული ჭიდაობის ტურნირები; ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან და ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიებები; რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის სპორტულ-ინტელექტუალური თამაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - ჩატარდა 8 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 4 სპორტული და 4 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 10 სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება (მათ შორის 5

სპორტული და 5 კულტურული).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 9 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 4 კულტურული).

08 12 თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“

2025 წლის გეგმა - 608.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 607.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.96%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე ბალეტით დაინტერესება და მისი პოპულარიზაცია; საერთაშორისო კავშირების დამყარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საბალეტო დასის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, მივლინების, სადადგმო, სამეურნეო და მცირეფასიანი ინვენტარის შეძენის, შენობის იჯარის და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია 32.2 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: დასის წევრების მონაწილეობით, პროფესორ დავით მაზიაშვილის წიგნის „სიტყვა, როგორც მუსიკა და მოძრაობა“ და მანანა მენაბდის ორენოვანი წიგნის, იგავ-არაკების კრებულის „და დრო გადიოდა” და ავტობიოგრაფიული რომანის „ფრენის დღე ოთხშაბათი” პრეზენტაცია ლონდონის წიგნის ბაზრობაზე; თანამედროვე ცეკვის თეატრის კულტურულ-საგანმანათლებლო თანამშრომლობის ფარგლებში, ბალეტის დასის და Fine 5 გასტროლზე იმყოფებოდა ესტონეთის დედაქალაქ ტალინში Sakala 3 Theatre House - ში), ხოლო ქალაქ ნარვაში Vaba Lava თეატრში ნაჩვენები იყო მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი „მეტამორფოზები“; დასს ეწვია მოცეკვავე, პედაგოგი და ქორეოგრაფი დენიზ ალპი (თურქეთის მოდერნ ბალეტი), რომელმაც დასის წევრებსა და საგანმანათლებლო მიმართულების სტუდენტებს თანამედროვე ცეკვის ინტენსიური კლასები ჩაუტარა; ცეკვის

საერთაშორისო დღეს, დასმა წარმოადგინა ვიდეოპრემიერა - „მზიანი წაღვერი 2“; გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატული თეატრის დიდ სცენაზე, დასისა და ესტონეთის Fine 5 თანამედროვე ცეკვის თეატრის კულტურულ - საგანმანათლებლო თანამშრომლობის ფარგლებში, თბილისსა და გორში დაგეგმილ ერთობლივ თანამედროვე ქორეოგრაფიის საღამოზე, დასმა წარმოადგინა პრემიერა, ახალი სოლო - „პანდორა“ და „ადას ოთახი“; რუსთაველის ეროვნული თეატრის დიდ სცენაზე ნაჩვენები იყო „ბეატრიჩე“ - მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი-ხილვა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით; დასმა მონაწილეობა მიიღო გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის 180-ე საიუბილეო სეზონის აღნიშვნაში და დიდ სცენაზე წარმოადგინა მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი „მედეა“; დასსა და ლადო გუდიაშვილის ფონდს შორის შედგა თანამშრომლობა, რომლის ფარგლებში მარიამ ალექსიძემ შექმნა ქორეოგრაფიული ფანტაზია „ქრისტინე“ ლადო გუდიაშვილის ნამუშევრის შთაგონებით, ხოლო საერთაშორისო მიმართულებით შედგა დასსა და დუბლინის ჯეიმზ ჯოისის ცენტრს შორის თანამშრომლობა; ირლანდიაში, დუბლინის ჯეიმზ ჯოისის ცენტრში, BLOOMSDAY ფესტივალის ფარგლებში დიდი წარმატებით ჩატარდა მარიამ ალექსიძისა და დავით მაზიაშვილის მონო-ქორეოგრაფიული წარმოდგენის „ლუჩიას ოთახის“ სცენური ვერსიის პრემიერა, ხოლო ანკარას მერვე საერთაშორისო თანამედროვე სოლო ცეკვის ფესტივალზე, ანკარას “Cermodern” ხელოვნების ცენტრში, “SOLO Contemporary Dance Festival“- ზე წარმოდგენილი იყო მარიამ ალექსიძის სოლო ქორეოგრაფიული კომპოზიცია - „პანდორა“; ქართველი პოეტი ქალის, მარიჯანის (მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე) საზაფხულო სახლში „მზიანა“ შედგა გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტის“ წარმოდგენა, რომელსაც წაღვერელ მაყურებელთან ერთად თბილისიდან სპეციალურად ჩამოსული სტუმრები დაესწრნენ; რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე გაიხსნა დასის 2025-2026 წლის სეზონი, სადაც წარმოდგენილი იყო გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის საღამო - ალბან ბერგის „ლირიკული სიუიტა“, საბალეტო მინიატურები დამარიამ ალექსიძისა და დავით

მაზიაშვილის საავტორო პროექტი „ქორეოგრაფიული პორტრეტები“ „ადას ოთახი“, „პანდორა“, „მედეა.კივილი“, „პრინც(ესა)“, „ქრისტინე“ და „დოვინ-დოვენ-დოვლი“ რომელიც განსაკუთრებული და ორიგინალურია იმით, რომ ქორეოგრაფია გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზეა დადგმული; მარიამ ალექსიძე და დავით მაზიაშვილი იტალიის ლომბარდიის რეგიონის კულტურის დეპარტამენტის მიწვევით იმყოფებოდნენ ქ.მილანში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ლომბარდიის რეგიონის თანამედროვე ცეკვის პლატფორმაში NEXT 2025. სულ მიმდინარე პერიოდში განხორციელდა 5 გასტროლი და ჩატარდა 40-მდე ღონისძიება, ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 25000.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 30-მდე ღონისძიება (2024 წლის ფაქტი - განხორციელდა 28 ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 40 ღონისძიება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 7000-მდე ვიზიტორი საშუალოდ წლის განმავლობაში

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში საშუალოდ 25000 ვიზიტორი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - რეგიონში გამართულმა სპექტაკლებმა, საერთაშორის ფესტივალებზე/გასტროლებზე დასის მონაწილეობამ და ჩატარებულმა ვორქშოპებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და ამან განაპირობა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 3-მდე გასტროლი საშუალოდ წლის განმავლობაში

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში განხორციელდა 5 გასტროლი

08 13 ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 175.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 157.8 ათასი ლარით, რაც

გეგმის 90.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინკლუზიური განათლების მიმართულებით შემეცნებითი და შემოქმედებით პროექტების ხელშეწყობა, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჩართვა და ადაპტაცია სოციალურ გარემოში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარუფლებიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 18 პროექტი (მათ შორის ინტეგრირებული თეატრის "აზდაკის ბაღი" 10 წლის საიუბილეო საღამო, "21 ნაბიჯი წარმატებისკენ", "აუტიზმის ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი პანელური დისკუსია", "მე და ჩემი სამყარო-ფერებით მოყოლილი ისტორია", "პატარა ხელოვანები", ,,ხელოვნების თერაპია, ხელნაკეთი სუვენირები და შშმ პირთა შესაძლებლობების გაზიარება“, ,,მშობლებისა და ძიძების ცნობიერების ამაღლება, ბავშვის განვითარების ეტაპები 0-7 წლამდე’’, „იტალიელი კინოსა და თეატრის დამსახურებული მსახიობის სიმონა კავალარისა და ინკლუზიური დასი „ცხოვრება მშვენიერიას“, ,,ნოტებად ქცეული ფიქრები’’, ,,მუსიკა ქართული ანიმაციური ფილმებიდან ,,პარაორკესტრის შესრულებით’’, ,,შშმ პირთა თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა ხელოვნების საშუალებით”, "ჟესტური ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება", "შესაძლებლობების ფერადი სახელოსნო", „გზა სინათლისკენ“, "ირაკლი გიორგაძის პერსონალური გამოფენა", "საშემსრულებლო ინკლუზიური კონცერტი", "ხელოვნების გამოყენება ინკლუზიისა და შრომითი უნარების განვითარებისთვის"). ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 25.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრისათვის“ ჟურნალის „სინათლე“ ბრაილის შრიფტით გამოცემის უზრუნველსაყოფად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ ფინანსდება 15-მდე ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშემყობი პროექტი, მონაწილეების

საშუალო რაოდენობა 350-მდე შშმ პირი (2024 წლის ფაქტი - განხორციელდა 16 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 300-მდე შშმ პირი).


დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 18 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 300-მდე შშმ პირი


❖ **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**



ათასი ლარი



	ცხოველთა მონიტორინგი	თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა
2023 წლის ფაქტი	6,046.1	1,632.4
2024 წლის ფაქტი	7,500.3	1,802.8
2025 წლის ფაქტი	12,170.6	1,543.1



09 01 თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: უსაფრთხოების საქალაქო სამსახური

2025 წლის გეგმა - 2,817.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,543.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,363.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 54.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაცული მუნიციპალური ობიექტები, მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვისა და ვანდალიზმის პრევენციის

გაძლიერების მიზნით, უსაფრთხოების, ვიდეო სამეთვალყურეო და აუდიო სისტემების დანერგვა, ქსელში ჩართული კამერები. სხვადასხვა ღონისძიებებსა და საგანგებო სიტუაციების დროს დაცვის თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებისა და საგანგებო სიტუაციის დროს (დროის რესურსის დაზოგვის მიზნით), უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დაცვის თანამშრომელთა 24 საათიანი მორიგეობისთვის შეძენილია 3702 ულუფა საკვები. ასევე, განხორციელდა სერვერული ინფრასტრუქტურის მოწყობილობების Lenovo D3284 (S/N: J35EFN2) და Lenovo SR630 (S/N: J303ZPW8) სამწლიანი მხარდაჭერისა და საგარანტიო სერვისის მომსახურების შეძენა, ელექტრონული ბარიერების (შლაგბაუმები) სათადარიგო ნაწილების შეცვლის (2-ჯერ) მომსახურება, 126 ვიდეო ჩამწერი მოწყობილობის მყარი დისკის და ერთი დისკური საცავის მონტაჟი და ექსპლუატაციაში გაშვება, 204 უწყვეტი კვების წყაროს (UPS) აკუმულატორების, 20 ცალი ხელის რადიო სადგურის, 2 ცალი საბაზო რადიოსადგურის, 146 ცალი ხელის რადიო სადგურის (რაცია) აკუმულატორების, 60 ცალი ხელის რადიო სადგურის (რაცია) აუდიო გარნიტურის, 19 ცალი ხელის რადიო სადგურის (რაცია) დასამუხტების, 200 ცალი აკუსტიკური მილის, 2 ცალი უწყვეტი კვების წყაროს (UPS) (თანმდევი მომსახურებით: მონტაჟი და ექსპლუატაციაში გაშვება), პერსონალური კომპიუტერის 5 ცალი მყარი დისკის და ერთი ცალი კვების ბლოკის შეძენა. გარდა ამისა, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების/ ობიექტების, ბაღების, პარკებისა და სკვერების ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით (600 ერთეული) აღჭურვის მიზნით, ავანსის სახით გადარიცხულია მომწოდებელზე ხელშეკრულების ღირებულების 50 % - 1,024.1 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალური ქონების დაცვის მიზნით, 2024 წელს დასაცავი ობიექტების რაოდენობა არის 100.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დასაცავი ობიექტების რაოდენობა გაიზარდა 145 ერთეულამდე.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დასაცავი ობიექტების ნუსხის ცვლილება დამოკიდებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებაზე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სხვადასხვა ღონისძიებებსა და საგანგებო სიტუაციების დროს დაცვის თანამშრომელთა კვების უზრუნველსაყოფად შეძენილია წლის განმავლობაში საშუალოდ 4000 ულუფა საკვები (2024 წლის ფაქტი - 3435 ულუფა საკვები).

დაგეგმილი მაჩვენებელი - წლის განმავლობაში საშუალოდ 4000 ულუფა საკვები.

მიღწეული მაჩვენებელი - დაცვის თანამშრომელთა 24 საათიანი მორიგეობისთვის შეძენილია 3702 ულუფა საკვები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოწვეული იქნა დაგეგმილი ღონისძიებების ცვლილებით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვის და ვანდალიზმის თავიდან აცილების მიზნით, ქსელში სულ ჩართულია 1959 კამერა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით ჩართული იქნება 600 ცალი კამერა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.


განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 600 ცალი ვიდეო კამერის შეძენა/მონტაჟზე 2-ჯერ გამოცხადდა ტენდერი, რაც დასრულდა უარყოფითი შედეგით. საბოლოოდ მრავალწლიანი ხელშეკრულება გაფორმდა 2025 წლის 7 ნოემბერს და ვიდეო კამერების მოწოდება განხორციელდება 2026 წლის 31 მარტის ჩათვლით.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების/ობიექტების, ბაღების, პარკებისა და სკვერების ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვის მიზნით, 2-ჯერ გამოცხადდა სახელმწიფო შესყიდვა, რაც დასრულდა უარყოფითი შედეგით.

საბოლოოდ მრავალწლიან ხელშეკრულებას (600 ცალი კამერის შეძენა/მონტაჟი) ხელი მოეწერა 2025 წლის 7 ნოემბერს, რომლის თანახმად ,,მიმწოდებელს“ ჩაერიცხა ავანსი ხელშეკრულების ღირებულების 50% - 1,024.1 ათასი ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა გადაირიცხება 2026 წლის 31 მარტის ბოლომდე.

09 02 ცხოველთა მონიტორინგი საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 15,654.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 12,170.6 ათასი ლარი (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,450.1 ათასი ლარი), რაც გეგმიური მაჩვენებლის 77.7%-ი და 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 4,670.3 ათასი ლარით მეტია[34]. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 58%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 19.7%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის შეძენილ იქნა 2 მსუბუქი ავტომანქანა, ავტომანქანებისთვის 6 ცალი ციმციმის კომპლექტი, ფოტოაპარატი, კომპიუტერული ტექნიკა, მაღალი წნევით რეცხვის

[34] გრძელდება გლდანის რაიონში ახალი თავშესაფრის მშენებლობა და განახლდა ოპერატიული რეაგირების ეკიპაჟების მანქანები

აპარატი (კერხერი), შპრიცსატყორცნი პნევმატური მოწყობილობები და წითელწერტილიანი სამიზნეები, ცენტრალური გათბობის ქვაბები და მისი რადიატორები, ასაწყობი ტენტი, ინტერნეტის სვიჩი, ასაწყობი ტენტი, მილების დასათვალიერებელი (ინდუსტრიული ენდოსკოპის კამერა) ხელსაწყო, გლდანის რაიონში ახალი თავშესაფრის მშენებლობისთვის ვერტიკალური დაგეგმარების პროექტის და საინჟინრო გეოლოგიური კვლევის დასკვნის მომზადება, თავშესაფრის ტერიტორიაზე ახალი ვოლიერების, საკატის, ღია პარკინგის მშენებლობა/ პროექტების მომზადება, გლდანის რაიონში ახალი თავშესაფრის (3000 კვადრატულ მეტრ ფართობზე განთავსდება 50 ვოლიერი, საოპერაციო ბლოკები, პოსტოპერაციული სივრცე და ლაბორატორია) მშენებლობა აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს (მათ შორის თავშესაფრის ელექტროენერგიის გამრიცხველიანების და ბუნებრივი აირის ქსელის მოწყობა/მიერთება, ახალი შენობების და ვოლიერების მშენებლობა), თავშესაფრის შენობების რეკონსტრუქცია/კაპიტალური რემონტის სამუშაოები და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 123.3 ათასი ლარი), ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე სააგენტოში შემოვიდა 66019 შეტყობინება, მათ შორის 61175 სატელეფონო და 4844 წერილობითი, თბილისის მასშტაბით რეაგირება ადგილზე (მისამართზე) შესრულდა 20120 შემთხვევაში, დაჭერილი და თავშესაფრის ტერიტორიაზე გადაყვანილ იქნა 14499 ცხოველი და 210 ქვეწარმავალი, ხოლო მოქალაქეთა მიერ შეყვანილია - 2916 ცხოველი, ჯამში თავშესაფარში შეყვანილია 17415 ცხოველი (მათ შორის ძაღლი - 14224, კატა - 3091, სხვადასხვა ცხოველი - 100). შესაბამისი მომსახურების გაწევის მიზნით, შეყვანილ ცხოველებს ჩაუტარდა 11514 ოპერაცია (მათ შორის 6147 - სტერილიზაცია), 4921- კასტრაცია და 446 - სხვა სახის ოპერაცია), გაჩუქდა 450 ცხოველი, პატრონს დაუბრუნდა 177, მიკედლებით გაიყვანეს - 1694 ცხოველი და ბინადრობის არეალს დაუბრუნდა - 11898 ცხოველი; სხვადასხვა თავშესაფარში გადაყვანილია 920 ცხოველი, ლეტალური შედეგი დაუფიქსირდა - 2195 ცხოველს (მათ შორის ევთანაზია ჩაუტარდა 145 ცხოველს);

მუნიციპალური თავშესაფრიდან სააგენტოს ეკიპაჟებმა განახორციელეს 405 სამაშველო ოპერაცია, რის შედეგადაც გადაარჩინეს 450-მდე ცხოველი;

ცოფის ვირუსის პრევენციის მიზნით, სააგენტო პერიოდულად ახორციელებდა ცხოველთა მასობრივ ანტირაბიულ ვაქცინაციას (მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე ხდება იმ ზონების იდენტიფიცირება, სადაც შეინიშნება მომატებული რაოდენობის გარეული ცხოველები და სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით ანტირაბიული ვაქცინაციის გზით ე.წ. ბუფერული ზონების შექმნა), განხორციელდა 13204 ანტირაბიული ვაქცინა;

ფასიანი მომსახურების ფარგლებში განხორციელდა ცხოველის 2256 იდენტიფიკაცია, 530 - ტრანსპორტირება, 74 - დაჭერა-გაყვანა, 136 - ოპერაცია, 495 ვაქცინაცია, 221 - სარეპელენტო ღონისძიება, შეიწამლა - 491071.5 კვმ.; გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 99.4 ათასი ლარი; ოპერატიული რეაგირების ეკიპაჟებისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ 1084 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე განხორციელდა შესაბამისი საჯარიმო სანქცია, რომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 37024 ლარი;

საზოგადოების მხრიდან სააგენტოსადმი პოზიტიური დამოკიდებულების გაზრდის მიზნით, სააგენტო პერმანენტულ რეჟიმში მართავდა საინფორმაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან. აღნიშნულმა ღონისძიებამ ხელი შეუწყო ადგილზე პრობლების შესწავლასა და მათ მოგვარებას. სააგენტოს თანამშრომლების მიერ გრძელდება თბილისის სხვადასხვა რაიონის სკოლებში საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილების ჩატარება შინაური ცხოველების შესახებ;

სააგენტომ გააგრძელა მიუსაფარი ძაღლებისათვის თბილისის ქუჩებში ხის სახლების დადგმის პროცესი. მიმდინარე პერიოდში განთავსდა 43 ხის სახლი ძაღლებისთვის. გარდა ამისა, სააგენტომ როგორც საჯარო, ასევე კერძო ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს მოწესრიგებული და ქალაქის იერსახისათვის დამახასიათებელი სახლების დადგმისაკენ მოუწოდა;

სააგენტომ დაიწყო ახალი პროექტის „კარდაკარ“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც სააგენტოს ოპერატიული რეაგირების ჯგუფები პატრონიანი ცხოველების მოვლა-პატრონობის მონიტორინგს დედაქალაქის მასშტაბით კარდაკარ ამოწმებენ. ჯგუფები წინასწარ შედგენილი მარშრუტით გადაადგილდებიან და ადგილზე მონიტორინგს უწევენ შემდეგ საკითხებს:

ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, სტერილიზაცია (შერეული ჯიშის ცხოველების შემთხვევაში), ვაქცინაცია, საცხოვრებელი პირობები და სხვა. მიმდინარე პერიოდში პროექტი განხორციელდა გლდანის რაიონში (სოფელი გიორგიწმინდა, მუხიანის აგარაკები, ზაჰესი, ავჭალა), სააგენტოს თანამშრომლებმა მოიცვეს 7000-ზე მეტი მისამართი; ცხოველი ჰყავდა, მისამართზე იმყოფებოდა და კომუნიკაცია შედგა 800-ზე მეტ ოჯახთან, რის შედეგადაც, ადგილზე განხორციელდა 500-მდე ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და ანტირაბიული ვაქცინაცია;

გარდა ამისა, სააგენტოს ეკიპაჟებმა განახორციელეს პატრონიანი ცხოველების მოვლა-პატრონობის მონიტორინგი ქალაქის მასშტაბით არსებულ სკვერებსა და პარკებში. ასევე, თავშესაფრიდან სხვადასხვა პერიოდში გაჩუქებული ცხოველების მონიტორინგი. მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემოწმდა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და საცხოვრებელი პირობები;

სააგენტომ განაახლდა 2024 წელს დანერგილი პროექტების განხორციელება: კლინიკა „ვეტ-ჰაუსთან“ და საერთაშორისო ორგანიზაცია „მეიჰიუ-საქართველოსთან“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, აღნიშნული კლინიკები პერიოდულად უფასოდ ასტერილებენ მიუსაფარ ცხოველებს;

თავშესაფრის ტერიტორიაზე ფუნქციონირება დაიწყო პოპულაციის მართვის ცენტრმა; გამოძახებებზე მყისიერი რეაგირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განახლდა ოპერატიული რეაგირების ეკიპაჟების მანქანები; სააგენტოს მობილური ვეტ-კლინიკის საშუალებით, რომელიც გადაადგილდება დედაქალაქის მასშტაბით, განხორციელდა მიუსაფარი ცხოველების მათსავე ბინადრობის არეალში სტერილიზაციის პროგრამა; მობილური ვეტ-კლინიკის მეშვეობით ჩატარებულ ოპერაციებთან ერთად, სააგენტომ იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ცხოველების მეპატრონეებს იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცესის ჩატარება დედაქალაქის მასშტაბით 8 მისამართზე შესთავაზა, აღნიშნული აქციით 300-ზე მეტმა მეპატრონემ ისარგებლა;

სააგენტომ მიმკედლებლებსა და მიუსაფარ ცხოველებზე მზრუნველ ადამიანებს სხვადასხვა მომსახურება შესთავაზა. პროექტის ფარგლებში,

დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა მისამართზე მიმკედლებლებმა მიიღეს შემდეგი სერვისები: მიმკედლებლების საბუთების მოწესრიგება, მიკედლების პროცედურების წარმოება, მიკედლებული და მიუსაფარი ცხოველებისათვის ცოფის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაცია, მიკედლებული, სტერილური, 2-3 წლამდე ასაკის ძაღლებისათვის უფასო კომპლექსური ვაქცინაცია, ხოლო სხვადასხვა მისამართზე შინაური ცხოველების მეპატრონეებს, მიმკედლებლებსა და მიუსაფარ ცხოველებზე მზრუნველ მოქალაქეებს შემდეგი სერვისები შესთავაზა: იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, კომპლექსური და ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) ვაქცინაცია; სააგენტომ ცოფის ვირუსთან ბრძოლის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, შინაურ ცხოველებს (ძაღლები/კატები) ანტირაბიული (ცოფის ვირუსის საწინააღმდეგო) ვაქცინაცია უფასოდ ჩაუტარა, ხოლო ცხოველების კეთილდღეობის ამაღლებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, სხვადასხვა ღონისძიება განახორციელა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს გამართული ფუნქციონირებისთვის ოპერატიული ეკიპაჟებისათვის საჭიროა ავტომანქანების შეძენა და არსებული მატერიალურ/ტექნიკური ბაზის განახლება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განახლდება არსებული მატერიალურ/ტექნიკური ბაზა (მათ შორის სხვადასხვა სახის ტექნიკა/ინვენტარის/სამედიცინო ტექნიკის შეძენა), ავტომანქანების/მიკროავტობუსის შეძენა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა ნაწილობრივ (შეძენილ იქნა 2 ავტომანქანა).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მიკროავტობუსის შეძენა ვერ მოხერხდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დარღვევის გამო, ხოლო სამედიცინო ტექნიკის შეძენა ვერ მოხერხდა პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის და შემდგომ მის მიერ დისკვალიფიკაციის გასაჩივრების გამო.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს ინფრასტრუქტურა შედგება სხვადასხვა შენობებისგან (ადმინისტრაციული შენობა, საკარანტინო შენობა, ბოსელი, საკატე,

ცხოველთა გამოსასეირნებელი), რომელიც პერიოდულად საჭიროებს სარემონტო სამუშაოების განხორციელებას (მათ შორის 2024 წელს დასრულდა თავშესაფრის ტერიტორიაზე ახალი ვოლიერების, ოპერატიული ბაზის შენობის, საწყობის და მოსასვენებელი სივრცის, ცხოველებისათვის ახალი სადგომის (ბოსელი) და საკატის შენობის, ღობის მშენებლობის სამუშაოები).

დაგეგმილი მაჩვენებელი - თავშესაფრის ტერიტორიაზე არსებული შენობის მიმდინარე რემონტების დასრულება, ვარკეთილის თავშესაფარში ახალი ღია ვოლიერებისა და საპარკინგე სივრცის მოწყობა და ახალი თავშესაფრის მშენებლობის დასრულება გლდანის რაიონში.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა თავშესაფრის ტერიტორიაზე არსებული შენობების კაპიტალური რემონტები, გლდანის თავშესაფრის ტერიტორიიდან მოჭრილი მიწის ყრილის გატანის სამუშაოები, ხოლო ვარკეთილის თავშესაფარში მშენებლობა მიმდინარეობს გრაფიკის მიხედვით.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვერ მოხერხდა გლდანის რაიონში ახალი თავშესაფრის მშენებლობის დასრულება, რაც გამოწვეული იყო პროექტის ცვლილებით და შემსრულებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით, გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები და სამუშაოები დასრულდება 2026 წელს.

3.საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიული განვითარების მიზნით, ყოველწლიურად საჭიროა თანამშრომელთა გადამზადება (2024 წლის ფაქტი - 52 სპეციალისტი - მაშველი და სადღეღამისო 8 ოპერატორი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საშუალოდ 50 გადამზადებული თანამშრომელი (მაშველი - სპეციალისტი და ოპერატორ-რეგისტრატორები).

მიღწეული მაჩვენებელი - გადამზადების ტრეინინგ კურსი გაიარა 37 სპეცილისტი-მაშველმა და 13 ოპერატორ-რეგისტრატორმა.


4.საბაზისო მაჩვენებელი - ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე, სააგენტოში შემოდის ყოველწლიურად საშუალოდ 70000-მდე შეტყობინება (2024 წლის ფაქტი - 69685 შეტყობინება, თბილისის

მასშტაბით რეაგირება ადგილზე (მისამართზე) განხორციელდა 15492 შეტყობინებაზე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სააგენტოში შემოსულ შეტყობინებებზე დროული და ეფექტური რეაგირება

მიღწეული მაჩვენებელი - სააგენტოში შემოვიდა 66019 შეტყობინება, თბილისის მასშტაბით რეაგირება ადგილზე (მისამართზე) შესრულდა 20120 შემთხვევაში.

❖ **ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები**



10 01 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 23,195.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 21,972.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 95%-ია, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 10,208.2 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 10,120.0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 181.6 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 1,360.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 102.7 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა


შეადგინა 98,815.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 82,397.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 83%-ია. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 39,422.1 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 31,273.9 ათასი ლარი, გრანტები - 17.5 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 707.5 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 2,971.8 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 8,005.1 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონის გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) დაფინანსებულია 22,957.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,115.4 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდის ხარჯები - 23.3 ათასი ლარი, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 0.5 ათასი ლარი), საფინანსო საქალაქო სამსახური (კოდი 10 03) – 3,834.8 ათასი ლარით (მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 2,477.6 ათასი ლარი), ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) – 894.0 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) – 1,101.7 ათასი ლარით, მუნიციპალური ინსპექცია (კოდი 10 07) – 8,949.5 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (კოდი 10 09) – 943.1 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 10) – 1,623.6 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10 12) – 2,210.7 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) – 10,129.7 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) – 1,206.4 ათასი ლარი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 1,578.7 ათასი ლარი, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) – 1,278.2 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 2,582.2 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 2,688.6 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 2,252.7 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 2,252.1 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 2,541.5 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 2,357.0 ათასი ლარი (მათ შორის წინა

წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 92.4 ათასი ლარი), ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 2,488.5 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 3,125.4 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 2,300.7 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 3,101.3 ათასი ლარი.

10 18 სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 33,707.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 24,849.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 73.7% და 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 3,828.5 ათასი ლარით მეტია. სააგენტოსთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 73.7%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა - შენახვის, ოფისის, სატრანსპორტო საშუალების სპეციალური დაცული (საჯარიმო) სადგომების დაცვის, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევის

ხარჯები და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 5,869.4 ათასი ლარი, ქვათაცვენის შემაკავებელი ღონისძიების საპროექტო-სახარჯთარღიცხვო დოკუმენტაციის შედგენის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციის (UITP) საწევრო შენატანის, ოფისის, მსუბუქი ავტომობილების შეძენა, სიმბოლოების მონტაჟის და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად). მომზადდა და შესაბამისი მომართვის საფუძველზე სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცათ სამსახურის მფლობელობაში არსებული სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული 190 ვიდეო ჩანაწერი სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა შესახებ;

განხილულ იქნა და შესაბამისი რეაგირება მიეცა ,,ცხელ ხაზზე“ შემოსულ 235378 წინადადებასა და შენიშვნას;

საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების თანამშრომლები, შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა და მერიის სხვა სამსახურების თანამშრომლებთან ერთად, აქტიურ მონაწილებას იღებენ დედაქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლებისა (ე.წ. BUSLANE) და სიჩქარის ვიდეო კონტროლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის კვლევისა და დაგეგმვის პროცესში;

სამსახურის მიერ მომზადდა გზატკეცილის მოდელირებები შემდეგ ქუჩებზე: ბაბუციძის და ოცხელების ქუჩების მონაკვეთზე, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მონაკვეთზე, თენგიზ შეშელიძის ქუჩის მონაკვეთზე, აბულაძის ქუჩის მონაკვეთზე, ქერჩის ქუჩის მონაკვეთზე, რაჭის ქუჩის მონაკვეთზე, ერეკლე მეორის ქუჩის მონაკვეთზე, 01.19.36.014.520-ის ქუჩის მონაკვეთზე, აწყურის ქუჩის მონაკვეთზე, ბელიაშვილისა და რობაქიძის ქუჩების მონაკვეთზე, ნუცუბიძისა და ჟღენტის ქუჩების მონაკვეთზე, ნავთლუღის ქუჩაზე, გელოვნის გამზირზე (ბასლეინები), მარჯანიშვილის ქუჩაზე, რუსთაველის გამზირზე, უნივერსიტეტის ქუჩაზე, წერეთლის გამზირისა და სამტრედიის ქუჩის გადაკვეთაზე, რომელთა მიხედვითაც აღნიშნულ მონაკვეთებზე ძირეულად შეიცვალა მოძრაობის მიმართულებები. ასევე, შემოღებულია სპეციალური ზოლები სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის (მათ შორის ზოგიერთ მონაკვეთზე - საერთო ნაკადის შემხვედრი მიმართულებითაც). აღნიშნული ცვლილებები

უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთა ეფექტურ მომსახურებას და ხელს შეუწყობს მგზავრთა გადაადგილების ხარისხის გაუმჯობესებას. ასევე, დაგეგმილი ცვლილებები დადებითად იმოქმედებს მიმდებარე ქუჩებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების კუთხით;

შეთანხმებული იქნა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ჩასატარებელი სხვადასხვა სახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოსიარულეთა საგზაო მოძრაობის ორგანიზების 2080 დროებითი და 3026 მუდმივი სქემა (მათ შორის 2516 დაჩქარებული მომსახურება). ასევე, ხაზობრივი ნაგებობების/სამუშაოების წარმოებაზე გამოიცა 10561 ცალი აქტი. წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რამდენჯერმე ჩატარდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შემოწმება - დათვალიერება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი წერილები დაეგზავნათ მიმწოდებელ კომპანიებს და შესაბამის სამსახურებს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებულია შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტები;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილი სამსახურის თანამშრომლების მიერ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-14, მე-15,მე-16 ნაწილებით, 125^{2} მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის “ა” ქვეპუნქტით, 134^{1} მუხლით, 135-ე მუხლის პირველი ნაწილით და 135^{1}, 135^{2},135^{3},135^{4} მუხლებით, შედგენილ იქნა სულ 1 175 478 საჯარიმო ქვითარი, ხოლო 135-ე მუხლის მეორე ნაწილით შედგენილ იქნა სულ 895 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, მათ შორის M2 კატეგორიის ავტობუსებზე 744 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, ხოლო M3 კატეგორიის ავტობუსებზე შედგენილია 151 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, (საფუძველი - სანებართვო პირობების დარღვევა (მარშრუტის მუშაობის დაწყება - დამთავრების დროისა და ინტერვალის დარღვევა, თამბაქოს მოხმარება, ჰიგიენურ-სანიტარიული ნორმების დარღვევა);

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 134^{1}

მუხლის პირველი ნაწილით ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ შედგენილია 160 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. საფუძველი: 1) სამშენებლო სამუშაოების წარმოება სქემის დარღვევით და სქემის გარეშე - 42 ჯარიმა; 2) სატრანსპორტო საშუალების განთავსება სქემის დარღვევით და სქემის გარეშე - 81 ჯარიმა; 3) სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება სქემის დარღვევით და სქემის გარეშე - 14 ჯარიმა; 4) ხაზობრივი სამუშაოების წამოება სქემის დარღვევით და სქემის გარეშე - 23 ჯარიმა;

M3 კატეგორიის ავტობუსში, უბილეთო მგზავრობისთვის შედგენილ იქნა 59684 საჯარიმო ქვითარი, M2 კატეგორიის ავტობუსში - 13648 საჯარიმო ქვითარი, ხოლო მეტროთი უბილეთო მგზავრობისთვის - 3843 საჯარიმო ქვითარი;

„B" კატეგორიის ტაქსებზე შესაბამისი ნებართვის არქონის გამო, დაჯარიმდა 12145 ავტომობილი, რის საფუძველზეც შესაბამის სახაზინო კოდებზე შეტანილი თანხა შეადგენს - 1,783.5 ათას ლარს;

თბილისის მასშტაბით 2525 ადგილზე მოეწყო ზონალურ-საათობრივი პარკირება (მათ შორის 49 შშმ პირთა პარკირების ადგილი), დაემატა 99 ახალი ელექტრო დამტენი, 7 ველოსიპედის პარკირების ადგილი, 19 დისტრიბუციის პარკირების ადგილი და 4 ტაქსის პარკირების ადგილი. პერიოდულად მიმდინარეობს ტაქსებისათვის, ახალი ადგილების გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება);

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაიცა 678 საცნობი ნიშანი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაიცა 92 სპეციალური საშვი; ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან გაფორმდა პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლების მოპოვების შესახებ 645 ხელშეკრულება;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სხვადასხვა სამართალდარღვევებზე შემოვიდა 6445 პროტესტი/საჩივარი და მიმდინარე პერიოდში განხილული იქნა 2990

პროტესტი/საჩივარი[35];

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილების შესაბამისად, „A“ და „B“ კატეგორიის ტაქსის ნებართვებთან დაკავშირებით, ნებართვის მფლობელების მიერ „A“ კატეგორიის უვადო ნებართვების უსასყიდლოდ გადაცემის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქტიური სტატუსით სარგებლობს „A“ კატეგორიის 19 275 ტაქსის ნებართვა (მათ შორის ბენზინზე მომუშავე - 4857 ნებართვა, ჰიბრიდული - 10467 ნებართვა, ელექტრო ავტომობილებით მომუშავე - 1118 ნებართვა), ხოლო არააქტიური ნებართვები (მოლოდინის რეჟიმი) რომელზედაც არ არის მიბმული სატრანსპორტო საშუალება 2833 ცალი (ანაზღაურდება დღეში 3 ლარი), ხოლო „B“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის ტაქსის ნებართვის სტატუსით სარგებლობს 8033 ნებართვა (მათ შორის ბენზინზე მომუშავე -1712 ნებართვა, ჰიბრიდული - 6024 ნებართვა, ელექტრო ავტომობილებით მომუშავე - 297 ნებართვა)[36];

საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელებისთვის შედგენილ იქნა 21177 საჯარიმო ქვითარი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული სატრანსპორტო საშუალებების პარკირების (მათ შორის გაფორმდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლების მოპოვების შესახებ 645 ხელშეკრულება) საფასურის გააქტიურების შედეგად სულ შემოსულია 6,516.7 ათასი ლარი (მათ შორის 1 კვირიანი (4 ლარი) - რაოდენობა 68296, 6 თვიანი (25 ლარი) - რაოდენობა 87888, 1 წლიანი (50 ლარი) - რაოდენობა 26611, 1 დღიანი (ზონალური, 20 ლარი) - რაოდენობა 4864, 1 კვირიანი (ზონალური, 100 ლარი) - რაოდენობა 541, 1 თვიანი (ზონალური, 300 ლარი) - რაოდენობა 103, 6 თვიანი (ზონალური, 500 ლარი) - რაოდენობა 939, 1 წლიანი (ზონალური, 800 ლარი) - რაოდენობა 2580), ხოლო ზონალურ საათობრივი პარკირებიდან 12,733.7 ათასი ლარი;


[35] მათ შორის განხილულია სხვადასხვა სამართალდარღვევებზე 2024 წელს შემოსული პროტესტის/საჩივარის ნაწილი.

[36] ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ სააგენტოსთვის მიწოდებული ინფორმაცია

მოეწყო სხვადასხვა ღონისძიება „მობილობის ევროპული კვირეულის“ ფარგლებში, რომლის მიზანს წარმოადგენდა მდგრადი ურბანული მობილობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და აქტიური მობილობის პოპულარიზაცია. „მობილობის ევროპული კვირეული“ მოიცავდა როგორც გარე აქტივობებსა და ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებულ შეხვედრებს სხვადასხვა აუდიტორიასთან, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის დეპოებში ვიზიტებს.

10 20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 2,865.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 2,780.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97% და 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 243.5 ათასი ლარით მეტია. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 96.8%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 0.2%.

(ათასი ლარი)




საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სამსახურის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, თანამშრომელთა ბიულეტინის/ დეკრეტული შვებულების ანაზღაურება, ოფისის, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის, ავტომანქანების

დაზღვევა, გათბობის სისტემის ფანკოილების, არქიტექტურულ-ესკიზური პროექტების შეძენა და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 1,340.7 ათასი ლარი). მიმდინარე პერიოდში სამსახურში სულ შემოსულია 25140 განაცხადი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2024 წლის ფაქტი - 26405) შედარებით 1265-ით ნაკლებია. მათ შორის მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით - 9243 განცხადება (2024 წლის ფაქტი - 9897), მშენებლობის ნებართვა გაიცა 6002 განაცხადზე (2024 წლის ფაქტი - 6407).

10 21 სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 5,686.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 3,964.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 69.7% და 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელზე - 4,046.5 ათასი ლარით ნაკლებია[37]. სააგენტოსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 42%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 27.7%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა ხელფასი, ოფისის, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვის, საარქივო მომსახურების, თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურების, ავტომობილების და

[37] 2023 წლის მაისიდან დაიწყო და 2024 წელს დასრულდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ გეოგრაფიულ არეალში სისტემური რეგისტრაციის პროექტის განხორციელება.

კომპიუტერული ტექნიკის შეძენის, ავტომანქანების დაზღვევის, ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯები და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 2,764.3 ათასი ლარი). ამასთან, გადახდილია სამეფო უბნის თეატრის ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი არასაცხოვრებელი ფართის იჯარა - 148.2 ათასი ლარი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 30 ივლისის N25.1302.1465 განკარგულების შესაბამისად (მუნიციპალური პროექტის განხორციელების მიზნით სატელევიზიო ანძაზე ინფრასტრუქტურის მომზადების შესახებ), შპს საქართველოს ტელერადიო ცენტრს გადაერიცხა - 886.4 ათასი ლარი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 08.04.2025წ. N25.578.662 განკარგულების თანახმად, მუნიციპალურ საკუთრებად შეძენილი #4 საბავშვო ბაგა-ბაღის მიმდებარე 58.0 კვ. მეტრი შენობა - 200.7 ათასი ლარი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 26.03.2025წ. N25.472.561 განკარგულების თანახმად, მუნიციპალურ საკუთრებად შეძენილი ვაგან მამასახლისოვის ქუჩა #9-ის მიმდებარე 15 კვ.მეტრი მიწა - 33.4 ათასი ლარი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 16.02.2024წ. N24.254.293 განკარგულების თანახმად, შპს „ვისოლ ჯორჯია“-სა და თბილისის მუნიციპალიტეტს შორის უძრავი ქონების გაცვლით მიღებული ფასთა შორის სხვაობა - 653.4 ათასი ლარი; თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 17.06.2025წ. N25.998.1141 განკარგულების თანახმად ფ/პ მზია ბარამიძისგან შეძენილია მიწა - 46.8 ათას ლარად; თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 30.06.2025წ. N25.1092.1227 განკარგულების თანახმად ფ/პ მედეა ნიჟარაძისგან შეძენილია არასაცხოვრებელი ფართი 42.0 ათას ლარად; თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 30.06.25წ. N25.1097.1241 განკარგულების თანახმად ეთერ ფარსადანიშვილისგან შეძენილია არასაცხოვრებელი ფართი - 108.4 ათას ლარად; თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 23.07.2025წ. N25.1228.1388 განკარგულების თანახმად, ირაკლი გელაშვილისგან შეძენილია მიწა - 54.1 ათას ლარად; თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 03.09.2025წ. N25.1450.1639 განკარგულების თანახმად ლალი კაკაშვილისგან შეძენილია მიწა 126.5 ათას ლარად; თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 03.09.2025წ. N25.1449.1640 განკარგულების თანახმად ნუგზარი წიქარიძისგან შეძენილია მიწა - 157.3 ათას ლარად; ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 23.10.2025წ. N25.1758.1979 განკარგულების თანახმად, მანანა კობიაშვილისგან შეძენილია მიწა - 96.8 ათას ლარად; ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მთავრობის 18.12.2025წ. #25.2184.2451 განკარგულების თანახმად მანანა ღადუასგან შეძენილია მიწა - 58.0 ათას ლარად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულება შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, გადასახდელების პროგრამული კლასიფიკაციის, კაპიტალური (საინვესტიციო) პროექტების, სსიპ(ებ)-ის, ა(ა)იპ(ებ)-ის და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლების მიხედვით წარმოდგენილია დანართი N1-6

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
გაიოზ თალაკვაძე